unicef

თითოეული ბავშვისთვის

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი

2019

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2019

ავტორები: ნინო ჯიჯავაძე, თამთა კუხალეიშვილი
ილუსტრაცია და დიზაინი: სალომე სხირტლაძე

შესავალი 2

სახელმძღვანელოს მიზანი და შინაარსი 3
რა არის ხარისხის სტანდარტი? 3
ადრეული განათლების პრინციპები 9

თავი 1: უსაფრთხოება და დაცულობა 16

რას ნიშნავს კეთილდღეობა 17
ფიზიკური ჯანმრთელობა 19
ფსიქიკური ჯანმრთელობა 29
უსაფრთხო გარემო 33
თანამშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელობა ბავშვთა კეთილდღეობისთვის 36
არაძალადობრივი გარემო 37

თავი 2: კურიკულუმი და მეთოდოლოგია 43

თამაშის როლი ადრეულ განათლებაში 44
კურიკულუმის არსი და მისი მნიშვნელობა 59
როგორ უზრუნველვყოთ ბავშვის ჰოლისტური განვითარება 67
ეფექტიანი განრიგი 71

თავი 3: ფიზიკური გარემო 75

ფიზიკური გარემოს როლი ბავშვის განვითარებაში 75
ფიზიკური გარემო ჰოლისტური განვითარებისთვის 83
ეზოს მოწყობის პრინციპები 95
საგანმანათლებლო რესურსი 98

თავი 4: ურთიერთობა 102

ურთიერთობების როლი 102
რას ნიშნავს ბავშვის პატივისცემა 107
ბავშვებს შორის ურთიერთობა 109
უფროსი, როგორც მაგალითი 110

თავი 5: საგანმანათლებლო პროცესი 112

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა 113
პროცესის განხორციელება 122
პროცესის შეფასება 131
საგანმანათლებლო პერსონალის როლი პროცესის ხარისხიანად განხორციელებაში 136
პროფესიული განვითარება 137

თავი 6: ოჯახისა და თემის მონაწილეობა 142

ოჯახი - განსხვავებულობა, აღიარება, გათვალისწინება 142
რა არის თემი და როგორ გამოვიყენოთ თემის რესურსი 155

თავი 7: ინკლუზიური განათლება 157

რას ნიშნავს მრავალფეროვნება, მრავალფეროვნების პატივისცემა 158
ინკლუზიური განათლება 165

თავი 8: მართვა და შეფასება 176

რას ნიშნავს მართვა 177
დაწესებულების ფილოსოფია და ხედვა 180
დაწესებულების სამოქმედო გეგმა 181
დაწესებულების დოკუმენტაცია 182
თანამშრომელთა კეთილდღეობა 187
პროგრამის ხარისხის შეფასება 190

სახელმძღვანელოს მიზანი და შინაარსი

სახელმძღვანელოს მიზანია, სკოლამდელი განათლების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებს ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში ხარისხიანი განათლების დანერგვაში დაეხმაროს. სახელმძღვანელოში მოცემული თემები „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტში“ (შემდგომში - ხარისხის სტანდარტი) განსაზღვრულ მიმართულებებს მიჰყვება, რომელიც ხარისხიანი ადრეული განათლების ძირითადი კომპონენტებია. სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციები, რეალური მაგალითები ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების დირექტორებს, მეთოდისტებს, საგანმანათლებლო პერსონალსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, ასევე დაეხმარება თანამედროვე მიდგომების დანერგვაში.

სახელმძღვანელო რვა თავისგან შედგება:

1. უსაფრთხოება და დაცულობა
2. კურიკულუმი და მეთოდოლოგია
3. ფიზიკური გარემო
4. ურთიერთობა
5. საგანმანათლებლო პროცესი
6. ოჯახისა და თემის მონაწილეობა
7. ინკლუზიური განათლება
8. მართვა და შეფასება

თითოეული თავი ქვეთავებად იყოფა. ძირითად ტექსტთან ერთად სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ჩანართები, რომლებშიც აღწერილია კონკრეტული მაგალითები, ან რეკომენდაციები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

რა არის ხარისხის სტანდარტი?

ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი, როგორც ეს არის განმარტებული საქართველოს კანონში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, არის „დოკუმენტი, რომელიც აწესებს დაბადებიდან სასკოლო მზაობის პროგრამის დაწყებამდე ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის მისაღწევ შედეგებს და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მახასიათებლებს“. როგორც მოცემულ განმარტებაში ჩანს, დოკუმენტი აერთიანებს ორი ტიპის სტანდარტს: ბავშვის განვითარების სტანდარტები და ხარისხის სტანდარტი.
ხარისხის სტანდარტში მოცემულია ის სტანდარტები და ინდიკატორები, რომლებითაც ხასიათდება ნებისმიერი ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამა და მოიცავს მის ყველა ასპექტს: პროცესს, გარემოს, დამოკიდებულებებს, საგანმანათლებლო პერსონალისა და ადმინისტრაციის როლს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

სტანდარტი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ, ის ექვემდებარება გადახედვასა და განახლებას მაქსიმუმ 5 წელიწადში ერთხელ და მისი გამოყენება სავალდებულოა საქართველოს მასშტაბით ყველა ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში (როგორც კერძო, ასევე საჯარო). ზემოთ ხსენებული კანონი აწესებს ამ დოკუმენტთან დაკავშირებულ სხვადასხვა მხარის უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება მოცემული სტანდარტის შემუშავება და მონიტორინგის სისტემის საფუძველზე მისი დანერგვა, განვითარება და გაუმჯობესება.
- მუნიციპალიტეტები ვალდებულები არიან უზრუნველყონ დაწესებული სტანდარტების შესრულება. ამ მიზნით ისინი უზრუნველყოფენ სტანდარტის შესაბამის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას, შეიმუშავებენ და უზრუნველყოფენ მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების სისტემების ფუნქციონირებას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. მათივე ვალდებულებაა უზრუნველყონ შესაბამისი პირობები სტანდარტის შესაბამისი მომსახურების დასანერგად.
- როგორც საჯარო, კერძო ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებიც, ვალდებულები არიან უზრუნველყონ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტების მიღწევა და დაცვა.

ხარისხის სტანდარტის მიზანი

ხარისხის სტანდარტის მიზანია საქართველოს მასშტაბით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა, ბავშვის სწავლისა და განვითარების შედეგების მისაღწევად აუცილებელი მინიმალური პროგრამული სტანდარტების განსაზღვრის გზით.

ხარისხის სტანდარტი აყალიბებს მკაფიო მოლოდინებს, რომელიც გაზიარებულია მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს მოლოდინები ეხება დაწესებულებასა და მასში არსებულ პროგრამას - რა მინიმალური პირობების შექმნაა აუცილებელი თითოეული ბავშვის განვითარებისა და პოზიტიური ცხოვრებისთვის. ის ხაზს უსვამს საგანმანათლებლო პერსონალის კომპეტენტურობის მნიშვნელობას და მხარეებს ამ საკითხზე ზრუნვის ვალდებულებას აკისრებს. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ჩამოთვლილი შედეგების მიღწევა დიდწილად არის დამოკიდებული მოცემული სტანდარტის განხორციელების პროცესზე. მასში ადრეული და სკოლამდელი განათლებით დაინტერესებული ყველა მხარე უნდა ჩაერთოს და გააცნობიეროს შესაძლო ხელისშემშლელი ფაქტორები: დაბალი კომპეტენციები სხვადასხვა რგოლში, ბავშვთა დიდი რაოდენობა სივრცესთან და უფროსთან თანაფარდობაში, დოკუმენტის არამიზნობრივად გამოყენება და სხვ.

ხარისხის სტანდარტი არის ხელსაწყო, რომელიც შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი განათლების გასაუმჯობესებლად, თუმცა მისმა არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა საპირისპირო შედეგები გამოიწვიოს. ამიტომ მნიშვნელოვანია იმაზე მითითება,

რომ ეს სტანდარტი არ არის:

- **შეფასების ინსტრუმენტი.** ეს დოკუმენტი შეიძლება გახდეს საყრდენი პროგრამის შესაფასებელი სხვადასხვა ინსტრუმენტის შესაქმნელად, თუმცა თავად არ არის შეფასების ინსტრუმენტი.
- **კურიკულუმი.** მოცემული დოკუმენტი არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში. ის არ გვაძლევს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესის შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და შეფასების შესახებ, არამედ მხოლოდ წინაპირობაა ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტის შესასრულებლად.
- **უცვლელი.** მნიშვნელოვანია დარგში განვითარებული ახალი თეორიები და ცოდნა იყოს სტანდარტის საფუძველი, შესაბამისად ის პერიოდულად უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს ამ ცოდნაზე დაყრდნობით.

ხარისხის სტანდარტი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება და მომხმარებელთა ფართო სპექტრი ჰყავს:

- ✓ აღმზრდელ-პედაგოგები სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად სტანდარტს გამოიყენებენ თითოეულ ბავშვზე ორიენტირებული, მიზნობრივი და გააზრებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვისთვის.
- ✓ ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ამ დოკუმენტს ასევე გამოიყენებენ ამ დაწესებულებების სხვა თანამშრომლები, მათი დამფუძნებლები, როგორიც საჯარო დაწესებულების შემთხვევაში არის მუნიციპალიტეტი ან/და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, და ყველა ის პირი, ვის უფლება-მოვალეობებშიც შედის ხარისხიანი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა.
- ✓ ხარისხის სტანდარტი არის დასაყრდენი, რომლის საფუძელზეც უნდა შემუშავდეს ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულების მონიტორინგის მექანიზმი, ინსტრუმენტი და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები (შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ).
- ✓ სტანდარტის გამოყენება ასევე შეუძლიათ ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგის სპეციალისტებსა და პრაქტიკოსებს ახალი კურიკულუმების შესამუშავებლად, ასევე სხვა ტიპის პედაგოგიური დოკუმენტების შესაქმნელად.
- ✓ მოცემული სტანდარტი შესაძლებელია იყოს წყარო ფართო საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით მშობლებისთვის, რათა ჩამოიყალიბონ წარმოდგენა, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ადრეული და სკოლამდელი დაწესებულება, რა მოლოდინები და მოთხოვნები უნდა ჰქონდეთ დამფუძნებლის და სახელმწიფოს მიმართ და ასევე, რას გულისხმობს ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამა.

ხარისხის სტანდარტის სტრუქტურა

სტანდარტი რვა მიმართულებად არის დაყოფილი, ყოველი მიმართულება მისაღწევი შედეგების - „სტანდარტების“ სახით არის წარმოდგენილი. თითოეული სტანდარტისთვის განსაზღვრულია შედეგის მიღწევის მაჩვენებლების - „ინდიკატორების“ ჩამონათვალი.

- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - ამ თავში წარმოდგენილია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განაპირობებს ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას დაწესებულების ფარგლებში. აქ წარმოდგენილია ძირითადი ასპექტები, რომლითაც ხასიათდება კეთილდღეობა: თავდაჯერებულობა, ბედნიერების შეგრძნება, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემულია ის შედეგები, რომელიც ეხება როგორც ბავშვის, ასევე დაწესებულების თანამშრომლების ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას.
- კურიკულუმი და მეთოდოლოგია - სტანდარტის დოკუმენტის ამ თავში მოცემულია იმ მეთოდური საშუალებების მახასიათებლები, რომლითაც ხდება ბავშვის მრავალმხრივი განვითარება სწავლისა და განვითარების სტანდარტების მიღწევის მიზნით.
- ფიზიკური გარემო - სტანდარტის დოკუმენტის ამ ნაწილში თავმოყრილია ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ფიზიკური გარემოს მახასიათებლები.
- ურთიერთობა - სტანდარტის დოკუმენტის ამ თავში აღწერილია, თუ რა სახის ურთიერთობებია მისაღწევი სკოლამდელი დაწესებულების სივრცეში და როგორი უნდა იყოს განვითარების ხელშემწყობი სოციალური გარემო.

- <u>საგანმანათლებლო პროცესი</u> - სტანდარტის დოკუმენტის ამ ნაწილში განხილულია ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის შემადგენელი კომპონენტები და პროცესის ეფექტიანად წარმართვის მახასიათებლები.
- <u>ოჯახის და თემის მონაწილეობა</u> - სტანდარტის დოკუმენტის ამ ნაწილში აღწერილია ის შედეგები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის ოჯახის აქტიურ მონაწილეობას სკოლამდელი დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობებში და უზრუნველყოფს პოზიტიურ ურთიერთკავშირებს ბაღსა და ბავშვის ოჯახს შორის.
- <u>ინკლუზიური განათლება</u> - სტანდარტის დოკუმენტის ეს თავი მოიცავს მახასიათებლებს, რომლებიც უკავშირდება სკოლამდელ დაწესებულებაში მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემასა და თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობას, მიუხედავად მისი საჭიროებისა, გენდერული, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულობისა.
- <u>მართვა და შეფასება</u> - სტანდარტის დოკუმენტის ამ თავში წარმოდგენილია ხარისხიანი პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და მხარდაჭერის პრინციპები.

მიმართულება. უსაფრთხოება-დაცულობა			
სტანდარტი 1	სტანდარტი 2	სტანდარტი 3	სტანდარტი 4
დაწესებულება ზრუნავს თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ფიზიკური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე.	დაწესებულება ზრუნავს თითოეული ბავშვისა და დაწესებულების ყველა თანამშრომლის ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე.	თითოეულ ბავშვს აქვს არჩევანის თავისუფლება და გადაწყვეტილების მიღების საშუალება, საკუთარი ინტერესების შესაბამისად.	დაწესებულების თანამშრომლები ქმნიან არაძალადობრივ და არადისკრიმინაციულ გარემოს.

მიმართულება. კურიკულუმი და მეთოდოლოგია				
სტანდარტი 1	სტანდარტი 2	სტანდარტი 3	სტანდარტი 4	სტანდარტი 5
თამაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია.	თამაშის დროს თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად, შემოქმედებითად გამოიყენოს ჯგუფისა და ეზოს საგანმანათლებლო რესურსი.	დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმით, რომელიც ორიენტირებულია თითოეული ბავშვის მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებაზე.	კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, განვითარებულ, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს.	დღის განრიგი მოქნილი, პროგნოზირებადია და მრავალფეროვანს ხდის თითოეული ბავშვის გამოცდილებას.

მიმართულება. ფიზიკური გარემო			
სტანდარტი 1	სტანდარტი 2	სტანდარტი 3	სტანდარტი 4
დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით.	დაწესებულების შიდა და გარე სივრცე მოწყობილია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მეთოდოლოგიისა და კურიკულუმის მიზნების შესაბამისად.	დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანი, განმავითარებელი, თითოეული ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისია.	დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები იმგვარადაა გააზრებული და მოწყობილი, რომ ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი საქმიანობების განხორციელებას თითოეული ბავშვის მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარებისთვის

მიმართულება. ურთიერთობა

სტანდარტი 1	სტანდარტი 2	სტანდარტი 3	სტანდარტი 4
თითოეულ ბავშვს აქვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის შესაძლებლობა.	დაწესებულების თანამშრომლები მგრძნობიარენი, გულისხმიერნი არიან, გამოხატავენ პატივისცემას თითოეული ბავშვის მიმართ და აღიარებენ მათ.	დაწესებულების თანამშრომლები პოზიტიურად ურთიერთობენ თითოეული ბავშვის ოჯახთან.	დაწესებულებაში მომუშავე პერსონალს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია და ეფუძნება ურთიერთპატივისცემას.

მიმართულება. საგანმანათლებლო პროცესი

სტანდარტი 1	სტანდარტი 2	სტანდარტი 3	სტანდარტი 4	სტანდარტი 5	სტანდარტი 6
აღმზრდელ–პედაგოგი აღმზრდელთან ერთად გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს და აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობას.	აღმზრდელ–პედაგოგი აღმზრდელთან ერთად თითოეულ ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას იყენებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და მოდიფიცირებისთვის, თითოეული ბავშვის მრავალმხრივი და ჰოლისტური განვითარებისთვის.	აღმზრდელ–პედაგოგი და აღმზრდელი არიან პოზიტიური მაგალითის მიმცემნი.	აღმზრდელ–პედაგოგი და აღმზრდელი ხელს უწყობენ ჯგუფში პოზიტიური დისციპლინის დამყარებას.	აღმზრდელ–პედაგოგი და აღმზრდელი ახორციელებენ ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული ბავშვის მიმართ.	აღმზრდელ–პედაგოგი და აღმზრდელი ზრუნავენ პირად პროფესიულ განვითარებაზე

მიმართულება. ოჯახისა და თემის მონაწილეობა

სტანდარტი 1	სტანდარტი 2	სტანდარტი 3	სტანდარტი 4
დაწესებულების თანამშრომლები, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პროგრამაში ჩართვის მიზნით, მათთან ურთიერთობისას იყენებენ ფორმალურ და არაფორმალურ კომუნიკაციას.	ოჯახს აქვს საშუალება პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში აქტიურად ჩართვისა როგორც დაწესებულების ფარგლებში, ისე – მის ფარგლებს გარეთ.	პროგრამა უზრუნველყოფს ოჯახის მხარდაჭერას ბავშვის მრავალმხრივი განვითარების საკითხში.	პროგრამა უზრუნველყოფს თემთან თანამშრომლობას.

მიმართულება. ინკლუზიური განათლება

სტანდარტი 1	სტანდარტი 2
პროგრამა აღიარებს და პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და ბავშვის სხვადასხვა შესაძლებლობასა და საჭიროებას.	პროგრამა უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობას განურჩევლად მისი შესაძლებლობებისა.

მიმართულება. მართვა და შეფასება

სტანდარტი 1	სტანდარტი 2	სტანდარტი 3	სტანდარტი 4	სტანდარტი 5	სტანდარტი 6
დაწესებულებას აქვს მისია და ხედვა, რომელიც წარმოაჩენს მის თვითმყოფადობას, განსაზღვრავს საქმიანობებსა და მიმართულებებს და შეესაბამება "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებს.	დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტები პროგრამის პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბავშვთა დაცვა ნებისმიერი სახის ძალადობისაგან, დაწესებულებაში ჩარიცხვა, მშობლის ნებართვა და სხვ.	დაწესებულება დამოუკიდებელია მართვაში.	დაწესებულება ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობასა და პროფესიულ წინსვლაზე.	დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შიდა მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკა და პროცედურები.	პროგრამის გარე მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სტანდარტის გამოყენების ინსტრუქცია

ხარისხის სტანდარტის მომხმარებელი ფართო სპექტრია და გულისხმობს როგორც აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს, ასევე დაწესებულების სხვა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას, როგორც უშუალოდ დაწესებულების ადმინისტრაციას, საჯარო დაწესებულების შემთხვევაში, მის დამფუძნებელსაც. ხარისხის სტანდარტი ბავშვის განვითარების სტანდარტის მიღწევის წინაპირობაა. ეს უკანასკნელი არის ადრეული და სკოლამდელი განათლების მიზანი, ხოლო ხარისხის სტანდარტი მოიცავს იმ მაჩვენებლებს, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც შესაძლებელია მიზანზე გასვლა.

საგანმანათლებლო პერსონალისთვის, კონკრეტულად კი აღმზრდელ-პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის, ხარისხის სტანდარტი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა, საკუთარი როლის იდენტიფიცირებისთვის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში. აქ მოცემულია სტანდარტები, რომელთა განხორციელებაც აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს დაეხმარება საგანმანათლებლო პროცესის ყველა კომპონენტის სრულყოფაში.

როგორც ზემოთ ითქვა, პროგრამის ხარისხის სტანდარტის მომხმარებლები აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის გარდა დაწესებულების სხვა თანამშრომლებიც არიან, კონკრეტულად კი ადმინისტრაცია, საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში კი, მისი დამფუძნებელი. მათ უნდა განსაზღვრონ პროგრამის გაუმჯობესებისთვის საჭირო ამოცანები. მაშინაც კი, როდესაც სტანდარტის განხორციელებაზე ძირითადი ვალდებულება ერთ პირს აკისრია, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მხოლოდ ერთობლივმა და თანამშრომლობითმა ძალისხმევამ შეიძლება გაგვაუმჯობესებინოს ხარისხი. მოცემული სტანდარტები აქტუალურია მოქმედი ბაღებისთვისაც და ახლადგახსნილი დაწესებულებებისთვისაც.

ხარისხიანი პროგრამის განმახორციელებელი მხარეები მოცემულ სტანდარტთან ერთად, დაწესებულების, დაწესებულების და/ან მისი დამფუძნებლის თანამშრომელთა სხვადასხვა რგოლის მუშაობის, საგანმანათლებლო გარემოს და პროცესის და საკუთარი თავის შესაფასებლად, გამოიყენებენ პროგრამის ხარისხის სტანდარტების საფუძველზე შექმნილ გარე და შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტებს. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განისაზღვრება შესაბამისი სამომავლო სამუშაოები.

ადრეული განათლების პრინციპები

ქვემოთ დასახელებულია ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები (შემდგომში - საგანმანათლებლო სტანდარტები) და, შესაბამისად, მოცემული გზამკვლევიც. აღნიშნული პრინციპები ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფმა საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესში.


ბავშვის განვითარება წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს, რომლის დანაწევრებაც შეუძლებელია
ბავშვის პატივისცემა გულისხმობს მისი, როგორც პიროვნების და თანასწორის, აღიარებას
თამაში ბავშვის ქცევის, სწავლისა და განვითარების ძირითადი ფორმა და პროცესია
ადრეული ბავშვობა უპირობოდ მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში
უფროსის როლი უნიკალურია ბავშვის განვითარებაში
გარემო ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მასწავლებელია
მრავალფეროვნება და თანასწორობა ხარისხიანი ადრეული განათლების აუცილებელი წინაპირობაა
თითოეული ბავშვი უნიკალურია ინდივიდუალური საჭიროებებით, ინტერესებითა და შესაძლებლობებით
ბავშვის უპირველესი აღმზრდელები მასწავლებლები და მშობლები არიან
სოციალური ურთიერთობები სწავლისა და განვითარების საფუძველია

ადრეული ბავშვობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში

დაბადებიდან ხუთ წლამდე ასაკი საოცრად სწრაფი და უნიკალური ზრდის ხანაა, სწორედ ამ დროს ვითარდება თავის ტვინი ყველაზე სწრაფად და ინტენსიურად, რაც საფუძვლად ედება ადამიანის შემდგომ ცხოვრებას.

ინდივიდის სიცოცხლის ამ საფეხურზე, ისევე როგორც მთელი ცხოვრების განმავლობაში, მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის პოზიტიური მხარდაჭერა და მათთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შეთავაზება. ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, უფროსების მხრიდან გადაჭარბებული კონტროლისა და შეუსაბამო მოლოდინების გარეშე, თამაშით შეისწავლოს საკუთარი თავი და სამყარო. სწორედ ამგვარი პირობების შექმნა ახდენს უდიდეს გავლენას ტვინის განვითარებაზე, განაპირობებს პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებას, აუმჯობესებს სასკოლო მოსწრებას, ამცირებს ქცევითი პრობლემების რისკს და სხვა. ადრეულ ასაკში ბავშვის ზრუნვასა და განათლებაზე გაწეული ინვესტიციები, ამავდროულად, სასარგებლოა მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის, რადგან ეს ეკონომიკური და სოციალური თანასწორობის წინაპირობაა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ბავშვობა გარკვეულწილად საფუძველს უქმნის ადამიანის მომავალს, ეს დრო არ უნდა აღიქმებოდეს და გამოიყენებოდეს, როგორც მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდი ადამიანის შემდგომი ცხოვრებისათვის. ბავშვობას, როგორც აწმყოში არსებულ მოვლენას, თავისთავადი ღირებულება გააჩნია. ბავშვი აწმყოში ცხოვრობს, აწმყოში მონაწილეობს და ზეგავლენას ახდენს გარშემომყოფებზე თავისი განსაკუთრებული ხედვითა და შესაძლებლობებით. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვზე ზრუნვისა და განათლების პროცესი ეფუძნებოდეს მისი, როგორც აწმყოში უნიკალური, კომპეტენტური, აქტიური და თანასწორი ადამიანის აღქმას, რომელსაც უფროსებისგან განსხვავებული საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები აქვს.

ბავშვის პატივისცემა გულისხმობს მისი, როგორც პიროვნების და თანასწორის, აღიარებას



ბავშვის პატივისცემა უფრო მეტია, ვიდრე მის მიმართ მოსიყვარულე და პოზიტიური დამოკიდებულება; ის გულისხმობს თითოეული ბავშვის, როგორც თანასწორის, აღიარებას.

ბავშვი არის თავისი ცხოვრების აქტიური მონაწილე და უფროსების სრულუფლებიანი პარტნიორი, რომელსაც აქვს უფლებები და მოვალეობები. უფროსების მხრიდან აუცილებელია ამ ფუნდამენტური უფლებების აღიარება, პატივისცემა და დაცვა. თითოეულ ბავშვს, როგორც საზოგადოების სრულფასოვან წევრს და მოქალაქეს, აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი შეხედულება და ჩაერთოს იმ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც მას და მის გარემოს ეხება. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხიანი პროგრამა არადისკრიმინაციულია, ის მუდმივად იცავს და უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის, განურჩევლად

მისი მახასიათებლებისა, ჭეშმარიტ ინტერესს, რომელიც ითვალისწინებს როგორც სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლებას, ასევე ბავშვის ინდივიდუალურ შეხედულებებს.
ბავშვის, როგორც თანასწორი და კომპეტენტური ადამიანის აღიარება, ცვლის ურთიერთობებს უფროსსა და ბავშვს შორის: ერთი მხრივ, უფროსი ნაწილობრივ კარგავს ძალაუფლებასა და კონტროლს; მეორე მხრივ კი, ბავშვს საშუალება ეძლევა გაძლიერდეს და ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლობის გრძნობისა და თვითკონტროლის მქონე მზრუნველ პიროვნებად.

ბავშვის განვითარება წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს, რომლის დანაწევრებაც შეუძლებელია

ბავშვის განვითარება რთული და მრავალმხრივი პროცესია. პირობითად დაყოფილი განვითარების სფეროები - (1) ფიზიკური და სენსორული, (2) კომუნიკაცია, ენა და მეტყველება, (3) სოციალურ-ემოციური, (4) შემეცნება და (5) დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა - ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. თითოეული სფეროს განვითარების ხელშეწყობა გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე.
ჰოლისტური მიდგომა ბავშვის განვითარების სწორედ იმდაგვარი გაგებაა, როდესაც მისი დანაწევრების ნაცვლად, ერთდროულად და თანაბრად ზრუნავ თითოეული სფეროს განვითარებაზე. ამ მიდგომით სწავლა-სწავლება გულისხმობს ყურადღების მიქცევას არა მხოლოდ შემეცნებით და ცოდნის დაგროვების პროცესებზე, არამედ ბავშვის ფიზიკური, სოციალური, ემოციური და სულიერი განვითარების ხელშეწყობაზეც.
ჰოლისტური მიდგომის განხორციელება და ხელშეწყობა, ანუ ბავშვის მთლიანობითი განვითარება, შესაბამისი გარემოს შექმნითა და საგანმანათლებლო რესურსის შეთავაზებით მიიღწევა.

თამაში ბავშვის ქცევის, სწავლისა და განვითარების ძირითადი ფორმა და პროცესია

თამაში ბავშვისთვის სამყაროს შემეცნების, თვითგამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებაა. ეს პროცესი მისთვის ბუნებრიობის, უსაფრთხოების, კმაყოფილებისა და სიამოვნების შეგრძნების წყაროა.
ბავშვი აქტიურად სწავლობს კეთებით. ის სწავლობს გარემოს აღმოჩენით, პროცესში აქტიურად ჩართვით, მუდმივი ცდისა და ექსპერიმენტების გზით. ამიტომაც ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, თავად დაუშვას შეცდომები, მოსინჯოს სხვადასხვა იდეები, გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები. მისთვის უპირატესია არა მზა ცოდნისა და მზა ინფორმაციის მიღება, არამედ სამყაროს საკუთარი გამოცდილებით შემეცნება.
თამაშისას ბავშვი სწავლობს და უკვე შეძენილ ცოდნასა და უნარებსაც ამჟღავნებს; ამ დროს ბავშვს ეძლევა საშუალება გამოსცადოს ახალი იდეები, გააკეთოს აღმოჩენები, მოსინჯოს საკუთარი ძალები, გაითვალისწინოს სხვისი მოსაზრება და მხარი დაუჭიროს მეგობარს.

ამ პროცესში ზრდასრულის ვალდებულებაა ბავშვისთვის უსაფრთხო და მრავალფეროვან გარემოში ფუნქციონირების შესაძლებლობის შეთავაზება. აქედან გამომდინარე, ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვს, როგორც აქტიურ შემმეცნებელს და შესაბამისი გარემოსა და პირობების შექმნით, საშუალებას აძლევს თავად იპოვოს საკუთარ შეკითხვებზე პასუხები ცდისა და აღმოჩენის გზით. ეს პროცესი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. სწორედ ამიტომ თამაში ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მამოძრავებელი ღერძია.

თითოეული ბავშვი უნიკალურია ინდივიდუალური საჭიროებებით, ინტერესებითა და შესაძლებლობებით

თითოეულ ბავშვს აქვს თავისი გამორჩეული ცხოვრება უნიკალური ოჯახით, ტრადიციებითა და ცხოვრების წესით. პირადი გამოცდილება განსაზღვრავს მის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს.
ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ აღიარებულია სწორედ თავისი უნიკალურობით. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხიანი პროგრამა ბავშვს აღიარებს და ეპყრობა, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილეს, რომელმაც ახალი უნარები და ცოდნა უნდა დააშენოს თავის უნიკალურად დაგროვებულ გამოცდილებასა და ღირებულებებს. ამის მიღწევას კი პროგრამა და მასში ჩართული უფროსები ცდილობენ ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებზე დაყრდნობით და მისი საჭიროებების დაკმაყოფილებით - იყოს დამოუკიდებელი და კომპეტენტური.

მრავალფეროვნება და თანასწორობა ხარისხიანი სკოლამდელი განათლების აუცილებელი წინაპირობაა

თანასწორობის პრინციპის დაცვა ხარისხიანი ადრეული განათლების განუყოფელი ნაწილია, რადგან ბავშვს თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამომჟღავნება მხოლოდ სამართლიან და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველმყოფ საზოგადოებაში შეუძლია. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევა თითოეულ ბავშვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად და თანაბრად ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამაში და მის მიერ უზრუნველყოფილ სერვისებში.
მრავალფეროვნება გულისხმობს ინდივიდუალურ განსხვავებულობას ასაკის, ეროვნების, ფიზიკური მახასიათებლების, წარმომავლობის, გენდერის, შესაძლებლობების, რელიგიის, ოჯახური შემადგენლობის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. მრავალფეროვნება ბუნებრივი მოვლენაა, რომელსაც აღიარება და დაცვა სჭირდება. აუცილებელია მრავალფეროვნების მნიშვნელობისა და სარგებლის დანახვა თითოეული ბავშვისთვის, განურჩევლად იმისა, უმცირესობის ან განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენელია თუ არა.
თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობა გულისხმობს თითოეული ინდივიდისა და ჯგუფის განსხვავებულობის მიმართ პატივისცემის გამოხატვას

და ამ განსხვავებულობის გათვალისწინებით თანაბარი შესაძლებლობების შექმნას მიკუთვნებულობის შეგრძნების გასაღვივებლად და განსავითარებლად.



ბავშვის უპირველესი აღმზრდელები და მასწავლებლები მშობლები არიან

ხარისხიანი სკოლამდელი განათლება აღიარებს და ითვალისწინებს მშობელთა უნიკალურ როლს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში. ადრეულ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ოჯახს შორის მტკიცე კავშირები, ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა ბავშვის კეთილდღეობის, ჰარმონიული და უწყვეტი სწავლისა და განვითარების საწინდარია.
ადრეული და სკოლამდელი განათლების პროგრამის განხორციელების პროცესში მშობელთან თანამშრომლობა და მათი ჩართვა აფართოებს ბავშვის გამოცდილებას და საფუძველს ქმნის ჯგუფში მიღებული უნარებისა და ცოდნის ბავშვის ცხოვრების სხვა მოცემულობებში გადასატანად და გამოსაყენებლად. ბავშვის შესახებ არსებული ცოდნის ურთიერთგაზიარება მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობისთვის. მშობლებს, რომლებმაც იციან რაზე „მუშაობს“ ბავშვი ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში, უკეთესად ესმით მისი შესაძლებლობები და საჭიროებები, აგრეთვე, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი ბავშვის თავდაჯერებულობისა და სხვადასხვა უნარების განვითარებას.

გარემო ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მასწავლებელია

სოციალური და ფიზიკური გარემო, რომელშიც ბავშვი არსებობს, განსაზღვრავს, რას სწავლობს და როგორ ვითარდება იგი. ბავშვის გარშემო არსებული გარემო უნდა იყოს უსაფრთხო, კომფორტული, ორგანიზებული, მშვიდი, პოზიტიური, ჯანსაღი, განმავითარებელი, გამომწვევი და საინტერესო; იმისათვის, რომ ბავშვი განვითარდეს და მიიღოს შესაბამისი განათლება, გარემო უნდა იძლეოდეს გართობის, აღმოჩენებისა და არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. ბავშვი მის გარემოში მუდმივად უნდა გრძნობდეს, მისი, როგორც პიროვნების მხარდაჭერას, პატივისცემას. იგივე გარემო მას უნდა უვითარებდეს სხვადასხვა უნარებსა და კომპეტენციებს და ხელს უწყობდეს მათ გამოვლენას. მნიშვნელოვანია, რომ გარემო სთავაზობდეს ბავშვს მრავალფეროვან რესურსს, მასალებს, რომლებზეც მას სრული ხელმისაწვდომობა ექნება; განმავითარებელი გარემო ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ბავშვს შეეძლოს ინიციატივის გამომჟღავნება და დამოუკიდებლად მოქმედება. ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბავშვის გარემო საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე უნდა იყოს.

უფროსის როლი უნიკალურია ბავშვის განვითარებაში

უფროსთან უსაფრთხო ემოციური მიჯაჭვულობა ბავშვის ემოციური დაცულობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ის გადამწყვეტ როლს თამაშობს

ბავშვის მხრიდან ინიციატივის და ცნობისმოყვარეობის გამოვლენაში, ჯანსაღი ურთიერთობებისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებაში, ხოლო მომავალში - მაღალ აკადემიურ მოსწრებაში. პოზიტიური მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას, უფროსი ბავშვის საჭიროებების თანმიმდევრულად და უწყვეტად დაკმაყოფილების გზით უზრუნველყოფს.

განვითარების შესაბამისი სწავლების მეთოდების მცოდნე უფროსი ბავშვს ხელს უწყობს თავისი განვითარების შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალური შედეგის მიღწევაში. ის პირადი მაგალითითაც ახდენს დიდ გავლენას ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. ბავშვისთვის იგი მთავარი მისაბაძი პირია. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზეც, თუ რა ღირებულებები, კომპეტენციები და კვალიფიკაცია აქვთ პირებს, რომლებიც ურთიერთობენ ბავშვებთან.

უფროსი გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის პოტენციალის განვითარებაში. სწორედ ამიტომ, მან მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ბავშვის მრავალმხრივ და მთლიანობით განვითარებას და გააცნობიეროს საკუთარი წვლილის მნიშვნელობა ამ პროცესში.

უფროსის და ბავშვის ურთიერთობა ორმხრივი პროცესია - როგორც ბავშვი სწავლობს უფროსისგან, ასევე სწავლობს უფროსიც ბავშვისგან; შესაბამისად, აუცილებელია, რომ უფროსი მუდმივად აკვირდებოდეს, აანალიზებდეს ბავშვის ქცევას, მის ემოციებს და ზოგადად, ბავშვთან, როგორც პიროვნებასთან, ურთიერთობის პროცესს. ეს ყველაფერი მას დასკვნების გამოტანაში და ბავშვთან ურთიერთობის პროცესის უფრო საინტერესოდ და განმავითარებლად წარმართვაში დაეხმარება.

სოციალური ურთიერთობები სწავლისა და განვითარების საფუძველია

პოზიტიური ურთიერთობები თანატოლებთან და უფროსებთან, ემოციების გაზიარება და კომუნიკაციური ჩვევები ბავშვის კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან ზრდასრულებთან და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის პროცესში. საკუთარ ემოციებს, დამოკიდებულებებს, ინტერესებს და მისწრაფებებს ისინი ურთიერთობის დროს გამოხატავენ. პოზიტიური ურთიერთობა ხელს უწყობს ბავშვში სხვადასხვა ჯგუფებთან, სოციუმთან მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას, რაც მისი სოციალურ-ემოციური განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ურთიერთობისას ბავშვები ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, ცოდნასა და გამოცდილებას, რაც ასევე მნიშვნელოვანია შემეცნების და მეტყველების განვითარების კუთხითაც.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ეტაპზე ბავშვების სხვებთან ურთიერთობა საფუძველს უყრის მომავალში მათი, როგორც პიროვნებების ჩამოყალიბებას, რეალიზებას და ადაპტაციას საზოგადოებაში.

თავი 1. უსაფრთხოება და დაცულობა

საკვანძო სიტყვები:
კეთილდღეობა
ფიზიკური კეთილდღეობა
ფსიქიკური კეთილდღეობა
მიკუთვნებულობა
ძალადობა

ამ თავში შეიტყობთ, თუ რას ნიშნავს კეთილდღეობა, როგორ უნდა დავნერგოთ კეთილდღეობა უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფით, რატომ არის სკოლამდელ დაწესებულებებში მნიშვნელოვანი როგორც ბავშვების კეთილდღეობაზე ზრუნვა, ისე თანამშრომლების კეთილდღეობის უზრუნველყოფა, როგორ უნდა შეიქმნას უსაფრთხო, არაძალადობრივი გარემო.

თავის ძირითადი საკითხები

რას ნიშნავს კეთილდღეობა
→ რაში გამოიხატება კეთილდღეობა

ფიზიკური ჯანმრთელობა
→ რა უნდა იცოდნენ თანამშრომლებმა ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად
→ კვება
→ ძილი/დასვენება
→ ფიზიკური აქტივობა
→ ჰიგიენის საკითხები

ფსიქიკური ჯანმრთელობა
→ მიკუთვნებულობა
→ არჩევანის უფლება და თავისუფლება
→ ემოციური მხარდაჭერა

უსაფრთხო გარემო
→ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
→ უსაფრთხოება ბაღის ტერიტორიის დატოვების დროს
→ უსაფრთხოების შეგრძნება ჯგუფის გარემოში
→ კატასტროფების რისკის შემცირება და საგანგებო სიტუაციების მართვა

თანამშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელობა ბავშვთა კეთილდღეობისთვის

არაძალადობრივი გარემო

რას ნიშნავს კეთილდღეობა

კეთილდღეობა - *მდგომარეობა, რომელიც მოიცავს ბედნიერებისა და კმაყოფილების განცდას. ის გულისხმობს ინდივიდის ეფექტიან სოციალურ ფუნქციონირებასა და მიდრეკილებას ოპტიმიზმისადმი, ღიაობისადმი, ცნობისმოყვარეობისა და მედეგობისადმი.*

როგორ ავხსნათ, რა არის კეთილდღეობა? პოზიტიური განწყობა, ცხოვრებით კმაყოფილებისა და ბედნიერების შეგრძნება, როცა ადამიანი თავს კარგად, რეალიზებულად გრძნობს, როცა ოპტიმიზმითა და დადებითი ემოციებით არის სავსე, როცა თავს დაცულად გრძნობს, თავისუფალია გადაწყვეტილებების მიღებისას, არავინ აიძულებს, აშინებს, ემუქრება. კეთილდღეობის შეგრძნება მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი ცხოვრება, მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება, გამოამჟღავნონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები. კეთილდღეობის შეგრძნება თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც პროგრამაში ჩართული ბავშვებისთვის, ისე თქვენი დაწესებულების თანამშრომლებისთვის. ამ შეგრძნების გარეშე ბავშვებში შეფერხდება მათი ჰარმონიული განვითარება, საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ხოლო თანამშრომლებში გაქრება მოტივაცია, საბავშვო ბაღში მუშაობა მონოტონურ, დამღლელ რუტინად გადაიქცევა.

მედეგობა - *ინდივიდის უნარი, გაუმკლავდეს და მოერგოს ყველა ტიპის ცხოვრებისეულ გამოწვევასა და ცვლილებას ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და გარემოს რესურსების გამოყენებით (Pennsylvania, 2014).*

არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ ბავშვები, რომლებსაც კეთილდღეობის მაღალი შეგრძნება აქვთ, ათვისების მაღალი უნარითაც გამოირჩევიან და უფრო სოციალურებიც არიან, მეტად არიან მიდრეკილები, ჩაერთონ გამაჯანსაღებელ აქტივობებში. ასეთი ბავშვები თავადაც ზრუნავენ როგორც საკუთარ, ისე სხვების კეთილდღეობაზე. ბავშვებს, რომლებსაც გააჩნიათ კეთილდღეობის შეგრძნება, ზრდასრულობისას მეტი შანსი აქვთ გამოავლინონ და მაქსიმალურად/ეფექტიანად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები. კეთილდღეობის შეგრძნება ხელს უწყობს მათ სასწავლო უნარებს, ეს შეგრძნება მათ უფრო **მედეგს** ხდის სხვადასხვა გამოწვევების მიმართ.

რაში გამოიხატება კეთილდღეობის შეგრძნება?

- ☺ ბავშვი ფიზიკურად აქტიურია და საკუთარი თავის მიმართ კმაყოფილებას გამოხატავს;
- ☺ აქვს კომპეტენტურობის, ავტონომიურობის განცდა, გრძნობს, რომ ყოველდღიურობაში მისი ინტერესები და ინდივიდუალობა გათვალისწინებულია;
- ☺ აქვს საშუალება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები;
- ☺ შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა, გადაჭრას პრობლემა, გაუმკლავდეს მოულოდნელ ცვლილებებს, იმედგაცრუებას;
- ☺ აქვს უნარი, დააფასოს საკუთარი უნიკალურობა;
- ☺ აქვს უნარი, აღიაროს და დააფასოს სხვების უნიკალურობა; (Chase, 2010)


კეთილდღეობა ნიშნავს:
როცა ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში ვარ, როცა დაცულია ჩემი ფიზიკური ჯანმრთელობა
როცა შემიძლია დავისვენო, ან დავიძინო, როცა მჭირდება
როცა ჯანსაღად ვიკვებები
როცა დაცული ვარ მავნე, გამაბრუებელი ნივთიერებებისგან
როცა საშუალება მაქვს, დავიკმაყოფილო ჩემი საჭიროებები
როცა სამედიცინო დამხმარებას ვიღებ, თუ მჭირდება
როცა ვგრძნობ, რომ პატივს მცემენ
როცა საშუალება მაქვს, გამოვამუღავნო ჩემი შესაძლებლობები და უნარები
როცა ისეთს მიღებენ და მაფასებენ, როგორიც ვარ
როცა თავს ჯგუფის წევრად ვგრძნობ და ეს ძალიან მახარებს

კეთილდღეობის წახალისება, ადამიანთა შრომისუნარიანობის, მაქსიმალური პოტენციალის, განვითარებისა და გაზრდის წასახალისებლად, ნებისმიერ სიტუაციაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი სტრატეგიაა. ამრიგად, სკოლამდელი დაწესებულება პასუხისმგებელია გამოიყენოს ამ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სტრატეგია და შექმნას გარემო, რომელიც ბავშვს სწორედ ასეთ გამოცდილებას შესძენს.

შესაბამისი გარემოს შესაქმნელად კი, მრავალმხრივი მიდგომაა საჭირო, რადგან კეთილდღეობა მრავალწახნაგოვანია და ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ ასპექტებს მოიცავს. ამ თავში ცალ-ცალკე გაეცნობით ყველა იმ ასპექტს, რომელზეც თითოეულმა თანამშრომელმა ერთდროულად უნდა იმუშაოს.

1. **ფიზიკური ჯანმრთელობა;**
2. **ფსიქიკური ჯანმრთელობა;**
3. **უსაფრთხო გარემო.**

ფიზიკური ჯანმრთელობა

„...თინიკო და გიორგი სკოლამდელი ასაკის ბავშვები არიან. როგორც ბაღში, ასევე სახლში, მათ აქვთ საშუალება, რომ დღის განმავლობაში იმოძრაონ, ითამაშონ აქტიური თამაშები, იყვნენ სუფთა ჰაერზე. ისინი დღის განმავლობაში მათი ასაკის ბავშვებისთვის შესაფერისი კვების რაციონიდან ყველა საჭირო პროდუქტს იღებენ. ბავშვები საღამოს დროულად იძინებენ და დღის განმავლობაშიც აქვთ დასვენების საშუალება. ბავშვების მშობლები შვილების თანდასწრებით არ ეწევიან თამბაქოს და ზრუნავენ, რომ არც ოჯახში მოსულმა სტუმრებმა მოწიონ ოთახში.“

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ უფროსები ზრუნავენ თინიკოსა და გიორგის ფიზიკურ კეთილდღეობაზე. ფიზიკურ კეთილდღეობაში მოიაზრება შემდეგი კომპონენტების უზრუნველყოფა:

- ☺ ფიზიკური უსაფრთხოება;
- ☺ ჯანსაღი კვება;
- ☺ ძილისა და დასვენების საჭიროების დაკმაყოფილება;
- ☺ მავნე და გამაბრუებელი ნივთიერებებისგან დაცვა;
- ☺ საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მიღება;
- ☺ ჰიგიენის ნორმების დაცვა;
- ☺ ფიზიკური აქტიურობა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილზე ზრუნვა, ანუ სკოლამდელი განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვების ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, დაწესებულების პასუხისმგებლობაა. ამ პასუხისმგებლობას მას პირველ რიგში ბავშვთა უფლებების კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია და „ადრეული

და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი აკისრებს. ასევე არსებობს სტანდარტები და რეგულაციები, რომლებიც სწორედ ბავშვთა ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფას გულისხმობს, ესენია:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, თავი ოთხი ხარისხის სტანდარტი - ამ დოკუმენტის პირველი მიმართულება „უსაფრთხოება და დაცულობა“ სრულად ეძღვნება კეთილდღეობას;

- ტექნიკური რეგლამენტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ - ეს დოკუმენტი არეგულირებს როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის სფეროს, მასში მოცემულია მოთხოვნები შენობის შიდა და გარე სივრცისა და იქ არსებული რესურსის მიმართ;

- ტექნიკური რეგლამენტი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესახებ - დოკუმენტი, რომელიც კვების საკითხებს არეგულირებს;

- ტექნიკური რეგლამენტი სკოლამდელ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების შესახებ - ამ დოკუმენტში თავმოყრილია დაწესებულების სანიტარიულ-ჰიგიენური საკითხები.

რა უნდა იცოდნენ თანამშრომლებმა ბავშვთა ჯანმრთელობის დასაცავად

პროგრამაში ჩართული ბავშვებისა და დაწესებულების თანამშრომლების ჯანმრთელობის დასაცავად, დაწესებულებაში უპირველესად უნდა არსებობდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ამ სახელმძღვანელოს თავი 8 - მართვა და შეფასება.

ბავშვთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბაღის იმ თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ ბავშვებთან მუშაობენ (მაგ.: აღმზრდელ-პედაგოგი, ან აღმზრდელი; ანუ ჯგუფში მომუშავე ორი ან მეტი პერსონალიდან ერთს მაინც ჰქონდეს შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული ცოდნა), შეეძლოთ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. რა მოეთხოვებათ ამ შემთხვევაში? რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე პერსონალს ჰქონდეს შესაბამისი უნარები? რატომ არ არის გამოსავალი ბაღში ექთნის ყოფნა? არსებობს შემთხვევები, რომლებიც ჩვენს მყისიერ მოქმედებას მოითხოვს, როცა ყველა წუთი მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში ექთნის ლოდინი, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. ამიტომაც ბავშვებთან მომუშავე ადამიანს უნდა შეეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა:

- ბავშვის სასუნთქ გზებში უცხო სხეულის მოხვედრის შემთხვევაში;
- გულყრის დროს (როცა ბავშვი რიტმულად იქნევს მხრებს და ფეხებს და

- გულის წასვლის დროს;
- სხვადასხვა ტიპის ნაკბენების შემთხვევაში (ძაღლის, კატის, გველის, მორიელის, ბზიკის და ა.შ.);
- ძვალ-კუნთოვანი სისტემის ტრავმის (კუნთის, მყესის, რბილი ქსოვილის დაზიანება, ძვლის ამოვარდნილობა, მოტეხილობა);
- ჭრილობის, სისხლდენის შემთხვევაში;
- დამწვრობის შემთხვევაში;
- ალერგიის შეტევის დროს;
- დიაბეტური შოკის შემთხვევაში;
- ასთმის, და სხვა გადაუდებელ შემთხვევებში.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ფიქრისას აუცილებლად გაჩნდება შეკითხვა, როგორ უნდა მიიღონ თანამშრომლებმა ეს ცოდნა? ამ მიზნით შესაძლოა მიმართოთ ნებისმიერ კერძო, ან სახელმწიფო აკრედიტებულ სასწავლებელს, რომელიც მსურველებს სთავაზობს სამედიცინო პროგრამებს. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, სასწავლებლის ბაზაზე შესაძლოა შეიქმნას მოკლევადიანი კურსები სწორედ პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ.

კვება

ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოუდგენელია ჯანსაღ კვებაზე ზრუნვის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვებაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხარისხიანი უნდა იყოს. სკოლამდელ დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს შემდეგი დოკუმენტი არეგულირებს: „კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების ტექნიკური რეგლამენტი საბავშვო ბაღებისთვის“. დოკუმენტში მოცემულია ჯანსაღი კვების ძირითადი პრინციპები, საკვების შემადგენლობა, ულუფები და მოცულობა ასაკობრივი ნორმების გათვალისწინებით, ბავშვებისთვის საჭირო და არასაჭირო საკვები და სასმელი. დოკუმენტში მოცემულია სარეკომენდაციო (და არა სავალდებულო) მენიუებიც.
მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ კვების პროცესი მხოლოდ შიმშილის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ არის, ეს არის საუკეთესო დრო ბავშვების სოციალიზაციისა და მრავალმხრივი განვითარებისთვის. სწორედ კვების დროს შეგვიძლია ბავშვებს ვასწავლოთ თვითმომსახურების უნარები, მაგიდასთან სწორად ჯდომა, საკვების სხვებისთვის შეთავაზება, ულუფის გადაღებისას გვერდზე მჯდომის გათვალისწინება, კვების პროცესში მშვიდად და ხმადაბლა საუბარი, ისე, რომ გვერდზე მჯდომი არ შეწუხდეს და ა.შ.

საქართველოს ბაღებში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჭამის დროს საუბარი არ შეიძლება. ბავშვებთან მომუშავე უფროსები ამას საკვების გადაცდენის საშიშროებით ხსნიან. თუ კვების დროს ბავშვებს არასოდეს მივცემთ საუბრის საშუალებას, მაშინ როდის ვასწავლოთ, რომ საკვებით სავსე პირით არ უნდა ისაუბრონ? ან სადილის დროს ისე ხმამაღლა არ ილაპარაკონ, რომ გვერდით მჯდომი შეაწუხონ? რომ არსებობს თემები, რომლებზეც საუბარი ჭამის დროს სასიამოვნოა და ა.შ.

კარგი იქნება, თუ მშობლისგან წინასწარ შევიტყობთ ბავშვების საყვარელ საკვებს, ან რომელი კერძი არ უყვარს განსაკუთრებით, ალერგიული ხომ არ არის რომელიმე საკვების მიმართ, ან დიეტაზე ხომ არ იმყოფება. დაწესებულების მენიუ საკმარისად მოქნილი უნდა იყოს საიმისოდ, რომ ბავშვების საჭიროებები გაითვალისწინოს. შესაძლებელია, მენიუს შედგენისას სწორედ ბავშვების გემოვნება გავითვალისწინოთ, ამ მხრივ, იმის გასაგებად, თუ რას მიირთმევენ ბავშვები და რას - არა, კარგი იქნება კონსულტაციის გავლა ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალთან. შესაძლებელია პროდუქტის იმავე კვებითი ღირებულების პროდუქტით ჩანაცვლება. მოქნილი მენიუ კი, რომელიც ბავშვის საჭიროებებსა და გემოვნებას ითვალისწინებს, ეფექტიანი საშუალებაა, რომ სტანდარტით განსაზღვრული ნორმები (კალორაჟი და საკვების ტიპების შეფარდებები) დავაკმაყოფილოთ. რადგან სტანდარტის დაკმაყოფილება არ გულისხმობს მხოლოდ შესაბამისი საკვების მომზადებას, არამედ იმის უზრუნველყოფასაც, რომ თითოეულმა ბავშვმა მისთვის განკუთვნილი ნორმა დაუძალებლად მიიღოს.

ხშირად ჩაატარეთ გამოკითხვა ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალთან თუ რომელი კერძი უფრო მოსწონთ ბავშვებს, რომელ კერძს არ

ჭამენ საერთოდ. მენიუს შედგენისას გაითვალისწინეთ ბავშვების გემოვნება. რა თქმა უნდა, მენიუ უნდა აკმაყოფილებდეს კვების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ პუნქტებს (დადგენილი კალორაჟი, ცხიმების, ცილებისა და ნახშირწყლების აუცილებელი რაოდენობა და სხვა ზოგადი მოთხოვნები), თუმცა თავად კერძების შერჩევისას, დაწესებულებამ სასურველია გაითვალისწინოს პროგრამაში ჩართული ბავშვების გემოვნება და მიდრეკილებები. გემოვნება შესაძლოა განსხვავდებოდეს რეგიონების, კულტურისა და ბავშვების ოჯახის სოციოეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, ამის გათვალისწინებით, მენიუც განსხვავებული იქნება არა მხოლოდ რეგიონების, არამედ ცალკეული ბაღების მიხედვითაც.

„-ქ-ნო ლია, იქნებ მოგესინჯათ, მოათავსეთ მაგიდაზე საკვები და ბავშვებს მიეცით საშუალება, საერთო თეფშიდან გადაიღონ. მერწმუნეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც ბავშვებს ამ ასაკში უნდა გამოუმუშავდეთ - ამ სიტყვებით მიმართა ლიას ბაღის სასწავლო პროგრამების კოორდინატორმა. ლია 4-5 წლიანების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგია. ის უკვე წლებია, რაც ბაღში მუშაობს, აქამდე ბავშვებს ყოველთვის უფროსები უნაწილებდნენ ულუფებს, - ასე უფრო ადვილი არ არის? - ფიქრობდა ლია, თუმცა დღეს გადაწყვიტა მოესინჯა და ბავშვებისთვის კერძი თავად კი არ გაენაწილებინა, არამედ წიწიბურა და კატლეტი მაგიდაზე საერთო თეფშით მიეტანა. მაგიდასთან მჯდომი ბავშვები ისე დააცხრნენ საჭმელს, რომ არც ერთმანეთს დალოდებიან, არც ერთმანეთისთვის შეუთავაზებიათ. ლია გაოცებული უყურებდა მათ და ფიქრობდა: ეს როგორ გამომრჩა... აქამდე რატომ არ ვცადე...“

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, თუ როგორი მნიშვნელოვანია ბავშვებს ჰქონდეთ გამოცდილება, თავად გადაიღონ საკვები, იმისათვის რათა ისწავლონ სხვაზე ზრუნვა, სხვისი გათვალისწინება, დალოდება.

დაუშვებელია საკვების დასჯის მიზნით, ან ჯილდოს სახით გამოყენება. ნუ დააძალებთ ბავშვს ჭამას. ამით მას საკვების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოუმუშავებთ. კვების პროცესი სასიამოვნო უნდა იყოს და არა დამთრგუნველი.

კვების დროს ბავშვები სწავლობენ არჩევანის გაკეთებას, აღმოაჩენენ საკვების მრავალფეროვნებას, სწავლობენ, რომელი საკვებია სასარგებლო მათი ჯანმრთელობისთვის. ასევე ეუფლებიან ჰიგიენის წესების დაცვას: ხელის საპნით დაბანას ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, კბილების გამოხეხვას ჭამის შემდეგ. ამ საკითხში აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის პირადი პოზიტიური მაგალითი მნიშვნელოვანია, მათ უნდა შეძლონ ბავშვებისთვის კვების პროცესში პოზიტიური მაგალითის მიცემა.

ჭამის დროს ბავშვებს გვერდით მიუჯექით და მათთან ერთად ისადილეთ, ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია სოციალიზაციისთვის. შექმენით კეთილგანწყობილი გარემო, ესაუბრეთ ბავშვებს კერძის ინგრედიენტების შესახებ, შესთავაზეთ, მოიფიქრონ, კიდევ რისი მომზადება შეიძლება ამ პროდუქტებით. შეახსენეთ, რომ მშვიდად ისაუბრონ, ისე, რომ გვერდზე მჯდომი არ შეაწუხონ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: თუ საკვები დაწესებულების სივრცეში მზადდება, სამზარეულოში დაცული უნდა იყოს კვების რეგლამენტით გათვალისწინებული ნორმები, ეს ეხება როგორც პროდუქტის შენახვას, ისე მის დამუშავებას, საკვების მომზადების თუ შენახვის პირობებს.

კვების პროცესი საუკეთესო საგანმანათლებლო აქტივობაა, ამ დროს ბავშვებს შეგიძლიათ ასწავლოთ თვლა, დახარისხება, გაზომვა, ფერების ცნობა, ამ დროს ბავშვის ლექსიკონი მდიდრდება, აზროვნება ვითარდება.

ყურადღება! დაუშვებელია ერთჯერადი ბოთლების მრავალჯერადად გამოყენება ბავშვებისთვის წყლის დასალევად, ამისათვის უმჯობესია იქონიოთ მინის ჭურჭელი წყლისთვის, ინდივიდუალური ჭიქები.



ძილი/დასვენება

ძილი და დასვენება ბავშვებს ისევე სჭირდებათ, როგორც საკვები, სუფთა ჰაერი და ა.შ. სწორედ ამიტომ, ბავშვების ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, თითოეულ ბავშვს ჰქონდეს დასვენებისა და ძილის საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ძილის მედიცინის ამერიკული აკადემიის მეცნიერებმა (AASM) დაადგინეს ადრეული ასაკის ბავშვისთვის ძილის აუცილებელი დრო.

ასაკი	ძილის დრო (საათი)
0 – 3 თვე	16 — 18
4 – 12 თვე	12 — 16
1 – 2 წელი	11 – 14
3 – 5 წელი	10 – 13
6 – 12 წელი	9 — 12

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტატისტიკურად გამოთვლილი საშუალო, თუ რომელ ასაკში რამდენი საათი უნდა ეძინოს ბავშვს, ძილის საჭიროება და შესაბამისად, ძილისთვის აუცილებელი საათებიც, ინდივიდუალურია. ასევე ინდივიდუალურია ძილის ციკლი - ზოგიერთი ერთ ჯერზე (ღამით) იძინებს მისთვის საჭირო დროით, ზოგი კი დღეში რამდენჯერმე იძინებს და მთლიანობაში გამოძინებული საათებით იკმაყოფილებს საჭიროებას. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, იძინებს თუ არა პროგრამაში ჩართული ბავშვი დღისით, მას მაინც უნდა ჰქონდეს თუნდაც დასვენების საშუალება. რას ნიშნავს ეს? ჯგუფის სივრცეში უნდა იყოს ადგილი, სადაც ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში, საშუალება ექნებათ წამოწვნენ, ეს შეიძლება იყოს რამდენიმე საწოლი ჯგუფში, რბილი ხალიჩა, მატრასი და ა.შ.

დაუშვებელია დასვენების დროს ბავშვებისთვის ტელევიზორის ჩართვა, რადგან ამ დროს ბავშვი არ ისვენებს, პირიქით, მისი გონება აქტიურია. როგორც მოგახსენეთ, ბავშვის ძილის საჭიროება ინდივიდუალურია, ბაგაშიც კი არიან ბავშვები, რომლებიც არ იძინებენ, და აღმზრდელ-პედაგოგს/აღმზრდელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შექმნილი გარემო ასეთი ბავშვებისთვის, რათა მათ შეძლონ მშვიდი საქმიანობა. **დაუშვებელია** ბავშვის იძულება, ჩუმად იჯდეს ან იწვეს და უცდიდეს ჯგუფელების გამოღვიძებას.

„ბაგის ჯგუფში, „ვარსკვლავები“, ყველა იძინებს ელენეს, საბასა და თიკუნას გარდა. ბექა მასწავლებელს მათთვის ყოველთვის აქვს მომზადებული რბილი სენსორული წიგნები. სხვადასხვა ფაქტურებთან შეხება გარკვეული რელაქსაციური აქტივობაა ბავშვებისთვის, მყუდროდ მოკალათდებიან ხოლმე რბილ პუფებზე და ასე ერთობიან. ბექა მასწავლებელს ასევე აქვს მომზადებული სენსორული ბოთლები (ბოთლი, რომელშიც სითხესთან ერთად ბრჭყვიალები და პატარა სათამაშოები ყრია, საძერწი ცომი, სენსორული ბუშტი (ბურთი, რომელიც გატენილია სახამებლით). ბავშვებს სურვილისამებრ შეუძლიათ ამ სათამაშოებით თამაში. ბექა, როგორც წესი, მათთან ერთად თამაშობს.“

დღის განმავლობაში დასვენება ბავშვებთან ერთად, დაწესებულებაში მომუშავე უფროსებსაც სჭირდებათ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების სივრცეში იყოს ადგილი, სადაც თანამშრომლები შეძლებენ დასვენებას. ასეთი ადგილი შეიძლება იყოს ე.წ. სამასწავლებლოში. (ვრცლად სამასწავლებლოს შესახებ იხილეთ ამ სახელმძღვანელოს თავი 8. მართვა და შეფასება).

ფიზიკური აქტივობა

კეთილდღეობის ერთ-ერთი ინდიკატორი ბავშვის ფიზიკური აქტიურობაა, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს შევუქმნათ გარემო, სადაც იმოძრავებენ, ითამაშებენ მოძრავ თამაშებს, იცეკვებენ და ა.შ. როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებებმა ბავშვებს ფიზიკური აქტივობისთვის პირობები უნდა შეუქმნან, ამას ჩვენ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი გვავალდებულებს. კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში ვკითხულობთ: „დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესში ბავშვის სპორტულ აქტივობას, რომლის მიზანი უნდა იყოს ადრეულ ასაკში ბავშვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.“ [1]

ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, მოძრავი თამაშებით დაკავდნენ ეზოში. ხელისშემშლელი მხოლოდ ძლიერი უამინდობა შეიძლება იყოს: ქარიშხალი, სეტყვა, ძლიერი ყინვა. წვიმამ, ქარმა, და თოვლმა ბავშვებს ეზოში თამაშში ხელი არ უნდა შეუშალოს. ასეთი „უამინდობის“ გამო ბავშვების შენობაში დატოვება უმართებულოა. თუმცა ასეთ ამინდში ბავშვები გარეთ ადეკვატურად ჩაცმულები უნდა გავიყვანოთ: წვიმაში ბოტებით და საწვიმრით, თოვლში - თბილი ქურთუკით, ქუდით, ხელთათმანებით.

[1] საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. 2016.

ხშირად, აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები თავს იკავებენ ბავშვების ეზოში გაყვანისგან, მიზეზად კი მშობელთა უკმაყოფილებას ასახელებენ. მშობელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა ჯანმთელობის საკითხებში, სწორედ ჩვენი პასუხისმგებლობაა. ჩვენ უნდა განვუმარტოთ მათ, რომ ბავშვებისთვის სუფთა ჰაერზე ყოფნა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ჯანსაღი კვება და ძილი.

როგორც ზევით ითქვა, ძლიერ უამინდობაში ბავშვები ეზოში არ გაგვყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ დროს ბავშვებს არც ბაღის შენობაში ჰქონდეთ მოძრავ აქტივობებში ჩართვის საშუალება. ამ მიზნებისთვის აუცილებელია საგანგებოდ გამოყოფილი დარბაზი და მისი შესაბამისი მოწყობა შემდეგი სახის რესურსით:

- სტაციონარული რესურსი - ეს არის რესურსი, რომელიც დამონტაჟებულია ბაღის შიდა სივრცეში, ან ეზოში: სასრიალო, საძრომიალო, შვედური კედელი, გასაძრომი გვირაბები და ა.შ.
- პორტატიული რესურსი - ეს არის რესურსი, რომლის გადაადგილებაც შესაძლებელია: ველოსიპედი, ცალთვალა, ჰულაჰუპი, ბურთი და ა.შ.

ამასთან ერთად, დარბაზში აუცილებლად უნდა იყოს საკმარისი ფართობი სირბილისთვის, რბილი იატაკი კოტრიალისთვის, რადგან აქ ბავშვებმა უბრალოდ „უამინდობას“ კი არ უნდა შეაფარონ თავი, არამედ აუცილებლად უნდა იმოძრაონ, იხტუნონ, იცოცონ და ა.შ. ბურთი, ჰულაჰუპი, ლახტი, კეგლი და ა.შ. - ეს მასალა კი, მოძრავი თამაშების ორგანიზებაში დაგეხმარებათ. ამრიგად, ფიზიკური აქტივობების უგულებელყოფა დაუშვებელია.

მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური აქტივობებისთვის განკუთვნილი რესურსი უსაფრთხო და გამართული, ამავე დროს, განვითარებისა და საჭიროების შესაბამისი იყოს. უხეში მოტორიკის გასავითარებლად მნიშვნელოვანია ორი ფაქტორის უზრუნველყოფა: **1)** ბაღში ამ ტიპის მრავალფეროვანი აღჭურვილობის არსებობა - იმ შემთხვევაში თუ უხეში მოტორიკის აღჭურვილობა მწირი, არასაკმარისი რაოდენობისაა, ბავშვებს უწევთ დიდხანს ლოდინი, ვიდრე მათი ჯერი დადგება, კლებულობს მათი მოტივაცია, ჩაერთონ ასეთ თამაშებში, მასალის სიმწირემ ასევე შეიძლება შექმნას კონფლიქტური სიტუაციები; **2)** ბავშვების მიერ აღჭურვილობის გამოყენების სიხშირე - ბაღში უხეში მოტორიკის რესურსის სიმრავლე შესაძლოა არ გულისხმობდეს, რომ ბავშვები ამ რესურსს ხშირად იყენებენ. თუ რესურსი ეზოშია, ან დარბაზშია ბავშვები კი იქ იშვიათად გაჰყავთ, შესაბამისად, მათ ეზღუდებათ ასეთი აღჭურვილობის გამოყენების საშუალება.

ჰიგიენის საკითხები

ბავშვებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობის დასაცავად ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვანია ჰიგიენური ნორმების დაცვა. დაწესებულების ჰიგიენურ საკითხებს არეგულირებს ტექნიკური რეგლამენტი: წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღში. დოკუმენტში წარმოდგენილია საბავშვო ბაღის მოწყობის

პრინციპები სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით, ასევე, წყალმომარაგებისა და ჰაერის ხარისხის სანიტარიული პრინციპები. სწორედ ეს დოკუმენტი გვავალდებულებს ბავშვებისა და თანამშრომლებისთვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ჰიგიენური პირობები.
რას გულიხმობს ჰიგიენური ნორმების დაცვა:

- ბაღის შიდა და გარე პერიმეტრის სისუფთავეზე ზრუნვა (ჯგუფები, საპირფარეშოები, სამზარეულო, ეზო);
- ბაღში არსებული რესურსის სისუფთავეზე ზრუნვა (ავეჯი, სათამაშოები, ფარდები, ხალიჩები, ჭურჭელი, თეთრეული, თანამშრომელთა უნიფორმა და ა.შ.).

ჰიგიენური ნორმების დაცვა ბავშვებისთვის პირად ჰიგიენაზე ზრუნვის სწავლებასაც გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ხელის დაბანა, საპირფარეშოს მოხმარება, ცხვირის მოხოცვა, კბილების გახეხვა.
ბავშვებისთვის ჰიგიენაზე ზრუნვის სწავლების საკითხში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომელთა პირადი მაგალითი.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

კეთილდღეობის შეგრძნებისთვის მნიშვნელოვანია ჯგუფში პოზიტიური გარემო იყოს. ამისთვის საჭიროა ბავშვებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა, თავი იგრძნონ დაფასებულად, აღიარებულად, იგრძნონ, რომ პატივს სცემენ.
თუ გვსურს ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე ვიზრუნოთ, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს მივცეთ საშუალება: გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობები, დაიკმაყოფილოს საკუთარი საჭიროებები, მიაღწიოს წარმატებას, იზრუნოს სხვებზე, ხელი შეუწყოს მათ წარმატებას, იგრძნოს თავი მყუდროდ და დაცულად.
კეთილდღეობის შეგრძნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის სულიერი სიმშვიდე. იგი არ უნდა შფოთავდეს, არაფრის არ უნდა ეშინოდეს. არადა, როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, ბავშვებს შეიძლება ბევრი რამე აშინებდეთ, ქვემოთ იხილეთ რამდენიმე მაგალითი:

- ახალი და უცხო გარემო (ოთახი/სივრცე) - ახალი ბავშვებისთვის აუცილებლად დაგეგმეთ ბაღის გაცნობის აქტივობები, დაათვალიერებინეთ მათ სივრცე, აუხსენით, სად რა ხდება, ახლოს გააცანით გარემო;

- მოხატული კედლები ბაღის დერეფანში, ან ჯგუფში - ამიტომ, ვიდრე დიდი კედლების მოხატვას გადაწყვეტდეთ, აუცილებლად შეათანხმეთ ესკიზი ბავშვების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან, ჰკითხეთ, მოსწონთ თუ არა ის ფიგურები, რომელთა დახატვასაც ბაღის კედლებზე აპირებთ;

- გაუგებარი სიტუაციები და ცვლილებები დღის განმავლობაში - განრიგში მოულოდნელი ცვლილებების დროს, მაგალითად, თუ მუსიკის

მასწავლებელი არ მოვიდა და მუსიკა ცდება, ან ექსკურსიაზე უნდა წასულიყავით და სხვადასხვა მიზეზების გამო არ ხერხდება, ამის შესახებ აუცილებლად გააფრთხილეთ ბავშვები, უთხარით, რამ შეუშალა ხელი დაგეგმილ აქტივობას, რამ გამოიწვია ცვლილებები და ა.შ.

- მშობლის „გაქრობა“ - ხშირად, განსაკუთრებით წლის დასაწყისში, როცა მშობლებს ბავშვი ბაღში მოჰყავთ და ხედავენ, რომ ის „უპრობლემოდ“ რჩება, ისე მიდიან და ტოვებენ ბავშვს, რომ არც კი აფრთხილებენ ამის შესახებ. აუხსენით მშობლებს, რომ ბავშვების გაუფრთხილებლად დატოვება ბაღში მიზანშეწონილი არ არის, ბავშვები კი აუცილებლად გააფრთხილეთ, რომ მშობელი დროებით წავა და მოგვიანებით დაბრუნდება. სამწუხაროდ, ისეთი პრაქტიკაც არსებობს, როცა ატირებულ ბავშვს ყურადღებას მცირე ხნით სხვა რამეზე გადაატანინებენ და მშობელი სწორედ ამ დროს „იპარება“. შეეცადეთ არ დაუშვათ მშობლის ასეთი „გაქრობა“;

- ჯგუფში შემოსული უცხო ადამიანი (იქნება ეს თქვენი კოლეგა თუ სტუმარი) - აუცილებლად გააცანით ბავშვებს ადამიანი, რომელიც ჯგუფში შემოდის, რათა ბავშვებს არ ჰქონდეთ შფოთვა „უცხოს“ მიმართ. აქვე გაითვალისწინეთ, რომ წლის დასაწყისში მასწავლებელიც „უცხო“ ადამიანია, ამიტომ შეეცადეთ დაუახლოვდეთ ბავშვებს, გაეცანით, რათა ბავშვებმა მშვიდად იგრძნონ თქვენთან თავი;

- ჩამონგრეული, დაზიანებული ნაგებობა ბაღის ეზოში, დაშლილი ღობე, ეზოს ძველი, დაჟანგებული ატრაქციონი, ან ჩამონგრეული კედელი - შეეცადეთ, რომ ყველაფერი, რაც დაზიანდება, უმოკლეს ვადაში შეკეთდეს, იზრუნეთ, რომ გარემო ესთეტიური იყოს;

- დაზიანებული სათამაშო (უყურო, უფეხო, თვალამოგდებული, ნაწილებმომტვრეული, ზედმეტად გაცვეთილი, თავისი მიზნისთვის გამოუსადეგარი) - შეეცადეთ, რომ დაზიანებული სათამაშო შეაკეთოთ (ამ საქმეში შესაძლოა თავად ბავშვები ჩავრთოთ), ხოლო თუ სათამაშო შეკეთებას აღარ ექვემდებარება, უმჯობესია ჯგუფიდან გაიტანოთ ან მეორადი გამოყენება მოუძებნოთ სამაგიდო, ხელოვნების და კონსტრუქციულ საქმიანობებში; უფროსის მკაცრი ხმა, ხმამაღალი ტონი - ყურადღება მიაქციეთ, როგორი ხმით ესაუბრებით ბავშვებს. თქვენი ხმა მშვიდი უნდა იყოს, მეტყველება კი, გაწონასწორებული. ნუ აუწევთ ხმას საუბრისას, ბავშვებს შესაძლოა შეეშინდეთ, როდესაც უფროსები ხმამაღალი ტონით მიმართავენ, ასევე გააკონტროლეთ ემოციების გამოხატვა, იმიტომ რომ ბავშვები შესაძლოა შეცხადებამ ან ხმამაღალმა სიცილმაც შეაშინოს;

- უფროსის სახის გამომეტყველება - ბავშვების ყურადღების მიღმა ჩვენი სახის არცერთი დეტალი არ რჩება. მათი შფოთვა შესაძლოა გამოიწვიოს მკაცრად აწეულმა წარბმა, თვალების ბრიალმა, შეჭმუხნულმა შუბლმა და ა.შ.

- ზოგიერთი სამკაული, აქსესუარი - ბავშვებისთვის ჩვენი გარდერობის თითოეული დეტალი მნიშვნელოვანია, მათ შორის ჩვენი აქსესუარები და სამკაული. მსხვილი, მასიური ბეჭდები, დიდი საყურეები, მასიური სამაჯური, ფიგურებიანი გულსაკიდი, დიდბალთიანი ქამარი - თუ კარგად დააკვირდებით, შეამჩნევთ თქვენი გარდერობის ამ დეტალისკენ მომართულ, ზოგიერთი ბავშვის შეშფოთებულ მზერას. ასეთი სამკაულის ტარება ჯგუფში არც უსაფრთხოების დაცვისთვის არის რეკომენდებული;

- მაკიაჟის დეტალები (მაგალითად, მკვეთრი ფერის პომადა, ან თვალის ჩრდილის ფერი) - ეს ერთი შეხედვით უწყინარი დეტალი, შესაძლოა, ბავშვის შფოთვის მიზეზი გახდეს (თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მკვეთრი ფერის პომადა მეტყველების განვითარების ხელშესაწყობად გამოიყენება).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ, ბავშვებთან ურთიერთობისას მუდმივად უნდა ვადევნოთ თვალყური მათ ქცევასა და გამომეტყველებას, რათა შეუმჩნეველი არ დაგვრჩეს მათი დამოკიდებულებები და განცდები, შესაბამისად, უნდა ვაკონტროლოთ ჩვენი როგორც გარეგნული იერსახე, ისე ქცევები. დროდადრო ბავშვებს შეგიძლიათ ჰკითხოთ კიდეც, რას ფიქრობენ თქვენი გარდერობის დეტალებთან დაკავშირებით.

თუმცა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მხოლოდ თითოეული ბავშვის შფოთვების გათვალისწინებით არ შემოიფარგლება. ის შემდეგ საკითხებზე ზრუნვასაც გულისხმობს:

1. **მიკუთვნებულობა;**
2. **არჩევანის უფლება და თავისუფლება;**
3. **ემოციური მხარდაჭერა.**

მიკუთვნებულობა

მიკუთვნებულობა, მიკუთვნებულობის განცდა მიკუთვნებულობის განცდა
ბავშვის, როგორც პიროვნების, გარდაუვალი ნაწილია. ბავშვს მიკუთვნებულობის განცდა აქვს თავის ოჯახთან, მის ირგვლივ არსებულ სოციალურ და კულტურულ ჯგუფთან (სამეზობლო, თემი, საბავშვო ბაღი) და კიდევ უფრო ფართო საზოგადოებასთან მის შემდგომ ცხოვრებაში. ბავშვის მიკუთვნებულობის განცდა ურთიერთდამოკიდებულების საჭიროების აღიარებაა მის მიერ და მის მიმართ, აყალიბებს იდენტობას და ბავშვს აღაქმევინებს, თუ ვინ არის ის და როგორი შეიძლება იყოს/გახდეს (AGDE/EWRCAG, 2009).

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, ბავშვებს საბავშვო ბაღისადმი მიკუთვნებულობის განცდა რომ ჩამოუყალიბდეთ, ანუ ჰქონდეთ შეგრძნება - „ეს ჩემი ბაღია, ეს ჩემი ჯგუფია, „ეს ჩემი ჯგუფელები არიან, ისინი ჩემი მეგობრები არიან, ჩვენ ერთად უნდა გავაკეთოთ ბევრი საინტერესო რამ ბაღში“? პირველ რიგში, შევქმნათ უსაფრთხო გარემო, სადაც ყოფნის არავის შეეშინდება, არავინ იშფოთებს და დაიძაბება. გარემო, სადაც ბავშვები იგრძნობენ, რომ მათზე ზრუნავენ და პატივს სცემენ ისეთებს, როგორებიც არიან, პატივს სცემენ მათ ინდივიდუალიზმს, მათ განსხვავებულობას. ასევე საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ ბავშვებს ერთმანეთთან პოზიტიური ურთიერთობა ჰქონდეთ, წავახალისოთ დადებითი კომუნიკაცია, დავეხმაროთ ერთმანეთის უკეთ გაცნობაში და ხელი შევუწყოთ ბავშვებს შორის მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ზრუნვას და ერთმანეთისთვის დახმარებას.

მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერება სივრცეში ცვლილებების შეტანითაც შეგვიძლია. რას ნიშნავს ეს? - კედელზე ბავშვის თვალის სიმაღლეზე გამოკრულია ბავშვების ნამუშევრები, იფინება ყველა, და არა მხოლოდ, „საუკეთესო“ ნამუშევარი. ოთახში სახლის მსგავსი მყუდრო ატმოსფეროს შექმნაში დაგვეხმარება შემდეგი დეტალები: დეკორატიული ნივთები, ოთახის მცენარეები, თევზები აკვარიუმით, მაგიდის გადასაფარებლები და ლამაზი ბალიშები. თუ სივრცე ამის საშუალებას გვაძლევს, კარგი იქნება, თითოეულ ბავშვს ჰქონდეს თავისი ყუთი, კალათა ან კონტეინერი პირადი ნივთების შესანახად. იმისათვის, რათა ბავშვებმა იგრძნონ, რომ ჯგუფი „მათია“, სასურველია გამოვფინოთ მათი ფოტოები ოჯახის წევრებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია, ჯგუფის საგანმანათლებლო რესურსი ასახავდეს მათ კულტურას და ინდივიდუალურ მახასიათებლებს.

არჩევანის უფლება და თავისუფლება - ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თავად აირჩიონ საქმიანობა, რესურსი, ნუ მოითხოვთ, რომ ავტომატურად „ემორჩილებოდნენ“ თქვენს მოთხოვნებს. პირიქით, წაახალისეთ, რომ დასვან შეკითხვები, დააზუსტონ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედონ. არჩევანის თავისუფლება, ერთი მხრივ, ბავშვის დამოუკიდებლობის განვითარებას, მის სრულყოფილ, აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ბავშვი ადრეული ასაკიდანვე ეჩვევა პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ კი, მისთვის საგანმანათლებლო პროცესი უფრო საინტერესო ხდება, მისი მოტივაცია იზრდება და ბავშვიც უფრო აქტიურდება.

ემოციური მხარდაჭერა - იმისათვის, რათა ბავშვები ბაღში თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ, და მათი ფსიქიკური კეთილდღეობაც უზრუნველყოფილი იყოს, მნიშვნელოვანია, იგრძნონ ჩვენი მხარდაჭერა, დაინახონ, რომ ჩვენ მათზე ვზრუნავთ, მათი განცდების, გრძნობების გამზიარებლები და თანამონაწილეები ვართ. ბავშვების მიმართ ემპათიური დამოკიდებულებით, ერთი მხრივ, ვზრუნავთ მათ ემოციურ კეთილდღეობაზე, ხოლო მეორე მხრივ, ხელს ვუწყობთ მათ ემოციური კომპეტენციების განვითარებაში.

უსაფრთხო გარემო

უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

როგორია უსაფრთხო გარემო? ეს არის გარემო, სადაც დაცულია ინდივიდების როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური უსაფრთხოება, სადაც ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს, არ შფოთავენ, არ იძაბებიან და ასევე მინიმალურია მათი ფიზიკური დაზიანების რისკი. ასეთ გარემოში შესაძლებელია ბავშვის ყველა უნარის განვითარება.

თავდაპირველად სასურველია ვიზრუნოთ გარემოს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, ამაში კი დაგვეხმარება „ტექნიკური რეგლამენტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ“. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრის მოწყობის პრინციპებს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

მას შემდეგ, რაც უსაფრთხო გარემოს მოვაწყობთ, აუცილებელია ამ ყველაფრის შენარჩუნება, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ბაღში არსებობდეს პროცედურები ეზოსა და საერთო სივრცეების უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ამ მიზნით შესაძლოა შეირჩეს პასუხისმგებელი პირი (ბაღის თანამშრომელი), რომელიც, გარკვეული სიხშირით, საგანგებოდ შემუშავებული კითხვარის საშუალებით აწარმოებს ბაღის ტერიტორიის დათვალიერებას - მაგალითად, მოინიშნავს, არის თუ არა მწყობრში ეზოს ატრაქციონები, ღობე, ავეჯი და ა.შ.

უსაფრთხო გარემოს მოწყობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებებს:

- ჯგუფის ავეჯი უნდა იყოს ბავშვის ზომის შესაბამისი;
- როგორც ავეჯი, ისე სათამაშოები დამზადებული უნდა იყოს უსაფრთხო მასალისგან, არ უნდა იყოს შეღებილი მავნე საღებავებით, დამუშავებული სახიფათო ნივთიერებებით;
- როგორც ავეჯის ასევე სათამაშოების მდგომარეობა არ უნდა იყოს საფრთხის შემცველი, მაგ.: ავეჯი მომტვრეული ნაპირებით და ა.შ.
- საგანმანათლებლო რესურსი უნდა იყოს ბავშვების ასაკთან შესაბამისი;
.
- ჯგუფში უნდა იყოს დაცული ბავშვისა და მისთვის განკუთვნილი სივრცის თანაფარდობა - ბავშვთა რაოდენობისა და სივრცის თანაფარდობის დარღვევისას მატულობს ინფექციური დაავადებების რისკი;
- ჯგუფში უნდა იყოს დაცული ბავშვებისა და უფროსების თანაფარდობა;
- უნდა იყოს დაცული ჯგუფში მომუშავე უფროსების შრომითი უფლებები, მათ უნდა ქონდეთ კვებისა და დასვენების საჭიროების დაკმაყოფილების საშუალება;
- ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალი უნდა ახორციელებდეს პოზიტიურ დისციპლინას.

უსაფრთხოება ბაღის ტერიტორიის დატოვების დროს

ბავშვების ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა საჭიროა არა მხოლოდ დაწესებულების ფარგლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთ ბავშვების გაყვანის დროსაც, იქნება ეს ექსკურსია, ლაშქრობა თუ უბრალოდ გასეირნება ბაღის შემოგარენში. ბავშვის ბაღის ტერიტორიიდან გაყვანამდე აუცილებლად უნდა გვქონდეს მისი მშობლის წერილობითი თანხმობა, რომელიც შესაძლოა წლის დასაწყისშივე დაწეროს

მშობელმა, ყოველ ჯერზე ხელახლა რომ არ გახდეს საჭირო ფორმალური სიტყვიერი ნებართვის აღება. ტრანსპორტი, რომელიც ბავშვებს გადაიყვანს, წინასწარ უნდა იყოს შემოწმებული, მძღოლს კი, ჰქონდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვების გადაყვანის გამოცდილება. უშუალოდ ექსკურსიამდე, ასევე უნდა იფიქროთ შემდეგ საკითხებზე: რამდენად უსაფრთხოა ექსკურსიის ადგილი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რამდენად შესაძლებელი იქნება ბავშვებისთვის თვალყურის დევნება, რამდენად დაცულები იქნებიან ბავშვები მანქანების მოძრაობისგან, სხვადასხვა მექანიზმებისგან, მომწამლავი აირებისგან და ა.შ., შესაძლებელი იქნება თუ არა ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება (წყალი, კვება, ტუალეტი). ასევე უნდა ვიფიქროთ შემდეგ საკითხებზე: რამდენი უფროსია საჭირო ექსკურსიის დროს, ვინ იქნებიან ეს უფროსები (მშობლები თუ დაწესებულების თანამშრომლები), როგორ უნდა გადანაწილდეს პასუხისმგებლობა დამხმარე უფროსებს შორის, ხომ არ სჭირდება რომელიმე ბავშვს საგანგებოდ ერთი ადამიანი.

უსაფრთხოების შეგრძნება ჯგუფის გარემოში

სივრცეში შესაბამისი ცვლილებების შეტანას ასევე შეუძლია შექმნას ფსიქიკური უსაფრთხოების შეგრძნება. რას ნიშნავს ეს? ა) სივრცეში მასალები დალაგებულია გარკვეული ლოგიკის მიხედვით: სახატავი ფურცლები, ფანქრები, ფუნჯები და საღებავები - ერთად, ლოტო, მოზაიკა, ფაზლი, დომინო და სხვა სამაგიდო თამაშები - ერთად, ლუპა, პიპეტები, სინჯარები - ერთად და ა.შ. ბავშვებმა იციან, სად იპოვონ საჭირო ნივთები; ბ) ჯგუფში არსებული საგანმანათლებლო მასალები ისეთ სიმაღლეზეა განლაგებული, რომ ბავშვი თავად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშეც მისწვდეს საჭირო ნივთს; გ) სივრცეში გამოყენებულია ვიზუალური მანიშნებლები, რაც ბავშვებს გარემოს უკეთ აღქმაში ეხმარება, მაგალითად, საპირფარეშოს შესაძლოა ჰქონდეს შესაბამისი აბრა, თაროებზე განლაგებულ კონტეინერებს, რომლებშიც საგანმანათლებლო რესურსია მოთავსებული, დაეკრას იარლიყები ნახატით და წარწერით, ან კიდევ, დერეფნის კედლებზე მიმაგრებული ისრები გვკარნახობდნენ სპორტული დარბაზის, სამზარეულოს, და ა.შ. მიმართულებას. ვიზუალური განრიგი, რომელიც შეგვახსენებს საქმიანობების თანმიმდევრობას; დ) არსებობს რუტინული საქმიანობები, რომლებიც უცვლელია და ბავშვს სტაბილურობის განცდას უქმნის, მაგალითად, დილით ბაღში მოსვლა, კვება, დასვენება და ა.შ.

კატასტროფების რისკის შემცირება და საგანგებო სიტუაციების მართვა

იმისათვის, რათა ჩვენი დაწესებულება მზად იყოს სხვადასხვა ტიპის საგანგებო სიტუაციებისთვის, დაწესებულებაში უნდა გვქონდეს და ვიყენებდეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სტრატეგიას. რას გულისხმობს ეს?

- შენობაში აუცილებლად უნდა იყოს საევაკუაციო გეგმა და საევაკუაციო გასასვლელები, რაც საჭიროების შემთხვევაში ხელს შეუწყობს სწრაფ და უსაფრთხო ევაკუაციას. აუცილებელია თანამშრომელთა პასუხისმგებლობის გადანაწილება, თუ ვინ როგორ იქცევა საგანგებო სიტუაციებში.

- საევაკუაციო გეგმას ბაღის ყველა თანამშრომელი უნდა იცნობდეს და თვალსაჩინო ადგილას იყოს გამოკრული. შენობის საევაკუაციო გასასვლელები ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის ტექნიკურ რეგლამენტს უნდა შეესაბამებოდეს.

რა იგულისხმება საგანგებო სიტუაციებში: ხანძარი, მიწისძვრა, წყალმოვარდნა, ქარიშხალი, მეწყერი, ზვავი და სხვ. ეს ის შემთხვევებია, რომლისთვისაც ნებისმიერი დაწესებულება მზად უნდა იყოს. მზაობაში იგულისხმება როგორც ზემოთ მოყვანილი პუნქტები, ისე, ერთი მხრივ, თანამშრომლების ინფორმირება სხვადასხვა ტიპის საგანგებო მდგომერეობის დროს რეკომენდებული ქცევის წესების შესახებ, მეორე მხრივ კი - საგანგებო სიტუაციებისთვის ბავშვების მომზადება. თუმცა ამ უნარებზე ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ბავშვები არ დავძაბოთ და არ შევაშინოთ.

შენიშვნა: როგორ შეიძლება ბავშვების მომზადება საგანგებო სიტუაციებისთვის, რას ვაკეთებთ და რა არ უნდა გავაკეთოთ.

რას ვაკეთებთ	**არ ვაკეთებთ**
ბავშვებს ვაცნობთ სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენას – რა ცვლილებები ხდება ბუნებაში.	ბავშვებს არ ვაშინებთ და არ ვაწვდით კატასტროფებზე მათი ასაკისთვის შეუფერებელ ინფორმაციას.
ბავშვებს ასაკის შესაბამისი თამაშისა და აქტივობების საშუალებით ვაცნობთ, როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ კატასტროფის შემთხვევაში.	ბავშვები რომ არ დავძაბოთ, სიმულაციებს არ ვატარებთ ყოველდღიურად, ყოველკვირეულად.

თანამშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელობა ბავშვთა კეთილდღეობისთვის

ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვისას არ უნდა დაგვავიწყდეს საბავშვო ბაღის თანამშრომელთა კეთილდღეობა, ვინაიდან სწორედ ისინი ურთიერთობენ ბავშვებთან და ჯგუფებში არსებული კლიმატი მათზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ამისათვის მნიშვნელოვანია დავინახოთ ყველა პოზიტიური ქმედება, ნებისმიერი მონდომება, რომელსაც თანამშრომელი გამოთქვამს და გამოხატავს. ინიციატივები უნდა წავახალისოთ.

დაუშვებელია თანამშრომლების ნეგატიურად განხილვა, ერთმანეთის თანდასწრებით გაკიცხვა, მათი შედარება (აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება პერსონალთან ერთმანეთის პრაქტიკის შესახებ საუბარი და გაზიარება). ამით ხელს შეუწყობთ შუღლის გაღვივებას და „მოსპობთ“ მოტივაციას. პატივი ეცით თანამშრომლებს და ისე მოიქეცით, რომ თითოეულმა მათგანმა იგრძნოს, რომ მას აღიარებენ და მასზე ზრუნავენ. ის, რასაც ბაღის პერსონალი ბავშვების მიმართ უნდა გამოხატავდეს

სასწავლო პროცესში (ზრუნვა, პატივისცემა, აღიარება, ხელშეწყობა, წახალისება და ა.შ.), მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა, დამფუძნებლებმა, ბაღის მენეჯერებმა/დირექტორებმა, სასწავლო პროგრამების კოორდინატორებმა/მეთოდისტებმა, ასევე უნდა გამოხატონ თანამშრომლების მიმართ.

ხელი შეუწყვეთ თანამშრომელთა შორის თანამშრომლობას!

თანამშრომელთა მიკუთვნებულობის განცდის დასაკმაყოფილებლად, მათ ასევე უნდა იგრძნონ თავი უსაფრთხოდ და დაცულად, უნდა იგრძნონ, რომ მნიშვნელოვანი ინდივიდები არიან როგორც თავისთავად, ასევე, დაწესებულებისთვის. მათაც უნდა ჰქონდეთ პირადი სივრცე (ის არ უნდა იკავებდეს ბავშვებისთვის განკუთვნილ სივრცეს), სადაც უსაფრთხოდ მოათავსებენ პირად ნივთებს. ხელი უნდა შეეწყოს და წახალისდეს თანამშრომლებს შორის დადებითი დამოკიდებულება.

არაძალადობრივი გარემო

არაძალადობრი გარემო რომ შევქმნათ, ჯერ ის უნდა გვესმოდეს, რა სახის ქმედებაა ძალადობა, ანუ, უბრალოდ, ვიცოდეთ, რა არის ძალადობა. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დოკუმენტის მიხედვით - ძალადობა არის „პირის მიერ ბავშვის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება განხორციელდა/ხორციელდება განზრახვით ან/და განზრახვის გარეშე“[2]. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ძალადობის მაგალითები:

ძალადობის ფორმა	ძალადობის სახე	რეალური მაგალითები
ფიზიკური ძალადობა	ცემა, ჩქმეტა, თმების მოქაჩვა, ჯანჯღარი, ხელის ძლიერად მოჭერა, ფიზიკური დასჯისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა.	„მანანა მასწავლებელმა ძლიერად მოქაჩა ნინოს ხელზე...“ „გიორგი მასწავლებელი ალექსის მაისურზე დაეჯაჯგურა, როდესაც ბავშვმა უარი თქვა ოთახის ალაგებაზე.“
სექსუალური ძალადობა	ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ;	ცირა მასწავლებელი ბავშვების თანდასწრებით უყვება კოლეგას ეროტიკულ სცენებს ფილმიდან, თან იცინის მათ რეაქციაზე.

[2] ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები.

ფსიქოლოგიური ძალადობა	შეურაცხყოფა, შანტაჟი, შედარება, დამცირება, მუქარა, ქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას, დაშინებას რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.	„...ასეთი უმაქნისი როდემდე უნდა იყო!“ „...იცოდე, გაჩუმდი, თორემ ცუდი ბავშვების ბაღში გადაგიყვან!“ „...ვინც კარგად არ მოიქცევა, იმისი დედა არ მოვა.“ „ნახე, გიორგი როგორ გჯობნის, შენ კიდევ რამდენ ხანს ანდომებ.“ „...დაამთავრეთ სადილი, თორემ მოვიდა თინიკო ექთანი...“
ეკონომიკური ძალადობა	ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის შეზღუდვას.	გიორგის მშობლები, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურად არ უჭირთ, არასდროს ყიდულობენ ბავშვისთვის წიგნებს და სათამაშოებს, ჯანსაღი, მრავალფეროვანი საკვების ნაცვლად ერთფეროვან მენიუს სთავაზობენ.
იძულება	ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება–სურვილის საწინააღმდეგოდ.	„...საბა, მოდი ეხლა, მოკიდე ხელი ამ ფუნთუშას და დაამთავრე ბოლომდე, არ მაინტერესებს, გინდა თუ არ გინდა...“ „...გინდა თუ არ გინდა, მუსიკაზე წასვლა მაინც მოგიწევს...“
უგულებელყოფა	ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა.	აჩიკო ბაღში მუდმივად დაუბანელი მოდის, ბავშვს ზოგჯერ მთელი თვე ერთი და იგივე, აშკარად გაურეცხავი ტანსაცმელი აცვია. ტანსაცმელი, როგორც წესი, სეზონთან შეუსაბამოა (ცივ ამინდში თხელი ფეხსაცმელი, თხელი ქურთუკი). ბავშვს არ აქვს ჩატარებული სავალდებულო აცრები, ავადმყოფობის შემთხვევაში არ მიმართავენ პოლიკლინიკის ექიმს.

ცხრილი შედგენისას გამოყენებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დოკუმენტში მოცემული ძალადობის ფორმების განმარტებები.

სამწუხაროდ, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის მხრივ, რთული ვითარებაა. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებიც ამაზე მეტყველებს: „კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები“ (UNICEF, 2013). გამოკითხული მოსახლეობის 45% ბავშვებზე ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს, ხოლო 60% მიიჩნევს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი. არადა, კვლევები ასევე ცხადყოფს, რომ ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი მომავალში პოტენციური მოძალადეა. სამწუხაროდ, ზრდასრულები ბავშვების მიმართ ძალადობას ხშირად იყენებენ, ამით შესაძლოა წამიერ შედეგს აღწევენ კიდეც (მაგ.: არასასურველი ქცევის შეწყვეტა), მაგრამ სინამდვილეში ბავშვის ემოციურ და შემეცნებით განვითარებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ, იმდენად, რომ, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები სიცოცხლის მანძილზე გაჰყვეს ადამიანს.

სამწუხაროდ, ბევრ კულტურაში ბავშვზე ძალადობა ნორმად მიიჩნევა, ამ შემთხვევაში საზოგადოების წევრები სათანადოდ ვერ აცნობიერებენ ძალადობის უარყოფით შედეგებს. ასეთ კონტექსტში ბავშვებთან მომუშავე პერსონალს ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან ბავშვი მხოლოდ ბაღის გარემოში კი არ იყოს დაცული ძალადობისგან, არამედ ოჯახსა და თემშიც.

დღეისათვის ძალადობისგან ბავშვთა დაცვას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონიც გვავალდებულებს. კანონში ცალკე მუხლად არის გამოყოფილი ბავშვთა დაცვა.

შენიშვნა:

მუხლი 6. ბავშვთა დაცვა

1. *დაწესებულებაში ბავშვის მიმართ ნებისმიერი ძალადობა აკრძალულია.*

2. *დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და სხვა პერსონალი ფლობდნენ და იყენებდნენ არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, აგრეთვე მათ ჰქონდეთ ინფორმაცია ბავშვის მიმართ ძალადობის შედეგებისა და პასუხისმგებლობის ფორმების თაობაზე.*

3. *დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგის, აღმზრდელისა და სხვა პერსონალის მომზადება და გადამზადება უნდა მოიცავდეს მათ სწავლებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის დაცვის, ბავშვის მიმართ ძალადობის დაუშვებლობის, ბავშვის მიერ საკუთარი ქცევის რეგულირების ეფექტიანი მექანიზმებისა და უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემოს უზრუნველყოფისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების თაობაზე.*

4. *დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვზე ძალადობის თავიდან აცილება (მათ შორის, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლება და ინფორმირება), იდენტიფიკაცია, შეფასება, მის შესახებ შეტყობინება და მასზე შესაბამისი რეაგირება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცე-დურების შესაბამისად.*

5. *ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.*

6. *დაწესებულება ვალდებულია დაწესებულებაში გამოყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისათვის და ბავშვთა ძალადობისგან დაცვისათვის პასუხისმგებელი პირი.*

არაძალადობრივი გარემო გულისხმობს ადგილს, სადაც ბავშვს პატივს სცემენ როგორც ინდივიდს, სადაც მასზე ზრუნავენ, არ აშინებენ, არ აიძულებენ. აუცილებელია თითოეული თანამშრომელი იცნობდეს ბავშვის უფლებების კონვენციას და ასრულებდეს ამ დოკუმენტით განსაზღვრულ პუნქტებს. დაუშვებელია საგანმანათლებლო პროცესში ძალადობრივი ქმედებების განხორციელება, მაგალითად, იძულება, სადილობისას დაასრულოს თავისი ულუფა, დამუქრება. არაძალადობრივია გარემო, სადაც ბავშვს არ ატყუებენ, არ დასცინიან, არ ადარებენ სხვას, არ უგულებელყოფენ მის უნარებს, არამედ ხელს უწყობენ უნარების მაქსიმალურ გამოვლენაში (საქართველოს კანონით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016).

შენიშვნა: *სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ცუდი პრაქტიკით, საგანგებოდ ორგანიზებული ღონისძიებებისთვის, ე.წ. „ზეიმებისთვის“ მზადება სწორედ ძალადობრივი გზებით ხდება. უფროსები ბავშვებს აიძულებენ დაისწავლონ ვრცელი ტექსტები, დაიზეპირონ ცეკვის ილეთები თუ მუსიკალური ნომრები, რათა შემდეგ ვრცელი აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ. პროცესი მთლიანად უფროსების მიერ იმართება და ბავშვის ინტერესი, მისი საჭიროებები და სურვილები არსად ჩანს. გარდა ამისა, ადრეული ასაკის ბავშვისთვის ფიზიკურად რთულია მასშტაბურ ღონისძიებებში (1 საათიანი სპექტაკლები, კონცერტები, სასცენო წარმოდგენები) მონაწილეობა.*

ზოგიერთი ამ ღონისძიებათაგანი შეჯიბრზეა აგებული, ბავშვები ეჯიბრებიან სპორტულ აქტივობებში, შემეცნებით თამაშებში, რომლებიც კითხვა-პასუხის რეჟიმში „ყველაზე ჭკვიანის“ ან „ყველაზე სხარტის“ გამოვლენას ისახავს მიზნად. ე.წ. სილამაზის კონკურსების დროს ეჯიბრებიან „ყველაზე ლამაზის“ გამოსავლენად. მსგავსი ტიპის ღონისძიებები დამთრგუნველია ბავშვებისთვის, არღვევს მათ უფლებებს და, ცალკეულ შემთხვევაში, ჯანმრთელობისთვისაც კი მავნეა.

კანონი გვავალდებულებს არა მხოლოდ ბაღის ტერიტორიაზე შევქმნათ არაძალადობრივი გარემო და დავიცვათ ბავშვი ნებისმიერი ძალადობისგან, არამედ ძალადობის კვალის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოვახდინოთ რეაგირება.

ბავშვთა ძალადობისგან დაცვას გვავალდებულებს კიდევ ერთი დოკუმენტი: საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე (2016 წლის 12 სექტემბერი). ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, უნდა შევძლოთ ძალადობის ამოცნობა და შესაბამისი რეაგირება. საგანმანათლებლო პერსონალი ვალდებულია თითოეულ

რა არის ზეიმი?
ზეიმი!
როცა ყველა მე მიყურებს, მე კიდევ ეს არ მინდა
როცა მეჩხუბებიან
როცა მიყვირიან
როცა ვნервიულობ
როცა რაღაცას ითხოვენ ჩემგან
როცა იმას ვაკეთებ, რაც არ მინდა
როცა ვიღლები
როცა მათ გვერდზე ვარ, ვინც მიყვარს
როცა ბედნიერი ვარ
როცა ვგრძნობ, რომ ჩემზე ზრუნავენ
როცა იმას ვაკეთებ, რისი კეთებაც მიყვარს
როცა მიხარია
როცა არ მეშინია
როცა კარგ ხასიათზე ვარ

ბავშვს ინდივიდუალურად დაუთმოს ყურადღება, ყველა ბავშვთან ყოველდღიურად დაამყაროს კონტაქტი, გამოიჩინოს ინტერესი და მზრუნველობა მათ მიმართ. კანონი დაწესებულებას ასევე ავალდებულებს ცალკეული თანამშრომლის გამოყოფას, რომლის უშუალო პასუხისმგებლობაც სწორედ ბავშვის ძალადობისგან დაცვა იქნება (ამოცნობა და შესაბამისი რეაგირება). ვის დაეკისრება ეს პასუხისმგებლობა, დაწესებულებამ თავად უნდა განსაზღვროს.
როდის უნდა გაგვიჩნდეს ეჭვი? როცა ბავშვს სხეულზე დაზიანებები აღენიშნება, ეს შეიძლება იყოს ჩალურჯებული კანი, ნაკაწრები, შეშუპება და ა.შ. ან ზოგადად მხიარული და ხალისიანი უცბად იცვლის ხასიათს, თავის თავში იკეტება, აგრესიულია მეგობრების მიმართ, აღგზნებულია, მუდმივად შფოთავს და შეშინებულია, ფლობს სექსის შესახებ ასაკისთვის შეუფერებელ ინფორმაციას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში დაწესებულების თანამშრომელი ვალდებულია ამის შესახებ შესაბამის ორგანოს შეატყობინოს (სოციალური მომსახურების სამსახური, პოლიცია), ხოლო უშუალოდ ბავშვის მიმართ სიფრთხილე გამოიჩინოს, არ შეუდგეს ბავშვის გამოკითხვას სხვა ბავშვების, მათი მშობლების თანდასწრებით (უნდა გვახსოვდეს, რომ აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი ფაქტის გამომჟღავნებელია და არა „გამომძიებელი“).

როგორ ვიქცევით, როცა ვხედავთ, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლია? ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაწესებულების წარმომადგენელი ვალდებულია შეავსოს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი, რომელიც ეგზავნება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის რეგიონულ ერთეულს.
რა ხდება მას შემდეგ, რაც სააგენტოს მიმართავთ? სააგენტოს მიერ მოვლენილი სოციალური მუშაკი ადგილზე აფასებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევას: ახდენს ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირებას, მოქმედებს და იღებს გადაწყვეტილებას ძალადობის შედეგებისა და ბავშვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით.

- *ლია ბაღში მუდმივად მოუწესრიგებელი, გაღიზიანებული მოდიოდა, ერთი-ორჯერ აღმზრდელმა ნაკაწრები და ჩალურჯება შეამჩნია სახეზე. ბავშვმა მას უთხრა, რომ დედა, როცა გაბრაზებულია, სცემს ხოლმე. აშკარა იყო, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლი იყო. ამის შესახებ აღმზრდელმა ბაღში გამოყოფილ ძლადობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირს გაუზიარა. მასთან კონსულტაციით გადაწყდა სოციალური დაცვის სააგენტოში წერილის გაგზავნა. სააგენტოს მიერ მოვლენილმა სოციალურმა მუშაკმა შეისწავლა ოჯახის მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ ოჯახში მშობლებს შორის მუდმივი კონფლიქტების ფონზე, პერიოდულად ბავშვზეც ძალადობდნენ. სოციალურმა მუშაკმა დაადგინა, რომ ოჯახში ლიას გარდა მისი უფროსი და-ძმაც განიცდიდა ძალადობას, ისინი არ დადიოდნენ სკოლაში. სოციალურმა მუშაკმა, ოჯახთან მუშაობისა და ბაღთან თანამშრომლობის გზით მოახერხა ლიაზე ზედამხედველობა და მისი უფროსი და-ძმის სკოლაში მიყვანა.*

ყოველივე იმის შესრულება, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, შექმნის გარემოს, სადაც ერთნაირად ბედნიერები იქნებიან როგორც ბავშვები, ისე ბაღის თანამშრომლები.

თავი 2. კურიკულუმი და მეთოდოლოგია

საკვანძო სიტყვები:
თამაში
კურიკულუმი
მეთოდოლოგია
ზეიმი
დღის განრიგი
ბავშვის განვითარების სტანდარტები
ჰოლისტური განვითარება

„ზერელე დამკვირვებელმაც იცის, რომ ბავშვის თამაშში ადამიანის აქტივობის ყველა შესაძლო ფორმა გვხვდება, რომ აქ მათ არა შესატყვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობა იწვევს, არამედ ბავშვში გარკვეულ ძალთა კომპლექსების ფაქტობრივი მოცემულობა და მათი ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსები. ამიტომაა, რომ თამაშს ეგოდენ დიდი ობიექტური აზრი აქვს: ამიტომაა, რომ იგი გროსის არ იყოს, ცხოვრების ნამდვილი „მოსალოდნელი სკოლაა“. მაგრამ თამაში ბავშვის ქცევის ფორმაა. როგორც ცნობილია, ადრეული ბავშვობის ასაკში მთელი ცხოვრების წამყვან შინაარსს თამაში წარმოადგენს.“

განწყობის ფსიქოლოგია,
დიმიტრი უზნაძე

ამ თავში სკოლამდელი განათლების პრაქტიკოსები შეიტყობენ, რატომ არის თამაში ასე მნიშვნელოვანი ადრეულ და სკოლამდელ ასაკში, რას ნიშნავს თამაშის პედაგოგიკა და როგორ წარმართოთ თამაშის საშუალებით საგანმანათლებლო პროცესი. ეს თავი ასევე განმარტავს კურიკულუმის არსს და პრაქტიკოსებს სხვადასხვა სახის კურიკულუმების მაგალითს შესთავაზებს, გააცნობს როგორც კურიკულუმის შესამუშავებლად საჭირო რეკომენდაციებს, ასევე, ეფექტიანი კურიკულუმის მაჩვენებლებს. ამავე თავში პრაქტიკოსები შეიტყობენ, როგორ აამონ კურიკულუმი ისე, რომ მიაღწიონ ბავშვის მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებას. თავში წარმოგიდგენთ პრაქტიკულ მაგალითებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აისახება დაწესებულებაში განხორციელებული კურიკულუმი საგანმანათლებლო რესურსში, განრიგსა და დაგეგმილ საქმიანობებში.

თავის ძირითადი საკითხები

თამაშის როლი ადრეულ განათლებაში

- → თამაშის მნიშვნელობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში, რას გვეუბნება კვლევები
- → თამაშის ტიპები - რითი შეიძლება დაკავდნენ ბავშვები ბაღში
- → ზეიმი
- → რა როლი აკისრია საგანმანათლებლო პერსონალს თამაშში?

კურიკულუმის არსი და მისი მნიშვნელობა
→ როგორი კურიკულუმები არსებობს
→ რეკომენდაციები კურიკულუმის შემუშავებისას
→ კურიკულუმის ეფექტიანობის ინდიკატორები
როგორ უზრუნველვყოთ ბავშვის ჰოლისტური განვითარება:
→ ჰოლისტური განვითარების განმარტება და მნიშვნელობა
→ ბავშვის განვითარების სტანდარტები - რისთვის და როგორ გამოვიყენოთ?
→ განვითარების ხელშეწყობა vs. ბენჩმარკების მაჩვენებლების მიღწევა
→ საუკეთესო პრაქტიკა განვითარების თითოეული სფეროს განსავითარებლად - რას აკეთებს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი?
ეფექტიანი განრიგი
→ რეკომენდაციები ეფექტიანი განრიგის შესამუშავებლად

თამაშის როლი ადრეულ განათლებაში

თამაშის მნიშვნელობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში, რას გვეუბნება კვლევები

თამაში ადრეული ასაკის ბავშვის (დაბადებიდან 8 წლამდე) ძირითადი საქმიანობაა, ამ ასაკის ბავშვი თამაშის საშუალებით სწავლობს, პოულობს საკუთარ ადგილს სამყაროში, ურთიერთობს თანატოლებთან და უფროსებთან, მრავალმხრივ ვითარდება.

კვლევები ადასტურებს, რომ თამაშის დროს ბავშვები აქტიურად ვითარდებიან, ვითარდება მათი სოციალური უნარები, ფართოვდება ენობრივი კომპეტენციები, ვითარდებიან ფიზიკურად და ა.შ.. ამგვარად, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ თამაშის როლის მნიშვნელობის გამოყოფა და ისეთი გარემოს უზრუნველყოფაა, სადაც ბავშვები დროის ძირითად ნაწილს სწორედ თამაშში გაატარებენ.

რა არის თამაში?

თამაშის განმარტება მარტივი საქმე არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ ის მრავალწახნაგოვანი და აბსტრაქტული ცნებაა. მეცნიერულ ლიტერატურაშიც კი, განსხვავებულ და მრავალფეროვან განმარტებებს ვხვდებით.

> *„თამაში აბსტრაქტული და პროცესუალურია; ის არ არის კონკრეტული საგანი, ადგილი ან ქმედება. ისეთი აბსტრაქციების შემთხვევაში, როგორიცაა სიყვარული, ბედნიერება და თამაში, მაგალითების მოყვანა უფრო ადვილია, ვიდრე ცნების განმარტება. წლების წინ, თავის წიგნში, „თამაშის ფსიქოლოგია“, ს. მილარმა ენამახვილად აღნიშნა, რომ „თამაში“ განსაზღვრება ან ზედსართავი უფროა, ვიდრე არსებითი სახელი ან ზმნა.” (მაკლაქლანი et al., 2013, გვ. 41-42)*

რატომ მიყვარს თამაში?
თამაშის დროს ვითომ ხან ვინ ვარ და ხან ვინ. ეს ძალიან, ძალიან მომწონს
როცა მინდა, მაშინ ვთამაშობ; როცა არ მინდა, არ ვთამაშობ
როცა ვთამაშობ, ჩემს გარშემო რა ხდება, ვეღარ ვამჩნევ; მარტო თამაში მახსოვს, ისე მომწონს
მსიამოვნებს, როცა ვთამაშობ, თან ვერთობი ხოლმე ძალიან
ხან ექიმი ვარ, ხან მასწავლებელი, ხან მოლარე, ხან მეხანძრე
ფოთლებს ვაკვირდები ლუპით, მიწას ვთხრი და ჭიანჭველებს ვეძებ, ვაკვირდები, როგორ დნება მზეზე ყინული
დავრბივარ, დავხტივარ, ბურთს ვაგორებ, მაგიდის ქვეშ დავხოხავ
მძივებს ვშლი და თოკზე თავიდან ვასხამ, ბოთლებს სახურავებს ვახურავ
ქვიშაზე წყალს ვასხამ და ხელებს ვაჭყაპუნებ, საპონს ვაქაფებ და ბუშტებს ვაკვირდები, ჩრდილებს ვაკვირდები მზიან ამინდში
რას ვთამაშობ ხოლმე?
მოზაიკას ვაწყობ, დომინოსა და ლოტოს ვთამაშობ
ხან ვხატავ, ხან ვძერწავ, ქაღალდებს ვჭრი და ვაწებებ
კუბებით სახლებს ვაშენებ: ხან კოშკებს, ხან სასახლეებს

აღნიშნული სირთულის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, როგორ გვესმის თამაში და როგორ განვმარტავთ მას. ასევე მნიშვნელოვანია, მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებდეთ ჩვენს ცოდნასა და ღირებულებებს თამაშის ცნების მიმართ. რადგან ზუსტად ეს ცოდნა და ღირებულება განსაზღვრავს, თუ როგორ აღვიქვამთ უფროსის როლს ადრეულ განათლებაში და როგორი საგანმანათლებლო პროცესი გვექნება ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში ან/და ჯგუფში. უპირობოდ მნიშვნელოვანია ვხედავდეთ თამაშს, როგორც თითოეული ბავშვის ფუნდამენტურ საჭიროებასა და უფლებას, რომელიც ცენტრალური მნიშვნელობისაა მათი კეთილდღეობისათვის.

თამაშის მახასიათებლები

თამაშის განმარტებების მრავალფეროვნების განხილვის შემდეგ მკვლევარები ცდილობენ ხოლმე შემოგვთავაზონ თამაშის ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ყველასთვის საერთოა. თამაში შესაძლებელია განვსაზღვროთ, როგორც ხუთი ძირითადი მახასიათებლის ერთობა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის თამაშში სხვადასხვა სიმძლავრით გვხვდება: თავისუფალი არჩევანი, შინაგანი მოტივაცია, მენტალური წესები, რეალობიდან „გასვლა“, აქტიური ჩართულობა.

<u>თავისუფალი არჩევანი</u> - მოთამაშე თავისუფალია არჩევანში, ითამაშოს თუ არა და როგორ ითამაშოს. თამაშის ფუნდამენტური უფლებაა თავისუფლება, შეევწყვიტო თამაში.

<u>შინაგანი მოტივაცია</u> - თამაშში პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროდუქტი. მოთამაშის მამოტივირებელია არა გარეგანი ჯილდო, არამედ თამაში თავისთავად, როგორც თვითმიზანი.

<u>მენტალური წესები</u> - თამაშს ყოველთვის ახასიათებს წესები, რომლებიც წარმოიშობა მოთამაშის გონებაში. ეს წესები გაზიარებული და შეთანხმებული უნდა იყოს მოთამაშეებს შორის. თამაშის წესები არ არის ავტომატური და შეუცვლელი, როგორც ფიზიკის წესები, შესაბამისად, ის არ შეიძლება იყოს გარედან ნაკარნახევი. არამედ ეს არის თამაშის საშუალება, რომელიც ყოველთვის ტოვებს ადგილს შემოქმედებითობისათვის.

<u>რეალობიდან „გასვლა“</u> - თამაში ყოველთვის გულისხმობს რეალური სამყაროდან რაღაც დოზით მენტალურ გასვლას, რეალობისთვის მოთამაშის გონებაში არსებული „ვითომ, ვითომ“ წარმოდგენების დაპირისპირებას.

<u>აქტიური ჩართულობა</u> - თამაშის დროს მოთამაშის ყურადღება მიმართულია საქმინობისკენ და ნაკლებად რეაგირებს გარეგან გამაღიზიანებლებზე. აქტიური ჩართულობა გულისხმობს გონებრივ ჩართულობას, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ფიზიკური ჩართულობითაც იყოს გამოხატული. თამაშის დროს, გონებრივი აქტიური ჩართულობის ძირითადი მახასიათებელია, რომ ის სასიამოვნოა და არა სტრესული.

თამაშის ტიპები - რითი შეიძლება დაკავდნენ ბავშვები ბაღში

თამაშის განსაზღვრების მცდელობა თვალსაჩინოს ხდის, თუ რამდენად მრავალფეროვანია ეს ცნება. თამაშის უამრავი ნაირსახეობა არსებობს. ადრეულ განათლებაში მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა,

ჩაერთოს ყველა ტიპის თამაშში, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ტიპის თამაშები არსებობს:

- შემოქმედებითი თამაშები - ფანტაზიით ხატვა, ფერწერა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, სამგანზომილებიანი ქანდაკების დამზადება, ნატურიდან ხატვა, შტამპებით ბეჭდვა და ა.შ.
- მოძრავი თამაშები - დაჭერობანა, გაშეშობანა, კატათაგვობანა, წრეში ბურთი, ცეკვა, ჭიდაობა.
- მანიპულაციური თამაშები - მძივების გაყრა, ფორმების მორგება, ფაქტურების ამოცნობა...
- სამაგიდო და წესებიანი თამაშები - ლოტო, დომინო, მემო, ფაზლი, ლაბირინთი;
- დრამატული და წარმოსახვითი თამაშები - ექიმობანა, სახლობანა, პოლიციელობანა, ზღაპრების/ამბების მოგონება...
- კვლევითი თამაშები - მცენარის ფოთლებზე ლუპით დაკვირვება, სხვადასხვა ნივთიერებების შერევა, მცენარის თესლის გაღვივებაზე დაკვირვება, ყინულის დნობაზე დაკვირვება, მონაცემების ჩანიშვნა;
- კონსტრუქციული თამაშები - კუბურებით მშენებლობა;
- სენსორული თამაშები - ქვიშასა და წყალში თამაში, ხმოვანი საგნებით თამაში, ჩრდილებით თამაში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი თამაშის ტიპების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს თამაშები ხელმისწვდომი იყოს როგორც ბაღის შენობაში, ისე ეზოსა და დაწესებულების ტერიტორიის გარეთ. მაგალითად, ქვიშით სავსე სენსორული მაგიდა ოთახსა და ეზოში ერთი და იგივე ტიპის აქტივობაა, თუმცა თამაშის განვრცობის განსხვავებულ საშუალებას იძლევა. ასევე, თოჯინების სპექტაკლის ნახვა ბაღის სივრცესა და ექსკურსიის დროს თეატრში განსხვავებულ გამოცდილებას ბადებს.

ქვემოთ მოცემულ ლინკზე გადასვლით შეგიძლიათ უყუროთ ვიდეოს და შეიტყოთ პრაქტიკოსებისა და ექსპერტის მოსაზრება ადრეულ ასაკში თამაშის მნიშვნელობის შესახებ და თავად ბავშვების აზრი თამაშზე.

https://www.youtube.com/watch?v=y0tC_QEUp9M&feature=youtu.be



ზეიმი

ზეიმი ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების ფარგლებში საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი საქმიანობაა და არა აუცილებელი ან სავალდებულო. როგორც დაწესებულების ფარგლებში დაგეგმილ ყველა სხვა აქტივობას, მასაც გააჩნია კონკრეტული მიზანი - ბავშვის ჰოლისტური განვითარება.

შემაჯამებელი ღონისძიების, ან ზეიმის დაგეგმვისას პირველ რიგში იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ რა არის ამ ღონისძიების მიზანი და რა არ უნდა გამოგვრჩეს, რომ არსებობს პირდაპირი და ირიბი, ან სულაც ფარული მიზნები. პირდაპირი მიზანი შესაძლოა ჯგუფის მუშაობის შეჯამება, მშობლების წინაშე წარდგენა იყოს, ხოლო ირიბი მიზანი - მშობლების კმაყოფილების მოპოვება, საგანმანათლებლო პერსონალის მიერ საკუთარი თავის წარმოჩენა, ადმინისტრაციის წინაშე თავის მოწონება და ა.შ. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ბავშვის ინტერესებზე საუბარი ზედმეტია.

ზემოთ ნახსენები ე.წ. „ირიბი მიზნების“ არსებობა სავსებით ბუნებრივია. არაფერია იმაში გასაკვირი, რომ აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს სურდეთ, მშობლები კმაყოფილები იყვნენ, ან საკუთარი თავის წარმოჩენა უნდოდეთ ადმინისტრაციის, ან უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე. მაგრამ ზეიმის ამ მიზნებისთვის გამოყენება არასწორია.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულია ცუდი პრაქტიკა, აღმზრდელ-პედაგოგებისა და აღმზრდელთა მუშაობა შეფასდეს სწორედ მათ მიერ ჩატარებული ზეიმების მიხედვით. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში მათ ზუსტად ამ ნიშნით ადარებენ ერთმანეთს, თუ ვინ როგორ ზეიმს ჩაატარებს. ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის ადმინისტრაციის მხრიდან სწორი მიდგომა, საგანმანათლებლო პერსონალისთვის თავისუფლების მინიჭება, ჩაატაროს ან არ ჩაატაროს ზეიმი. არ არის სწორი აღმზრდელ-პედაგოგს/აღმზრდელს „მოვთხოვოთ“ ჩაატაროს ზეიმი, ან ბავშვებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ ტიპის მასობრივ ღონისძიებაში (კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები, პოდიუმები და ა.შ.). მსგავსი ტიპის ღონისძიებებისთვის მზადება, ხშირად, ასევე ბავშვთა უფლებების დარღვევით მიმდინარეობს. ბავშვებთან მომუშავე უფროსებს უწევთ ბავშვების გაწვრთნა და არა მათ ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა.

როგორ მოვემზადოთ ზეიმისთვის?

ზეიმზე ფიქრისას ჩვენი უმთავრესი მიზანი ბავშვის ინტერესების, მათი საჭიროებების და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება უნდა იყოს. ბავშვები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ღონისძიების როგორც დაგეგმვაში, ისე განხორციელებაში. ასეთი ღონისძიებები დღესასწაული უნდა იყოს თითოეული ბავშვისთვის, შესაბამისად, დაუშვებელია ზეიმის მხოლოდ ე.წ. „ნიჭიერ“, „ძლიერ“ ბავშვებზე აგება, მხოლოდ მათი ჩართვა, ან მათი წინა ფლანგზე გამოყვანა დანარჩენების „გადამალვის“ მიზნით.

ზეიმი შეგიძლიათ სხვადასხვა სახით ჩაატაროთ. ეს შეიძლება იყოს:

<u>დრამატული თამაში</u> - დრამატული თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, ბავშვებთან ერთად შეიტანეთ ცვლილებები ჯგუფის სივრცეში, წაახალისეთ ბავშვები, თავად დაამზადონ თამაშისთვის აუცილებელი ატრიბუტები. დრამატული თამაში სპექტაკლი არ არის, ეს არის თავისუფალი თამაში, სადაც ბავშვები როლებს და ტექსტებს წინასწარ არ დაისწავლიან. ისინი საკუთარი სურვილით მოირგებენ როლებს და ჩაერთვებიან თამაშში თავისუფლად, საკუთარი იმპროვიზაციით. თამაშში მათთან ერთად მოწვეული სტუმრებიც შეგიძლიათ ჩართოთ.

რეალური მაგალითი - დრამატული თამაში „აეროპორტობანა“.

ხათუნა 5-6 წლიანების ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგია. ზეიმზე ფიქრისას მან ბავშვებთან ერთად გადაწყვიტა მასშტაბური დრამატული თამაშის მოწყობა. აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის დახმარებით, ბავშვებმა მთლიანად შეცვალეს ჯგუფის სივრცე, მოამზადეს „ბილეთები“ და „პასპორტები“, ჯგუფი დაყვეს რამდენიმე სივრცედ: მოსაცდელი, საპასპორტო კონტროლი,

თვითმფრინავი... მოწვეულ სტუმრებს (მშობლებს, მეზობელი ჯგუფის ბავშვებსა და ბაღის თანამშრომლებს) საშუალება ჰქონდათ, ჩართულიყვნენ თამაშში.



<u>მინი-სპექტაკლი</u> - მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა თავად აირჩიონ, როგორ მიიღებენ მონაწილეობას სპექტაკლში - მსახიობები იქნებიან, მუსიკას შეარჩევენ, პიესას დაწერენ თუ ბილეთებს გაყიდიან სალაროში. ბავშვებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, ჩვენ კი პატივი უნდა ვცეთ მათ არჩევანს და ამ მხრივ მშობლებთან მუშაობაც დაგვჭირდება. სამწუხაროდ, ბევრი მშობლისთვის მიუღებელია „ეპიზოდურ, უმნიშვნელო" როლებში, ან თუნდაც მხოლოდ კოსტუმების ავტორის როლში შვილის ხილვა, ამიტომ მშობლებს უნდა ავუხსნათ, რომ პატივი სცენ ბავშვების არჩევანს.

რეალური მაგალითი. სპექტაკლი, ბალეტი „მგელი და შვიდი ციკანი".

მაია მასწავლებელმა ბავშვებთან ერთად გადაწყვიტა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, ზეიმის სახით, სპექტაკლი დაედგათ. ვინაიდან ბავშვებს ჯგუფში ცეკვა განსაკუთრებით უყვარდათ, არჩევანი საბალეტო წარმოდგენაზე შეაჩერეს. ბავშვებმა მაია მასწავლებელთან ერთად თავდაპირველად ჩამოწერეს რა იყო საჭირო სპექტაკლის მოსამზადებლად: სიუჟეტის შერჩევა, მუსიკის შერჩევა, კოსტუმები, ქორეოგრაფია, როლების განაწილება, ბილეთების დამზადება, დარბაზის მოწყობა... ბავშვებმა საკუთარი სურვილის შესაბამისად აირჩიეს

საქმიანობები, გადაწყვიტეს, რომ თემა „მგელი და შვიდი ციკანი“ ყოფილიყო. ბავშვების ნაწილი ქორეოგრაფიაზე მუშაობდა, ნაწილმა მუსიკა შეარჩია, ზოგიერთებმა კოსტუმები მოიფიქრეს, ბილეთები დაამზადეს და საგანგებოდ მომზადებულ სალაროში ყიდდნენ. ასე ჩაერთნენ ბავშვები სპექტაკლის მომზადების პროცესში საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

<u>ექსკურსია</u> - ექსკურსია მნიშვნელოვანი აქტივობაა საგანმანათლებლო პროცესში, ბავშვები რეალობაში ნახულობენ იმას, რაც აინტერესებთ, ან რაც უკვე ისწავლეს. ბავშვებს ყოველთვის სიამოვნებთ სუფთა ჰაერზე ყოფნა, რეალურ „ნამდვილ“ ნივთებთან შეხება, რეალურ მოვლენებზე დაკვირვება, „რეალური ცხოვრების“ ნახვა.

<u>რეალური მაგალითი.</u> ექსკურსია მდინარეზე. 5-6 წლიანების ჯგუფს წლის ბოლოს მდინარის თემაზე მოუწიათ მუშაობა. ამიტომაც, მანანა მასწავლებელმა ბავშვებთან ერთად წლის ბოლოს შემაჯამებელ ღონისძიებად ექსკურსია დაგეგმა. მათ მოიმარაგეს საჭირო მასალა ჩანახატების გასაკეთებლად, საგზალი და მხიარულად გაატარეს დრო წყლის პირას.

<u>პრეზენტაცია</u> - პრეზენტაცია არის თემის წარდგენა აუდიტორიის წინაშე საუბრისა და თვალსაჩინოებების გამოყენებით. პრეზენტაციის დროს მოწვეული სტუმრები (მშობლები, ბაღის თანამშრომლები, სხვა ჯგუფების ბავშვები) ეცნობიან საკითხს, რომელზეც მუშაობდა კონკრეტული ჯგუფი, ათვალიერებენ ჯგუფის ბავშვების ნამუშევრებს, სვამენ შეკითხვებს.
პრეზენტაციის დროს:

- ☻ ბავშვები შერჩეული საკითხისა და საკუთარი ნამუშევრის შესახებ აუდიტორიის წინაშე საუბრობენ;
- ☻ ბავშვები, უფროსების დახმარებით, თემაზე მუშაობის პროცესსა და შედეგებს ორგანიზებულად წარადგენენ დამსწრე აუდიტორიის წინაშე;

პრეზენტაცია „ნიადაგი“. ნინელი მასწავლებლის ბავშვები ორი კვირის განმავლობაში იკვლევდნენ სხვადასხვა სახის ნიადაგს, ჩაატარეს ექსპერიმენტები, დააკვირდნენ სხვადასხვა ნიადაგში როგორ იზრდება მცენარე. საბოლოოდ კი, მიღებული ცოდნისა და უნარების გასაზიარებლად, პრეზენტაცია ჩაატარეს, სადაც გამოფინეს პროცესის დროს შექმნილი ნამუშევრები და დაპატიჟეს მშობლები დასათვალიერებლად.

რა როლი აკისრია საგანმანათლებლო პერსონალს თამაშში?

იმის აღიარებით, რომ თამაში ბავშვის ქცევის, სწავლისა და განვითარების ძირითადი ფორმა და პროცესია, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესში თამაშის ხელშეწყობით ამ პროცესს ბავშვისთვის უფრო მნიშვნელოვანს, საინტერესოსა და სახალისოს ვხდით. იზრდება ბავშვის შინაგანი მოტივაცია, ჩართულობა და, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის ხარისხიც უფრო მაღალია.

ყოველივე ამაში საგანმანათლებლო პერსონალს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რადგან კვლევებზე დაყრდნობით ვიცით, რომ მიუხედავად იმისა, რომ თამაში ბუნებრივი მოვლენაა, თუ მას ხელს უშლის სოციალური და ფიზიკური გარემო, ის არ გამოვლინდება.

თამაშისთვის ბუნებრივი გარემოს შექმნა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის ფანტაზიაზე, შემოქმედებითობაზე, კომპეტენტურობაზე, მათ მოტივაციასა და ენთუზიაზმზე, ხოლო მეორე მხრივ, ადმინისტრაციის ხელშეწყობაზე, საჭირო დროს საჭირო რესურსით მოამარაგოს ჯგუფები, არ შეაფერხოს საგანმანათლებლო პერსონალის შემოქმედებითობა, წაახალისოს მათი ინიციატივები და ა.შ.

როგორ შეიძლება თამაშის ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროცესში ბაღის დონეზე?

- საგამოფენო ადგილების გამოყოფა საერთო სივრცეებში, სადაც გამოიფინება ბავშვების ნამუშევრები და ფოტოსურათები, რომლებზეც ჩანს, თუ როგორ თამაშობენ ბავშვები სხვადასხვა ტიპის თამაშებს;
- ბაღის ფოიეში, გარკვეულ პერიოდებში, მაგალითად, მიღებისას, ჟღერს მუსიკა და ბავშვებს სასიამოვნო განწყობილებას უქმნის;

საგამოფენო ადგილების გამოყოფა საერთო სივრცეებში

- ბაღის საერთო სივრცის მოწყობა ღია კაფეების სტილში, ბავშვებს გადასვლების დროს შესაძლებლობა ექნებათ, რომ ითამაშონ და ა.შ.

როგორ შეიძლება თამაშის ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროცესში ჯგუფისა და ეზოს დონეზე?

- ფიზიკური გარემოს იმგვარად მოწყობა, რომ თითოეული ტიპის თამაშისთვის საკმარისი სივრცე იყოს როგორც შენობის ჯგუფებში, ისე ეზოში. შესაფერისი, მრავალფეროვანი და საკმარისი ინვენტარისა და რესურსის მომარაგება;
- პერიოდულად ახალი მასალის/რესურსის შემოტანა;
- თამაშისთვის საკმარისი დროის გამოყოფა. დღის განრიგის ისე ორგანიზება, რომ ბავშვები დაწესებულებაში გატარებულ ძირითად დროს თამაშში ატარებდნენ;

ბაღის ფოიეში, გარკვეულ პერიოდებში, ჟღერს მუსიკა

ბაღის საერთო სივრცის მოწყობა ღია კაფეების სტილში

- საჭიროებისამებრ, უფროსის მიერ ინიცირებული თამაშების შეტანა პროცესში. საგანმანათლებლო პერსონალმა, შესაძლებელია, ინიცირება გაუკეთოს თამაშებს, თუმცა ბავშვების მიერ ინიცირებული თამაშები ყოველთვის უფრო მეტი უნდა იყოს;
- ბავშვების თამაშის დროს სუპერვიზირება მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. თვალყურის დევნება, რომ ბავშვებმა აკრძალული ნივთებით არ ითამაშონ და სხვ;
- აქტივობების ან ტრანზიციის დროს ხმის სხვადასხვა ინტონაციის, სახის მიმიკის, ჟესტიკულაციის გამოყენება;
- რუტინული აქტივობებისა და ტრანზიციების დროს სახალისო სიმღერების, გათვლების, გამოცანების, ხელის თოჯინების, წარმოსახვითი თამაშების გამოყენება და ა.შ.
- თამაშის გასართულებლად და გასამრავალფეროვნებლად კონკრეტული სტრატეგიების - მოდელირების, სიტყვიერი მართვის და ე.წ. „თემატურ-ფანტაზიური ტრენინგის“ გამოყენება.

ჩანართი: *სმილანსკიმ (1968) და სხვებმა შეიმუშავეს სოციალ-დრამატული თამაშის გართულებისა და გამრავალფეროვნების ოთხვარიანტიანი მეთოდი, რომელთაგან სამი არის:*

მოდელირება: *უფროსი თამაშობს. შეიძლება მან ბავშვებისგან დამოუკიდებლად წამოიწყოს თამაში ან ჩაერთოს ბავშვების თამაშში. მიზანი ის არის, რომ ბავშვებმა დაინახონ, თუ როგორ შეიძლება შესრულდეს, ან გამრავალფეროვნდეს თამაში.*

სიტყვიერი მართვა: *უფროსი ბავშვებს თამაშში ჩაურთველად, სიტყვიერად აძლევს რეკომენდაციებს და შეთავაზებებს, ან უსვამს კითხვებს, თამაშის გასავითარებლად, გასამრავალფეროვნებლად ან გასართულებლად.*

თემატურ-ფანტაზიური ტრენინგი: *უფროსი ხელს უწყობს ბავშვებს გაითამაშონ კარგად ნაცნობი ზღაპრები და პერსონაჟები.*

როგორ შეიძლება თამაშის ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროცესში ბავშვის დონეზე?

- ☺ აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი მიმართავს თამაშების ინდივიდუალიზებას (მორგებას) ბავშვის სხვადასხვა საჭიროებებზე, ასაკისა და განვითარების მიხედვით, თითოეული ბავშვის მრავალფეროვან თამაშებში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- ☺ აღზმრდელი ხელს უწყობს ჯგუფში თამაშებს ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, შემოაქვს რესურსი, ინიცირებას უკეთებს თამაშს, ქმნის ახალ გამოცდილებას (მაგალითად, ექსკურსიაზე მიჰყავს);
- ☺ ბავშვების თამაშის სუპერვიზირებისას, აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მათ, მაგალითად, მასალის/რესურსის მოპოვებაში, ბავშვისთვის რთულად გამოსაყენებელი მასალის მოხმარებაში;
- ☺ აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, კითხვების დასმითა და დიალოგის წარმართვით, ხელს უწყობს ბავშვების აზროვნებას თამაშთან დაკავშირებული მოვლენებისა და ცნებების მიმართულებით, წაახალისებს ბავშვებს დამოუკიდებლად მოძებნონ თამაშის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზები;
- ☺ აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი თამაშების მრავალფეროვნებას ბავშვებში არჩევანის გაკეთების უნარის განსავითარებლად იყენებს.

***ჩანართი**: იმისათვის, რათა დაადგინოთ, რამდენად იყენებთ თამაშს საგანმანათლებლო პროცესში, შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემული თვითშეფასების კითხვარი.*

	ინდიკატორი	**კი**	**არა**
1	ბავშვები დაწესებულებაში გატარებული დროის ნახევარს თამაშში ატარებენ		
2	აღმზრდელ–პედაგოგი/აღმზრდელი რუტინული საქმიანობების დროს თამაშის ელემენტებს იყენებს		
3	აღმზრდელ–პედაგოგი/აღმზრდელი თამაშის ელემენტებს იყენებს გადასვლების დროს		
4	ჯგუფში მრავალფეროვანი რესურსია სხვადასხვა ტიპის თამაშის გასაშლელად		
5	ბავშვები ყოველდღე თამაშობენ ეზოში		
6	ეზოში ყველა ტიპის თამაშისთვის მოიპოვება შესაბამისი ადგილი და აღჭურვილობა		

ჩანართი:

დრამატული თამაშის უნარები	დაწყებითი დონე	მაღალი დონე
როლური თამაში		
შერჩეული როლი	როლები გამომდინარეობს ბავშვის მცდელობისაგან, შეიმეცნოს ნაცნობი სამყარო (მაგ.:დედა, მამა, ბავშვი, ცხოველი)	ბავშვი ირჩევს როლებს გარე სამყაროდან (მაგ.: მეხანძრე, პოლიციელი, ექიმი)
როგორ თამაშობს როლს	ბავშვი თამაშობს როლის ერთ ან ორ ასპექტს (მაგ.:ბავშვი აცხადებს: –,,მე დედა ვარ''– შვილს არწევს და ხელში ბოთლი უჭირავს	ბავშვი როლის მახასიათებლებს აფართოებს (მაგ.:ბავშვი აცხადებს –,,მე დედა ვარ'',აჭმევს შვილს, მიდის შეხვედრაზე, საჭმელს ამზადებს, სამსახურში მიდის, ტელეფონზე საუბრობს და სხვ.)
რეკვიზიტის გამოყენება		
საჭირო რეკვიზიტების ტიპი	ბავშვი იყენებს ნამდვილ ნივთებს ან ამ ნივთის რეპროდუქციას (მაგ.: ნამდვილი ან სათამაშო ტელეფონი)	ბავშვი რეკვიზიტად იყენებს ნებისმიერ ნივთს (მაგ.: კუბურა ვითომ ტელეფონია) ან ხელს იდებს ყურზე, ვითომ ტელეფონია
როგორ იყენებს რეკვიზიტს	ბავშვს მოსწონს ნივთებით ფიზიკური თამაში (მაგ.: ტელეფონის ყურმილის დაკიდება, ნომრის აკრეფა)	თამაშში გამოიყენება რეკვიზიტი (მაგ.: ბავშვი ექიმთან რეკავს, რადგან შვილი ავადაა)
წარმოსახვა	ბავშვი იმეორებს უფროსების მარტივ მოქმედებებს (მაგ.: ამოძრავებს უთოს წინ და უკან, ყურთან მიაქვს ტელეფონის ყურმილი	ბავშვის ქცევა წარმოსახვითი თამაშის ეპიზოდის ნაწილია (მაგ.: ,,კაბას ვაუთოვებ, საღამოთი წვეულებაზე რომ ჩავიცვა'')

დრო	ჩართულობა ხანმოკლეა (მაგ.: ბავშვი შედის ცენტრში, თამაშობს თოჯინით, ქუდს იხურავს და გადის ცენტრიდან)	ბავშვი დრამატულ თამაშში 10 წუთზე მეტი ხნით არის ჩართული (მაგ.: ბავშვი გადაიცვამს ექიმის კოსტიუმს, სინჯავს ,,პაციენტს'', წერს რეცეპტს და კითხულობს –,,ვინ არის შემდეგი''?)
ინტერაქცია	მარტო თამაში (მაგ.: ბავშვი, ვითომ დედაა, არწევს თოჯინას და არ ინტერესდება იმით, სხვები რას აკეთებენ)	თანამშრომლობის მცდელობა (მაგ.: ბავშვი თანხმდება, რომ ავტობუსის მგზავრი იყოს, მძღოლს ბილეთს აწვდის და ელოდება გაჩერებას)
	ფუნქციური ინტერაქცია (მაგ.: ბავშვი თანხმდება, რომ საკუთარ ჯერს დაელოდოს ,,საჭესთან დასაჯდომად'')	
ვერბალური კომუნიკაცია	ბავშვების მეტყველება მხოლოდ სათამაშოების გამოყენებას უკავშირდება (მაგ.: ,,მომაწოდე ეგ ტელეფონი'' ან ,,საწოვარა პირველს მე მქონდა'')	ბავშვები საუბრობენ თემის შესახებ, მუდმივად ლაპარაკობენ როლებზე, რომელსაც თავად ასრულებენ (მაგ.: სცენა რესტორანში: ,,რას ინებებთ?'' ,,გაქვთ ჰამბურგერები?'',, დიახ, გვაქვს ჰამბურგერები, შემწვარი კარტოფილი და კოკა''.) (Dodge et al., 2002, გვ.284)

***შენიშვნა*: *ბავშვებს თამაშის განვითარებაში/გართულებაში რომ დაეხმაროთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემოქმედებით კურიკულუმში მოცემული დრამატული თამაშის დონეები. ეს დონეები დაგეხმარებათ ბავშვის შეფასებაში, და მისი დაწყებით დონეზე ყოფნის შემთხვევაში, ბავშვის საჭიროებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მისთვის მაღალ დონეზე გადასვლაში ხელის შეწყობაში.**

კურიკულუმის არსი და მისი მნიშვნელობა

კურიკულუმი - *ყველა დაგეგმილი ან დაუგეგმავი გამოცდილება, საქმიანობა, რუტინა, მოვლენა და ყველა ტიპის ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოში [ადაპტირებულია Te Whariki]. (AGDE/EWRCAG, 2009).*

როგორც ზემოთ მოცემული განმარტებიდან ჩანს, კურიკულუმი შესაძლოა იყოს როგორც წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღწერილია, თუ რა მიზანს ემსახურება ბაღი, რა უნდა ისწავლებოდეს იქ, როგორი ფორმით და როგორ გარემოში, ასევე, უბრალოდ ჩამოყალიბებული იდეები სწავლების შინაარსს, ფორმასა და გარემოსთან დაკავშირებით. კურიკულუმი ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების წინაპირობაა. მისი არსებობა ნიშნავს, რომ დაწესებულებას მთლიანობაში, და კონკრეტული ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალს, გაცნობიერებული და გაცხადებული აქვთ, თუ რა პროცესები უნდა წარიმართოს დაწესებულების ფარგლებში, როგორ გარემოში და რა რესურსის გამოყენებით. მეორე მხრივ, კურიკულუმი არის ინსტრუმენტი, როგორც ცოდნის ერთობლიობა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელს ხდის ზემოთ აღნიშნული გაცნობიერებული და გაცხადებული პროცესების წარმართვას.

შემოქმედებითი კურიკულუმი ↓

შემოქმედებითი კურიკულუმი არის მრავალმხრივი კურიკულუმი, რომელიც გულისხმობს ბავშვების უნარების განვითარებას როგორც სხვადასხვა სფეროებში (ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური განვითარება), ისე სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების შინაარსების განხილვას (წიგნიერება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება, ტექნოლოგიები), შინაარსების გადაცემას არსებულ საგანმანათლებლო



სტანდარტებზე დაფუძნებით. შემოქმედებითი კურიკულუმის ჩარჩო არის თემა, რომელიც გამოიყენება როგორც საშუალება ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის. ამ კურიკულუმის მიხედვით სივრცე ცენტრებად არის დაყოფილი, სადაც სხვადასხვა ტიპის თემატური საქმიანობა მიმდინარეობს. საქმიანობის არჩევისას, ბავშვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევა.

რით არის ჩვენთვის საინტერესო?

შემოქმედებითი კურიკულუმის მოდელი შედარებით პოპულარულია საქართველოში. საქართველოში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები (სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, სასკოლო მზაობის პროგრამა „ბასკო“) გარკვეულწილად ამ მოდელის ელემენტებს მოიცავს. თემის, როგორც სწავლების საშუალებად გამოყენება, და მისი დახმარებით როგორც განვითარების სფეროების, ისე საგნობრივი მიმართულებების მოცვა, არის სწორედ არსებული პროგრამების ძირითადი მახასიათებელი.

როგორი კურიკულუმები არსებობს

როგორც ზემოთ ითქვა, არსებობს სხვადასხვა ტიპის კურიკულუმების მოდელები. მეცნიერები განსხვავებულ კატეგორიზაციებს გვთავაზობენ. მაგალითად, ერთ შემთხვევაში კურიკულუმები შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ: დემონსტრირებაზე ორიენტირებულ ან კომპეტენციაზე ორიენტირებულ მოდელებად. პირველის შემთხვევაში, კურიკულუმი მკაფიოდ განსაზღვრავს მოლოდინებს და აყალიბებს მკვეთრ ჩარჩოს, თუ რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს. ამ მოდელის კურიკულუმებში აქცენტი მიზანზე კეთდება. კომპეტენციაზე ორიენტირებულ მოდელებში წამყვანი პროცესია და, შესაბამისად, მოსწავლე (ჩვენს შემთხვევაში - ბავშვი) სწავლა-განვითარების პროცესის მონაწილე ხდება.

მეორე შემთხვევაში კი, შეგვიძლია კურიკულუმები სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ იმის მიხედვით, თუ რა როლს ანიჭებენ ისინი უფროსსა და ბავშვს საგანმანათლებლო პროცესში. პირდაპირ-ინსტრუქციულ კურიკულუმებში საგანმანათლებო პროცესში ბავშვს - მომცრო, წამყვანი როლი კი, უფროსს ენიჭება. ეს მოდელები სტრუქტურირებულ საგანმანათლებლო პროცესს გულისხმობს, უფროსის როლი ბავშვებისთვის კონკრეტული უნარებისა და ფაქტების დასწავლაში გამოიხატება. სოციალიზაციის კურიკულუმებში ბავშვს წამყვანი როლი ენიჭება, ის არის ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღები, თუ რა, როდის და როგორ აკეთოს, უფროსის როლი კი, მცირედით შემოიფარგლება. აქ საგანმანათლებლო პროცესი არასტრუქტურირებულ თამაშს გულისხმობს, და უფროსის როლი მასტიმულირებელი მასალის შეთავაზებაში გამოიხატება.

კონსტრუქტივისტულ კურიკულუმებში ბავშვები და უფროსები თანაბარმნიშვნელოვნები არიან საგანმანათლებლო პროცესში - მათი ჩართულობა მაღალია და თანაბარი. კონსტრუქტივისტული კურიკულუმის მიზანი ბავშვისთვის აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებაა, უფროსის როლი კი - ამ უნარების განსავითარებელი შესაბამისი გამოცდილების ხელშეწყობა.

მსოფლიოში მრავალი კურიკულუმია გავრცელებული. სხვადასხვა ქვეყანას თავისი

ნაციონალური კურიკულუმი აქვს, მაგალითად, ახალ ზელანდიას - „ტე ვარიკი“. ასევე არსებობს მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული მოდელები, მაგალითად, „მონტესორი“-ს კურიკულუმი. კვლევები გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია დადგინდეს ერთი საუკეთესო მოდელი, და რომ ბევრი ერთმანეთისგან განსხვავებული მოდელია ხარისხიანი და ეფექტიანი.

თუმცა ზუსტად ეს კვლევები გვაძლევს საშუალებას, დიფერენციაცია მოვახდინოთ ხარისხიან კურიკულუმებსა და ისეთ მიდგომებს შორის, რომლებსაც უნდა მოვერიდოთ ადრეულ განათლებაში. მაგალითად, კვლევების მიხედვით, კურიკულუმის ის მოდელები, რომლებშიც აქცენტი მიზანზე უფრო კეთდება, ვიდრე პროცესზე, არ იყენებენ თამაშს, როგორც ბუნებრივ სწავლის პროცესს, უფროსის როლიც, საგანმანათლებლო პროცესში, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბავშვისა, არ ხდება ბავშვის ინტეგრირებულად ჰოლისტური განვითარება, ნაკლებად ხარისხიანია და ადრეულ განათლებაში ამ ტიპის კურიკულუმებს აღარ იყენებენ. ამის საპირისპიროდ კი რჩება უამრავი კურიკულუმის მოდელი, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის მოთხოვნებს.

არსებობს უამრავი მოდელი, რომელთა დაჯგუფებაც შესაძლებელია. მაგალითად, არსებობს თემატური კურიკულუმები - საგანმანათლებლო პროცესი ბავშვებისთვის საინტერესო თემის ირგვლივ ტრიალებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობები, შერჩეულ თემასთან დაკავშირებით, განსაზღვრული პერიოდით იგეგმება. საქართველოში არსებული სასკოლო მზაობის პროგრამა „თ.ა.მ.ა.შ.ი.“ თემატური კურიკულუმია, რადგან ის საგანმანათლებლო ჩარჩოდ გვთავაზობს, თემა ბავშვების ინტერესებზე დაყრდნობით შევარჩიოთ, ამ თემის ფარგლებში ინტეგრირებულად ვასწავლოთ და ბავშვები ჰოლისტურად განვავითაროთ.

ასევე საინტერესოა ემერჯენტული კურიკულუმები, რომლებიც ბავშვების ინტერესებს ემყარება. ამ ტიპის კურიკულუმებში აქტივობები წინასაწარ ნაკლებად იგეგმება, საგანმანათლებლო პროცესი მთლიანად მიჰყვება ბავშვებს და მათ ინტერესებს და გეზს იცვლის ყოველთვის, როდესაც ბავშვის ინტერესი იცვლება. ტყის სკოლა ემერჯენტული კურიკულუმის ერთ-ერთი მოდელია.

კურიკულუმის შერჩევის ან შექმნის პროცესში გადამწყვეტია ცოდნა როგორც თანამედროვე კვლევების, ისე კურიკულუმის განსხვავებული მოდელების შესახებ.

რეჯიო ემილია ↓

კურიკულუმის ეს მოდელი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იტალიაში შეიქმნა. მისი სულისჩამდგმელი ლორის მალაგუცი იყო. სწორედ მან გახსნა იტალიის პატარა ქალაქ რეჯიო ემილიაში ბაღები, რომლის მიზანიც იყო ისეთი ბავშვების გაზრდა, რომლებიც ომს აღარ წამოიწყებდნენ. რეჯიო ემილიას, როგორც კურიკულუმის მოდელის, ამოსავალი წერტილია ბავშვის „ასი ენა“, როგორც თვითგამოხატვის ასი გზა. ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა სწორედ ამ „ასი ენის“ მოსმენით, ესთეტიკური, შემოქმედებითი გარემოსა და მრავალფეროვანი რესურსის შეთავაზებით ხდება. რეჯიო ემილიას მოდელის ფიზიკური გარემო მაღალი, დახვეწილი ესთეტიკით გამოირჩევა. აქაც ვხვდებით თემატურ სივრცეებს, გარემოში უხვია ბუნებრივი

მასალა, რომელსაც ბავშვები აკვირდებიან, იკვლევენ, შემოქმედებით აქტივობებში იყენებენ. მოდელისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახისა და თემის ჩართულობა ბავშვის კეთილდღეობისთვის.

რით არის ჩვენთვის საინტერესო?

კურიკულუმის ეს მოდელი განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების მნიშვნელობის კუთხით, საზოგადოების ჩართულობა ადრეული ასაკის ბავშთა კეთილდღეობის საკითხში, სოციალურ პასუხისმგებლობაზე მითითება, ესთეტიკური გარემოს როლი, კვლევითი უნარების, შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების განვითარება, ბავშვის ყველა ენის მოსმენა - ის გამოწვევებია, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე ქართული საზოგადოება და რომელსაც მნიშვნელოვნად ეხმიანება რეჯიო ემილიას მოდელი.

რეკომენდაციები კურიკულუმის შემუშავებისას

კურიკულუმი, გარკვეულწილად, არის საშუალება, რომელსაც მიზანთან მივყავართ, მიზანი კი ნებისმიერი ბავშვის მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარებაა, როგორც ეს განსაზღვრულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებში. რადგან მიზანთან მიმავალი გზა, შესაძლოა, განსხვავებული იყოს, შესაბამისად, ბუნებრივია სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა კურიკულუმის არსებობაც. უფრო მეტიც, შესაძლოა საგანმანათლებლო პერსონალმა თავად შეიმუშაოს კურიკულუმი თავისი ჯგუფისთვის და მისი საშუალებით მოახდინოს ბავშვის ჰოლისტური განვითარება.

შესაბამისად, დაწესებულებას, ან საგანმანათლებლო პერსონალს რამდენიმე ვარიანტი აქვს - შეუძლია, ერთი მხრივ, უკვე არსებული კურიკულუმი დანერგოს ან ახალი შეიმუშაოს.

მსოფლიოში ცნობილი კურიკულუმების მოდელების გარდა, შესაძლოა საქართველოში შექმნილი კურიკულუმის მოდელის გამოყენებაც, ან, როგორც უკვე ითქვა, საკუთარი კურიკულუმის შემუშავება, რაც შეიძლება სრულიად

ახალი კურიკულუმის შექმნასაც გულისხმობდეს და ეკლექტურსაც. ეკლექტურია კურიკულუმი, რომელიც აერთიანებს კურიკულუმის ორ ან მეტ მოდელს. ნებისმიერ შემთხვევაში, კურიკულუმი უნდა ერგებოდეს ადგილობრივ მარეგულირებელ სტანდარტებს, ადგილობრივ საჭიროებებს და ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს. კურიკულუმის შექმნისას ან არჩევისას დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს როგორც საკუთარი ინსტიტუციის მახასიათებლები, მიზნები და მისია, ისე ბავშვების უნარები და განვითარების საჭიროებები, და ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო სტანდარტები. ქვემოთ მოცემულია ის საკითხები, რომლებიც უნდა აისახოს ჩვენს მიერ შემუშავებულ კურიკულუმში:

- კურიკულუმის შესაბამისობა ადრეული და სკოლამდელი განათლების ადგილობრივ მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საგანმანათლებლო სტანდარტებთან; შესაბამისობა ბავშვის ასაკობრივ განვითარებასთან, ინტერესებსა და საჭიროებებთან;
- ინკლუზიური განათლების ელემენტების ასახვა კურიკულუმში; თითოეული ბავშვის ჩართულობის მაღალი ხარისხი;
- კულტურა და დაინტერესებული მხარეების გათვალისწინება;
- თანამედროვე კვლევები და ცოდნა;
- ნათლად ფორმულირებული მიზნები, სწავლების შინაარსი, სტრატეგიები და შეფასების სისტემა.

როგორი უნდა იყოს კურიკულუმის სტრუქტურა?

კურიკულუმი უნდა შედგებოდეს შემდეგი ძირითადი საკითხებისგან:

- **კურიკულუმის მიზანი** - რას უნდა მივაღწიოთ, რა შედეგებზე გვსურს გასვლა?
- **კურიკულუმის შინაარსი** - რისი სწავლება გვინდა?
- **კურიკულუმის მეთოდოლოგია** - როგორ ვასწავლით, რა ტიპის საქმიანობებს ვატარებთ და რომელ პედაგოგიურ მეთოდებს ვიყენებთ? რა რესურსს ვიყენებთ, როგორია ფიზიკური გარემო, განრიგი?
- **შეფასება** - როგორ გავზომავთ მიღებულ შედეგებს?

საქართველოში, ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის დამტკიცებით, ჩნდება დოკუმენტი, რომელიც გვიწესებს მიზანს, შესაბამისად, ნებისმიერი კურიკულუმი, რომელსაც შევარჩევთ თუ შევქმნით, ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს.

ჩანართი: **ბაგა-ბაღის, „დარიჩინი“, კურიკულუმი.**
სახელწოდება: *ფერადი სამყარო*
ასაკობრივი ჯგუფი: *5-6 წლიანები*

- **კურიკულუმის მიზანი** - *შემოქმედებითი უნარების განვითარება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება და ა.შ. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის ნორმების შესრულება.*

შემოქმედებითობა, ანუ ნებისმიერ საქმიანობაში ახალი გზების ძიება, წამოჭრილი პრობლემის საინტერესოდ გადაჭრის უნარი, არის ის უნარი, რაც ასე სჭირდება თანამედროვე ადამიანს. ამ ყველაფერს საფუძველი ადრეულ ასაკში უნდა ჩაეყაროს. მოცემული კურიკულუმის მიზანია ბავშვისთვის შემოქმედებითი უნარების განვითარება, რათა მან შეძლოს ამ უნარების საკუთარი აზრების, გრძნობებისა და ცოდნის გამოსახატავად გამოყენება.

გარდა შემოქმედებითი უნარებისა, კურიკულუმი ფარავს შემდეგ სფეროებსაც: ფიზიკური განვითარება: ხელოვნების აქტივობებზე მუშაობით ბავშვები განივითარებენ ნატიფ მოტორიკას, რადგან მათ ექნებათ საშუალება, მოსინჯონ და გამოიყენონ სხვადასხვა ინსტრუმენტი (ფანქრები, ფუნჯი, მაკრატელი, სტეპლერი და ა.შ.). სოციალურ-ემოციური განვითარება: მცირე ქვეჯგუფებში, ან წყვილებში მუშაობისას ისეთ სოციალურ უნარებს განვავითარებთ, როგორიცაა: თანამშრომლობა, კონფლიქტების მოგვარება, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა, პრობლემის გადაჭრის უნარი. შემეცნებითი განვითარება: სხვადასხვა სამხატვრო მასალის დამზადებით, ბავშვები საგნების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს შეისწავლიან.

- **კურიკულუმის შინაარსი** - *სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება ხელოვნების სხვადასხვა ჟანრებთან (ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება) დაკავშირებული აქტივობები. ბავშვები იმუშავებენ პორტრეტებსა და ავტოპორტრეტებზე სხვადასხვა სამხატვრო, თუ მეორადი მასალების გამოყენებით, შექმნიან სიბრტყივ და სამგანზომილებიან ნამუშევრებს, ნამუშევრებში ასახავენ საკუთარ ემოციებს, განცდებს, გრძნობებს, ხასიათს, და მასალასაც სწორედ ამის მიხედვით შეარჩევენ. გამოიყენებენ სხეულის ენას (პლასტიკას) ცეკვების დასადგმელად, ხელნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტებით შექმნიან სხვადასხვა ხასიათის მუსიკას და ა.შ.*
- **კურიკულუმის მეთოდოლოგია** - *უფროსები იყენებენ პოზიტიური დისციპლინის პრინციპებსა და სტრატეგიებს, განვითარების ხელშესაწყობად, ძირითადად მოდელირებისა და ხარაჩოს მეთოდი გამოიყენება. ჯგუფის სივრცე დაყოფილია ხელოვნების შესაბამისი ჟანრების მიხედვით, სივრცეებს, პირობითად, სახელოსნოები ჰქვია. მაგალითად, არის ფერწერის, გრაფიკის, დიზაინის, ქანდაკების, არქიტექტურის, თოჯინების, მუსიკის, ცეკვის, თეატრის სახელოსნო, შესაბამისი რესურსით. ბავშვები თავად ირჩევენ, რომელ სახელოსნოში შევლენ და რას გააკეთებენ.*
- **შეფასება** - *კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაფასებლად გამოიყენება მასწავლებლის დაკვირვების ჩანაწერები და ბავშვების ნამუშევრების პორტფოლიო.*

თუ თქვენი ბაღის ფარგლებში გადაწყვეტთ ისეთი კურიკულუმის შექმნას, რომელიც აქცენტს ბავშვებისთვის კვლევითი უნარების განვითარებაზე გააკეთებს, შესაძლოა გამოგადგეთ ვიდეო „მკვლევარი ბავშვები", რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინა აღმზრდელმა ბავშვების კვლევითი უნარები და როგორ შეუწყო ხელი მათ მეტად განვითარებას. ვიდეო იხილეთ ლინკზე:

https://www.youtube.com/watch?v=NMpv7yn5-lE&feature=youtu.be

ჩანართი:

ტყის სკოლა

ტყის სკოლები თავდაპირველად ჩრდილოეთის ქვეყნებში შეიქმნა (შვედეთი, დანია). მათი დაარსების მიზანი იყო შექმნილიყო სივრცე, სადაც ბავშვებს ბუნებრივ გარემოში ყოფნის და ასეთ გარემოში განვითარების საშუალება ექნებოდათ. დღეისათვის ტყის სკოლებმა საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა და ადრეულ განათლებაში კურიკულუმის ერთ-ერთ წარმატებულ მოდელად ითვლება.

ტყის სკოლის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვები საუკეთესოდ და ჰარმონიულად სწორედ ბუნებაში ყოფნის დროს ვითარდებიან, ისინი ამ დროს თავისუფლები, ლაღები არიან, სწავლობენ უსაფრთხოების წესებს, პრობლემის გადაჭრას, სხვაზე ზრუნვას.

რით არის ჩვენთვის საინტერესო?

ჩვენი ქვეყნის რეალობაში ტყის სკოლების კურიკულუმის მოდელი განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს რეგიონების იმ ბაღებისთვის, რომელთა შორიახლოსაც ტყე, ნაკრძალი ან მსგავსი ტიპის ლანდშაფტია, სადაც ბავშვები უსაფრთხოდ შეძლებენ მთელი დღის გატარებას. თუმცა კურიკულუმის ეს მოდელი შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს დიდი ქალაქებისთვისაც, ვინაიდან სწორედ ამ ქალაქებში მცხოვრებ ბავშვებს ნაკლებად აქვთ ბუნებაში ყოფნის საშუალება.

კურიკულუმის ეფექტიანობის ინდიკატორები

კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავების შემდეგ, გვჭირდება მაჩვენებლები, რომლებიც დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რამდენად ეფექტიანია ჩვენს მიერ შემუშავებული კურიკულუმი, ვინაიდან მხოლოდ ეფექტიანი კურიკულუმი უზრუნველყოფს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. რა არის კურიკულუმის ეფექტიანობის ინდიკატორები? გამოყოფენ შემდეგ მაჩვენებლებს:

- **კურიკულუმი უზრუნველყოფს ბავშვების აქტიურ ჩართულობას** - იმისათვის, რათა ბავშვები სხვადასხვა მიმართულებით განვითარდნენ - ფიზიკურად, გონებრივად, სოციალურად, ემოციურად - მნიშვნელოვანია მათი სრულფასოვანი ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში;
- **კურიკულუმს აქვს მკაფიო, გაზიარებული მიზნები** - კურიკულუმის მიზნები მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, და ყველა მხარისთვის გაზიარებული - დაწესებულების ადმინისტრაციისთვის, საგანმანათლებლო პერსონალისთის, ოჯახებისთვის;
- **კურიკულუმი მტკიცებულებებზეა დაფუძნებული** - ეფექტიანი კურიკულუმი ეფუძნება მტკიცებულებებს, რომლებიც ბავშვის განვითარებას, კულტურას შეესაბამება;

- **კურიკულუმი გულისხმობს თამაშითა და აღმოჩენებით სწავლებას** - ბავშვები საუკეთესოდ სწავლობენ საკუთარი გამოცდილებით, ისინი იკვლევენ, აკვირდებიან, თამაშით შეიმეცნებენ სამყაროს, ეფექტიანი კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვების ამ ბუნებას;
- **კურიკულუმი არის ყოვლისმომცველი, მრავალმხრივი** - სასწავლო პროგრამა მოიცავს განვითარების ყველა სფეროს, როგორც ფიზიკურს, შემეცნებითს, მეტყველება-კომუნიკაციას, სოციალურ-ემოციურს, ასევე - საგნობრივ მიმართულებებს (ხელოვნება, მეცნიერება, წიგნიერება);
- **კურიკულუმი ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსზეა მორგებული** - კურიკულუმი არა მხოლოდ ბავშვის საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს, არამედ ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსზეც უნდა იყოს მორგებული, რაც გულისხმობს მისი კომპეტენციის დონესა და კურიკულუმის განხორციელების შესაძლებლობას შორის შესაბამისობას;
- **კურიკულუმი პასუხობს ადგილობრივ საგანმანათლებლო სტანდარტებს** - ეფექტიანი კურიკულუმი შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტებს და უზრუნველყოფს ამ სტანდარტების შესრულებას;
- **კურიკულუმი ბავშვზეა მორგებული** - კურიკულუმი იძლევა საშუალებას, რომ ნებისმიერი ბავშვი, რომელიც პროგრამაშია ჩართული, განვითარდეს თავისი მაქსიმალური პოტენციალის შესაბამისად, მიუხედავად მისი ინდივიდუალური მახასიათებლებისა (ასაკი, სქესი, მშობლიური ენა, სოციო-კულტურული წარმომავლობა, შესაძლებლობები და სხვ.);
- **კურიკულუმი გულისხმობს პატივისცემაზე დაფუძნებულ პოზიტიურ სოციალურ გარემოს** - ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსები და სხვა თანამშრომლები ბავშვებთან, მშობლებთან და ერთმანეთთან პატივისცემით ურთიერთობენ და პოზიტიური სოციალური გარემოს დასამკვიდრებლად და შესანარჩუნებლად სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ.

თქვენს მიერ შერჩეული ან შემუშავებული კურიკულუმი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება თქვენი დაწესებულების მუშაობა ეფექტიანი და პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსაც ამ შემთხვევაში მიაღწევთ.

როგორ უზრუნველვყოთ ბავშვის ჰოლისტური განვითარება:

ჰოლისტური განვითარების განმარტება და მნიშვნელობა

ჰოლისტური განვითარება ბავშვის მთლიანობით განვითარებას გულისხმობს, როცა ბავშვის განვითარება ყველა სფეროში თანაბრად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ჰოლისტური მიდგომისთვის არ არსებობს პრიორიტეტული, ან ნაკლებად მნიშვნელოვანი სფეროები.

ჰოლისტური განვითარება *-თვითაქტუალიზაციისა და სწავლის პროცესი, რომელიც მოიცავს ინდივიდის ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ ზრდას კომპლექსურად. ბავშვის მრავალმხრივი/ ჰოლისტური განვითარება გულისხმობს მათი ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ურთიერთობების საჭიროებების თანხვედრას. განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა ახალისებს მზრუნველს, დაინახოს ბავშვი, როგორც მთლიანი პიროვნება და არა ცალკეული განვითარების სფეროების ნაკრები (Holistic development in children, n.d.).*

ბავშვის განვითარების სტანდარტები - რისთვის და როგორ გამოვიყენოთ?

ჰოლისტურ განვითარებაზე მუშაობისას, უფრო მოსახერხებელია ბავშვის განვითარების დაყოფა განვითარების სფეროებად. ასეთი დაყოფა, ერთი მხრივ, გვიყალიბებს ხედვას ბავშვის განვითარების მრავალწახნაგოვნებისა და სხვადასხვა მიმართულების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, რომელიმე სფეროს გამორჩენის საფრთხეს აგვარიდებს. შესაბამისად, მოგვცემს საშუალებას, მიზანმიმართულად ვიზრუნოთ ყველაზე თანაბრად. ბავშვის განვითარებაზე ზრუნვას ამარტივებს ის დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულია ბავშვისთვის მისაღწევი შედეგები, ანუ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების თავი 2 „ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები“ და თავი 3 „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი“ (შემდგომში - „ბავშვის განვითარების სტანდარტები“). სტანდარტების დოკუმენტში ხომ სწორედ ის უნარები და კომპეტენციებია თავმოყრილი, რომელზე მუშაობის შედეგადაც ვაღწევთ ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

„ბავშვის განვითარების სტანდარტების“ გამოყენება, იმის მიხედვით, თუ ვინ არის მომხმარებელი და რა მიზანი გვაქვს, სხვადასხვანაირად შეიძლება:

- **კურიკულუმის შესამუშავებლად -** „ბავშვის განვითარების სტანდარტები“ სწორედ ის დოკუმენტია, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს დაწესებულების კურიკულუმი. დოკუმენტში მოცემული შედეგების მიღწევის წახალისება კურიკულუმის უმთავრეს ამოცანად უნდა იქცეს;
- **საგანმანათლებლო პროცესის დასაგეგმად და წარსამართად -** „ბავშვის განვითარების სტანდარტებში“ მოცემული ინდიკატორებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რა პირობებია საჭირო იმისათვის, რათა, ერთი მხრივ, ინდიკატორების განვითარების ხაზით ნაჩვენები პროცესი წარიმართოს და, მეორე მხრივ, ესა თუ ის ინდიკატორი გამოვლინდეს. ეს პირობები მოიცავს სხვადასხვა ასპექტს: ინტერაქციებს (უფროსებთან და თანატოლებთან) და ფიზიკურ გარემოს.

  სტანდარტი, საგანმანათლებლო პერსონალს კარნახობს, თუ რა ტიპის ჩარევებს უნდა მიმართოს ბავშვთან უშუალოდ მან, ან ხელი შეუწყოს თანატოლებს და სხვა უფროსებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, სტანდარტის მომხმარებელი იყოს დაწესებულების ყველა საგანმანათლებლო პერსონალი,

მათ შორის, აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი და ბავშვთა ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი.

ბავშვის განვითარების სტანდარტში მოცემული შედეგების უზრუნველსაყოფად, მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის კომპეტენციები და მონდომება, საკმარისი არ არის. ამისთვის საჭიროა შესაბამისი ფიზიკური გარემოც. აქედან გამომდინარე, ბავშვის განვითარების სტანდარტის დოკუმენტი გვკარნახობს, თუ როგორი ფიზიკური გარემო უნდა შეიქმნას, როგორ აღვჭურვოთ ეს გარემო, რა საგანმანათლებლო რესურსი შევიტანოთ და ა.შ. ამ თვალსაზრისით, სტანდარტის მომხმარებლები არიან როგორც საგანმანათლებლო პერსონალი, ისე დაწესებულების ადმინისტრაცია;

- **გუნდური მუშაობისთვის** - „ბავშვის განვითარების სტანდარტები“ გვთავაზობს საერთო ენას და მიზნებს, რომელიც გაზიარებულია დაწესებულებაში მომუშავე ყველა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. მეორე მხრივ, ამ დოკუმენტის გამოყენება საგანმანათლებო პერსონალს გაუიოლებს თანამშრომლობას მშობლებთან, დაწესებულების გარეთ კოლეგებთან და სხვა სპეციალისტებთან და დაწესებულების სხვა პერსონალთან, მაგალითად, ადმინისტრაციასთან.
- **ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად** -„ბავშვის განვითარების სტანდარტებზე“ დაფუძნებით, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად, შესაძლოა, საკუთარი სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიმუშაოს. აღნიშნულ სტანდარტზე დაყრდნობით მას შეუძლია განსაზღვროს ფიზიკური გარემოს საჭიროებები და საგანმანათლებლო პერსონალის კომპეტენციების გაღრმავების საჭიროებები. დაწესებულებას შეუძლია მიზნად დაისახოს, მაგალითად, უხეში მოტორიკის განმავითარებელი აღჭურვილობის შეძენა, ან შემოქმედებითი აქტივობებისთვის საჭირო რესურსით მომარაგება, ბაღის ტერიტორიის გარეთ აქტივობების დაგეგმვა ბავშვების შემეცნებითი და სოციალური უნარების განსავითარებლად და ა.შ.
- **საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადების დასაგეგმად** - „ბავშვის განვითარების სტანდარტები“ ჰოლისტური მიდგომის პრინციპებს ეფუძნება, თუმცა ამ დოკუმენტში მოცემულია ცალკეული სფეროები, რომელთა განვითარებასაც შესაბამისი სტრატეგიების ცოდნა სჭირდება. ამ მხრივ ბავშვებთან მომუშავე უფროსების კომპეტენციების ამაღლება კი, როგორც ბავშვს, ისე თავად უფროსებს და იმ ინსტიტუციასაც, რომელშიც ისინი მუშაობენ, წაადგება. დაწესებულების ადმინისტრაციამ მათთვის, შესაძლოა, ისეთი ტრენინგების ორგანიზება უზრუნველყოს, რომლებიც მათ ცოდნას სწორედ ამ მიმართულებით გააღრმავებს, მაგ.: წარმოსახვითი თამაშის ხელშეწყობა ადრეულ ასაკში, შემოქმედებითი საქმიანობების როლი ბავშვის განვითარებაში, უხეში მოტორიკის განმავითარებელი გარემოს ორგანიზება და ა.შ.

საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი

დაწესებულების თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მიმართულებების სპეციფიკურად, სიღრმისეულად განხორციელებას, ან მთლიანობაში უწევენ დახმარებას საგანმანათლებლო პროცესს (მაგ.: აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, რიტმიკის, ცეკვის, ხატვის მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი და ა.შ.). ამ ტიპის პერსონალის აყვანას დაწესებულება საჭიროებისამებრ განსაზღვრავს.

განვითარების ხელშეწყობა თუ ბენჩმარკების მაჩვენებლების მიღწევა

„ბავშვის განვითარების სტანდარტები" არის დოკუმენტი, რომლის საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებაც, უზრუნველყოფს ბავშვის სხვადასხვა სფეროებში განვითარების ხელშეწყობას, რითაც ჰოლისტური მიდგომა ხორციელდება, თუმცა, ასეთ დროს, სტანდარტების დოკუმენტი შესაძლოა ჩარჩოდ გადაგვექცეს - საგანმანათლებლო პროცესის უმთავრეს მიზნად სტანდარტის მაჩვენებლების მიღწევა გახდება, თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების ტემპისა და საჭიროებების გაუთვალისწინებლად. სტანდარტებით მუშაობისას ყოველთვის უნდა დავიცვათ ეს ოქროს შუალედი - ბავშვის ჰოლისტური განვითარებაც უნდა მოვახერხოთ და თან არც შედეგებს მივეჯაჭვოთ და ბავშვის განვითარებას ინდივიდუალური განვითარების ტემპის ჭრილში ვუყურებდეთ.

საუკეთესო პრაქტიკა განვითარების თითოეული სფეროს განსავითარებლად - რას აკეთებს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი?

აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს ბავშვის განვითარების სტანდარტში ჩამოთვლილი სფეროების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. სწორედ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობები, მათ მიერ შეთავაზებული გარემო უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას.

<u>რას ვაკეთებთ ფიზიკური განვითარებისთვის?</u>

ფიზიკური განვითარების სფერო მოიცავს ბავშვის მოტორულ და სენსორულ განვითარებას.

რას ვაკეთებთ? ვქმნით უსაფრთხო გარემოს, სადაც თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის მოძრავ თამაშში ჩართვის საშუალება, ვთავაზობთ სახატავ, საძერწ მასალას, სხვადასხვა ტიპის მანიპულატივებს ნატიფი მოტორიკის განსავითარებლად. ხელს ვუწყობთ შეგრძნების ყველა ორგანოს გამოყენებას სხვადასხვა საქმიანობის დროს.

<u>რას ვაკეთებთ კომუნიკაციისა და მეტყველების სფეროს განვითარებისთვის?</u>

კომუნიკაციისა და მეტყველების სფერო მოიცავს ბავშვის კომუნიკაციურ უნარებს, რეცეპტიულ და ექსპრესიულ მეტყველებას, პრაგმატიკის განვითარებას და წერა-კითხვის ემერჯენტული უნარების ჩამოყალიბებას.

რას ვაკეთებთ? ხშირად ვესაუtბრებით ბავშვებს, ხელს ვუწყობთ და წავახალისებთ, რომ თითოეულმა მათგანმა გამოთქვას თავისი აზრები, ვერბალურად გადმოსცეს

ემოციები, გრძნობები, საკუთარი მოსაზრებები, ხელს ვუწყობთ კომუნიკაციის ძირითადი სოციალური ნორმების დაცვას, ხშირად ვუკითხავთ ასაკის შესაბამის ლიტერატურას, ვუხსნით ახალი სიტყვების მნიშვნელობას და ა.შ.

<u>რას ვაკეთებთ სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებისთვის?</u>

სოციალურ-ემოციური სფერო მოიცავს თვითიდენტობის, კომპეტენტურობის განცდის, თავდაჯერებულობის საკითხებს. სოციალურ-ემოციურ სფეროში კომპეტენტურობა ასევე გულისხმობს ბავშვის უნარს, ამოიცნოს საკუთარი და სხვების ემოციები, პოზიტიურად ითანამშრომლოს თანატოლებთან და უფროსებთან და გადაჭრას ურთიერთობისას წარმოქმნილი პრობლემები.

რას ვაკეთებთ? ესაუბრეთ ბავშვს საკუთარ შეგრძნებებსა და ემოციებზე, დაეხმარეთ ემოციების ამოცნობაში, ასწავლეთ ემოციების ადეკვატურად გამოხატვა, წაახალისეთ ბავშვის პოზიტიური ქცევა, გამოხატეთ მხარდაჭერა ბავშვის მიმართ, აგრძნობინეთ, რომ თქვენი იმედი შეიძლება ჰქონდეს, საჭიროებისას დაეხმარეთ ბავშვებს გადასვლების დროს, მიეცით ბავშვებს საშუალება, ერთად ითამაშონ და თამაშისას პოზიტიური კომუნიკაცია დაამყარონ, მიეცით ბავშვებს საშუალება, რომ სხვადასხვა ადგილას მოხვდნენ (ბიბლიოთეკა, სტადიონი, მუზეუმი და ა. შ.), ასწავლეთ განსხვავებულ გარემოში ქცევის წესები. წაახალისეთ დრამატული თამაშები ჯგუფში, რათა ბავშვებმა მოახდინონ სოციალური ქცევის დემონსტრირება.

<u>რას ვაკეთებთ შემეცნებითი სფეროს განვითარებისთვის?</u>

შემეცნებითი სფერო მოიცავს ცნობისმოყვარეობას და ყურადღებას, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრას და მაღალი დონის სააზროვნო უნარებს.

რას ვაკეთებთ? ფიზიკური გარემოს მართვით, ბავშვებისთვის ახალ გამოცდილებებს ვქმნით . წავახალისებთ გამოწვევების შემცველ გამოცდილებებს. ვიყენებთ ხარაჩოს მეთოდს. ვუსვამთ ბავშვებს სააზროვნო ღია კითხვებს და ა.შ.

<u>რას ვაკეთებთ დამოუკიდებლობის და ადაპტური ქცევის განვითარებისთვის?</u>

დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება გულისხმობს ბავშვის დამოუკიდებლობის, თვითმოვლის უნარ-ჩვევების, უსაფრთხოების განცდისა და მედეგობის ხელშეწყობას.

რას ვაკეთებთ? ხელს ვუწყობთ თვითმოვლის უნარების ჩამოყალიბებას, წავახალისებთ დამოუკიდებლობას, ხელს ვუწყობთ ინიციატივას, ვქმნით გარემოს, სადაც ბავშვი თავს დაცულად იგრძნობს.

ეფექტიანი განრიგი

ეფექტიანი დღის განრიგი ხარისხიანი ადრეული განათლების ერთ-ერთი მახასიათებელია. სწორად შემუშავებული განრიგი ქმნის საბაზისო პირობებს მრავალფეროვანი და მდიდარი გამოცდილებებისთვის. „კვლევამ აჩვენა, რომ დღის განრიგი და რუტინა მოქმედებს ბავშვების ემოციურ, კოგნიტურ და სოციალურ განვითარებაზე. მაგალითად, საბავშო ბაღში მუდმივი და ნაცნობი დღის განრიგი

ეხმარება ბავშვებს იგრძნონ თავი უსაფრთხოდ და კომფორტულად. ამასთანავე, განრიგი და რუტინა ეხმარება ბავშვებს გაიგონ, რას მოელის გარემო მათგან, რაც ამცირებს პრობლემურ ქცევას, როგორიცაა ტანტრუმები და აგრესიული ქმედებები. აქტივობების განრიგი, რომელიც ითვალისწინებს ბავშვების არჩევანს, დაბალანსებულ და დაგეგმილ აქტივობებს (პატარა თუ დიდი ჯგუფები, წყნარი თუ აქტიური აქტივობები, უფროსთან ერთად თუ მისგან დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაო, შენობაში თუ ეზოში), ინდივიდუალურად მორგებულ დავალებებს, ზრდის ბავშვების ჩართულობას.

მნიშვნელოვანია, რომ განრიგს თავად დაწესებულება ადგენდეს და არა მუნიციპალიტეტი, ან ბაგა-ბაღების გაერთიანება. განრიგი უშუალოდ ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის დონეზე უნდა მუშავდებოდეს, რადგან სწორედ მან იცის ყველაზე კარგად, როგორია ბავშვების საჭიროებები, დღის რომელი მონაკვეთი როგორ ჯობია დაიგეგმოს და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში, განრიგის გაწერაში დაწესებულების მეთოდისტი ჩაერთვება. ამ დროს მნიშვნელოვანია თითოეულ ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის უკუკავშირის მოსმენა განრიგის შემადგენელ კომპონენტებთან, დროსთან, თანმიმდევრობასთან დაკავშირებით და თითოეული ჯგუფის დღის განრიგის მათი რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავება, რომ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს. ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფში მომუშავე უფროსებს ჰქონდეთ თავისუფლება, ცვლილებები შეიტანონ უკვე შემუშავებულ განრიგში. ცვლილებების შეტანა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ დროს, როდესაც საგანმანათლებლო პერსონალი შეამჩნევს, რომ დღის განრიგი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ბავშვებისა და უფროსებისთვის.

რეკომენდაციები ეფექტიანი განრიგის შესამუშავებლად

დღის განრიგის კომპონენტები

ეფექტიანი დღის განრიგის შესამუშავებლად, პირველ რიგში, საჭიროა განვსაზღვროთ, რა კომპონენტებისგან უნდა შედგებოდეს იგი და რას გულისხმობს თითოეული ეს კომპონენტი. ამაში მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს შერჩეული კურიკულუმი, რადგან მასში უკვე განსაზღვრულია ეს ინფორმაცია. თუ კურიკულუმს თავად შევიმუშავებთ, ან ის ამ ინფორმაციას არ გვაწვდის, მაშინ, შერჩეული ადრეული განათლების მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, თავად უნდა ჩამოვაყალიბოთ კომპონენტები.

კომპონენტებში აუცილებლად უნდა მოხვდეს ისეთი საქმიანობები, რომელიც საერთოა მთელი ჯგუფისთვის ან/და ჯგუფის წევრებს განსხვავებულ მოთხოვნებს უწესებს. მაგალითად, კვება დღის განრიგის კომპონენტია, რადგან ამ დროს უფროსებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ საკვები და ფიზიკური გარემო კვებას მოარგონ, ან ბავშვები წაახალისონ, რომ კვებისთვის განკუთვნილ ადგილას გადაინაცვლონ.

დღის განრიგის შესაძლო კომპონენტები:

- **მოსვლა & შეხვედრა** - ამ დროს თქვენი ჯგუფი ნელ-ნელა ივსება ბავშვებით.
- **სრული ჯგუფის შეხვედრა (დილის და საღამოს წრე)** - ამ დროს იკრიბება

სრული ჯგუფი. დილის წრის ძირითადი მიზანია დღის მოლოდინების ჩამოყალიბება და გეგმებისა და სიახლეების გაცნობა, ხოლო საღამოს წრის დროს ბავშვებმა განვლილ დღეზე, მიღებულ შთაბეჭდილებებსა და გაკეთებულ აღმოჩენებზე უნდა ისაუბრონ.

▶ **თამაში** - ამ დროს თქვენი ჯგუფის ბავშვები თამაშობენ ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში. კურიკულუმის ზოგიერთი მოდელის ფარგლებში ეს იქნება შენობაში ცენტრებში მუშაობა, ზოგიერთი მოდელის შემთხვევაში კი - შენობასა და ეზოში თამაში. ბავშვები უფროსთან ერთად, ან მისგან დამოუკიდებლად, მონაწილეობენ საქმიანობებში. ამ პერიოდში ბავშვებს ეძლევათ საშუალება, დაკავდნენ სხვადასხვა საქმიანობით, ცვალონ თამაშები ან გააღრმაონ მათთვის საინტერესო თამაში.

▶ **ეზო** - ზოგიერთი ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების პროგრამის მიხედვით, შეუძლებელია ბავშვებს ეზოში თავისუფლად გასვლის ნება დავრთოთ. ამ შემთხვევაში ეზო დღის განრიგის კომპონენტი ხდება, რომლის დროსაც ჯგუფის ბავშვები ეზოში სათამაშოდ გადიან. ამ დროს ბავშვები იმავე საქმიანობით არიან დაკავებულები, როგორც „თამაშის“ კომპონენტში, ერთადერთი განსხვავებით, რომ ეს საქმიანობები ეზოში ხორციელდება, ანუ ბავშვები ეზოში თამაშობენ.

▶ **კვება (საუზმე, სადილი, ვახშამი)** - ამ დროს სრული ჯგუფი იკვებება. ადმინისტრაციამ კვებისთვის განკუთვნილი დრო ბავშვების ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების მიხედვით უნდა დაგეგმოს, შესაბამისად, მაგალითად, ბაგის ჯგუფს შესაძლოა კვებისთვის სხვა დრო ჰქონდეს უფროს ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.

▶ **დიდი ჯგუფის განსაკუთრებული აქტივობები** - ამ დროს სრულ ჯგუფს უწევს სავალდებულო აქტივობაში ჩართვა. შესაძლებელია, ბავშვებს ამ აქტივობის ფარგლებში წინანდელისგან განსხვავებულ გარემოშიც მოუწიოთ გადაადგილება. დღის განრიგის კომპონენტად გამოსაყოფი ასეთი ტიპის აქტივობებია ზღაპრის კითხვა, მუსიკა, ცეკვა ან სხვ.

▶ **წასვლა** - ამ დროს დაიწყებენ მშობლები ბავშვების მოკითხვას და ისინი ნელ-ნელა დატოვებენ ჯგუფს. მნიშვნელოვანია, რომ გააცილოთ ბავშვები და ეს დრო მშობელთან ინტერაქციისთვის გამოიყენოთ.

დღის განრიგის აწყობის პრინციპები

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ/გაარკვევთ, რომელი კომპონენტებისგან უნდა შედგებოდეს თქვენი ჯგუფის დღის განრიგი, მნიშვნელოვანია, ეს კომპონენტები სწორი თანმიმდევრობით ჩამოწეროთ და სწორი ხანგრძლივობა განუსაზღვროთ. ამისთვის რამდენიმე საკითხის გათვალისწინება დაგჭირდებათ.

ბავშვის საჭიროებებსა და ინტერესებზე განრიგის მორგება უპირველესი პრინციპია, თქვენი ამოსავალი მუდმივად უნდა იყოს იმის ცოდნა, თუ რა სჭირდებათ და უნდათ ბავშვებს. დააკვირდით და თუ ნახავთ, რომ თამაშისთვის გამოყოფილი დროის ბოლოს ბავშვები ჯერ კიდევ თამაშობენ და არ სურთ სხვა აქტივობაზე გადასვლა, ე.ი. თამაშის კომპონენტის ხანგრძლივობა უნდა გაზარდოთ; ხოლო

თუ ხედავთ, რომ წიგნის კითხვის დროს გარკვეული პერიოდიდან ბავშვები ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებიან და უჭირთ კონცენტრირება, ე.ი. წიგნის კითხვის კომპონენტის ხანგრძლივობა უნდა შეამციროთ.

მნიშვნელოვანია გაარკვიოთ ისეთი ობიექტური გარე მოცემულობები, როგორიც არის დაწესებულების გახსნის და დახურვის დრო, საკვების მომზადების დრო, დარბაზში შესვლის თავისუფალი დრო და ა.შ.

ამის შემდეგ კი უნდა გაითვალისწინოთ პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ დღის განრიგში მითითებული კომპონენტების იმგვარ თანმიმდევრობას, რომ ერთმანეთს ენაცვლებოდეს შემდეგი ტიპის საქმიანობები:

- **საქმიანობები დიდ და პატარა ჯგუფებში** - საქმიანობები შეიძლება წარიმართოს დიდ ან პატარა ჯგუფებში. დიდი ჯგუფის აქტივობაში იგულისხმება მოქმედება, რომელშიც ყველა ან უმეტესობა ბავშვებისა, მონაწილეობს, ეს შეიძლება იყოს მოძრავი თამაში, წაკითხულის მოსმენა, მუსიკაზე ცეკვა ან წრეში შეხვედრები, ასევე, რუტინული საქმიანობები, მაგალითად, სადილი.
- **აქტიური და წყნარი საქმიანობები** - აქტიურ აქტივობებში შედის როგორც ოთახში დაგეგმილი ფიზიკური აქტივობები, ისე ეზოში გასვლა, რადგან იქ ბავშვებს სივრცეში თავისუფლად მოძრაობის საშუალება ეძლევათ. დატვირთულ ფიზიკურ აქტივობებს უნდა ენაცვლებოდეს ნაკლებად მოძრავი აქტივობები, მაგალითად, წიგნების დრო, სრული ჯგუფის შეხვედრები, კვება და სხვ. მონაცვლეობის გარდა ასევე უნდა გაითვალისწინოთ დღის ბუნებრივი ბიოლოგიური დრო - შუადღე, როდესაც ადამიანები ნაკლებად აქტიურები არიან. ამ დროს ბავშვები შესაძლოა იძინებდნენ, ან ჩართულები იყვნენ მხოლოდ წყნარ აქტივობებში.

- **ბავშვის და უფროსის ინიცირებული საქმიანობები** - ბავშვის მიერ ინიცირებულია აქტივობა, როდესაც ბავშვი თავად ირჩევს რა გააკეთოს, ირჩევს მასალას ან სათამაშოს, ირჩევს მეწყვილეს, ბავშვების ჯგუფს ან მარტო თამაშს ამჯობინებს, ასევე ირჩევს სად, როგორ, რამდენ ხანს გააკეთოს, და რა იქნება საქმიანობის საბოლოო პროდუქტი. უფროსის ინიცირებულია ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც იგი ბავშვს შესთავაზებს. ასეთი შეიძლება იყოს დიდი ჯგუფის შეხვედრები, წიგნის კითხვა, დიდი ჯგუფის განსაკუთრებული აქტივობები და ა.შ. მონაცვლეობის გარდა, მნიშვნელოვანია სწორი პროპორციის დაცვა, უფროსების ინიცირებული აქტივობების რაოდენობა, ბავშვების მიერ ინიცირებულს არ უნდა აღემატებოდეს.

თავი 3. ფიზიკური გარემო

საკვანძო სიტყვები:
უნივერსალური დიზაინი
შენობა
საგანმანათლებლო რესურსი
ღია მასალა

თავის ძირითადი საკითხები

ამ თავში გაეცნობით ფიზიკური გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს. პრაქტიკოსები შეიტყობენ იმას, თუ რას ნიშნავს გარემოს მორგება ყველა ბავშვის საჭიროებებზე, როგორ დანერგონ უნივერსალური დიზაინის პრინციპები დაწესებულების შიდა სივრცესა და ეზოში. როგორია ოპტიმალური სივრცე ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის, რა დატვირთვა აქვს გარემოში ფერს, განათებას, ფაქტურას, როგორ შეარჩიონ საგანმანათლებლო რესურსი.

ფიზიკური გარემოს როლი ბავშვის განვითარებაში
→ რითი დავიწყოთ
→ რას ნიშნავს უნივერსალური დიზაინი
→ მეთოდოლოგიის ასახვა ფიზიკურ გარემოში
ფიზიკური გარემო ჰოლისტური განვითარებისთვის
→ ჰოლისტური განვითარება შენობის სივრცეში
→ ჰოლისტური განვითარება ეზოში
ეზოს მოწყობის პრინციპები
საგანმანათლებლო რესურსი
რესურსის ხელმისაწვდომობა
ღია რესურსი
→ ტექნიკა ჯგუფში
→ რესურსი არასოდეს არის საკმარისი, როგორ მოვიქცეთ?

ფიზიკური გარემოს როლი ბავშვის განვითარებაში

ფიზიკურ გარემოს უდიდესი როლი აკისრია ბავშვის განვითარებაში. გარემო განსაზღვრავს ბავშვის განწყობას, მოტივაციას, ჩართულობას, გარემო წაახალისებს

განვითარების უახლოესი ზონა

განვითარების უახლოესი ზონა გულისხმობს იმ ამოცანათა და მოქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელთა შესრულება ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანების, ან უფრო კომპეტენტური თანატოლების დახმარებით (ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე - განვითარებისა და სწავლების თეორიები თბ. 2008წ. გვ. 57)

ბავშვს ჩაერთოს სხვადასხვა საქმიანობაში. უსაფრთხო, კომფორტული, მიმზიდველი, შესაბამისად მოწყობილი გარემო უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, შევქმნათ მდიდარი და მხარდამჭერი გარემო, რომელიც თავისთავად უქმნის შესაძლებლობას თითოეულ ბავშვს, იყოს აქტიური მკვლევარი, გამომგონებელი და პრობლემების გადამჭრელი.

მდიდარ გარემოს ორი მახასიათებელი აქვს: მრავალფეროვნება და გაჯერებულობა. მრავალფეროვანი გარემო იძლევა საშუალებას, მიიღო განსხვავებული გამოცდილებები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს განვითარების ყველა სფეროსა და მიმართულების მიღწევას. ასეთ გარემოში შესაძლებელია დაკავდე სხვადასხვა ტიპის საქმიანობით: დრამატული, წესებიანი, შემოქმედებითი, კვლევითი თამაშებით და სხვ.

გაჯერებული გარემოში კი განვითარების თითოეული დონის შესაბამისი საქმიანობებით შეგიძლია დაკავდე. შესაბამისად, გარემო მორგებულია თითოეულ ბავშვზე - მისი განვითარების ინდივიდუალურ ტემპზე. ფიზიკური გარემო ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერ ბავშვს შეუძლია ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც მისი განვითარების უახლოეს ზონაშია. (Laevers, F., 2005)

რითი დავიწყოთ?

გარემოს ორგანიზებისას პრაქტიკოსების წინაშე ბევრი გამოწვევა ჩნდება. როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს გამოწვევები, რითი დავიწყოთ?

- ☺ თავდაპირველად იზრუნეთ გარემოს ტექნიკურ მახასიათებლებზე: უსაფრთხოებაზე, განათებაზე, ჰაერის ტემპერატურასა და ჰიგიენაზე. შეეცადეთ, რომ გარემოზე ზრუნვა სწორედ ამ მიმართულებით დაიწყოთ;

- ☺ ტექნიკური მახასიათებლების დაკმაყოფილების შემდეგ, იფიქრეთ სივრცით დაგეგმარებაზე, როგორ გამოიყენოთ მაქსიმალურად თქვენს ხელთ არსებული სივრცეები, ოთახები, დერეფანი, თუ ეზო, როგორ მოარგოთ ბავშვებისა და თქვენს საჭიროებებს და შერჩეულ კურიკულუმს: თითოეულ სივრცეს რა ფუნქცია ექნება, დიდი სივრცეები რად და როგორ შეიძლება დაიყოს, რა რის გვერდით იქნება, და ა.შ.

- ☺ შენობისა და ეზოს ფუნქციურ სივრცეებად დაყოფის შემდეგ, იფიქრეთ აღჭურვილობაზე. იფიქრეთ იმაზე, თუ რა საგანმანათლებლო რესურსი და ინვენტარი დაგჭირდებათ.

მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური გარემოს მოწყობის პროცესს სამ ინტერვენციულ დონედ აღვიქვამდეთ: უნივერსალური, მიზანმიმართული და ინდივიდუალიზებული. უნივერსალური ინტერვენცია: სივრცეს ვაწყობ ყველასთვის, უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით. ამ დროს ფიზიკური გარემო ყველაზეა მორგებული და მაძლევს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საშუალებას (იხ. შემდეგი ქვეთავი - „რას ნიშნავს უნივერსალური დიზაინი“).

მიზანმიმართული ინტერვენცია: სივრცის მოწყობაში შემაქვს ცვლილებები ბავშვ(ებ) ის საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად ან ბავშვის განსაკუთრებული საჭიროების გასათვალისწინებლად. მაგალითად, ვიცი, რომ წელს ჩემს ჯგუფში იქნება სამირა, რომლის მშობლიური ენაც აზერბაიჯანულია, ამიტომ სივრცეში არსებულ იარლიყებს ქართულთან ერთად, აზერბაიჯანულ ტექსტებსაც დავურთავ, წიგნიერების ცენტრში ასევე შემაქვს საბავშვო წიგნები აზერბაიჯანულ ენაზე.
ინდივიდუალიზებული ინტერვენცია: სივრცეს ვცვლი საგანმანათლებლო პროცესში დანახული პრობლემებისა და საჭიროებების მიხედვით. მაგალითად, ჩემს ჯგუფში სწავლობს ნიკოლოზი, რომელსაც აუტისტური სპექტრი აქვს. მისთვის ხმაური და ბევრი ბავშვი პერიოდულად ძალიან ძლიერი გამაღიზიანებელი ხდება და ამ დროს განმარტოება სჭირდება. ნიკოლოზის საჭიროების დანახვის შემდეგ, წიგნიერების კუთხეში რამდენიმე ცვლილება შევიტანეთ: გამოვყავით ადგილი, რომელშიც ორ ბავშვზე მეტი ვერ დაეტევა, ფარდა კარავივით ჩამოვაფარეთ, დავდეთ ბალიში, მოვათავსეთ პატარა სკივრი, რომელშიც ჩავაწყვეთ რბილი სათამაშოები და ქსოვილის ნაჭრები (ნიკოლოზი ხშირად იყენებს ამ სენსორულ შეგრძნებას საკუთარი თავის დასაწყნარებლად).

რას ნიშნავს უნივერსალური დიზაინი

უნივერსალური დიზაინი - *გარემოს, შენობების ინფრასტრუქტურის მოწყობა/ ადაპტაცია, საჭირო ტექნოლოგიებით აღჭურვა იმისთვის, რათა გარემო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელთაც აქვთ გადაადგილების სირთულე, სმენის ან მხედველობის დარღვევა და სხვა (პაჭკორია, 2011, გვ. 30).*

უნივერსალური დიზაინის პრინციპები თავდაპირველად არქიტექტურაში დამკვიდრდა და ისეთ ფიზიკურ გარემოს გულისხმობდა, სადაც ყველა ადამიანი კარგად იგრძნობდა თავს მიუხედავად ფიზიკური თუ კოგნიტური განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებებისა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია უნივერსალური დიზაინის ძირითადი პრინციპები.

პრინციპი	განმარტება	მაგალითი
1.სამართლიანად გამოყენებადი	უზრუნველყოფილია ჯგუფის ყველა წევრის თანაბარი ხელმისაწვდომობა, დაყოფის გარეშე.	ეტლით მოსარგებლე ბავშვი ადვილად გადაადგილდება და შეუძლია ადვილად მიუდგეს თაროებზე განლაგებულ რესურსს; გარემოში თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის, ისე შედარებით მოზრდილებისთვის და ა.შ.

2.მოქნილი	დიზაინი, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების მიზნით, იძლევა ცვლილებების შეტანის საშუალებას.	საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ადვილად გადავაადგილოთ ავეჯი, ან შევცვალოთ ინტერიერი;
3. მარტივი და ინტუიტიური	დიზაინი იოლად აღსაქმელია.	სივრცე ისეა მოწყობილი, რომ ბავშვებს „მიანიშნებს“ ჯგუფში, ან ეზოში კონკრეტულ სივრცეებში რისი კეთება შეუძლიათ, ერთი ტიპის საქმიანობების რესურსი ერთადაა მოთავსებული, რესურსი ორგანიზებულია სათავსოებში და ა.შ.
4. მრავალმხრივ აღქმაზე ორიენტირებული	დიზაინში გათვალისწინებულია ინფორმაციის სხვადასხვა სახით გადაცემა (ნახატით, ვერბალურად, ტაქტილურად).	გარემოში არის ვიზუალური მინიშნებები, აბრები. საგანმანათლებლო მასალა შეიცავს სენსორულ ელემენტებს (მაგ.: სენსორული წიგნები, ვიზუალური კალენდარი სხვადასხვა მასალის აპლიკაციით და ა.შ.)
5. შეცდომების მიმართ ტოლერანტული	დიზაინში მინიმუმამდეა დაყვანილი შემთხვევითი ქმედებების არასასურველი შედეგები	ქაღალდისგან დამზადებული ხელნაკეთი რესურსი ლამინირებულია, რათა ადვილად არ დაზიანდეს (ლოტო, ფაზლი, კალენდარი, აბრები და ა.შ.); სენსორულ სივრცეს ისეთი იატაკია აქვს, რომლის დასუფთავებაც იოლია. ხელოვნების სივრცეში კედლები ისეთი საღებავითაა შეღებილი, რომელიც ადვილად ირეცხება, ან მუშამბაა გაკრული და ა.შ.
6. დაბალი ფიზიკური ძალისხმევის საჭიროება	სივრცის გამოყენება შესაძლებელია ადვილად და ეფექტიანად	ბაღის შენობის, ჯგუფის კარი ადვილად იღება, არ სჭირდება ზედმეტი ძალისხმევა (მიწოლა), უჯრებისა და კარადების შემთხვევაში მათი მოხმარება ადვილია, არ სჭირდება ძალის დატანება და ა.შ.
7. ზომა და სივრცე გამოსაყენებლად იოლია	სივრცე და მასში არსებული საგნები ადვილად მისადგომი და გადასაადგილებელია, მიუხედავად მომხმარებლის ფიზიკური შესაძლებლობებისა	ჯგუფში არსებული ავეჯის გამოყენება იოლად შეუძლია ნებისმიერი შესაძლებლობის ბავშვს, ავეჯი ბევშვების სიმაღლის შესაფერისია და ა.შ.

(CAST, 2011).

მარტივი და აღქმადი დიზაინი - ადვილად გასაგებია
შეცდომების მიმართ ტოლერანტული - შემთხვევითი ქმედებების არასასურველი შედეგები მინიმუმამდეა დაყვანილი
სამართლიანად გამოყენებადი - უზრუნველყოფილია ყველა წევრისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა
მრავალმხრივ აღქმაზე ორიენტირებული - ინფორმაცია სხვადასხვა სახითაა გადმოცემული
მოქნილი - დიზაინში შესაძლებელია ცვლილებები ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით
გამოყენებისათვის და წვდომისათვის სათანადო ზომა და სივრცე - საგნები ადვილად მისადგომი და გადაადგილებადია
დაბალი ფიზიკური ძალისხმევის საჭიროება - სივრცე ადვილად და ეფექტურად გამოყენებადია

როდესაც გარემოს მოწყობისას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი გათვალისწინებულია, გარემო მოქნილია, ბავშვი ადვილად ხვდება, სად რა რესურსია მოთავსებული, სად რისი გაკეთება შეუძლია, ანუ გარემოს გამოყენება მარტივია და ა.შ. ესე იგი გარემო აკმაყოფილებს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.
როგორ მოვარგოთ უკვე არსებული გარემო ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს? ყველა მიმართულებაზე ერთდროულად ფიქრი ძნელია, ამიტომ აიღეთ ერთი რომელიმე პრინციპი და შეეცადეთ, რომ ცვლილებები, რომელთა სივრცეში შეტანასაც გეგმავთ, მას შეუსაბამოთ.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში თვალსაჩინოდ ჩანს, როგორ შეცვალა აღმზრდელ-პედაგოგმა ჯგუფის სივრცე უნივერსალური დიზაინის თითოეული პრინციპის შესაბამისად.

„თამუნა შერეული ასაკობრივ ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგია, მან გადაწყვიტა საკუთარი ჯგუფი უნივერსალური დიზაინის პრინციპებისთვის მოერგო, საამისოდ მან ჯგუფში შემდეგი ცვლილებები შეიტანა:

- *ვინაიდან თამუნასთან ჯგუფში ბავშვები სხვადასხვა ასაკის, შესაბამისად, სხვადასხვა სიმაღლისანი იყვნენ, მან ვიზუალური მინიშნებებიც და რესურსიც ორ დონეზე მოათავსა, პატარებისთვის და შედარებით დიდებისთვის (სამართლიანად გამოყენებადი);*

- *თამუნამ ბაღის ადმინისტრაციას კედელზე დამაგრებული მაღალი კარადების დაბალი თაროებით შეცვლა სთხოვა. ბავშვებმა ჯგუფში აეროპორტის მოწყობა გადაწყვიტეს, დიდი ზომის მაღალი კარადები კი ჯგუფში ცვლილებების განხორციელების საშუალებას არ იძლეოდა, დაბალ თაროებს თამუნა საჭიროებისამებრ ადვილად გადააადგილებდა (მოქნილი);*

- *თამუნა შეეცადა, რომ რესურსი ისე განეთავსებინა სივრცეებში, რომ ბავშვებისთვის ადვილად გასაგები ყოფილიყო, სად რისი მოძიება შეეძლოთ. ცალ-ცალკე კონტეინერში მოათავსა ყველანაირი ბუნებრივი მასალა, რაც კი გააჩნდა (ცალკე - ნიჟარები, ცალკე -გირჩები და ა.შ.). ცალკე სათავსოებში მოათავსა ფუნჯები, ფანქრები, ფლომასტერები, ბავშვებს მარტივად რომ შესძლებოდათ კონკრეტული ფერის მოძიება, ფერადი ფურცლებიც ფერების მიხედვით დაახარისხა. თითოეულ კონტეინერს და სათავსოს თამუნამ იარლიყი გაუკეთა, ნახატით და წარწერით. ასეთივე მინიშნებები მან მთელ ჯგუფში გააკეთა, მაგალითად, საპირფარეშოსა და საძინებლის კარზე შესაბამისი ნახატი, დერეფანში კედლებზე ისრები, რომლებიც ჯგუფისკენ მიუთითებდა, ხოლო ეზოს ქვაფენილს საღებავით ნაფეხურები მიახატა, რომლებიც შენობისკენ მიემართებოდა (მარტივი და ინტუიტიური, მრავალმხრივ აღქმაზე ორიენტირებული).*

- *თამუნამ ჯგუფის ის ადგილები, სადაც ბავშვებს წყლის გამოყენება, ან ე.წ. ჭუჭყიან აქტივობებში ჩართვა უწევდათ: საღებავით ხატვა, ქვიშით თამაში, სამეცნიერო ექსპერიმენტები და ა.შ., ხალიჩისგან და ისეთი ზედაპირისგან, რომლის სველი წესით დამუშავებაც გართულდებოდა, მოშორებით მოაწყო. იატაკზე სქელი მუშამბა დააფინა (შეცდომების მიმართ ტოლერანტული);*

☻ თამუნამ ადმინისტრაციის დახმარებით ჯგუფის კარის სახელურებიც გამოაცვლევინა, რადგან სახელურების ჩამოწევა ბავშვებს ზედმეტ ძალისხმევად უჯდებოდათ (დაბალი ფიზიკური ძალისხმევის საჭიროება);

☻ რადგან ჯგუფში ცოტა მაღალი და მძიმე სკამები იყო და მათი გადაადგილება ბავშვებს ძალიან უჭირდათ, ამიტომ თამუნამ ადმინისტრაციას ამ სკამების გამოცვლა და მსუბუქი, ხის სკამებით ჩანაცვლებაც სთხოვა, რომელთა გადატანას ერთი სივრციდან მეორეში ბავშვები იოლად შეძლებდნენ (ზომა და სივრცე გამოსაყენებლად იოლია). "

მეთოდოლოგიის ასახვა ფიზიკურ გარემოში

ბაღში, ფიზიკური გარემოს შერჩეული მეთოდოლოგიის შესაბამისად მოწყობისას, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი უპირველესად უნივერსალური დიზაინის მოწყობის პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს, ანუ ყველა საჭიროებასა და ინდივიდუალურ თავისებურებაზე უნდა იყოს მორგებული.

რას ნიშნავს მეთოდოლოგიის ასახვა ფიზიკურ გარემოში?

ეს ნიშნავს, რომ თუ, მაგალითად, თქვენი კურიკულუმი ტყე-ბაღის პრინციპს ეფუძნება, თქვენი ჯგუფის სივრცე შენობაში კი არა, ტყეში იქნება, თუ რეჯიო ემილიას მეთოდოლოგიას მიჰყვებით, გარემოც შესაბამისი იქნება: ესთეტიკური, ბუნებრივ ფერებში, ბუნებრივი კომპონენტებით გამდიდრებული, ხელოვნების სახელოსნოთი, კვლევითი ლაბორატორიებით, მრავალფეროვანი განათებით და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული კურიკულუმის მითითებებს ზედმიწევნით მიჰყვეთ და შექმნათ შერჩეული საგანმანათლებლო ჩარჩოს შესაბამისი ფიზიკური გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შერჩეული კურიკულუმის ეფექტიანად გამოყენებას.

ფიზიკური გარემო ჰოლისტური განვითარებისთვის

ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის, ანუ იმისათვის, რომ ყველა სფერო თანაბრად და სრულყოფილად იყოს განვითარებული, მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს შესაბამისად მოწყობა. ფიზიკური გარემო უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ბავშვმა განივითაროს სენსომოტორული უნარები, შემეცნებითი უნარები, სოციალურ-ემოციური კომპეტენციები.

ჰოლისტური განვითარება შენობის სივრცეში

ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის საჭიროა, რომ ბავშვებს ნებისმიერ დროს ჰქონდეთ მრავალფეროვან საქმიანობებში ჩართვის საშუალება. ამიტომაც, ფიზიკური გარემო ისე უნდა მოეწყოს, რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველა ძირითადი ტიპის საქმიანობაში ჩასართავად. შერჩეული კურიკულუმიდან გამომდინარე, შეიძლება ჯგუფის ძირითადი ოთახის სივრცეებად/ცენტრებად ორგანიზება მოგიწიოთ, ან დაწესებულებაში სხვადასხვა ტიპის საქმიანობისთვის ცალკე ოთახები გამოყოთ (მაგალითად, რეჯიო ემილიას შემთხვევაში, ცალკე ოთახი დაგჭირდებათ სახელოსნოსთვის (ე.წ. ატელიე). ყველა კურიკულუმს აერთიანებს ერთი რამ - ფუნქციური და ორგანიზებული სივრცეები ყველა ძირითადი ტიპის საქმიანობისთვის გამოიყოფა.

რა სივრცეები მოვაწყოთ?

▶ **დიდი ჯგუფის შეხვედრების სივრცე** - ეს არის ადგილი, სადაც ბავშვებსა და ჯგუფში მომუშავე უფროსებს ერთად შეხვედრის, გაზიარების, სხვადასხვა თემაზე მსჯელობის, ჯგუფურ სახალისო აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ.

<u>რა დაგჭირდებათ?</u> ამგვარი სივრცის მოსაწყობად დაგჭირდებათ ხალიჩა, ან/და მცირე ზომის ბალიშები ბავშვების მოსათავსებლად. ამ სივრცეში შეგიძლიათ შეიტანოთ მაგნიტური დაფა თვალსაჩინოებების საჩვენებლად, ვიზუალური კალენდარი, განრიგი და ა.შ.

ᲓᲘᲓᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ეს არის ადგილი, სადაც ბავშვებსა და აღმზრდელებს ერთად შეხვედრის, გაზიარების, სხვადასხვა თემებზე მსჯელობის, ჯგუფურ სახალისო აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ.
საჭირო რესურსი - ხალიჩა, ან/და მცირე ზომის ბალიშები, რათა ბავშვები განთავსდნენ. ამ სივრცეში შეგიძლიათ შეიტანოთ მაგნიტური დაფა თვალსაჩინოებების საჩვენებლად, ვიზუალური კალენდარი, გარრიგი და ა.შ.
ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ შემოქმედებითი აქტივობებით დაკავდნენ, ხატონ, ძერწონ, მოსინჯონ სხვადასხვა სამსატვრო, ბუნებრივი, მეორადი მასალები შემოქმედებითად.
საჭირო რესურსი - სამსატვრო მასალები, ბუნებრივი მასალები, მეორადი მასალები.
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ეს არის ადგილი, სადაც ბავშვები ექსპერიმენტებს, ცდებს ატარებენ, იკვლევენ საგნების ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებს. ამ სივრცეში გვჭირდებათ მაგიდა, სკამები, ღია თაროები მასალის შესანახად.
საჭირო რესურსი - მიკროსკოპი, ლუპა, სასწორი, მაგნიტი, პინცეტები და სხვ.
ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ამ სივრცეში ბავშვებს აქვთ საშუალება, ააშენონ სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, გამოიყენონ როგორც ხის კუბები, ასევე მცირე ზომის სათამაშოები კონსტრუქციების და კომპოზიციების ასაშენებლად. საჭირო რესურსი - სხვადასხვა ზომის ხის კუბურები, პატარა სათამაშოები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.
ᲬᲘᲗᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ამ სივრცეში ბავშვებს წიგნების დათვალიერების, წერითი უნარების განვითარების საშუალება აქვთ. აქ დაგჭირდებათ პატარა მაგიდა და რამდენიმე სკამი, მცირე ზომის ხალიჩა და პუფები, რათა ბავშვები მყუდროდ მოკალათდნენ წიგნების თვალიერებისას, წიგნების თარგიმნა.
საჭირო რესურსი - მრავალფეროვანი წიგნები და ჟურნალები, ხელის/თითის თოჯინები, საწერი საშუალებები, როგორიცაა: ფანქრები, ბურთულიანი კალმები, რვეულები და ქაღალდი და მოსასმენი მასალები; კასეტები, დისკები მოთხრობების, ზღაპრების და ლექსების ჩანაწერებით.
ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ეს არის ადგილი, სადაც ბავშვებს მათემატიკური უნარების, წერილი მოტორიკის განვითარების საშუალება აქვთ. აქ ბავშვები ითვლიან, ადარებენ საგნის სიდიდის მიხედვით, ზომავენ და ა.შ. საჭირო რესურსი - მაგიდა სკამებით, თაროები მასალების შესანახად.
საჭირო რესურსი - ლოტო, მოზაიკა, ფაზლი, საგნები დასათვლელად, გასაზომად და ა.შ.
ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ამ ცენტრში ბავშვები წარმოსახვით, როლურ თამაშებს თამაშობენ, მაგ: ექიმობანა, ბანკობანა, პოლიციელობანა, სახლობანა და ა.შ.
საჭირო რესურსი - სხვადასხვა ასაკის, სქესისა და საქმიანობის ადამიანების კოსტუმები, აქსესუარები, სათამაშო ჭურჭელი, თოჯინები, ქსოვილები, საოჯახო ნივთები და ა.შ.
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ - ამ სივრცეში ბავშვებს აქვთ საშუალება გამოიცადონ თავიანთი შეგრძნებები, შეეხონ სხვადასხვა ტიპის ზედაპირებს, შეიგრძნონ სხვადასხვა სურნელი, დაიკვირდნენ ჩრდილების თამაშს და სხვა.
საჭირო რესურსი - სუსპორული მაგიდა წყლისა და ქვიშისთვის (საგანგებო მაგიდის არქონის შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ დიდი ზომის ჯამები დაბალი კედლებით, ან დიდი ზომის კონტეინერი ასევე დაბალი კედლებით), სათლები, ნაჩხებები და სხვა.
ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ - ამ სივრცეში ბავშვებს აქვთ საშუალება განმარტოვდნენ, ინდივიდუალური თამაშებით დაკავდნენ.
ᲥᲝᲠᲬᲐ
ᲬᲧᲐᲚᲘ

დიდი ჯგუფის შეხვედრების სივრცე ▶

▶ **ხელოვნების სივრცე** - ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ შემოქმედებითი აქტივობებით დაკავდნენ, ხატონ, ძერწონ. შემოქმედებითად მოსინჯონ სხვადასხვა სამხატვრო, ბუნებრივი, მეორადი მასალები.

<u>საგანმანათლებლო რესურსი</u> - სამხატვრო მასალები, ბუნებრივი მასალები, მეორადი მასალები. მასალები სახატავად: უბრალო და ფერადი ფანქრები, ნახშირი, ცვილის და ზეთოვანი პასტელი, ფერადი მარკერები, კალამი, ცარცი, სხვადასხვა ფაქტურისა და ფერის ქაღალდი, ცარცის დაფა, მუყაო და ა.შ.

✎ მასალები ფერწერისთვის: თითით სახატავი საღებავი, გუაში, აკვარელი, შესაბამისად, სხვადასხვა ზომის ფუნჯები და სახატავი ქაღალდი;

✎ მასალები სამგანზომილებიანი ქანდაკებისთვის: პლასტილინი, თიხა, მარილიანი ცომი, ხის ნაჭრები, წებო, ფაფუკი მავთულის ღეროები, რბილი მავთული, სკოჩი.

✎ მასალები კოლაჟისთვის: მშრალი წებო, ან წებო „ემულსია“, სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის ქაღალდი, სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის ქსოვილი, მუყაოს ნაჭრები, ძველი გაზეთები და ჟურნალები, ბაფთები, ტყავი, ბრჭყვიალები, სათევზაო ბადე, მაქმანები, ძველი ბიჟუტერია, ხის სამაგრები, საშლელი, ფაფუკი მავთულის ღეროები, ზონრები, ბისერი, მძივები, ხის ტოტები, ბაწარი, ძველი შპალერი, სხვადასხვა სახის მარცვლეული, ბურღულეული, ბინტი, მარლა, დაშლილი ხელსაწყოების პატარა ნაწილები, ყავის მარცვლები, კვერცხის ნაჭუჭი, საქსოვი ძაფები, გამხმარი ფოთლები და ყვავილები, გირჩები, რკო, ხის ტოტები, ხავსი, ნიჟარები, ღილები და სხვ.

✎ იარაღები: მაკრატელი, სტეპლერი, სახვრეტელა, სკოჩი, პლასტილინის ფორმები, ღრუბელი, საგორავებელი, სხვადასხვა ზომისა და ჯაგრისის მქონე ფუნჯი და ა.შ.

▼ ხელოვნების სივრცე

▶ **სამაგიდო თამაშების სივრცე** - ეს არის ადგილი, სადაც ბავშვებს მათემატიკური უნარების, ნატიფი მოტორიკის განვითარების საშუალება აქვთ. აქ ბავშვები ითვლიან, ადარებენ საგნებს სიდიდის მიხედვით, ზომავენ და ა.შ. ამ სივრცეში გვჭირდება მაგიდა სკამებით და თაროები მასალების შესანახად.

<u>საგანმანათლებლო რესურსი</u> - ლოტო, მოზაიკა, ფაზლი, საგნები დასათვლელად, გასაზომად და ა.შ. მანიპულატივები: სხვადასხვა ზომისა და სისქის მძივები და ზონრები გასაყრელად;

☺ მასალები დასათვლელად - მცირე ზომის სათამაშოები დასათვლელად, სათამაშო ფული, ფორმებიანი დაფა მოსარგები ციფრებით, მსხვილი მძივები, ღილები;

☺ მასალები ციფრებზე - მაგნიტური ციფრები, ფაზლები ციფრებით, სათამაშო ტელეფონი, სალარო აპარატი, ციფრების ლოტო, საათი, კალენდარი, კარტი, წიგნები და პოსტერები ციფრებზე;

☺ მასალები გასაზომად - ასაწყავი ჭურჭელი, შესაბამისი დანაყოფებით, პინებიანი/ხელის სასწორი, ასაწონი ნივთებით, სახაზავი, საზომი ლენტი, თერმომეტრი, სიმაღლის საზომი დაფა;

☺ მასალები სიდიდეებსა და რაოდენობაზე - სათამაშოები, რომლებიც ასახავენ სიდიდეებს (დიდი, პატარა, საშუალო) და რაოდენობას (ბევრი, ცოტა, მეტი, ნაკლები), საბავშვო ბანქო, დომინო;

☺ მასალები ფორმებზე - ფაზლები სხვადასხვა გეომეტრიული ფორმებით, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ხის კუბურები, მუყაოს, მაგნიტური ფორმები.

მათემატიკური უნარების განსავითარებლად ბაღებში ხშირად იყენებენ სამუშაო ფურცლებს, თუმცა უმჯობესია მათი გამოყენება ჩავანაცვლოთ რეალური საგნების, ნივთების მანიპულირებით, რადგან ბავშვებს ასე უფრო გაუადვილდებათ მათემატიკური მოქმედებების შესრულება, სიდიდეების გაგება და ა.შ. სამუშაო ფურცლები ზედმეტად აბსტრაქტულია ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, ამიტომაც ჯობს კონკრეტული საგნებით მანიპულირება.

▼ სამაგიდო თამაშების სივრცე

▶ **მეცნიერების სივრცე** - ეს არის ადგილი, სადაც ბავშვები ექსპერიმენტებს, ცდებს ატარებენ, იკვლევენ საგნების ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებს. ამ სივრცისთვის გჭირდებათ მაგიდა, სკამები და ღია თაროები მასალის შესანახად.

<u>საგანმანათლებლო რესურსი:</u>

☺ ბუნებრივი მასალების კოლექცია - ფოთლები, ნიჟარები, კენჭები, ქვები, ხის ტოტები, გირჩები, მარცვლეული, პარკოსნები, მცენარეთა ბოლქვები და ფესვები, ჩიტების ბუდეები და ბუმბული, ცხოველების ძვლები, ბეწვი, კვერცხის ნაჭუჭი;

☺ ცოცხალი არსებები - ოთახის მცენარეები, აკვარიუმი თევზებით;

☺ პლასტმასის სათამაშოები - პლასტმასის რეალისტური ცხოველები: შინაური ცხოველები, გარეული ცხოველები, დინოზავრები და ა.შ. მცენარეები: პლასტმასის ხეები, ბუჩქები;

☺ სამეცნიერო შინაარსის წიგნები, თამაშები, სათამაშოები, ვიდეოები - ენციკლოპედიები, წიგნები მცენარეებსა და ცხოველებზე და ა.შ. ცოცხალი სამყაროს შესახებ რეალისტური წარმოდგენის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო წიგნებში ილუსტრაციები რეალისტურად იყოს შესრულებული, ან ფოტოსურათებით გაფორმებული. კვლევითი უნარების გასავითარებლად ნაკლებად გამოდგება ისეთი ილუსტრირებული წიგნები, სადაც ცხოველებსა და მცენარეებს ადამიანის აღნაგობა, ან მათი სახის ნაკვთები აქვთ.

☺ ხელსაწყოები - მიკროსკოპი, ლუპა, ძველი რენტგენის ფირები ადამიანის ან ცხოველების ძვლების ან კბილების გამოსახულებით, ფონენდოსკოპი, მაგნიტი, კალეიდოსკოპი, სხვადასხვა ზომის, ფორმის, ფაქტურის ნივთები.

☺ ნივთიერებები - ზეთი, საპარსი ქაფი, მარილი, შაქარი, ესენციები სხვადასხვა სუნით, სუნელები.

▼ მეცნიერების სივრცე

▶ **დრამატული თამაშების სივრცე** - ამ ცენტრში ბავშვები წარმოსახვით, როლურ თამაშებს თამაშობენ, მაგ.: ექიმობანა, ბანკობანა, პოლიციელობანა, სახლობანა და ა.შ.

<u>საგანმანათლებლო რესურსი</u> :

☺ სამოსი - სხვადასხვა ზომის, სეზონისა და მოდელის ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, სხვადასხვა პროფესიის უნიფორმა (ექიმი, პოლიციელი, ბანკის მუშაკი, მშენებელი და ა.შ.), სხვადასხვა ხალხების ეროვნული ტანისამოსი, სხვადასხვანაირი ქუდები, აქსესუარები (სამკაული, თმის სამაგრები, სათვალე (პლასტმასის მინებით), მზის სათვალე, ქამრები);

☺ საყოფაცხოვრებო თემატიკის რესურსი - საბავშვო ავეჯი და სამზარეულოს რესურსი (ონკანი, ღუმელი, მაცივარი, საუთოებელი მაგიდა უთოთი) სათამაშო ჭურჭელი, საბავშვო ცოცხი და აქანდაზი, პლასტმასის სათამაშო საკვები, ნამდვილი საკვების ცარიელი ყუთები და ქილები, სახლის აქსესუარები: ფარდა, სუფრა, ხალიჩა, მცენარეები, სარკე, თოჯინები და მათი ავეჯი (თოჯინის ზომის საწოლი და სხვ.), თოჯინები სხვადასხვა ხალხების ეროვნული ტანსაცმლით, სათამაშო მანქანები, საქაღალდე, ბლოკნოტი, საფულე, ხელჩანთა, ძველი ტელეფონი, ფოტოაპარატი, კალენდარი, ტელეფონების წიგნი, რეცეპტების წიგნი;

☺ ჯადოსნური თემატიკის რესურსი - ნიღბები სხვადასხვა პერსონაჟებით, ჯადოქრის აქსესუარები (მოსასხამი, ჯოხი, ქუდი), ზღაპრული პერსონაჟების კოსტუმები;

☺ პროფესიების თემატიკის რესურსი:

- ოფისი: სათამაშო კომპიუტერი, ბლოკნოტები, საწერი კალმები, თაბახის ფურცლები;
- მაღაზია: სალარო, ჩანთები, სათამაშო ფული, გასაყიდი რესურსი (საკვები, ფეხსაცმელი, წიგნები, ტანსაცმელი და ა.შ. იმის მიხედვით, რისი მაღაზიაცაა);
- კაფე/რესტორანი: მენიუ, სათამაშო ფული, მიმტანების წინსაფარი, მზარეულის ტანსაცმელი, მიმტანის ფორმები, მაგიდის გადასაფარებლები, სამზარეულოს აღჭურვილობა, ჭურჭელი, ხელსახოცები და ა.შ.
- პოლიკლინიკა: ბამბა, ბინტი, წამლების ცარიელი კოლოფები, წამლების ცარიელი სათავსოები, სათამაშო შპრიცი, ფონენდოსკოპი, ექიმის ფორმა;
- ავტობუსი: სათამაშო ფული, მანქანის საჭე.

▼ დრამატული თამაშების სივრცე

მნიშვნელოვანია, რომ ბაღის ფიზიკურ გარემოში ბავშვებს მუსიკალური საქმიანობების გამოცდილებაც ჰქონდეთ, ამისთვის შესაძლოა საგანგებო სივრცე მოეწყოს ოთახში, დარბაზში და ა.შ. ამ მიზნით ბაღში შეიძლება გვქონდეს შემდეგი მასალა: ხელნაკეთი, ან საბავშვო მუსიკალური ინსტრუმენტები: ქსილოფონი, დაირები, მარაკასები, ჟღარუნები, საყვირი, სალამური, დოლი, ზარი, ჰარმონიკა; არატრადიციული საკრავები: ლითონისა და ხის ქვაბები, ჯამები, კოვზები, ქვაბების სახურავები და ა.შ. მოსასმენი საშუალებები: მუსიკალური ცენტრი, CD ფლეიერი ან მაგნიტოფონი, დისკები საბავშვო სიმღერებით, ხმაურებით, მსოფლიო ხალხთა ტრადიციული მუსიკით, სხვადასხვა ენაზე შესრულებული სიმღერებით, სხვადასხვა ჟანრისა და მიმდინარეობის მუსიკით (ფოლკი, კლასიკა, ქანთრი, ჯაზი, როკი, ბლუზი, რეგი, რეპი, იავნანა და ა.შ.). აუცილებელი არ არის, ამ რესურსით მაინცდამაინც მუსიკის მასწავლებლის დახმარებით, საგანგებოდ მუსიკის მეცადინეობებზე ისარგებლონ, სავსებით შესაძლებელია, ბავშვებს მუსიკალური რესურსის გამოყენება ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგის ან აღმზრდელის ზედამხედველობის ქვეშაც შეეძლოთ. მუსიკალური რესურსით სარგებლობა ბავშვებს უნდა შეეძლოთ როგორც დაწესებულების ფარგლებში, ისე ეზოში, როგორც ინდივიდუალურად, ან მცირე ჯგუფებში, ისე დიდ ჯგუფურ აქტივობებში.

ხელნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტები, მეორადი მასალის გამოყენებით, მშობლებთან ერთად შეგიძლიათ დაამზადოთ. ამისათვის დაგჭირდებათ მუყაოს ყუთები, პლასტმასის ბოთლები და სხვ.

▶ **წიგნიერების სივრცე** - ამ სივრცეში ბავშვებს წიგნების დათვალიერების, წერითი უნარების განვითარების საშუალება აქვთ. აქ დაგჭირდებათ პატარა მაგიდა და რამდენიმე სკამი, მცირე ზომის ხალიჩა და პუფები, რათა ბავშვები მყუდროდ მოკალათდნენ წიგნების თვალიერებისას, წიგნების თაროები.

<u>საგანმანათლებლო რესურსი</u>:

☺ მასალები კითხვისა და თხრობისთვის - სხვადასხვა სახის წიგნები: მოთხრობები, ზღაპრები, ლექსები, ე.წ. „დიდი“ წიგნები, კედლის პლაკატები ანბანით, ხელის და თითების თოჯინები, ფლანელის ან მაგნიტური დაფა ფიგურებით.

☺ მასალები მოსმენისთვის - კასეტები, დისკები მოთხრობების, ზღაპრების და ლექსების ჩანაწერებით, ჩანაწერები თავად ბავშვების მონაწილეობით.

☺ მასალები საწერად - სხვადასხვანაირი ფანქრები და კალმები, წერილების ფურცლები და კონვერტები, ანბანის შტამპები და მელანი. გაზეთები და ჟურნალები, სხვადასხვანაირი დახაზული და დაუხაზავი თაბახის ფურცლები.

მნიშვნელოვანია, რომ წიგნების შერჩევისას გავითვალისწინოთ ბავშვების ასაკი, მათი ინტერესები, უმცროს ასაკობრივ ჯგუფებში უყვართ მარტივი ამბების მოსმენა მათთვის ნაცნობ ყოფით თემებზე, ფერადი და ნათელი ილუსტრაციებით.

უფროს ასაკობრივ ჯგუფებში უფრო ხანგრძლივად შეუძლით ყურადღების კონცენტრირება შედარებით მოცულობით ტექსტებზე, ამ ასაკის ბავშვებს უყვართ წიგნები გართულებული სიუჟეტით. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა წიგნების რეგულარულად ცვლა.

◀▼ წიგნიერების სივრცე

▲
▼ კონსტრუქციული სივრცე

▶ **კონსტრუქციული სივრცე** - ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ ააშენონ სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, გამოიყენონ როგორც ხის კუბურები, ასევე მცირე ზომის სათამაშოები კონსტრუქციების და კომპოზიციების ასაწყობად.

საგანმანათლებლო რესურსი - სხვადასხვა ზომის ხის კუბურები, პატარა სათამაშოები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.

▶ **სენსორული სივრცე** ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ გამოცადონ თავიანთი შეგრძნებები, შეეხონ სხვადასხვა ტიპის ზედაპირებს, შეიგრძნონ სხვადასხვა სურნელი, დააკვირდნენ ჩრდილების თამაშს და სხვ.

საგანმანათლებლო რესურსი - სენსორული მაგიდა წყლისა და ქვიშისთვის (საგანგებო მაგიდის არქონის შემთხვევაში, შეგიძლიათ გამოიყენოთ დიდი ზომის ჯამები დაბალი კედლებით, ან დიდი ზომის კონტეინერი ასევე დაბალი კედლებით), სათლი, ნიჩბები და სხვ.

სენსორული
სივრცე ▶

▲ სივრცე განმარტოებისთვის

▶ **სივრცე განმარტოებისთვის** - ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ განმარტოვდნენ, ინდივიდუალური თამაშებით დაკავდნენ.

<u>რა დაგჭირდებათ</u> - მცირე გასაძრომი გვირაბი, სათამაშო სახლი, კარავი, კედლის ერთ კუთხეში ჩამოკიდული ფარდები და სხვ;

სიმყუდროვე ჯგუფში

ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ჯგუფში მყუდროდ იგრძნონ თავი. სიმყუდროვის განცდა სხვადასხვა დეტალის შეტანით არის შესაძლებელი. ეს შეიძლება იყოს წიგნიერების სივრცეში მოთავსებული რბილი სავარძელი, პატარა ზომის ხალიჩა და ბალიშები, დრამატულ სივრცეში მოთავსებული ბრა, ფარდები და ა.შ. ამგვარი დეტალებით სივრცე უბრალოდ „დაწესებულება“ კი აღარ იქნება, არამედ მყუდრო ადგილად გარდაიქმნება, სახლის მსგავსი გარემოთი.



ბავშვების მონაწილეობა სივრცის მოწყობისას - ჩართეთ ბავშვები ჯგუფის სივრცის მოწყობის პროცესში, ჰკითხეთ, როგორ უფრო მყუდროდ გრძნობენ თავს, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ ჯგუფის გარემოში. ინტერნეტში დაათვალიერებინეთ სხვადასხვა სივრცეები, გააკეთებინეთ არჩევანი, ჰკითხეთ რჩევა მოწყობასთან დაკავშირებით.

ჯგუფის ფიზიკური გარემოს მოსაწყობად შეგიძლიათ უყუროთ ვიდეოს, რომელიც ასახავს, თუ როგორ შეცვალეს ჯგუფში მომუშავე პრაქტიკოსებმა ფიზიკური გარემო ბაღის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით.

https://www.youtube.com/watch?v=0-kgFaekvU0&feature=youtu.be

ჰოლისტური განვითარება ეზოში

როგორია ჰოლისტურად განმავითარებელი ეზო?

▶ **ფიზიკური განვითარებისთვის** ეზოში ბავშვებმა უნდა შეძლონ: სირბილი, ცოცვა, კოტრიალი, ხტომა, ჭენება, წონასწორობის შენარჩუნება, ჩამოკონწიალება, ქანაობა, სრიალი, გაჩოჩება, მიწოლა, რაღაცის ტარება, გადაადგილება, გადაწონვა და ა.შ.

<u>რა გვჭირდება?</u> ეზოს გარემოში შესაძლოა არსებობდეს სტაციონალური, ან მობილური ელემენტები ბავშვის ფიზიკური განვითარებისთვის. სტაციონალურში იგულისხმება სხვადასხვა ტიპის საფარები, საძრომიალო, სარბენი, ჩამოსახტომი სივრცეები. მობილურში კი კუნძები, მორები, მცირე ზომის ურიკები, ხის კუნურები, ანუ ისეთი მასალა, რომლის გადაადგილებაც არის შესაძლებელი საჭიროებისამებრ.

▶ **სოციალური განვითარებისთვის** ეზოში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი შესაძლებლობები: სოციალიზაცია, გაზიარება, სიცილი, პრობლემის გადაჭრა ერთობლივად და ა.შ.

<u>რა დაგჭირდებათ?</u> სასეირნო ბილიკები, მყუდრო სივრცეები საჩრდილობლით და სკამებით, სივრცეები მშვიდი თამაშისთვის, მდელო, ან ბორცვი, სადაც მოკალათდებიან და თავისუფლად ითამაშებენ, ან ისაუბრებენ, სივრცეები კოოპერატიული საქმიანობებისთვის (ოჯახობანა, საქვიშე, კუბურებით თამაში), სცენისმაგვარი ამაღლებული ადგილი დასაჯდომებით, თვალს მოფარებული სივრცეები, ჯგუფური შეხვედრების ადგილი და ა.შ.

▶ **ემოციური განვითარებისთვის** ეზოში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი შესაძლებლობები: ბუნებასთან ყოველდღიური შეხება, მცენარეების დარგვა და მათზე ზრუნვა, ხეების ქვეშ მშვიდი თამაში, ან განმარტოება, ბუნებრივი მასალის შეგროვება, ბუნების მშვენიერების შეგრძნება, სეზონური ცვლილებების შეგრძნება.

<u>რა დაგჭირდებათ?</u> ხეხილის ბაღი, ბუჩქნარი, ბოსტანი, ტბორი, მინდორი, მდელო, ონკანი წყლის თამაშებისთვის, მცირე შადრევანი, სივრცე ღია მასალებით: კენჭებით, ქვებით, ხის ტოტებით, მცირე ზომის კუნძებით, ფოთლებით და ა.შ.

▶ **შემეცნებითი განვითარებისთვის** ეზოში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი შესაძლებლობები: მსჯელობა სხვადასხვა საკითხებზე, ახლის შექმნა, აშენება, აგება, ხატვა, დაკვირვება, ექსპერიმენტირება, არჩევანის გაკეთება, საქმიანობის დაგეგმვა, კვლევა, აღმოჩენა და ა.შ.

<u>რა დაგჭირდებათ?</u> „სახელოსნოს სივრცე“, სადაც დახატავენ, ააგებენ, ააშენებენ, გამოფენენ, ადგილი, სადაც სხვადასხვა ტიპის ნიადაგი (მიწა, ქვიშა, თიხა) და წყალი იქნება ექსპერიმენტებისთვის, ხეხილის ბაღი, ბოსტანი, ყვავილების ბაღი, ტბორი თევზებით, კუ, ცხოველები საგანგებოდ მათთვის მომზადებულ სახლებში, ან შემოღობილ სივრცეებში, სათამაშო ხის სახლი, სადაც 5-6 ბავშვი დაეტევა, სივრცე დრამატული თამაშებისთვის, „მუსიკალური სივრცე“ (ხის კედელი, რომელზეც დამაგრებულია ძველი ქვაბები, ტაფები, ქვაბების სახურავები, ჩამოკიდებული ხისა და ლითონის დიდი კოვზებით) და ა.შ.

ეზოს მოწყობის პრინციპები

ეზოს გარემო მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის. ბაღის ეზო, რომელიც ბავშვებს მრავალფეროვანი შეგრძნებების შესაძლებლობას უქმნის, ფასდაუდებელი საგანმანათლებლო სივრცეა. აქ ვითარდება ბავშვების მოტორული უნარები, ისინი დარბიან, დახტიან, დაძვრებიან ლაბირინთებში, ახტებიან წინაღობებს. აქ მათ საშუალება აქვთ, დააკვირდნენ „ნამდვილ“ ბუნებას - ფოთლებს, ღრუბლებს, ბალახს, მწერებს. ბევრი უნარი, რომლის შესაძენად შენობაში გარემოს ხელოვნურად მოწყობაა საჭირო, ეზოში თავისთავად და ბუნებრივად ვითარდება.

როგორ მოვაწყოთ ეზო ეფექტიანად? რა უნდა გავითვალისწინოთ პირველ რიგში?

☼ **სივრცეების მრავალფეროვნება** - სივრცე უნდა იყოს მოქნილი, იძლეოდეს მრავალფეროვანი თამაშის შესაძლებლობას, სხვადასხვა ტიპის, როგორც რისკიანი თამაშის, ასევე, განმარტოებისა და პატარა ჯგუფში მუშაობის შესაძლებლობას, ამისათვის ეზოში გვჭირდება ადგილები:

1. აქტიური თამაშებისთვის - სპორტული მოედნები, სასრიალოები, საძრომიალოები, საქანელები და ა.შ.
2. მცირე ჯგუფებად, ან ინდივიდუალური თამაშებისთვის - მყუდრო მდელო დასაჯდომი კუნძებით, რომელსაც ხეები უჩრდილავს, კარავი ბაღის ეზოში, სათამაშო სახლი და ა.შ.
3. შეკრების ადგილი - სივრცე, სადაც შეიკრიბებიან როგორც მცირე, ისე დიდი ჯგუფები, ბავშვები, თანამშრომლები, ან მშობლები, დასაჯდომი კუნძებით, შესაძლოა სცენისმაგვარი ამაღლებული ადგილით. ეს იქნება მრავალფუნქციური სივრცე სხვადასხვა ტიპის შეხვედრებისა და გაზიარებისთვის;
4. ექსპერიმენტული სივრცეები - ადგილი, სადაც ბავშვები დარგავენ, მოუვლიან, დააკვირდებიან მცენარეების ზრდას, ითამაშებენ „ჭუჭყიან თამაშებს“, ჩაერთვებიან შემოქმედებით საქმიანობაში (ხატვა, ფერწერა, ძერწვა).
5. ეკოლოგიური სივრცეები - ადგილები, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ, მოუარონ მცენარეებსა და ცხოველებს.

ქვემოთ მოცემულია ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სივრცის ეზოში განლაგება.



☼ **ღია მასალები** - მასალა, რომელსაც ბავშვები სხვადასხვაგვარად გამოიყენებენ, ეზოში ეს შეიძლება იყოს: გირჩები, ხის ტოტები და მცირე ზომის მორები, ნიჟარები, ქვები, ქვიშა, მიწა, თიხა, თივა;

☼ **სეზონურობის გათვალისწინება** - ბაღის ეზოს დაგეგმვისას, უნდა გავითვალისწინოთ სეზონების ცვალებადობა, ის, რომ ზოგიერთი მცენარე ზამთარში არ არის სიცოცხლისუნარიანი, ზოგიერთი მცენარე წელიწადის გარკვეულ დროს ყვავის და ა.შ.

თავდაპირველად უნდა ვიზრუნოთ ეზოს ბუნებრივი ელემენტებით (ხეები, ბუჩქები, ეზოს ყვავილები) გამდიდრებაზე, ვინაიდან სწორედ ბუნებრივი ელემენტებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბავშვის მდიდარი და მასტიმულირებელი გამოცდილებისთვის. თუმცა იმისათვის, რომ ეზოს გარემომ ბავშვის მრავალმხრივი განვითარება უზრუნველყოს, ბაღის ეზოში ხეებისა და ბუჩქების დარგვა არ კმარა. საჭიროა ეზოს სივრცის გააზრება და მისი რესურსის მაქსიმალურად გამოყენება, ეზოს აღჭურვა სხვადასხვა საფარით, სხვადასხვა ფაქტურით (მაგ.: ასფალტის საფარი, ბალახი, ქვიშა, დასამუშავებელი მიწა და ა.შ.)

ეზოს მზა აღჭურვილობა საკმაოდ ძვირადღირებული რესურსია, რისი შეძენის საშუალებაც, ბაღს შესაძლოა ყოველთვის არ ჰქონდეს. თუმცა არსებობს მარტივი და არაძვირადღირებული საშუალებებიც ეზოს იმგვარად მოსაწყობად, რომ ბავშვებს ჰქონდეთ უხეში მოტორიკის განვითარების შესაძლებლობა.

☼ **ხის კუნძები, ან მორები** - ბაღის ეზოში გადებულ მორებზე ბავშვები წონასწორობის შესანარჩუნებელ თამაშებს ითამაშებენ, სხვადასხვა ზომის კუნძებზე გადახტებიან და ა.შ.

☼ **სატვირთო მანქანის ძველი საბურავები** - საუკეთესო მასალაა საძრომიალოების, გვირაბების დასამზადებლად - თუ საბურავის ერთ ნაწილს მიწაში მოვათავსებთ, ასეთი საძრომიალო უფრო მყარი იქნება, ხოლო თუ რამდენიმე საბურავს ერთმანეთზე მივაწყობთ, გასაძრომი მილი გამოგვივა. ნიადაგში ჩამაგრებულ მილზე ხის მოგრძო ფიცრის მყარად დამაგრებით მშვენიერ აიწონა-დაიწონას მივიღებთ და ა.შ.

სხვადასხვა ფაქტურის ზედაპირები - ბაღის ეზოს ერთ მონაკვეთზე შეგიძლიათ გააკეთოთ ბილიკი სხვადასხვა ფაქტურის ზედაპირით, მაგალითად, ბილიკის ნაწილი -ქვაფენილიანი, ნაწილი - ხელოვნური ბალახით, მოფილაქნებული, ბუნებრივი ბალახით და ა.შ. ასეთ ბილიკზე სიარული განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ბავშვების სენსორული უნარების განსავითარებლად ზაფხულის დღეებში, როცა ფეხშიშველები შეძლებენ ბილიკზე სიარულს.

საგანმანათლებლო რესურსი

საგანმანათლებლო რესურსზე მსჯელობა ყოველთვის აქტუალურია, განსახილველ საკითხთა შორის კი ხშირად არის შემდეგი თემები: როგორი უნდა იყოს ეს რესურსი? რას ნიშნავს ღია, არასტრუქტურირებული და სტრუქტურირებული რესურსი? რაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი რესურსის შეძენისას? რა დოზით შეგვიძლია ხელნაკეთი, ან ბუნებრივი რესურსის გამოყენება და ა..შ.

საგანმანათლებლო რესურსი - *ყველა ის მასალა, რომელიც გამოიყენება დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას, მაგ.: ქარხნული წესით დამზადებული თუ ხელნაკეთი სათამაშოები, ბუნებრივი, სამხატვრო და საკანცელარიო, ღია და მეორადი მასალა, ბეჭდური მასალა და ა.შ.,*

საგანმანათლებლო პროცესის მრავალფეროვნების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რესურსის მრავალფეროვნებაზე. ბავშვის ჰოლისტურ, მრავალმხრივ განვითარებას შესაბამისი - მრავალფეროვანი, სხვადახვა უნარების განმავითარებელი - რესურსი სჭირდება.

ღია მასალა - *საგანმანათლებლო რესურსის ტიპი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვანაირად. ღია მასალა შესაძლოა იყოს როგორც ბუნებრივი წარმოშობის (მაგ.: კენჭები, ჯოხები, ფოთლები, ბუმბული და ა.შ.), ასევე, ქარხნული (მაგ.: მინისა და ხის ბურთულები, მუყაოს ყუთები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.). ბავშვების მიერ ღია მასალის გამოყენება ხელს უწყობს წარმოსახვის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.*

ცენტრების საგანმანათლებლო რესურსით აღჭურვისას გასათვალისწინებელია, რომ რესურსი ბავშვების რაოდენობის შესაბამისი იყოს. რას ნიშნავს ეს? რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება, რომ თუ ბავშვი გვყავს, ამდენივე თოჯინა, მანქანა, ლოტო, ფაზლი, მაკრატელი, წებო, ბურთი, სათლი და ა.შ. დაგვჭირდება. რესურსი ისე უნდა მოვიმარაგოთ, რომ სხვადასხვა სივრცეებში მყოფ ბავშვებს არ უწევდეთ დიდხანს ლოდინი. მაგალითად, თუ ხელოვნების ცენტრში 8 ბავშვის ადგილია, ამდენივე ინდივიდუალური მოხმარების ნივთი დაგვჭირდება (მაკრატელი, წებო, ფუნჯი და ა.შ.), რათა ბავშვებმა შეძლონ შეუფერხებლად მუშაობა, თუმცა ე.წ. „ხარჯვადი მასალები", როგორიცაა ფურცლები, ფერადი ქაღალდი, პლასტილინი და ა.შ. გაცილებით მეტი დაგვჭირდება, როტაციის შემთხვევაში ამ სივრცეში შესულმა სხვა ბავშვებმაც რომ შეძლონ ნამუშევრის შესრულება, მასალის „გამოულევლად".

კონკრეტული მასალის სიმწირე მიგვანიშნებს, რომ დაწესებულებაში ყოფნის დროს ბავშვებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, განივითარონ სპეციფიური უნარები. ამასთან, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვებს შევთავაზოთ განვითარებისა და ასაკის შესაბამისი რესურსი. საუკეთესო გზა ამის შესამოწმებლად, მასალის შეთავაზებისას ბავშვზე დაკვირვებაა: მასალამ ბავშვის ყურადღება მიიპყრო თუ არა, მისი გამოყენება დიდ სიძნელეს, ან ზედმეტ სიმარტივეს ხომ არ უკავშირდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რესურსი **ხელმისაწვდომი** უნდა იყოს. რას ნიშნავს ეს? ბავშვებს უნდა შეეძლოთ მასალის დამოუკიდებლად, უფროსის დაუხმარებლად აღება. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მაქსიმუმ ბავშვის სიმაღლეზე უნდა ინახებოდეს, თაროებზე ან კარადებში. თუმცა საგანმანათლებლო პროცესში შესაძლებელია ისეთი რამეც დაგვჭირდეს, რისი გამოყენებაც ბავშვისთვის უფროსის ზედამხედველობის გარეშე, შესაძლოა, სახიფათო აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში მასალა ისეთ ადგილას უნდა შევინახოთ, სადაც ბავშვები ვერ დაინახავენ და ვერ მიწვდებიან, მაგალითად დახურულ მაღალ კარადაში ან სამასწავლებლოში.

ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასალა კარგად ორგანიზებული და ლოგიკურად დახარისხებული იყოს ღია თაროებზე, მაგალითად, დიდი ზომის მძივები და გასაყრელი ზონრები ერთად მოვათავსოთ, რათა ბავშვებმა შეძლონ მასალის ლოგიკურად გამოყენება. კონტეინერებს სასურველია გავუკეთოთ იარლიყები წარწერით და შესაბამისი გრაფიკული მინიშნებით. ნატიფი მოტორიკის თამაშები ხშირად წვრილი, მრავალი დეტალისგან შედგება, გაუმართლებელია სხვადასხვა თამაშების დეტალების ერთ კონტეინერში თავმოყრა და ერთმანეთში შერევა, უმჯობესია ბავშვები წესრიგს მივაჩვიოთ. ბავშვებს ზოგჯერ ბეზრდებათ თამაშები, ამიტომ შესაძლოა ზოგიერთი თამაში დროებით შევინახოთ და ახალი რესურსით ჩავანაცვლოთ, რაღაც დროის გასვლის შემდეგ კი, ბავშვებს ხელახლა შევთავაზოთ.

ბავშვებს დალაგებისას თაროებზე კონტეინერებისთვის შესაფერისი ადგილის მოძებნა რომ გავუადვილოთ, შესაძლოა თაროებსაც გავუკეთოთ კონტეინერის შესაბამისი გრაფიკული მინიშნება. მაგალითად, წარწერა გირჩები, შესაბამისი ნახატით როგორც თაროზე, ასევე კონტეინერზე და ა.შ. შესაბამისი ილუსტრაცია

როგორც ზემოთ ითქვა მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი რესურსი ხელმისაწვდომი იყოს ბავშვებისთვის (ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, 8-საათიანი დღის შემთხვევაში, ამ რესურსით ყოველდღიურად დღეში არანაკლებ 1 საათით თავისუფლად ისარგებლონ). მნიშვნელოვანია, რომ ყველანაირი მასალა, რასაც ბავშვები იყენებენ გამართული იყოს: სათამაშოები მთელი, ფუნჯების ჯაგრისი დაუზიანებელი, ფანქრები გათლილი და ა.შ.

რესურსი ზოგჯერ შეგვიძლია თავად დაამზადოთ, მაგალითად თითით სახატავი საღებავი, ან მარილიანი ცომი.

როგორ დავამზადოთ თითით სახატავი საღებავი?
შეურიეთ თანაბარი რაოდენობით ხორბლის ფქვილი და წყალი, დადგით ცეცხლზე და აადუღეთ. გაციების შემდეგ მასას დაუმატეთ საკვები საღებავი.

როგორ დავამზადოთ საძერწი ცომი?
შეურიეთ ერთმანეთს სახამებელი და სოდა, წყალი. დადგით ცეცხლზე და ურიეთ შესქელებამდე. გააციეთ და გამოიყენეთ. ეს ცომი ქათქათა თეთრი გამოდის, შეგიძლიათ მასაც დაუმატოთ საკვები საღებავი.

შენიშვნა: ***როგორ დავამზადოთ მუყაო?***
ნახმარი, გამოუსადეგარი ქაღალდი (აპლიკაციის დროს დარჩენილი ნაჭრები და ა.შ.) შეაგროვეთ, დაასხით წყალი და დაალბეთ. კარგად დალბობის შემდეგ შეგიძლიათ ბლენდერში დაატრიალოთ, ან ხელით დაზილოთ. მიღებული მასა მოათავსეთ ბრტყელ ზედაპირზე. დაადეთ პრესი, რომ ზედმეტი წყალი გამოვიდეს. გააშრეთ და გამოიყენეთ, როგორც მეორადი ქაღალდი.

ტექნიკა ჯგუფში

საგანმანათლებლო მიზნებისთვის დაწესებულების ფარგლებში შესაძლოა გამოვიყენოთ ვიდეო და აუდიო ტექნიკა (ტელევიზორი, კომპიუტერი, პროექტორი, მუსიკალური ცენტრი), ეს შესაძლოა იყოს ბავშვებისთვის ვიდეოს ჩვენება, მაგალითად, მცენარის ზრდის, პლანეტების, წყალქვეშა სამყაროს და ა შ. შესახებ. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს სახლში ყოფნისას ეკრანთან ატარებენ, მიუხედავად იმისა, რომ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ეკრანთან გატარებული დრო 24 საათში მაქსიმუმ 20 წუთია! ამიტომ ბაღში მაინც, ეკრანთან გატარებული დრო მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არსებობს ცუდი პრაქტიკა, ბავშვებს დილიდან, ჯგუფში შემოსვლისთანავე, ან დასვენების დროს, ჩავურთოთ ტელევიზორი „გართობის“ მიზნით. ამით თავად ვუბიძგებთ ბავშვებს ეკრანზე მიჯაჭვულობისკენ. თუმცა მეორე უკიდურესობაა, როდესაც ნებისმიერი სახის ეკრანი იკრძალება იმის შიშით, რომ აღმზრდელ-პედაგოგმა/აღმზრდელმა არამიზნობრივად ან ზედმეტად დიდი ხნით არ გამოიყენოს.

საინტერესო და განმავითარებელი საქმიანობებისთვის შესაძლოა გამოგადგეთ ფოტოაპარატი და აუდიოჩამწერი. გარდა იმისა, რომ ბავშვები შეძლებენ მათ გამოყენებას

სხვადასხვა მოვლენებზე დასაკვირვებლად, ეს ტექნიკა აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებსაც გამოადგება სრულფასოვანი პორტფოლიოების შედგენაში.

საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება ბავშვებს ჯგუფის სივრცეშიც შეუძლიათ და ეზოშიც. ეზოს შემთხვევაში შესაძლოა გვქონდეს ე.წ. საქმიანობების სკივრები, სადაც რესურსი თემატურად იქნება მოთავსებული, მაგალითად, სახატავ სკივრში გვექნება - ფანქრები, საღებავები, ფუნჯები, ფურცელი, წყლის ბოთლები, კვლევის სკივრში - ლუპა, ნიჩბები, ფურცლები და ფანქრები დაკვირვების ჩასანიშნად და ა.შ.

რესურსი არასოდეს არის საკმარისი, როგორ მოვიქცეთ?

ქვემოთ მოცემული პრაქტიკული რჩევები საგანმანათლებლო რესურსის გამრავალფეროვნებაში დაგეხმარებათ:

- **მოაწყვეთ თანამშრომელთა ექსკურსია ბუნებრივი მასალების შესავსებად** - აირჩიეთ შედარებით თავისუფალი დღე და კოლეგებთან ერთად დაგეგმეთ ტყეში ან მდინარის პირას გასეირნება სხვადასხვა ბუნებრივი მასალის შესაგროვებლად, იქნება ეს ხის ტოტები, კუნძები, გირჩები, რკო, კენჭები, ბუმბულები, სხვადასხვანაირი ფოთოლი, ნიადაგი და ა.შ. ასეთი ექსკურსიის დროს ბაღის ჯგუფებისთვის ბუნებრივ მასალასაც მოიმარაგებთ, თან თანამშრომლებსაც მიეცემათ საშუალება, მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით, ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ. ასეთ გასვლებში შეგიძლიათ პერიოდულად მშობლებიც ჩართოთ;
- **დაგეგმეთ რესურსის დამზადება თანამშრომლებთან ერთად** - წაახალისეთ დაწესებულების თანამშრომლები, აღმზრდელ-პედაგოგები/აღმზრდელები, რომ ბავშვებთან არასაკონტაქტო დროის ნაწილი საგანმანათლებლო რესურსის დამზადებას დაუთმონ. კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებს ასეთი ტიპის რესურსი უფრო მეტად მიესადაგება, ვიდრე ნაყიდი მასალა, რადგან ჯგუფში მომუშავე უფროსებმა ყოველთვის უკეთ იციან, მათი ჯგუფის ბავშვებს კონკრეტულად რა სჭირდებათ.
- **დაგეგმეთ რესურსის დამზადება მშობლებთან ერთად** - ნებისმიერ ბაღში შეიძლება აღმოაჩინოთ მშობელი, რომელსაც კერვა ან ქსოვა ეხერხება, ხეზე მუშაობს, ბავშვობაში თოჯინების შეკერვით იყო გატაცებული და ა.შ. გამოიყენეთ მშობლების ეს უნარები, დაგეგმეთ მათთან ერთად კონკრეტული სათამაშოების დამზადება. რესურსი შეგიძლიათ დროთა განმავლობაში შეაგროვოთ. ასეთი სათამაშოებით ბავშვები განსაკუთრებული ხალისითაც ითამაშებენ და განსაკუთრებითაც მოუფრთხილდებიან;
- **რესურსის გაცვლა ჯგუფებში** - მრავალკონტინგენტიან ბაღში შესაძლოა საკმაოდ კარგი პრაქტიკა იყოს რესურსის გაცვლა ჯგუფებს შორის. ბავშვებს დროთა განმავლობაში ბეზრდებათ ის სათამაშოები, რომლებიც ჯგუფშია, სხვა ჯგუფის ბავშვების სათამაშოების, წიგნების შეტანა კი უფრო გაახალისებს მათ. ეს მომენტი ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ სოციალური უნარების გასავითარებლად: სხვა ბავშვების ნივთების მოფრთხილება, დაზიანების შემთხვევაში შეკეთება, საკუთარი სათამაშოების სხვებისთვის თხოვება და სხვა.

თავი 4. ურთიერთობა

საკვანძო სიტყვები:
ურთიერთობა
ურთიერთობის ტიპები
ძალადობა
ბავშვის პატივისცემა

„ის დღე იყო და მას აქეთ ვეღარ გამოვბრუნდი. არ იქნა ვეღარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლად ვწერ; ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიქტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა. ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკად მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე...“

აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი

ამ თავში პრაქტიკოსები შეიტყობენ, რა როლი აკისრია, ზოგადად, ურთიერთობებს სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაში, რას გულისხმობს პრაქტიკაში ბავშვის პატივისცემა, პოზიტიური ურთიერთობის რა სტრატეგიები არსებობს. თავში შემოგთავაზებთ რეკომენდაციებს პოზიტიური დისციპლინის დასამყარებლად. პრაქტიკოსები ასევე შეიტყობენ,რამდენად მნიშვნელოვანია მათი პირადი მაგალითი ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ხელშესაწყობად.

თავის ძირითადი თემები

ურთიერთობების როლი
→ ურთიერთობების ტიპები
რას ნიშნავს ბავშვის პატივისცემა
ბავშვებს შორის ურთიერთობა
უფროსი, როგორც მაგალითი

ურთიერთობების როლი

ინდივიდების ცხოვრება ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია. გვინდა თუ არ გვინდა, ერთმანეთთან ურთიერთობა გვიწევს ყველგან: სახლში თუ გარეთ. ურთიერთობები ხანდახან გვაბედნიერებს, გვაფიქრებს, სიამოვნებას გვანიჭებს, წაგვახალისებს ან პირიქით, მოტივაციას გვიკარგავს. ბავშვებისთვის

ურთიერთობები სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი წყაროა; ურთიერთობებით შეისწავლიან მათ ირგვლივ არსებულ გარემოს, სოციალურ და კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს, ამიტომაც, მნიშვნელოვანია, როგორია ეს ურთიერთობები, სიხარულის მომტანი და სასიამოვნო, თუ დამთრგუნველი და დამღლელი. როგორ ურთიერთობებშიც იქნებიან ბავშვები ჩართულები ადრეული ასაკიდან, სწორედ იმას დაისწავლიან გარესამყაროზე, ამიტომაც ჩვენი მოვალეობა პოზიტიური ურთიერთობების უზრუნველყოფაა.

საგანმანათლებლო სივრცე ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ურთიერთობების „სწავლებისთვის“, აქ ურთიერთობების სხვადასხვა შრეებია, ბავშვებს შორის, ბავშვებსა და აღმზრდელ-პედაგოგებს/აღმზრდელებს შორის, ბავშვებსა და ბაღის სხვა თანამშრომლებს შორის, აღმზრდელ-პედაგოგებსა და აღმზრდელებს შორის, მშობლებსა და აღმზრდელ-პედაგოგებს/აღმზრდელებს შორის და ა.შ. ჩართულ მხარეებს უწევთ ურთიერთობების დარეგულირება, პოზიტიურ ჭრილში გადატანა, ერთმანეთის გათვალისწინება, ერთმანეთზე ზრუნვა, კონფლიქტების მოგვარება, კომპრომისზე წასვლა და ა.შ.

ურთიერთობა - ერთი შეხედვით, თითქოს აბსტრაქტული ცნებაა, თუმცა მისი დანახვა და მასზე მსჯელობა, ხელშესახებ და კონკრეტულ ინდიკატორებზე დაკვირვებით, სავსებით შესაძლებელია. რაში გამოიხატება ურთიერთობები, რა ხილულ დეტალებში მჟღავნდება ბავშვსა და უფროსებს შორის ინტერაქცია, ბაღის თანამშრომლებს შორის დამოკიდებულება, თანამშრომლებსა და ბავშვის ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა? ეს შესაძლოა იყოს, ერთი მხრივ, ფიზიკური კონტაქტი და სხვა არავერბალური კომუნიკაციის სახეები, როგორიცაა ჟესტები, სახის მიმიკა, ხოლო მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ვერბალური კომუნიკაცია.

ურთიერთობების ტიპები

ინდივიდთა შორის ურთიერთობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ნეგატიური, ნეიტრალური, პოზიტიური. რითი ხასიათდება თითოეული ეს ტიპი?

ნეგატიური ურთიერთობა, ნეგატიური დამოკიდებულება შემდეგ ქცევაში გამოიხატება: ხშირად ვბრაზდებით, გაღიზიანებულები ვართ, მუდმივად ვბუზღუნებთ, ვწუწუნებთ, ვართ ცივები, გამოვხატავთ უპატივცემულობას, აბუჩად ვიგდებთ, ვუხეშობთ, არ ვითვალისწინებთ. როგორ გრძნობს ამ დროს თავს მეორე ადამიანი (ბავშვი, ბაღის თანამშრომელი და ა.შ.) - ნაკლებად აქვს იმის შეგრძნება, რომ ის ჩვენთვის ძვირფასია, ვერ გრძნობს თავს დაფასებულად, ნაკლებად აქვს კომპეტენტურობის განცდა, ჰგონია, რომ არაფერი იცის, არაფერი შეუძლია, ნაკლებად აქვს შეგრძნება, რომ უყვართ.

პოზიტიური ურთიერთობების შემთხვევაში, ყველაფერი პირიქით ხდება. პოზიტიური ურთიერთობები შემდეგ ქცევაში გამოიხატება: ვართ მშვიდები, გაწონასწორებულები, თავაზიანები, ბედნიერები, კმაყოფილები, გამოვხატავთ პატივისცემას და ინტერესს. შესაბამისად, მეორე მხარეს აქვს შეგრძნება, რომ ის ძვირფასია, დაფასებულია, აქვს შეგრძნება, რომ პატივს სცემენ და უყვართ.

პოზიტიური ურთიერთობები თანატოლებთან და უფროსებთან მნიშვნელოვანი წინაპირობა და ხელშემწყობი ფაქტორია ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის. ნეიტრალური ურთიერთობები არ იწვევს ძლიერ შეგრძნებებს, შესაბამისად, ასეთი ურთიერთობები არ არის მხარდამჭერი. თუ ბავშვთან მუდმივად ნეიტრალური ურთიერთობები გვაქვს, თუ მას არ წავახალისებთ, არ გამოვხატავთ ემპათიას, ემოციებს, არ ვაგრძნობინებთ, რომ გვიხარია, გვწყინს და ა.შ. ასეთი დამოკიდებულებით, საბოლოო ჯამში, ვაზიანებთ ბავშვებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ურთიერთობების ტიპები, უფროსის ქცევაში გამოხატული დამოკიდებულება და ბავშვის შეგრძნება ამ დროს.

ურთიერთობის ტიპი	უფროსის დამოკიდებულება	ბავშვის შეგრძნებები
ნეგატიური ურთიერთობა	გაღიზიანებულობა, სიცივე ურთიერთობაში, ბრაზი, უპატივცემულობა, სიუხეშე.	მე არ ვარ ძვირფასი... არ მაფასებენ... არაფერი ვიცი, არაფერი შემიძლია... მე არ ვუყვარვარ...
პოზიტიური ურთიერთობა	სიმშვიდე, გაწონასწორებულობა, ბედნიერების, კმაყოფილების შეგრძნება	მე მასწავლებლისთვის ძვირფასი ვარ... ის ჩემზე ზრუნავს... ის მე პატივს მცემს... მე ბევრი რამ შემიძლია, ბევრი რამ ვიცი... მე ვუყვარვარ...
ნეიტრალური ურთიერთობა	ემოციის არქონა, უკუკავშირის ნაკლებობა	მასწავლებელი ვერ მამჩნევს... მე არც ისეთი მნიშვნელოვანი ვარ...

გამოიცანით, რომელი მასწავლებელი როგორ ურთიერთობს თავის ბავშვებთან

ურთიერთობა ასევე შეიძლება იყოს თბილი ან ცივი. სითბო გამოიხატება უფროსის ფრთხილ შეხებაში, რომელიც ბავშვისთვის არ არის შემაწუხებელი, ღიმილში, ხმის კეთილგანწყობილ ტონში, თვალით კონტაქტში. ცივი ურთიერთობა ხასიათდება ბავშვის მიმართ გულგრილი ქცევით, უინტერესობის გამოხატვით, ფიზიკური კონტაქტის გამოყენებით, მხოლოდ ბავშვების ქცევის გასაკონტროლებლად. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჩვენი მიზანი სწორედ თბილი ურთიერთობის ჩამოყალიბება უნდა იყოს. ამავე დროს, თბილი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში გასათვალისწინებელია ბავშვების ინდივიდუალობა: ზოგიერთი ბავშვი შეიძლება მუდმივად ითხოვდეს უფროსთან ფიზიკურ სიახლოვეს, ჩახუტებას, სხვას კი ნაკლებად მოსწონდეს შეხება.

მიიჩნევა, რომ ნეგატიური დამოკიდებულება აზიანებს ბავშვის ფსიქიკას, მას პრობლემები ექმნება თანატოლებთან ურთიერთობისას როგორც აწმყოში, ასევე მომავალში. ამიტომაც ჩვენი მიზანი დაწესებულების სივრცეში სწორედ პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფაა, რაც ნიშნავს პოზიტიური ურთიერთობის ხელშეწყობას ბავშვებში, დადებით ინტერაქციას ბავშვებთან და მათ ოჯახებთან, ასეთივე ურთიერთობის წახალისებას თანამშრომლებში.

შენიშვნა: *გივიკო ბოლო დროს უარს ამბობს ბაღში წამოსვლაზე, იგი ყოველ დილით ჭირვეულობს, ფეხს ითრევს საუზმის დროს, გზაში მუდმივად წუწუნებს, ჯგუფში მომუშავე უფროსებსა და მშობლებს დიდ ძალისხმევად უჯდებათ მისი ჯგუფში შეყვანა. შორენა, გივიკოს დედა და ანა, გივიკოს ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი ვერაფრით მიხვდნენ ბავშვის ასეთი ცვლილების მიზეზს. „ანა მასწავლებლის მეშინია“ - უპასუხა გივიკომ დედას, როდესაც შორენამ გივიკოს პროტესტის მიზეზი ჰკითხა. „რატომ? აქამდე ხომ ძალიან გიყვარდა? გაგიბრაზდა და გეწყინა? დაგსაჯა?“ - შეშფოთებულმა დედამ შეკითხვები დააყარა ბავშვს. „ანა მასწავლებელი მე სულ მეფერება, ყველა ბავშვს ეფერება, მარტო თიკას არა, თიკას თვალებს უბრიალებს და ცუდი ხმით ელაპარაკება“.*

ზემოთ მოყვანილი მაგალითი მოწმობს, რომ მართალია, უფროსი შესაძლოა მხოლოდ ერთი ბავშვის მიმართ იყოს ნეგატიური და დანარჩენი ჯგუფის მიმართ მსგავს დამოკიდებულებას არ გამოხატავდეს, ეს განწყობა სხვა ბავშვებზეც გადადის. ამ დროს დანარჩენი ბავშვები იმავეს გრძნობენ, რასაც ნეგატიური დამოკიდებულების მსხვერპლი ბავშვი, ისინი შფოთავენ, ფიქრობენ, რომ უფროსის ნეგატიური დამოკიდებულება მათაც ეკუთვნით. გარდა ამისა, ასეთი ურთიერთობა, შესაძლოა, ცუდი მაგალითი აღმოჩნდეს ბავშვებისთვის ერთმანეთთან, ან სხვა უფროსებთან ურთიერთობისას.

ურთიერთობის ტიპების გავლენა მხოლოდ ბავშვებზე არ ვრცელდება, ბაღის მენეჯერის, სასწავლო პროგრამების კოორდინატორის ურთიერთობის სტილი თანამშრომლებთან, ან დამფუძნებლის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ურთიერთობა ბაღის მენეჯერთან, განაპირობებს თანამშრომელთა ორგანიზაციულ ქცევასა და ღირებულებებს. მენეჯერების დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ, დადებითად, ან უარყოფითად მოქმედებს მათზე, ხოლო თანამშრომლების დაძაბულობა, ნეგატიური განწყობილება, შესაძლოა, ბავშვებზე გავრცელდეს. ასე რომ ბაღის სივრცეში ურთიერთობები უწყვეტი ჯაჭვის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სადაც ადამიანების განწყობილება გადამდებია და ერთმანეთზე ზემოქმედებს.





რას ნიშნავს ბავშვის პატივისცემა

ბავშვის პატივისცემა ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. რას ნიშნავს ბავშვის პატივისცემა? ჩვენ ხომ გვიყვარს ბავშვები, ვზრუნავთ მათზე, ვცდილობთ შევუქმნათ ყველა პირობა, ჯანმრთელები და ბედნიერები რომ გაიზარდონ. რაში გამოიხატება ჩვენი მათდამი პატივისცემა? ისეთ მარტივ საკითხებში, როგორიც არის იმის აღიარება, რომ ბავშვებსაც აქვთ ინტერესები, ინდივიდუალური თავისებურებები, სურვილები, მოსაზრებები, შეხედულებები, გემოვნება, ემოციები. ის, რომ ჩვენზე, უფროსებზე პატარები არიან, არ ნიშნავს, რომ ყველა ის შეგრძნება თუ მოთხოვნილება არ აქვთ, რასაც ზრდასრულები ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ბავშვის პატივისცემა ნიშნავს, იყო გულისხმიერი და გამოხატავდე ინტერესს მის მიმართ, გაინტერესებდეს მისი გრძნობები, ფიქრები, მისი ცხოვრება.

ბავშვის პატივისცემა ჩვენს კონკრეტულ ქმედებებში მჟღავნდება:

როგორ ვიქცევით	მაგალითი		როგორ არ ვიქცევით	მაგალითი
ყურადღებით ვუსმენთ ბავშვის შეკითხვას, ვაძლევთ შესაბამის უკუკავშირს.	თეკლა, შენ გაინტერესებს რატომ არ იძირება გემი წყალში, როგორ ფიქრობ როგორ შეიძლება ეს გავიგოთ?		ვაიგნორებთ, ან არ ვპასუხობთ ბავშვის შეკითხვას	თეკლა, რა დროს გემებია, ჯობია წინ იყურო და ფაფა ჭამო!
როცა ბავშვი ტირის ან წუხს, თანაგრძნობას გამოვხატავთ	თორნიკე, ძალიან გტკივა ხომ ფეხი...		როცა ბავშვი ტირის ან წუხს, ვარცხვენთ მას	თორნიკე, აბა, რა გატირებს, არ გრცხვენია? როდის იყო, ვაჟკაცები ტიროდნენ?
გამოვხატავთ ყურადღებას, როცა ბავშვი თავის ნამუშევარს გვაჩვენებს	ნინიკო, როგორი კოშკი აგიშენებია, ზღაპრულ კოშკს ჰგავს...		გამოვხატავთ გულგრილობას, როცა ბავშვი თავის ნამუშევარს გვაჩვენებს	ნინიკო, კარგი ეხლა გეყოფა, დაანებე თავი მაგ კუბიკებს და მოდი, ქურთუკი და ფეხსაცმელი ჩაიცვი, ეზოში გავდივართ...
ვცვლით აქტივობას, როცა ვხვდებით, რომ ბავშვის ინტერესი დაბალია	მგონი ცოტა დაიღალე, მოდი ახლა ვცადოთ ეს ყველაფერი სიმღერ-სიმღერით გავიმეოროთ, მგონი, სახალისო იქნება, ან იქნებ შენ მომაწოდო იდეები...		განვაგრძობთ აქტივობას, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი არ გამოხატავს ინტერესს	აბა, ვინ არ მისმენს, როგორ შეიძლება ასე მოქცევა, შენთვის ვლაპარაკობ მგონი...
ვერევით, როცა ბავშვები ფიზიკურად უსწორდებიან ერთმანეთს	გიორგი და ანიკო, ასე ერთმანეთს დაუზიანებთ და ატკენთ რამეს, სხვანაირად ვცადოთ შეთანხმება..		ვახდენთ ბავშვების ჩხუბისა და ერთმანეთის მიმართ გამოხატული აგრესიის იგნორირებას	აღმზრდელი ხედავს, როგორ ჩაარტყა ანიკომ გიორგის, მაგრამ ინციდენტს არ იმჩნევს, რადგან შემდეგი აქტივობისთვის ამზადებს მასალას.

როგორ ვიქცევით	მაგალითი		როგორ არ ვიქცევით	მაგალითი
შესაბამისად ვრეაგირებთ, როცა ბავშვს შია, დაღლილია, საპირფარეშოში უნდა	...მგონი ცოტა დაიღალეთ, მოდი ხალიჩაზე წამოწექით და თვალები და ხელები დაასვენეთ...		ვახდენთ იგნორირებას, როცა ბავშვს შია, დაღლილია, საპირფარეშოში უნდა	...ყველა დაამთავრებს სადილს და მერე ერთად გახვალთ ტუალეტში, არცერთმა არ მთხოვოთ იქამდე, ასე სათითაოდ ვერ ირბენთ...
გამოვხატავთ თანაგრძნობას, როცა ბავშვი ნაწყენი ან შეშფოთებულია	ბექა, ვხედავ, რომ ძალიან გეწყინა, ალბათ ამიტომ ხარ ასე...		დავცინით ბავშვს, რომელიც ნაწყენი ან შეშფოთებულია	...მოდი საყვარელო, ნუ იბერები ბუშტივით, თორემ გასკდები...ცივ წყალს დაგალევინებ ეხლა, წყენას შველის...
შესაბამისად ვპასუხობთ ბავშვს, რომელიც გამოხატავს ფიზიკური სიახლოვის სურვილს	მათე, თუ გინდა მომკიდე ხელი და ერთად გავიდეთ...		ყურადღებას არ ვაქცევთ ბავშვს, რომელიც გამოხატავს ფიზიკური სიახლოვის სურვილს	მათე, ნუ ჩამომეკიდები ხოლმე ასე, მიდი და გამოვალ...
გამოვხატავთ სითბოს და კეთილგანწყობას	ია, მოდი ერთად დავუსხათ წყალი...		ვართ უხეშები	ია, გოგო, მოდი აქ, დაგასხმევინო წყალი...
წყენას კორექტულად გამოვხატავთ	ცოტნე, ძალიან მეწყინა, ეს რომ მითხარი...		წყენას გამოვხატავთ ჩხუბით, ვილანძღებით	ცოტნე, როგორ გაბედე, ეს რომ მითხარი, შე ტუტუცო ბავშვო, უყურე შენ ამას!

როგორ უნდა მოიქცეთ, რომ ბავშვმა იგრძნოს, რომ პატივს სცემენ:

- მოთმინებით და მშვიდად დაელოდეთ ბავშვს, რომელიც ნელა საუბრობს და გამოთქვამს თავის აზრს, არ გააწყვეტინოთ;
- იყავით ყურადღებიანი მსმენელი;
- პატივი ეცით ბავშვის აზრებს, შეხედულებებს, იდეებს;
- ბავშვებთან ერთად იმსჯელეთ მათ იდეებზე;
- არასასურველი ქცევის შემთხვევაში, თავაზიანად მიუთითეთ და არ შეურაცხყოთ;
- მშვიდად აუხსენით ბავშვს, თუ მას არ ესმის რამე, ნუ ეტყვით - „ ეს ადვილია“. ის, რაც თქვენთვის ადვილია, სხვისთვის შესაძლოა რთული აღმოჩნდეს.
- იყავით კეთილგანწყობილი და მზრუნველი;
- გამოიყენეთ თავაზიანი სიტყვები ბავშვებთან ურთიერთობისას;
- გაძღოლისას ნუ იქნებით დირექტიულები;
- იცინეთ ბავშვებთან ერთად, მაგრამ არ დასცინოთ მათ;
- გაუზიარეთ ბავშვებს თქვენი მოსაზრებები, ემოციები;
- გამოხატეთ მხარდაჭერა, როცა ბავშვს უჭირს;
- აღიარეთ და დააფასეთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის, ნუ შეადარებთ სხვას;

ბავშვებს შორის ურთიერთობა

ბაღში მომუშავე უფროსების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ხელშეწყობაა, ასეთი ურთიერობის წახალისება და ხშირ შემთხვევაში, სწავლებაც. ზრდასრულებს დიდი ძალისხმევა და მოთმინება გვჭირდება, სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ისეთი სოციალური უნარების შემუშავებაში რომ დავეხმაროთ, როგორიცაა თანამშრომლობა, განაწილება, სხვისი გრძნობების გაზიარება. ბავშვებს დრო სჭირდებათ ამ უნარების გამოსამუშავებლად და გარშემომყოფებთან პოზიტიური კომუნიკაციის დასამყარებლად. ბავშვებს შორის პოზიტიური კომუნიკაცია ნიშნავს ერთმანეთთან კარგად თამაშს, ჩხუბისა და კონფლიქტების გარეშე ერთად საქმიანობას.

ძალიან მნიშვნელოვანია, ბაღის თანამშრომლებს შემუშავებული ჰქონდეთ ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობის წასახალისებელი სტრატეგია. რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვებს შორის პოზიტიურ კომუნიკაციას? ეს ხომ უნარია, რომლის განვითარებაზეც ადრეული ასაკიდანვე უნდა ვიზრუნოთ. ამ უნარზე სამუშაოდ შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სტრატეგიები:

- ☺ იმუშავეთ ბავშვების სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე.
- ☺ წაახალისეთ ბავშვები, რომ სხვადასხვა სახით იურთიერთონ ერთმანეთთან - ერთად ითამაშონ, ჩაერთონ რუტინულ საქმიანობებში, სხვადასხვა ტიპის აქტივობებში (სათამაშოების ალაგება, ცხობა, ბურთით თამაში, ოთახის მორთვა სხვადასხვა დღესასწაულისთვის, მაგიდის გაწყობა/ალაგება, ლახტით თამაში, ასკინკილით ხტომა და ა.შ.). შეეცადეთ ბავშვები ისეთ საქმიანობებში ჩართოთ, რომ კონფლიქტები არ წარმოიქმნას, რომ ბავშვებს პოზიტიური ინტერაქცია ჰქონდეთ;
- ☺ თავად იყავით სამაგალითო ბავშვებისთვის - ნუ მოელით ბავშვებს შორის პოზიტიურ ურთიერთობას, თუ თავად ასევე არ ურთიერთობთ მათთან, ან თქვენს კოლეგებთან. ბავშვები ხშირად იმეორებენ უფროსების სიტყვებს, ჟესტებს, დამოკიდებულებებს, შესაბამისად, თუ გვინდა, რომ მათ მშვიდობიანი თანაცხოვრება ისწავლონ, ასწავლეთ ეს საკუთარი საქციელით;
- ☺ წაახალისეთ თანამშრომლობა, ხელი შეუწყვეთ თანამშრომლობას ძალდაუტანებლად. ბავშვებს ნუ აიძულებთ ერთად თამაშს, ამის ნაცვლად, შექმენით ისეთი სიტუაციები, რომ მათ მოუნდეთ ერთად თამაში;
- ☺ ხელი შეუწყვეთ ბავშვებს, რომ მცირე ჯგუფებში იმუშაონ, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, რომლებსაც თავად ქმნიან. სწორედ ამ დროს ყალიბდება მათი მეგობრობა;
- ☺ გამოხატეთ თქვენი ინტერესი თითოეული ბავშვის გრძნობების მიმართ, გქონდეთ უკუკავშირი, „ძალიან გაბრაზდი ხომ?“, „ნაწყენი ხარ?“ - ეს ის სიტყვებია, რომლებიც დაგეხმარებათ ბავშვს აგრძნობინოთ, რომ მისი მდგომარეობა თქვენთვის მნიშვნელოვანია, ის თქვენთვის ძვირფასია;
- ☺ განრიგში გაითვალისწინეთ დრო ისეთი საქმიანობებისთვის, როდესაც ბავშვები თავად აირჩევენ მეწყვილეს;

- ☺ შექმენით ჯგუფში დადებითი, მშვიდი ატმოსფერო, რათა ბავშვებმა შეძლონ მშვიდი კომუნიკაცია;
- ☺ შეეცადეთ, რომ თავი აარიდოთ ისეთ აქტივობებს, როცა ბავშვები ეჯიბრებიან ერთმანეთს, როცა უწევთ სხვებს დაასწრონ მასალის აღება, ან სივრცეში ადგილის დაკავება დარწმუნდით, რომ საგანმანათლებლო რესურსიც და ადგილიც ყველა ბავშვისთვის საკმარისია.

უფროსი, როგორც მაგალითი

აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის და ბავშვის ურთიერთობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. ბავშვისა და ჯგუფში მომუშავე პრაქტიკოსის ურთიერთობების შემსწავლელი კვლევების თანახმად, ბავშვები, რომლებსაც პოზიტიური ურთიერთობა აქვთ ამ უფროსებთან და რომლებიც მათთან თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ, წარმატებით ურთიერთობენ თანატოლებთან ბაღშიც და მომავალში - სკოლის მასწავლებელთან და მეგობრებთანაც. ამის საპირისპიროდ, ბავშვებს, რომლებიც თავს დაცულად არ გრძნობენ ბაღის აღმზრდელებთან, უჭირთ თანატოლებთან პოზიტიური კომუნიკაცია და მომავალშიც ხშირად აქვთ კონფლიქტები მასწავლებლებთან. კვლევები ასევე მოწმობს, რომ მასწავლებელთან პოზიტიური კომუნიკაციის შემთხვევაში, ბავშვებს, ზოგადად, უფროსების მიმართ დადებითი დამოკიდებულება უყალიბდებათ და ემოციურად მშვიდად და დაცულად გრძნობენ თავს. აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, რომელიც ბავშვებთან ამყარებს თვალით კონტაქტს, მშვიდი ხმით ესაუბრება, უსმენს მათ, თბილი და გულისხმიერია, სამართლიანია, ასეთივე ქცევის მაგალითს აძლევს ბავშვებს. ამ შემთხვევაში ბავშვების ემოციური კომპეტენციები და სოციალური უნარები განსაკუთრებით მაღალია. ასეთი ბავშვები ნაკლებად ავლენენ ე.წ. „რთულ ქცევას“, სკოლაშიც უკეთესი მოსწრება აქვთ.

შენიშვნა: ნინუცამ და ალექსიმ ბაღობანას თამაში გადაწყვიტეს. ამისათვის თოჯინები სკამებზე ჩამოამწკრივეს, ალექსიმ წიგნი მოიმარჯვა: „აბა, ჩუმად იყავით ყველა და მომისმინეთ, თქვენთვის ვკითხულობ, თორემ მე ეს წიგნი ასჯერ მაქვს წაკითხული. ნინუცამ მკაცრი მზერით მოავლო თვალი ბავშვებს და შემდეგ ასევე მკაცრად მიმართა: „როგორ დამღალეთ, თქვენი დანახვა აღარ მინდა“. ამ მაგალითში ნათლად ჩანს, თუ როგორ იმეორებენ ბავშვები საკუთარი აღმზრდელის სიტყვებს და დამოკიდებულებებს.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი გვხედავდეს, რომ ყველასთან, ვისთანაც ვურთიერთობთ (ყველა ბავშვი, დაწესებულების ყველა თანამშრომელი, მშობლები, ჯგუფში შემოსული სტუმრები, ბაღის გარეთ შემხვედრი ადამიანები და ა.შ.) თავაზიანები და გულისხმიერები ვართ, გვაინტერესებს სხვისი ემოციები და განცდები, სათანამშრომლოდ ვართ განწყობილები.
როგორც ზევით მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, ბავშვები იმეორებენ უფროსების ქცევას. იმ შემთხვევაში, თუ უფროსი სხვების მიმართ უხეში და აგრესიულია, ადვილი შესაძლებელია, რომ ბავშვებმა, რომლებიც ამას ხედავენ, იგივე გაიმეორონ.
ხშირად ასეც ხდება, რომ თავაზიანობას ვიჩენთ თანამშრომლების, ანუ ჩვენი თანატოლების, ან ჩვენზე უფროსების მიმართ, მაგრამ იმავეს არ გამოვხატავთ ბავშვებთან, პირიქით

მათთან ურთიერთობისას უხეშები, უყურადღებოები და გაღიზიანებულები ვართ, ხშირად ვჩხუბობთ. რა თქმა უნდა, ჩვენი ასეთი ქცევითაც შესაბამის მაგალითს ვაძლევთ ბავშვებს.

საგანმანათლებლო პერსონალმა ბავშვებთან კომუნიკაციის თითოეული ეპიზოდი მათთან პოზიტიური ურთიერთობის დასამყარებლად უნდა გამოიყენოს. მას შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიას მიმართოს, ეს კომუნიკაცია პოზიტიური რომ გახადოს. რა თქმა უნდა, სასურველია, გავითვალისწინოთ, რომ ბავშვებს აქვთ სხვადასხვა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები და უნარები. მათთან ურთიერთობისას ეს გარემოება მუდმივად უნდა გვახსოვდეს, მიუხედავად იმისა, რომელ სტრატეგიაზე შევაჩერებთ არჩევანს. ბავშვების მოსმენა, თვალით კონტაქტის დამყარება, ერთი-ერთზე კონტაქტი - ის სტრატეგიებია, რომელთა გამოყენებაც ბავშვს თავს დაცულად აგრძნობინებს და, შესაბამისად, პოზიტიურ კომუნიკაციასაც წაადგება. რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადავდგათ, ბავშვთან დადებითი ურთიერთობაც რომ დავამყაროთ და თან ბავშვებს პოზიტიური მაგალითი მივცეთ:

- ☺ მიესალმეთ და სახელით მიმართეთ თითოეულ ბავშვს, როდესაც მშობელთან ერთად ჯგუფში შემოდის, ამით ბავშვები უფრო დაცულად იგრძნობენ თავს, თქვენს მიმართ კი, პოზიტიური დამოკიდებულება გაუმყარდებათ;
- ☺ თითოეულ ბავშვთან ყოველდღიურად დაამყარეთ ერთი-ერთზე კომუნიკაცია, მათ შორის მათთანაც, რომლებიც სხვებისგან განსხვავებით უფროსის ნაკლებ ყურადღებას ითხოვენ, მორცხვობენ, „წყნარები არიან". მიმართეთ თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად, აგრძნობინეთ, რომ გაინტერესებთ როგორც პიროვნება;
- ☺ როცა ბავშვს მიმართავთ, სახით მისკენ შებრუნდით და თვალებში უყურეთ;
- ☺ ისაუბრეთ მშვიდი ხმით და მარტივი სიტყვებით, რათა ბავშვებმა შეძლონ თქვენი ნათქვამის გაგება და სიმშვიდის შენარჩუნება;
- ☺ დაამყარეთ თბილი, გულისხმიერი ფიზიკური კონტაქტი, რომელიც აგრძნობინებს ბავშვს, რომ ის თქვენთვის მნიშვნელოვანი და ძვირფასია.
- ☺ მიჰყევით ბავშვის რიტმსა და ინტერესებს თამაშის დროს, ნუ დააჩქარებთ და ნუ დაძაბავთ მას;
- ☺ ბავშვებს ნათლად აუხსენით, რას ელით მისგან;
- ☺ დაეხმარეთ ბავშვებს რთული ქცევის დაძლევაში;
- ☺ მოუსმინეთ ბავშვებს და წაახალისეთ, რომ სხვებს მოუსმინონ;
- ☺ ხშირად შეაქეთ ბავშვები ძალისხმევისა და მონდომებისთვის.

როგორც ირკვევა, იმისათვის, რათა ბავშვებს ვასწავლოთ ერთმანეთთან და გარშემომყოფებთან დადებითი კომუნიკაციის დამყარება, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ თავად გვქონდეს მათთან დადებითი კომუნიკაცია.

თავი 5. საგანმანათლებლო პროცესი

საკვანძო სიტყვები:

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა
პროცესის წარმართვა
ინდივიდუალიზაცია
მოდელირება
პოზიტიური დისციპლინა
ტრანზიცია
პროცესის შეფასება
თვითრეფლექსია

ამ თავში ვისაუბრებთ აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის როლზე საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის საკითხში. ჯგუფში მომუშავე პრაქტიკოსები მიიღებენ რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით. თავში საგანგებოდ მიეთითება თვითრეფლექსიის მნიშვნელობაზე. ასევე იხილავთ კონკრეტულ მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება შეაფასოს ჯგუფში მომუშავე პრაქტიკოსმა საკუთარი საქმიანობა.

ამავე თავში ვისაუბრებთ ტრანზიციებზე, როგორც საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელ ნაწილზე, როგორ უნდა მოიქცეს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი, რომ ბავშვისთვის ტრანზიციები (ბაღში სიარულის დაწყება, სკოლაში ტრანზიცია, ყოველდღიური ტრანზიციები სახლი-ბაღი-სახლი) არათუ დამაზიანებელი არ იყოს, არამედ განვითარებისა და სწავლების მომენტებადაც კი იქცეს.

თავის ძირითადი საკითხები

↓

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა
პროცესისგანხორციელება
პროცესის შეფასება
საგანმანათლებლო პერსონალის როლი პროცესის ხარისხიანად განხორციელებაში
პროფესიული განვითარება

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

რას ნიშნავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა? ეს არის ფიქრი იმაზე, თუ რას ვაკეთებთ, როგორ ვაკეთებთ, სად ვაკეთებთ, რა რესურსის გამოყენებით და რა არის ამ ყველაფრის მიზანი. დაგეგმვა არის ნებისმიერი პრაქტიკოსის ფიქრებისა და აზრების სისტემაში მოყვანა. ამიტომაც აღმზრდელ-პედაგოგმა/აღმზრდელმა თავად უნდა დაგეგმოს თავისი საქმიანობა (და არა მეთოდისტმა, ან მენეჯერმა), განსაზღვროს რას აკეთებს, როგორ და რატომ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება პროცესი თითოეული ბავშვის საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული.

შენიშვნა: *საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია წარმოვიდგინოთ პროცესი, როგორც ციკლი: გეგმა-განხორციელება-შეფასება.*



თავად დაგეგმვის პროცესი, გეგმის ფორმა შესაძლოა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ ბაღში კურიკულუმის რომელი მოდელი ხორციელდება. თუმცა ნებისმიერი კურიკულუმის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას ძირითადად გვიწევს შემდეგი მიმართულებების უზრუნველყოფა, შემდეგ კომპონენტებზე ფიქრი:

- **საგანმანათლებლო საქმიანობის მიზანი** - რა უნარები უნდა განივითარონ ბავშვებმა, რა უნდა ისწავლონ;
- **განხორციელების ფორმები** - როგორ, რა ტიპის საქმიანობებით განვავითაროთ ეს უნარები
- **საჭირო ფიზიკური გარემო** - როგორ გარემოში უნდა ხდებოდეს ეს ყველაფერი;
- **საჭირო საგანმანათლებლო რესურსი** - რა რესურსი სჭირდება ამ მიზნის მიღწევას;
- **საჭირო ადამიანური რესურსი** - როგორ ვიყენებთ ბაღის პერსონალის რესურსს, რა როლი აქვთ მშობლებს, თემს;

იმისათვის, რათა საგანმანათლებლო პროცესი მაქსიმალურად იყოს მორგებული ბავშვის საჭიროებებსა და განვითარების ასაკობრივ თავისებურებებზე, აღმზრდელ-პედაგოგმა და აღმზრდელმა დაგეგმვისას ბავშვის განვითარების სტანდარტით უნდა იხელმძღვანელონ და მასზე დაყრდნობით განსაზღვრონ განხორციელებული პროცესის მიზნები. სტანდარტების გამოყენება ასევე დაეხმარება მათ საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციაში.
დაგეგმვისას აგრეთვე უნდა იხელმძღვანელონ ბავშვებზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებით, გაითვალისწინონ მათი საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები.

ზოგჯერ აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები უგულებელყოფენ დაგეგმვის მნიშვნელობას და სათანადო დროს არ უთმობენ. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელობის გასააზრებლად შესაძლოა დაგვეხმაროს ქვემოთ მოცემული ცხრილი:

შეკითხვა, რომელიც გვაწუხებს	პასუხები
ვისთვის ვგეგმავ?	ჩემთვის, გეგმა პროცესის ეფექტიანად წარმართვაში რომ დამეხმაროს.
რატომ არის დაგეგმვა საჭირო?	შემდეგი საკითხების გააზრებაში მეხმარება: რა უნარებს/ცოდნას შეიძენენ ბავშვები? როგორ, რა ხერხებით შეიძენენ ამ უნარებს/ცოდნას? როგორ გავიგებ მე, რომ ბავშვებმა შეიძინეს უნარები?
როგორ ვგეგმავ, რას ვაკეთებ დაგეგმვისას?	ჩემი გეგმა უნდა იყოს პრაქტიკული, ადვილად გამოსაყენებელი, გეგმა უნდა მოიცავდეს იმ საკითხებს, რომლებიც დამეხმარება მუშაობაში. ჩემი მოკლევადიანი გეგმა გამომდინარეობს გრძელვადიანი გეგმიდან, გადის გრძელვადიან მიზნებზე.

დაგეგმვის მნიშვნელობის უგულებელყოფით ხდება დაგეგმის ფორმალიზება, მზა ცხრილების, ე.წ. გეგმის ფორმების მექანიკური შევსება. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პერსონალის ჩართვა დაგეგმვის ფორმის შედგენაში. ეს ფორმა, როგორც ზემოთ ითქვა, შესაძლოა განსხვავდებოდეს ბაღების და იქ განხორციელებული კურიკულუმის მოდელის, მეთოდოლოგიის მიხედვით. დაგეგმვის ფორმა უნდა იყოს პრაქტიკოსისთვის დამხმარე ინსტრუმენტი სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარსამართავად და არა ფუჭი, მექანიკური შრომის შედეგი, რომელიც მოვალეობის მოხდის მიზნით, ან ვინმესთვის საჩვენებლად და თაროზე შემოსადებად სრულდება.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმა

საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი გეგმის შემუშავება. თითოეული მათგანის განხილვამდე, კვლავ საგანგებოდ უნდა მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ ორივე გეგმის დიზაინს, ფორმას და შინაარსს ბაღში განხორციელებული კურიკულუმი უნდა განსაზღვრავდეს. რითი განსხვავდება გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმა ერთმანეთისგან?
კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ თითოეული ტიპი:

გრძელვადიანი გეგმა (თვიური, წლიური) - ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგს/ აღმზრდელს:

- კონცენტრირდეს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე, იფიქროს ბავშვის განვითარების სტანდარტის დოკუმენტში მოცემულ განვითარების სფეროებზე, თემატურ მიმართულებებზე;
- იფიქროს ეზოსა და დაწესებულების შიგნით, ან გასვლითი აქტივობების თანაფარდობაზე;
- საგანმანათლებლო პროცესში ოჯახისა და თემის ჩართვის შესაძლებლობებზე.

მოკლევადიანი გეგმა (კვირის, დღის) გრძელვადიანის ვიწრო ამოცანებად გაწერაა და აღმზრდელ-პედაგოგს/აღმზრდელს ეხმარება ფოკუსირდეს უფრო კონკრეტულ მიზნებზე. მოკლევადიანი გეგმის შედგენისას ჯგუფში მომუშავე პრაქტიკოსი:

- ფიქრობს ყოველდღიურად, დღის განმავლობაში განსახორციელებელ საქმიანობებზე, რუტინაზე;
- აკვირდება ბავშვებს, შეისწავლის მათ ინტერესებს, საჭიროებებს და სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო კვირების საგანმანათლებლო პროცესს;
- ფიქრობს ბავშვის მიერ მართულ და უფროსის მიერ დაგეგმილ საქმიანობათა თანაფარდობაზე;
- ზრუნავს ფიზიკურ გარემოში ცვლილებების შეტანაზე, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსზე, მის ხელმისაწვდომობაზე ყველა ბავშვისთვის;
- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციას.

მოკლევადიანი გეგმა საკმარისად მოქნილი უნდა იყოს საიმისოდ, აღმზრდელ-პედაგოგს/ აღმზრდელს საჭიროების მიხედვით მასში ცვლილებების შეტანა რომ შეეძლოს.

დაგეგმვის ფორმა (ცხრილი) შესაძლოა განსხვავებული იყოს ბაღების, ან კონკრეტული ჯგუფების შემთხვევაშიც კი. გეგმის ფორმას განსაზღვრავს კურიკულუმის მოდელი, დაწესებულებაში განხორციელებული მეთოდოლოგია. მოკლევადიანი გეგმა ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსის სამუშაო ინსტრუმენტია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მან შეიმუშაოს, თავის თავზე მოირგოს გეგმის ფორმა.

ზემოთ არაერთხელ ითქვა, რომ გეგმის ფორმა, დიზაინი დამოკიდებულია დაწესებულებაში განხორციელებული კურიკულუმის მოდელზე, თუმცა არსებობს ზოგადი მახასიათებლებიც, რომლებიც საერთოა ნებისმიერი კურიკულუმის შემთხვევაში:

1) გეგმა უნდა იყოს მოქნილი, უნდა იძლეოდეს ცვლილებების შეტანის საშუალებას, შესაბამისად, არ უნდა იყოს მკაცრი, ხისტი ჩარჩო, რომელსაც აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი უპირობოდ მიჰყვება.

2) გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ბავშვების მიერ ინიცირებულ საქმიანობებს, ასევე, უფროსის დაგეგმილსაც, თუმცა მეტი დრო ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებს ეთმობა.

3) გეგმა უნდა ითვალისწინებდეს და ხელს უწყობდეს ბავშვის ჰოლისტურ, მრავალმხრივ განვითარებას.

გეგმის ფორმა

არსებობს დაგეგმვის სხვადასხვაგვარი ფორმები, რომელთა გამოყენებაც პრაქტიკოსებს შეუძლიათ საკუთარი სურვილის და დაწესებულებაში განხორციელებული კურიკულუმის მოდელის შესაბამისად. ყველაზე ხშირად გამოიყენება დაგეგმვის შემდეგი ფორმები:

- დღის გეგმა;
- კვირის გეგმა;
- თვის ზოგადი გეგმა;
- სემესტრის გეგმა.

რა პრინციპით ვირჩევთ ან თავად ვადგენთ დაგეგმვის ფორმას:

- გეგმა უნდა გვეხმარებოდეს მიმდინარე პროცესის მართვაში;
- მარტივად გამოსაყენებელი უნდა იყოს, დროის დამზოგველი, და არ უწყობდეს ხელს ფორმალიზებას.
- უნდა გვიადვილებდეს საქმიანობების ორგანიზებას და ინდივიდუალურ მიდგომას.

შესაძლოა არსებობდეს ფორმა, რომელშიც ბავშვების მონაწილეობაც თვალსაჩინოდ ჩანს. ასეთი ფორმა შეიძლება ჯგუფის კედელზე იყოს განთავსებული დიდ ფორმატზე. იმის მიხედვით, თუ რა იგეგმება მომდევნო დღეებში, აღმზრდელ-პედაგოგს, ან აღმზრდელს ბავშვებთან ერთად შეაქვს გეგმაში შესაბამისი ცვლილებები.

რას ნიშნავს ბავშვის მონაწილეობა დაგეგმვის პროცესში?
ამ შეკითხვას ხშირად სვამენ პრაქტიკოსები. ეს ნიშნავს, რომ აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი აკვირდებიან ბავშვებს, შეისწავლიან მათ ინტერესებს, მათ საჭიროებებს და საგანმანათლებლო პროცესს ამის მიხედვით გეგმავენ. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში თვალსაჩინოდ ჩანს თუ როგორ მონაწილეობენ ბავშვები დაგეგმვაში:

„... ანა 4-5 წლიანების ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგია. ანამ შეამჩნია, რომ მისი ჯგუფის ბავშვების უმეტესობა ხატვის დროს თევზებს ხატავდა. ხატავდნენ სხვადასხვა ფორმის თევზებს, რამდენიმე მათგანმა ლიფსიტაც კი დახატა. ანამ გადაწყვიტა, ბავშვების ეს ინტერესი სასწავლო პროცესის დასაგეგმად გამოეყენებინა. ბავშვების ნამუშევრების თვალიერებისას ანამ მათ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა:
ანა - ეს თევზი სად ცხოვრობს?
გიორგი - ეს ზღვაა...
ანა - ესე იგი, ეს თევზი ზღვაში ცხოვრობს?
გიორგი - კი, ეს ზღვის თევზია.
ანა - შენი აზრით, კიდევ სად ცხოვრობს თევზი?
გიორგი - კიდევ შეიძლება სახლში ცხოვრობდეს. ნინისთან მინახავს სახლში თევზი, აკვარიუმი ჰქვია თევზის სახლს.
(საუბარში სალომე ერთვება)
სალომე - კი, კი, თევზის სახლი აკვარიუმია, მეც მყავს აკვარიუმში წითელი თევზი. და კიდე, თუ აკვარიუმი არ გაქვს, შეგიძლია დიდ ქილაში ჩაასხა წყალი და იქ გაუშვა. ის იქნება თევზის სახლი.
ანა - ესე იგი, თევზი ცხოვრობს ზღვაში და აკვარიუმში, კიდევ ცხოვრობს ნეტა სადმე?
გიორგი - (ფიქრობს) არ ვიცი, კიდევ სად ცხოვრობს...
სალომე - მემგონი, კიდე იცხოვრებს სადმე, მაგრამ ჩვენ არ ვიცით...
ანა- ესე იგი, გაინტერესებთ კიდევ სად ცხოვრობს თევზი?
სალომე და გიორგი - გვაინტერესებს!
ანა - როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გავიგოთ?
(საუბარში ნიკა ერთვება)
შეგვიძლია ზოოპარკში წავიდეთ და იქ ვკითხოთ თანამშრომლებს, ისინი ხომ ცხოველებს უვლიან და ეცოდინებათ.
ანა- კარგი, ესე იგი გადაწყდა, უახლოეს დღეებში ზოოპარკში მივდივართ“.
ანას უახლოესი დღეების განმავლობაში არ ჰქონია დაგეგმილი ზოოპარკში ვიზიტი, მაგრამ ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, მან კვირის გეგმა შეცვალა.
„ლელა მასწავლებელო, არ შეიძლება ჯგუფში სახელოსნო რომ მოვაწყოთ?

- ეკითხება მარიამი ლელას, 4-5 წლიანების ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგს.
ლელა - სახელოსნო? რას გულისხმობ, მარიამ, როგორი სახელოსნო?
მარიამი - აი, ნამდვილი სახელოსნო, მხატვრები რომ არიან, ისეთი.
ლელა - რატომ გინდა, სახელოსნო რომ მოვაწყოთ?
მარიამი - მაინტერესებს, როგორი იქნება. თან მომწონს მხატვრების

სახელოსნოები. კომპიუტერში ვნახე ვიდეო და ძალიან მომეწონა.
ლელა - (მიმართავს ლუკას, ნიკას და ნუცას) - ბავშვებო, მარიამი გვთავაზობს სამხატვრო სახელოსნო მოვაწყოთ ჯგუფში, თქვენ რას ფიქრობთ?
ნუცა - მოვაწყოთ, ოღონდ ჩვენც გვინდა სახელოსნოში რომ ვიყოთ ხოლმე.
ლელა - რა თქმა უნდა, ეს სახელოსნო ყველასთვის იქნება... როგორ ფიქრობთ, რა დაგვჭირდება სახელოსნოს მოსაწყობად?
ლელა - ბევრი ფუნჯები, საღებავები, ოღონდ ნამდვილი, აი მხატვრები რომ ხატავენ, კიდევ რაღაცნაირი ტილოები ჩარჩოებზე რომ არის გადაჭიმული...
ლუკა - მე მინახავს, სახელოსნოში მაგიდა კი არ დგას, რაღაცნაირი დაფაა და ფეხები აქვს და ისიც დაგვჭირდება...
ლელა - ამ ყველაფერს ჩავიწერ, კარგი? (ლელა იწერს ბავშვების შემოთავაზებებს). კარგი, გთავაზობთ ნელ-ნელა შევაგროვოთ ეს მასალა და იმ კვირაში ჯგუფში სახელოსნო მოვაწყოთ". - ლელას მომდევნო კვირას გეგმის მიხედვით სულ სხვა საქმიანობები ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა ეს გეგმა შეცვალა და ბავშვის სტანდარტის დოკუმენტით განსაზღვრულ უნარებზე სწორედ ჯგუფში მოწყობილი სახელოსნოს გარემოში გავიდა.

ქვემოთ გთავაზობთ სხვადასხვა კურიკულუმების დაგეგმვის ფორმებს (მათ შორის საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი კურიკულუმის დაგეგმვის ფორმასაც) იმის საჩვენებლად, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან დაგეგვის ფორმა კურიკულუმიის მოდელის მიხედვით.

- სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებისთვის ე.წ. „ყვითელი წიგნი" - ამ პროგრამას არ მოყვება სავალდებულოდ შესავსები გეგმის ფორმა, შესაბამისად, ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს შეუძლია თავად შეიმუშაო გეგმის ფორმის ჩარჩო საკუთარი მუშაობის დასაგეგმად.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თ.ა.მ.ა.შ.ი." - თვის გეგმის ნიმუში (სურ.1) ქვემოთ მოცემულ ფორმაში აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი გაწერს იმ სავარაუდო საქმიანობებს, რომლებსაც განახორციელებს თვის განმავლობაში, კვირების მიხედვით.

საქმიანობა	პირველი კვირა	მეორე კვირა	მესამე კვირა	მეოთხე კვირა
პროექტი **აქტივობები** **როლური თამაშები** **წესებიანი თამაშები**				

სურ.1

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ - კვირის გეგმის ნიმუში (სურ.2)

	დილის შეხვ.	კვლევა აღმოჩ.	წიგნის დრო	მოძრავი თამაში	მცირე ჯგუფ.	მუსიკა	საღამოს შეხვ.
ორშ.							
რესურს.							
სამშ.							
რესურს.							
ოთხშ.							
რესურს.							
ხუთშ.							
რესურს.							
პარასკ.							
რესურს.							

სურ.2

პროგრამა „ბასკო“ - წლიური დაგეგმვის ფორმა (სურ.3). ამ ფორმაში აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი წერს იმ სავარაუდო თემებს, რომლებზეც აიგება საგანმანათლებლო პროცესი.

სურ.3

შემოდგომა		
სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.
ზამთარი		
დეკემბერი	იანვარი	თებერვალი
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.
გაზაფხული		
მარტი	აპრილი	მაისი
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.
ზაფხული		
ივნისი	ივლისი	აგვისტო
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.

პროგრამა „ბასკო“ - კვირის გეგმის ფორმა (სურ.4)

კვირის თემა _____ თარიღი _____

განვითარების სფერო	მოსალოდნელი შედეგი (ინდიკატორი)	აქტივობები/ცენტრი
ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება		
ესთეტიკა და კულტურა		
მეტყველების განვითარება		
შემეცნება და ზოგადი ცოდნა		
სოციალურ–ემოციური განვითარება		

სურ.4

თანამშრომლობა მშობლებთან (თემთან) _____

შემოქმედებითი კურიკულუმი - კვირის გეგმის ფორმა (სურ.5)

სურ.5

შემოქმედებითი კურიკულუმის ყოველკვირეული დაგეგმვის ფორმა

პროგრამა: _____ მასწავლებელი: _____

ცენტრი(დაწესებულება): _____ თანაშემწე: _____

კვირა: _____

	აქტივობები დიდ ჯგუფში	აქტივობები მცირე ჯგუფებში	ინდივიდუალური აქტივობები	ეზოს აქტივობები
აქტივობები				
შენიშვნები: *(შეხსენება, მშობლების ჩართულობა, სპეციალური აქტივობები, ბავშვის ინტერესები და სხვ.)*				

ბავშვების ინტერესები

ჯანმრთელობა/უსაფრთხოება	დრამატული თამაში	ხელოვნება	მათემატიკა/მეცნიერება
საჭმლის მომზადება/კვება	კუბურები	სათამაშოები და წესებიანი თამაშები	ბიბლიოთეკა/წიგნიერება
ქვიშა/წყალი	წერის ცენტრი	მუსიკა და მოძრაობა	სოციალური–ემოციური

კვირის დაგეგმვის ფორმა გეი გრონლუნდის წიგნის „დაგეგმვა თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისათვის“ მიხედვით (სურ.6).

სურ.6

სკოლამდელი დაწესებულების ყოველკვირეული დაგეგმვის და რეფლექსიის ფორმა

პროგრამა/დაწესებულება: _____ თარიღი _____

მასწავლებელი(ები) _____

მიმდინარე პროექტი (არასავალდებულო) _____

	სასწავლო მიზანი(ები)	დამატებითი მასალები ან ფოკუსი	ლექსიკური ერთეულები
კუბურები			
დრამატული თამაში			
სენსორული მაგიდა			
ხელოვნება			
სამანიპულაციო ცენტრი			
ჯგუფის ბიბლიოთეკა			
წერის ცენტრი			
სხვა ცენტრი			

დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმა (ე.წ. წინასწარი დაგეგმვის რუკა) პროექტის მეთოდის დროს (სურ. 7)

სურ.7



პროცესის განხორციელება

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შემდეგ მნიშვნელოვანია დაგეგმილის წარმატებით განხორციელება.
რას გულისხმობს განხორციელება? განხორციელება ნიშნავს ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსის მიერ დაგეგმილი პუნქტების რეალურად შესრულებას. როგორც საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, ისე საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შემთხვევაშიც, კურიკულუმის მოდელიდან გამომდინარე, შესაძლოა არსებობდეს განსხვავებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა კურიკულუმი განსხვავებულ პროცესს გულისხმობს. თუმცა შესაძლოა გამოვყოთ პროცესის განხორციელების რამდენიმე საერთო მახასიათებელი: მოდელირება, ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა.

„ხარაჩოს“ მეთოდი - *(იგივე **სკაფოლდინგი**; ინგლ. სიტყვასიტყვით: „ხარაჩოების შეყენება“) ბავშვისთვის დახმარების გაწევა, რათა უფრო ეფექტიანად გააკეთოს ის, რაც თავად სურს ან შეასრულოს დავალება, რომელიც უფრო დახვეწილ და რთულ უნარებს მოითხოვს მისგან (და არა ის დავალება, რომლის შესრულებაც მას დამოუკიდებლადაც შეუძლია). (საიფერი და სხვ, 2015, გვ. 218).*

მოდელირება. რას ნიშნავს მოდელირება? მოდელირება გულისხმობს იმ უნარის - ქცევის, ვერბალური გამოთქმის დემონსტრირებას, რომელიც გვინდა, რომ ბავშვმა ისწავლოს. მოდელირება ჩვენი მხრიდან ბავშვებისთვის უნარებისა და ჩვევების

სწავლების ერთგვარი გზაა. მაგალითად, თუ გვინდა, რომ ბავშვებმა რიგის დაცვა ისწავლონ, მათ უნდა მივცეთ ამისი მაგალითი, თუ გვინდა, რომ ბავშვები დილას მიესალმონ ერთმანეთს, თავად უნდა მივესალმოთ ყოველ დილით ბავშვებს და ა.შ.
ინდივიდუალიზაცია. რას ნიშნავს ინდივიდუალიზაცია? ინდივიდუალიზაცია გულისხმობს ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობას მისი უნარების გასავითარებლად. ინდივიდუალიზაციის დროს უფროსი იყენებს ე.წ. „ხარაჩოს მეთოდს“. რას გულისხმობს „ხარაჩოს მეთოდი“? უფროსი, როგორც ხარაჩო, „დგას“ ბავშვის გვერდით და ეხმარება მას ისეთი მოცემულობის შესრულებაში, რომლისთვისაც თავის გართმევა დამოუკიდებლად გაუჭირდებოდა. „ხარაჩოს მეთოდის“ დროს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი განსაზღვრავს, რა სახის და რა დოზით დახმარება სჭირდება ბავშვს იმისათვის, რომ დაეუფლოს უნარს და შემდგომში დამოუკიდებლად გაუმკლავდეს მსგავს ამოცანას.

პოზიტიური დისციპლინა

პოზიტიური დისციპლინა - *დისციპლინის მოდელი, რომელსაც იყენებენ მშობლები ან საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლები. მისი მიზანია ბავშვის განვითარება ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის ფონზე. პოზიტიური დისციპლინა მიმართულია გამოსავალზე, პოზიტიური ქცევის შეთავაზება კი, დასწავლაზე და არა არასასურველი ან უარყოფითი ქცევის დასჯაზე.*

ჯგუფში პოზიტიური დისციპლინის დასამყარებლად, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს თავად დისციპლინა. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად დისციპლინა დასჯასთან ასოცირდება. ხშირად გვესმის სიტყვები: ,,ამ ბავშვს დისციპლინა აკლია'', ამ გამოთქმაში იგულისხმება, რომ ბავშვის ქცევა დასჯას მოითხოვს. თუმცა დისციპლინა დასჯა არ არის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში თვალსაჩინოდ ჩანს სხვაობა დასჯასა და დისციპლინას შორის.

დისციპლინა არის:	დასჯა არის:
როცა ბავშვს პოზიტიურ ალტერნატივას ვთავაზობთ	როცა ბავშვს მხოლოდ იმას ვეუბნებით, რისი გაკეთება არ შეიძლება
პოზიტიური, მისაღები ქცევის აღიარება, დანახვა, წახალისება	მკაცრი რეაქცია მიუღებელ ქცევაზე
როცა ბავშვები წესებს იცავენ, რადგან ეს წესები მათთან გაზიარებული და შეთანხმებულია	როცა ბავშვები წესებს იცავენ, რადგან მათ აშინებენ, ან მოისყიდიან
თანმიმდევრული გაძღოლა	კონტროლი, შერცხვენა, დაცინვა
პოზიტიურობა, ბავშვის პატივისცემა	ნეგატიურობა, ბავშვის უპატივცემულობა
არაძალადობრივი მიდგომა ფიზიკურად და ვერბალურად	ფიზიკური და ვერბალური ძალადობა, აგრესია

(Building Strong Families Positive Discipline Participant Workbook, 2000.)

რას განიცდის ბავშვი, რომელსაც სჯიან? ბავშვი გაბრაზებულია, ნაწყენი, დაშინებული. აქვს დანაშაულის, სირცხვილის გრძნობა, მუდმივად შფოთავს, აგრესიულია, უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა.

რას სწავლობს ბავშვი, რომელსაც სჯიან? ბავშვი სწავლობს, რომ უფროსი მასზე აღმატებულია და ძალის გამოყენება, მითუმეტეს შენზე უმცროსსა და სუსტზე, მისაღებია.

რადგან არსებობს ცნება „პოზიტიური დისციპლინა", ბუნებრივია, იარსებებს „ნეგატიური დისციპლინაც". ნეგატიური დისციპლინა ხშირ შემთხვევაში დასჯის ისეთი ფორმაა, რომლის მიზანიც ბავშვის ქცევის მართვაა, თუმცა შედეგი მოკლევადიანია, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ვიღებთ გაღიზიანებულ, გაბრაზებულ ბავშვს დაბალი თვითშეფასებით.

ნეგატიური დისციპლინის სტრატეგიები	
ბრძანება	„...აბა, ახლავე დაწყნარდი და ჭკვიანად მოიქეცი!"
აკრძალვა	„... არ მოკიდო ხელი, ეს არ აიღო!"
ბრაზი	„... იცოდე, ძალიან გავბრაზდი და არ ვიცი, რას გიზამ!"
დამამცირებელი გამოთქმები	„...როდის უნდა ისწავლო ქურთუკის ჩაცმა შენით, ამსიმაღლე კი გაიზარდე და ეგ ვერ ისწავლე?"
დამამცირებელი გამოთქმები	„...კიდევ თუ არ ათხოვებ გიორგის დათუნიას, სხვა ჯგუფში გადაგიყვან..."

როგორ მოვიქცეთ, რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ჯგუფში პოზიტიური დისციპლინის დასამყარებლად?

- ☺ თავდაპირველად შექმენით თბილი, პოზიტიური, განმავითარებელი გარემო, სადაც ბავშვები თავს მშვიდად იგრძნობენ. მოიპოვეთ მათი ნდობა, შეეცადეთ, ბავშვებმა იგრძნონ, რომ ჯგუფში მათ პატივს სცემენ, ეს არის ადგილი, სადაც თამამად შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნება.

შენიშვნა: რას ნიშნავს „პოზიტიური გარემო“?

- ☺ *გარემო, სადაც ბავშვს, როგორც პიროვნებას, აღიარებენ და პატივს სცემენ;*
- ☺ *გარემო, სადაც ბავშვის უნარები აღიარებულია;*
- ☺ *გარემო, სადაც ემპათიას გამოხატავენ ბავშვის გრძნობების მიმართ;*
- ☺ *გარემო, სადაც ბავშვი დაცულად გრძნობს თავს;*
- ☺ *გარემო, სადაც ბავშვის მიმართ სიყვარულს გამოხატავენ, მასზე ზრუნავენ.*

პირამიდის მოდელი

რთული ქცევის პრევენციისთვის გამოიყენება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პირამიდის მოდელი. ეს მოდელი გვთავაზობს პრობლემების გადაჭრას ბავშვებში სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების გზით. მოდელი თვალსაჩინოს ხდის პრევენციის საფეხურებსა და სტრატეგიებს. განმავითარებელი და თანამგრძნობი, ორმხრივი ურთიერთობები ხარისხიან და მხარდამჭერ გარემოსთან ერთად ქმნის სოციალური და ემოციური კომპეტენციების ფუნდამენტს ყველა ბავშვისთვის, რამდენიმე ბავშვს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი მხარდაჭერა, რომ პრობლემური ქცევის პრევენცია მოხდეს და განსაკუთრებულად რთული პრობლემების მქონე პატარა პროცენტს სჭირდება ინტენსიური ინდივიდუალური ინტერვენცია.

პირამიდის მოდელისა და პოზიტიური დისციპლინის სტრატეგიების შესახებ უფრო მეტი შეგიძლიათ იხილოთ ვიდეოში ქვემოთ მოცემულ ლინკზე.
https://www.youtube.com/watch?v=Z7-tCP6Dell&feature=youtu.be

პროაქტიულობა (პროაქტიული ზრუნვა) *– აღწერს ადამიანს, რომელიც მიმართულია მოქმედებაზე, გამოწვევების გადალახვაზე, აქტიურობასა და ისეთი რამის გაკეთებაზე, რაც მოაგვარებს პრობლემას, და არ დაელოდება იმას, რომ ის თავისით მოგვარდება, ან სხვა მოაგვარებს. პროაქტიული ადამიანი საჭიროებების თანხვედრას, გამოსავლის ძიებასა და უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული (proactive [def. 1]. 2016).*

- ☺ სოციალური კომპეტენციების განვითარებას ისევე სჭირდება დრო და შესაფერისი გარემო, როგორც, მაგალითად, მეტყველების, მათემატიკური უნარების, ან ფიზიკური უნარების განვითარებას. პროაქტიულად ასწავლეთ ბავშვებს ემოციების მართვა, განავითარეთ მათი სოციალური კომპეტენციები;
- ☺ ჩამოაყალიბეთ ჯგუფის წესები, რომლებიც პოზიტიურად იქნება ფორმულირებული („ვსაუბრობთ ხმადაბლა“ და არა „არ ვყვირით“, „სათამაშოებს ვათხოვებთ“ და არა „სათამაშოებს არ ვართმევთ“ და ა.შ.), ყველასთვის

პირამიდის მოდელი

რთული ქცევის პრევენციისთვის გამოიყენება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პირამიდის მოდელი. ეს მოდელი გვთავაზობს პრობლემების გადაჭრას ბავშვებში სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების გზით.

მოდელი თვალსაჩინოს ხდის პრევენციის საფეხურებსა და სტრატეგიებს. განმავითარებელი და თანამგრძნობი, ორმხრივი ურთიერთობები ხარისხიან და მხარდამჭერ გარემოსთან ერთად ქმნის სოციალური და ემოციური კომპეტენციების ფუნდამენტს ყველა ბავშვისთვის, რამდენიმე ბავშვს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი მხარდაჭერა, რომ პრობლემური ქცევის პრევენცია მოხდეს და განსაკუთრებულად რთული პრობლემების მქონე 3-5 პროცენტს სჭირდება ინტენსიური ინდივიდუალური ინტერვენცია.



წყარო: ლ. ფოქსი, ჯ. დუნლაპი, მ. ლ. ჰემეტერი, ჯ. ჯობეფი, & პ. სტრეინი (2003).
სწავლების პირამიდა: ბავშვებში სოციალური კომპეტენციების მხარდაჭერისა და პრობლემური ქცევის პრევენციის მოდელი.
Young Children, 58(4), 48-52.

გაზიარებული და მისაღები. რას ნიშნავს ყველასთვის გაზიარებული? ბავშვები კარგად უნდა იცნობდნენ წესს და უნდა ეთანხმებოდნენ იმ მოსაზრებას, რომ ეს წესი მათ ყოველდღიურ ყოფას უფრო სასიამოვნოს გახდის;

- ☺ უზრუნველყავით ბავშვების მაქსიმალური ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში. შეეცადეთ, რომ ბავშვებს არ მოსწყინდეთ საქმიანობები, არ მოჰყირჭდეთ, აქტივობები არ იყოს მათთვის ზედმეტად რთული ან მეტისმეტად ადვილი;
- ☺ აქცენტი გააკეთეთ ბავშვების დადებით ქმედებებზე, ყოველთვის აღნიშნეთ და ყურადღება გაამახვილეთ ბავშვის პოზიტიურ ქცევაზე და არა უარყოფითზე;
- ☺ იყავით სამართლიანი, შექმენით არადისკრიმინაციული გარემო, სადაც ყველა თანაბრად იქნება ჩართული, თითოეულ ბავშვს თანაბრად მიეცემა საკუთარი თავის სრულყოფილად გამოვლენის საშუალება, სადაც არავინ არავის დასცინებს, სადაც არავინ იქნება სხვაზე უპირატესი;
- ☺ განსაზღვრეთ გრძელვადიანი მიზნები თქვენი ჯგუფის ბავშვებთან მიმართებაში. რას ნიშნავს ეს? წარმოიდგინეთ, როგორი ადამიანები გსურთ რომ იყვნენ 20 წლის შემდეგ, როგორი ურთიერთობა გსურთ, რომ ჰქონდეთ გარშემო მყოფებთან, როგორ გსურთ, რომ გაიხსენონ ბაღში თქვენთან ერთად გატარებული დრო, რა უნარები გსურთ რომ ჰქონდეთ, როგორ გინდათ, რომ გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს. ამის შესახებ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს კრიტიკულ სიტუაციებში. ნებისმიერი ჩვენი საყვედური, დასჯა, უხეში ნათქვამი, დაცინვა და ა.შ. ხელს უშლის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.

რუტინა

რუტინა - *ისეთი მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც ხშირად მეორდება და აქვს გარკვეული თანმიმდევრობა.*

რუტინის გარეშე წარმოუდგენელია ბაღის ნებისმიერი დღე. შეიძლება ითქვას, რომ რუტინა დღის განრიგის ხერხემალია. რუტინული საქმიანობებია: ბაღში მოსვლა, კვება, დასვენება, ჰიგიენაზე ზრუნვა, სახლში წასვლა და ა.შ. მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ იმაზე, რომ რუტინული საქმიანობები ბავშვებისთვის სახალისოდ იყოს მიწოდებული და თამაშის ელემენტებს შეიცავდეს. მაგალითად, ბაღში მოსვლის დრო ბავშვებმა დააფიქსირონ „წასვლა მოსვლის“ დაფაზე, კვების დროს ჩაერთონ მაგიდის გაშლა-ალაგებაში, ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფში მომუშავე უფროსებიც ბავშებთან ერთად ისხდნენ და მიირთმევდნენ იმ საკვებს, რომლითაც ბავშვები იკვებებიან. კვების დროს მშვიდი, სასიამოვნო განწყობა უნდა სუფევდეს, რათა ეს პროცესი ბავშვებისთვის სასიამოვნო იყოს და უბიძგოს მათ, გემრიელად მიირთვან.

ხელების დაბანის დრო უფრო სახალისო რომ იყოს, შესაძლებელია სპეციალური სიმღერის შეთხზვა, რომლის ტექსტი ხელის ბანის საფეხურებს შეიცავს.

იმისათვის, რათა ხელების დაბანა ბავშვებისთვის მეტად სახალისო იყოს, მანანა მასწავლებელმა მათთან ერთად საგანგებო სიმღერა მოიგონა:
დავიბანოთ ხელები, დავიბანოთ ხელები
დავისველოთ ხელები, ავაქაფოთ საპონი
სუფთა, სუფთა ხელები ვაჩუხჩუხოთ წყალში.

დასვენების დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ მშვიდი მუსიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშების მოდუნებას, მისცეთ წიგნის დათვალიერების საშუალება იმ ბავშვებს, რომლებიც არ იძინებენ, ან შეუქმნათ გარემო, სადაც მშვიდი თამაშებით დაკავდებიან.

ტრანზიცია

ტრანზიცია- *პროცესი, რომელიც გულისხმობს: ბავშვის გადასვლას სახლიდან ადრეული და სკოლამდელი განათლების სივრცეში, უშუალოდ ადრეული და სკოლამდელი განათლების სივრცეში არსებულ სხვადასხვა პროცესებს შორის, ან ბავშვის გადასვლას ადრეული და სკოლამდელი განათლებიდან სკოლაში (AGDE/EWRCAG, 2009).*

ტრანზიცია მნიშვნელოვანი პროცესია ადრეულ განათლებაში, ვინაიდან სწორედ ტრანზიციით იწყება ბავშვის პირველი შეხება ბაღთან, რაც სახლიდან ბაღში გადასვლას გულისხმობს. გადასვლები გრძელდება უკვე ბაღში და არის ყოველდღიური ყოფის ნაწილი. ბავშვთა სკოლაში, ან სხვა ბაღში გადასვლის შემთხვევაში, ტრანზიცია კვლავ მნიშვნელოვან საფეხურად რჩება, ამიტომაც უნდა შევეცადოთ, რომ ეს გადასვლები დამაზიანებელი კი არ იყოს, არამედ განვითარებისა და სწავლების მომენტებად იქცეს.

ტრანზიცია სახლიდან ბაღში

ბავშვის პერსპექტივიდან ბაღი სრულიად ახალი სამყაროა - უცხო ადამიანებით, უცხო გარემოთი, უცხო წესებით. ბავშვისთვის ახალი ცხოვრება იწყება, რომლისთვისაც შესაძლოა მზად არ იყოს, ეშინოდეს, შფოთავდეს, ამიტომაც მნიშვნელოვანია უფროსების მხარდაჭერა ამ მიმართულებით.
რა შეგვიძლია გავაკეთოთ? როდესაც ბავშვის მშობლები ბაღში მოვლენ პირობების გასარკვევად წაახალისეთ ისინი, რომ თავად ბავშვიც მოიყვანონ და დაათვალიერებინონ ბაღის გარემო. ბავშვმა შესაძლოა ფოტოაპარატი წამოიღოს, ან მობილურის საშუალებით გადაუღოს ფოტო/ვიდეო ბაღის შენობას, ეზოს. ამით ხელს შეუწყობთ, რომ ბაღი ბავშვისთვის უცხო ადგილიდან, ნაცნობ და ახლობელ ადგილად გადაიქცეს.
ბაღში მოსვლის შემდეგ კი, ბავშვს შეუქმენით გარემო, სადაც იგი ფიზიკურად და ემოციურად დაცულად იგრძნობს თავს, შეეცადეთ თქვენი საუბარი მშვიდი და მხარდამჭერი იყოს. შექმენით საინტერესო, სახალისო და მიმზიდველი ფიზიკური გარემო. დარწმუნდით, რომ ბავშვებს შეცდომების დაშვებისას არ ეშინიათ დასჯის, გაბრაზების, კრიტიკის.

სახლიდან ბაღში ტრანზიციის დროს ეფექტიანი პრაქტიკაა, გარკვეული დროით მშობლების ბავშვებთან ერთად ბაღში დარჩენა. რას ნიშნავს ეს? ერთი კვირის განმავლობაში (ბავშვის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, ერთიდან ორ კვირამდე გაგრძელდეს) მშობელი ბავშვთან ერთად „დადის“ ბაღში, თუმცა „დამკვირვებელივით“, ან „სტუმარივით“ კი არ იქცევა, არამედ სრულფასოვნად ერთვება ჯგუფში მიმდინარე პროცესებში: ხატავს, ძერწავს ბავშვებთან ერთად, თამაშობს ქვიშაში, უსმენს წიგნის კითხვას და ა.შ. ეს აქტივობა მრავალმხრივ სასარგებლოა: ერთი მხრივ, ბავშვისთვის ბაღში ტრანზიცია უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, მეორე მხრივ, მშობელი უფრო ახლოს ეცნობა ბაღში მიმდინარე სასწავლო პროცესს, სწავლობს, რითი შეიძლება დაკავდეს ადრეული ასაკის ბავშვი, ახლო კონტაქტს ამყარებს საგანმანათლებლო პერსონალთან, ეცნობა ბაღის რუტინას და ა.შ.

რა შეიძლება ვურჩიოთ მშობლებს? სთხოვეთ მშობლებს, ბავშვი დადებითად განაწყონ ბაღის მიმართ, უამბონ, როგორი საინტერესო საქმიანობებით დაკავდებიან ბაღში. გააფრთხილეთ, რომ ბავშვები არ დააშინონ ბაღით და სადამსჯელო ადგილად არ მოიხსენიონ - სიტყვები, „იცოდე, ბაღში წაგიყვან“ - უკვე ნიშნავს, რომ „ბაღი ცუდი და საშიში ადგილია“.

ტრანზიცია ბაღში

თავდაპირველად განვსაზღვროთ, რას ნიშნავს ტრანზიცია ბაღში? ეს შეიძლება იყოს დროის მონაკვეთი, როცა:

- ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადავდივართ;
- შენობის ერთი ოთახიდან მეორეში გავდივართ (ჯგუფიდან დარბაზში, ბიბლიოთეკაში და ა.შ.);
- შენობიდან ეზოში გავდივართ და პირიქით;
- ბაღიდან სხვა დაწესებულებაში მივდივართ და ა.შ.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ? განრიგი ისე შევადგინოთ, რომ ტრანზიციები არ იყოს ძალიან ხშირი, ანუ ერთი საქმიანობიდან მეორეზე მალიმალ არ გადავდიოდეთ და ტრანზიციას დიდი დრო არ მიჰქონდეს, ანუ ბავშვს დიდხანს ლოდინი არ უწევდეს. ტრანზიციები ხშირად ართულებენ დღის განრიგის ისე დაგეგმვას, რომ გამოყენებადი და ეფექტიანი იყოს. განრიგისა და ტრანზიციის ეფექტიანად დასაგეგმად მიჰყევით შემდეგ საფეხურებს:

1) თავდაპირველად, დააკვირდით რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩაინიშნეთ ტრანზიციის დაწყების და დასრულების დრო, ასევე ჩაინიშნეთ, რას აკეთებენ ბავშვები ტრანზიციის დროს, რას აკეთებენ უფროსები (აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი), ჩაინიშნეთ გამომწვევი ქცევის ფორმები და რაოდენობა;
2) ჯგუფში მომუშავე კოლეგასთან ერთად გააანალიზეთ ჩანაწერი, იმსჯელეთ, რას შეეძლო უკეთესად ემუშავა, როგორ შეიძლებოდა პასუხისმგებლობების გადანაწილება;
3) განსაზღვრეთ ბავშვები, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური მხარდაჭერა, დახმარება ტრანზიციის დროს;

4) მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებითაც ბავშვებს შეაქცევთ ტრანზიციის დროს (მხიარული სიმღერა, გათვლა, ღია შეკითხვები, გამოცანები და ა.შ.).

ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში

ბაღიდან სკოლაში წასვლა მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ეს პერიოდიც სწორად იყოს მართული უფროსების მიერ, რათა ტრანზიციამ მარტივად და უმტკივნეულოდ ჩაიაროს ბავშვისთვის.
რა შეგვიძლია გავაკეთოთ? ბავშვები დადებითად განაწყეთ სკოლის მიმართ, წაახალისეთ, რომ ითამაშონ სკოლობანა, წაიყვანეთ ექსკურსიაზე მიმდებარე სკოლაში, შეეცადეთ ეს ვიზიტი პოზიტიური იყოს ბავშვებისთვის. სთხოვეთ სკოლის რომელიმე მასწავლებელს სახალისო და საინტერესო აქტივობა ჩაუტაროს ბავშვებს. ამით ბავშვებს დაეხმარებით იმ შიშის დაძლევაში, რომელიც შესაძლოა ჰქონდეთ სკოლის, როგორც უცხო ადგილის მიმართ.
რა შეგვიძლია ვურჩიოთ მშობელს? წაახალისეთ მშობლები ბავშვს წინასწარ დაათვალიერებინონ ის სკოლა, რომელშიც მომავალში უნდა იაროს. კარგი იქნება, თუ ბავშვს ამ შემთხვევაშიც თან ექნება ფოტოაპარატი, ამით თქვენ ხელს შეუწყობთ, რომ ბავშვისთვის სკოლის გარემოც ნაცნობი და ახლობელი გახდეს.

„შერეული ჯგუფები“

გამოთქმაში, „შერეული ჯგუფები“, როგორც წესი, იგულისხმება ჯგუფები, სადაც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ბავშვები ერთად, ერთ ჯგუფში არიან გაერთიანებულები და ჰყავთ საერთო აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობით“ (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“. მუხლი 20, პუნქტი 2). ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებაში შერეული ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, ამ ჯგუფში ბავშვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს. რა დადებითი მხარე აქვს შერეულ ჯგუფს და რა გამოწვევებს შეიძლება წავაწყდეთ ასეთ ჯგუფთან მუშაობისას? ქვევით სწორედ ამ საკითხებზე შევეცდებით პასუხის მიღებას.

რატომ „შერეული ჯგუფები“? შერეული ასაკობრივი ჯგუფები საუკეთესო გარემოა ბავშვებისთვის, სოციალური უნარების დასაუფლებლად. პატარები აკვირდებიან, შეისწავლიან, ბაძავენ შედარებით უფროს ბავშვებს, „უფროსებს“ კი საშუალება აქვთ იზრუნონ, დაეხმარონ, შესაბამისად, პასუხისმგებლობის გრძნობა განივითარონ. ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების წევრებად იგრძნონ თავი, საზოგადოება კი სხვადასხვა ასაკის, უნარებისა და ინტერესების მქონე ადამიანებისგან შედგება. შერეულ ასაკობრივ ჯგუფში ბავშვებს მრავალფეროვანი გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა აქვთ.

შენიშვნა: *არსებობს მოსაზრება, რომ თუ, მაგალითად, 4 -5 წლის ასაკის ბავშვი შერეულ ასაკობრივ ჯგუფში დადის და თავისზე უმცროსებს ასწავლის, ამ*

დროს თავად „ფერხდება“, არ ვითარდება. არადა, სხვისი სწავლება, სხვისთვის საკუთარი ცოდნის გადაცემა ბავშვს ეხმარება უკეთესად გაიაზროს ის, რაც იცის, გააანალიზოს საკუთარი ცოდნა.

რა გამოწვევები იჩენს თავს? ასაკობრივი განსხვავების მიხედვით, ბავშვების საჭიროებები და ინტერესებიც, ბუნებრივია, განსხვავებულია, შესაბამისად, ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსს ამ განსხვავებულობის პირობებში უწევს საგანმანათლებლო პროცესის გაძღოლა, რაც მისგან მეტ კომპეტენციას მოითხოვს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ მან იცოდეს შერეულ ჯგუფთან მუშაობის სტრატეგიები.

როგორ გავუძღვეთ შერეულ ასაკობრივ ჯგუფს?

- ვიდრე მუშაობას შეუდგებოდეთ: გადახედეთ ლიტერატურას ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების შესახებ, გაიხსენეთ, რა არის დამახასიათებელი კონკრეტული ასაკის ბავშვებისთვის;
- აწარმოეთ დაკვირვება: გარკვეული პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, 2 კვირა) საგანგებოდ დააკვირდით ჯგუფს, აწარმოეთ ჩანაწერები, რათა უკეთ შეისწავლოთ ბავშვების ტემპერამენტი, ინტერესები, ქცევები;
- აკონტროლეთ თქვენი ტემპი: საგანმანათლებლო პროცესში ნუ იჩქარებთ, შეინარჩუნეთ სიმშვიდე, მიეცით ბავშვებს ნათლად ჩამოყალიბებული და მარტივად გასაგები ინსტრუქციები;
- ინსტრუქციების მიცემისას: შეეცადეთ, მთელი ჯგუფისთვის მიცემული ინსტრუქცია ნაკლები იყოს, უმეტესად მცირე ჯგუფებთან იმუშავეთ, ან მიმართეთ ინდივიდუალურად;

- <u>დაიხმარეთ ფიზიკური გარემო:</u> შეეცადეთ ფიზიკური გარემო ისე მოაწყოთ, რომ ყველა ასაკის ბავშვისთვის საინტერესო იყოს იქ ყოფნა, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება სხვადასხვა „ზედაპირებზე“ ითამაშონ, მაგალითად, შესაძლებელი უნდა იყოს რთული, წვრილნაჭრიანი ფაზლის აწყობა მაგიდაზე და დიდნაჭრიანი ფაზლისა - იატაკზე, ან პირიქით, ხატვა როგორც მაგიდასთან, მოლბერტებთან, ან კედელზე გაკრულ ფუცელზე, ასევე, იატაკზე სკოჩით დამაგრებულ ფურცელზე და ა.შ. შეეცადეთ, ფიზიკურ გარემოში ორიენტირებისას იფიქროთ იმაზე, რომ ვიზუალური მასალა და, ზოგადად, მასალები სხვადასხვა დონეზე გქონდეთ, გაითვალისწინეთ, რომ ჯგუფში სხვადასხვა ასაკის, შესაბამისად, სხვადასხვა სიმაღლის ბავშვები იმყოფებიან;
- <u>ჩამოაყალიბეთ რუტინა:</u> ტრანზიციის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ ბავშვების ასაკი, ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შეეცადეთ ყველა ბავშვი ჩართოთ დალაგება-დასუფთავების, ან შემდგომი საქმიანობისთვის მომზადების პროცესში, ტრანზიციები ისე დაგეგმეთ, რომ ბავშვებს არ უწევდეთ სიჩქარეში მოქმედება;
- <u>პროცესის განხორციელებისას:</u> გაამდიდრეთ ჯგუფი ღია მასალებით (მაგ.: სხვადასხვა ზომის ხის კუბურები, მუყაოს ყუთები, ქსოვილის ნაჭრები, ლეგო და ა.შ.), რომელთა გამოყენებაც სხვადასხვა ასაკის ბავშვებს შეუძლიათ მათი ასაკის შესაბამისად. აქტივობები მოარგეთ სხვადასხვა ასაკს, მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში „პატარები“ უბრალოდ მოსინჯავენ გუაშის, ან აკვარელის სხვადასხვა ფერებს, „დიდები“ ამავე სამხატვრო მასალით საკუთარი იდეების გადმოცემას შეეცდებიან.

პროცესის შეფასება

საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განსახორციელებლად და გასაუმჯობესებლად შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად, მნიშვნელოვანია, ბავშვებან მომუშავე პრაქტიკოსმა შეაფასოს პროცესი. იგი გარკვეული პერიოდულობით უნდა აფასებდეს როგორც თითოეული ბავშვის პროგრესს, ასევე, უშუალოდ საგანმანათლებლო პროცესსა და ფიზიკურ გარემოს, ასევე აკეთებდეს თვითრეფლექსიას.

რატომ არის მნიშვნელოვანი პროცესის შეფასება? პროცესის შეფასება გვეხმარება გავიაზროთ, რამდენად „სწორად“ ვმოქმედებთ, რამდენად ეფექტიანია ჩვენს მიერ განხორციელებული პრაქტიკა, ასევე გვეხმარება შემდგომი სამოქმედო გეგმის სწორად განსაზღვრაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროცესის შეფასება სხვადასხვა მიმართულებების შეფასებას გულისხმობს.

ბავშვზე დაკვირვება და შეფასება

ბავშვზე დაკვირვება და ბავშვის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. რას

ნიშნავს ბავშვზე დაკვირვება და რატომ არის დაკვირვება ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი? დაკვირვება არის თვალყურის დევნება იმაზე, თუ რას აკეთებს ან ამბობს ბავშვი. დაკვირვება უფროსს ეხმარება უკეთ გაიცნოს ბავშვი, აღმოაჩინოს ის, რაც თითქოს დამალული იყო მისგან, მეტი შეიტყოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების, ინტერესების, საჭიროებების, შესაძლებლობების შესახებ.

რა უნდა გავითვალისწინოთ ბავშვზე დაკვირვების დროს, ანუ რას ვაკვირდებით?

- როგორ მოქმედებს ბავშვი გარემოში - როგორ იყენებს მასალებს, რა შეკითხვებს სვამს, როგორია მისი ქცევა გარემოს შესწავლისას, როგორ იყენებს ფიზიკურ სივრცეს, როგორ რეაგირებს სხვადასხვა სენსორულ გამღიზიანებელზე, როგორ იყენებს დროს და ა.შ.
- რას ამბობს ბავშვი სიტყვებით, სხეულის ენაზე - რას ამბობს ბავშვი ვერბალურად იმის შესახებ, რასაც აკეთებს, ან იმის შესახებ, რაც მის გარშემო ხდება, რას გვეუბნება მისი სხეულის ენა და ა.შ.
- როგორ ურთიერთკავშირს ამყარებს ჯგუფის წევრებთან - როგორ ურთიერთობს ბავშვი ჯგუფის წევრებთან, როგორ ამჟღავნებს სხვისი პერსპექტივის დანახვის უნარს და ა.შ.

დაკვირვებისას აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი ჩანაწერებს თითოეულ ბავშვზე აწარმოებს. მნიშვნელოვანია, რომ ჩანაწერები იყოს ობიექტური, არ შეიცავდეს მიკერძოებულ ფრაზებს, ბავშვის მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებებს, იარლიყებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ ერთმანეთისაგან განასხვავოთ ობიექტური ჩანაწერი და მიკერძოებული, სუბიექტური ჩანაწერი.

ობიექტური ჩანაწერი	სუბიექტური ჩანაწერი
...თინიკომ მე შემომხედა, მერე ბავშვებს გახედა და განაგრძო ქვიშაში თამაში...	...თინიკომ ჯერ მე გამომხედა გამომწვევად, მერე ბავშვებს გახედა დამცინავი მზერით და ჯიბრიანი სახით განაგრძო ქვიშაში თამაში...
...გიორგის საღებავიანი ფუნჯი უჭირავს, ცოტა საღებავი ფუნჯიდან მაგიდაზე დაიწუწა, გიორგიმ შემომხედა, გაიღიმა და თქვა: მაგიდაც მოიხატა...	...გიორგის საღებავიანი ფუნჯი უჭირავს და განზრახ აწუწებს საღებავს მაგიდაზე, გიორგიმ გამომწვევად შემომხედა და ირონიულად დაამატა: მაგიდაც მოიხატა...
... თაკო საქვიშეში თამაშობს ბავშვებთან ერთად, გვერდით დაილაგა ყველა ნიჩაბი და ვედრო, ბავშვების თხოვნაზე უპასუხა: მჭირდება, ბევრი გვირაბი უნდა გავთხაროო...	... თაკო საქვიშეში თამაშობს ბავშვებთან ერთად, ეგოისტურად დაიგროვა ყველა ნიჩაბი და ვედრო, არ აძლევს ბავშვებს და აგრესიულად გაიძახის, მჭირდება, ბევრი გვირაბი უნდა გავთხაროო...
თორნიკემ სწრაფი მოძრაობით გამოართვა წიგნი დათოს და ხმამაღლა თქვა: ეს წიგნი მე მოვიტანე, ჩემი საყვარელი წიგნია, და არ აიღო! დინოზავრებზეა და შენ კიდე დინოზავრები არ გიყვარს! არც იცი, როდის ცხოვრობდნენ და არც გიყვარს! მე კიდე მიყვარს დინოზავრები და ყველაფერი ვიცი! თორნიკე წიგნით ხელში შევიდა ხელოვნების ცენტრში, გადმოიღო საღებავები და ფურცელი, დათოს გახედა და უთხრა: აი, ნახე როგორ დავხატო ყველაზე დიდი ბალახისმჭამელი დინოზავრი.	თორნიკემ უხეშად გამოგლიჯა წიგნი დათოს და აგრესიულად დაუყვირა, ეს წიგნი მე მოვიტანე, ჩემი საყვარელი წიგნია და არ აიღო! დინოზავრებზეა და შენ კიდე დინოზავრები არ გიყვარს! არც იცი, როდის ცხოვრობდნენ და არც გიყვარს! მე კიდე მიყვარს დინოზავრები და ყველაფერი ვიცი! თორნიკე წიგნით ხელში გამარჯვებული სახით შევიდა ხელოვნების ცენტრში, გადმოიღო საღებავები და ფურცელი და ნიშნისმოგებით უთხრა დათოს, აი, ნახე როგორ დავხატო ყველაზე დიდი ბალახისმჭამელი დინოზავრი.

დაკვირვების შემდეგი საფეხურია რეფლექსია. ის გულისხმობს ბავშვზე გაკეთებული ჩანაწერის ანალიზს, ანუ იმაზე ფიქრს, თუ რა უნარებს ამჟღავნებს ბავშვი. რეფლექსიას მოსდევს რეაქცია, ანუ ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი ბავშვის მიერ გამოვლენილი უნარების საპასუხოდ.

ქვემოთ მოცემული მაგალითი ნათელს მოფენს დაკვირვების საფეხურებს.

დაკვირვება

აღმზრდელის მიერ წარმოებული დაკვირვების ჩანაწერის ნიმუში. 4 წლის ნინიკო ფანქრებს იღებს და ამბობს: ცისარტყელა უნდა დავხატო, მახსოვს როგორი იყო, როგორც ფერადი მოღუნული ხიდი, ისეთი იყო ცაზე და თან მზე ანათებდა და თან წვიმდა. ნინიკო ჯდება მაგიდასთან, თან თავისთვის ლაპარაკობს: ჯერ წითელი... მერე ყვითელი... მწვანე... ლურჯი... ფურცელზე ჯერ ორი წითელი რკალი დახატა და გააფერადა, შემდეგ ყვითელი რკალები, შემდეგ მწვანე და ლურჯი. იქვე მჯდარი გიორგი ნინიკოს მიმართავს: აკლია, შენს ცისარტყელას ფერები აკლია!!! ნინიკო ხმამაღლა ითვლის: ერთი, ორი, სამი, ოთხი... უი, მართლა აკლია... რამდენი აკლია? ვეკითხები ნინიკოს, ნინიკომ თავიდან გადათვალა რკალები, მერე თითებზე გადაითვალა და წამოიძახა: სამი!“

რეფლექსია

როგორ ვიყენებთ ზემოთ მოცემულ ჩანაწერს ბავშვის შესაფასებლად: ნინიკო ამჟღავნებს კოგნიტურ უნარებს, მას შეუძლია ფერების ცნობა, შეუძლია 7-მდე თვლა,მარტივი მათემატიკური მოქმედების შესრულება, განვითარებული აქვს ნატიფი მოტორიკა.

რეაქცია

როგორ ვიყენებთ ზემოთ მოცემულ ჩანაწერს დასაგეგმად: ნინიკოს, ცისარტყელას ეფექტის მისაღებად, ვთავაზობთ ექსპერიმენტებს პრიზმის გამოყენებით, წავახალისებთ, რომ დაამზადოს კოლაჟი ციხარტყელას თემაზე სხვადასხვა ფერის ნივთების დახარისხების გზით, დავათვლევინებთ გამოყენებულ ნივთებს.

ბავშვზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ყოველდღიურად, მუშაობის პროცესში შევაფასოთ ბავშვის უნარები და დავგეგმოთ აქტივობები განვითარების ზედა საფეხურზე გადასაყვანად.

დაკვირვების შედეგების ანალიზს აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ბავშვის განვითარების შესაფასებლად იყენებენ. შეფასება მათი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასებისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ სხვადასხვა ტიპის შეფასების ინსტრუმენტები, იმის მიხედვით, თუ კურიკულუმის რომელ მოდელს, რა მეთოდოლოგიას მისდევს დაწესებულება. დაუშვებელია შეფასების ინსტრუმენტად ბავშვის განვითარების სტანდარტების დოკუმენტის გამოყენება.

დოკუმენტაცია, პორტფოლიო

ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო
კრებული, რომელიც მოიცავს ბავშვის ნამუშევრის ნიმუშებს, დაკვირვების/შეფასების შედეგად მიღებულ მრავალფეროვან ინფორმაციას, ბავშვების სურათებს სხვადასხვა საქმიანობის შესრულებისას, ბავშვის კომენტარებისა და ნაკარნახების ჩანაწერებს.

რა არის დოკუმენტაცია? დოკუმენტაცია არის ბავშვების სხვადასხვა ტიპის მიღწევების, უნარების, შესაძლებლობების, ინტერესების ასახვა სხვადახვა ფორმაში. ბავშვების ნამუშევრებს აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი პორტფოლიოში ინახავს. პორტფოლიო შეიცავს:

- ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს;
- ბავშვის ნაწერის, ნაჯღაბნის ნიმუშებს;
- ბავშვის ნამუშევარს ნებისმიერ მასალაში (ნახატი, ნაძერწი, აპლიკაცია, კოლაჟი და ა.შ.)
- ბავშვის აშენებულ კონსტრუქციებს, ან/და კონსტრუქციების ფოტოებს;
- ბავშვის ფოტოებს სხვადასხვა საქმიანობის დროს;
- აუდიო/ვიდეო ჩანაწერებს;
- ბავშვის მიერ მოგონილი ამბის ჩანაწერებს;

ბავშვის ნამუშევრების შეგროვება, ანუ დოკუმენტირება, აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა. დოკუმენტაცია გვეხმარება მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ ბავშვის განვითარებაზე, ინტერესებზე, საჭიროებებზე, მიღწევებზე და ა.შ.
პორტფოლიო სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს:

- ყუთი
- აკორდეონივით დაკეცილი ფაილები
- ფოლდერები
- ბაინდერები
- ფოტო ალბომი
- ციფრული პორტფოლიო და სხვ.



საგანმანათლებლო პროცესის შეფასება

საგანმანათლებლო პროცესის შეფასება აღმზრდელ-პედაგოგს/აღმზრდელს ეხმარება გაიაზროს განხორციელებული პრაქტიკა, იფიქროს რისი შეცვლა, გაუმჯობესება შეიძლება. პროცესის შეფასება გულისხმობს მისი ყველა კომპონენტის შეფასებას: განრიგის, გარემოს, განხორციელებული აქტივობების და ა.შ.

რაზე შეგვიძლია ვიფიქროთ, როდესაც ვაფასებთ დღის განრიგსა და სტრუქტურას:

- არის თუ არა გასაგებად და ნათლად ფორმულირებული აქტივობების პირობები;
- აქვთ თუ არა ბავშვებს საკმარისი დრო ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად;
- იღებენ თუ არა ბავშვები მინიშნებებს ერთი საქმიანობის დასასრულთან დაკავშირებით;
- აქვთ თუ არა ბავშვებს საკმარისი დრო სხვადასხვა ტიპის საქმიანობაში ჩასართავად;
- არის თუ არა განრიგი საკმარისად მოქნილი მასში საჭიროებისამებრ ცვლილებების შესატანად;

ჯგუფის ფიზიკური გარემოს შეფასება - ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა მიმართულებების. იმისათვის, რათა განსაზღვროთ, რამდენად ეფექტიანად იყენებთ ფიზიკურ გარემოს, გეხმარებათ თუ გაბრკოლებთ ჯგუფის სივრცე პროცესის განხორციელებაში;

- აქვთ თუ არა ბავშვებს თავისუფალი არჩევანის საშუალება ჯგუფში არსებულ რესურსებთან დაკავშირებით;
- არის თუ არა რესურსი საკმარისი და ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის;
- არის თუ არა რესურსი მათთვის საინტერესო და მიმზიდველი.

ფიზიკური გარემოს უკეთ შესაფასებლად შესაძლოა თავად შექმნათ შეფასების ინსტრუმენტი. საგანმანათლებლო სტანდარტისა და ფიზიკური გარემოს რეგლამენტის ანალიზის შედეგად გამოყავით ის მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებიც უნდა იყოს თქვენს გარემოში და ჩამოწერეთ ეს პუნქტები ცხრილის სახით. ასეთი ფორმით შესაძლოა შეიქმნას ცალკე შეფასების ინსტრუმენტი ჯგუფისთვის, ცალკე - ეზოსთვის და ა.შ.
რა პრობლემები შეიძლება წარმოშვას ფიზიკურმა გარემომ?

- **სირბილი ჯგუფში** - რას ვაკეთებთ? ვქმნით ფიზიკურ გარემოს, სადაც სირბილი ფიზიკურად შეუძლებელია, თუმცა ბავშვებს სირბილის საშუალებას ვაძლევთ ეზოში, ან დარბაზში;
- **ჩხუბი სათამაშოებზე** - რას ვაკეთებთ? ამ მომენტს სოციალურ-ემოციური უნარების განსავითარებლად ვიყენებთ, ბავშვებს ვასწავლით გაზიარებას. თუმცა უმჯობესია ჯგუფში ერთი დასახელების სათამაშოს რამდენიმე ეგზემპლიარი გვქონდეს, მაგალითად, სხვადასხვანაირი ორი ან სამი თოჯინა, სხვადასხვა მოდელის რამდენიმე მანქანა და ა.შ. მნიშვნელოვანია სათამაშოების მრავალფეროვნება.

- **ხეტიალი** - რას ვაკეთებთ? ბავშვების ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად, ვცდილობთ, საქმიანობები თითოეული ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებზე იყოს მორგებული;
- **ერთმანეთის სამუშაო სივრცეში შეჭრა** - რას ვაკეთებთ? ვცდილობთ ფიზიკური გარემოს იმდაგვარად რეორგანიზებას, რომ თითოეულ ბავშვს საკმარისი სივრცე ჰქონდეს სამუშაოდ და მათ შორის გადასაადგილებლად, ასევე ვადგენთ სამუშაო სივრცეში მოთამაშეთა დასაშვებ რაოდენობას, ვცდილობთ ბავშვებში სოციალურ-ემოციური და კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

ნივთების კარგვა და გაუფრთხილებლობა - რას ვაკეთებთ? ჯგუფში ყველა ნივთს თავისი ადგილი მიუჩინეთ, გამოიყენეთ ვიზუალური მინიშნებები, წაახალისეთ ბავშვები, რომ დაიცვან წესრიგი ნივთების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პერსონალის როლი პროცესის ხარისხიანად განხორციელებაში

საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებაში დაგეგმვას დიდი წვლილი მიუძღვის, თუმცა იმისათვის, რათა ეს პროცესი ხარისხიანად წარიმართოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამშრომლებს შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება, მათი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ.

საგანმანათლებლო პროცესი ბავშვისთვის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში წარიმართება, თუ ჯგუფში მომუშავე უფროსებს შორის თანამშრომლობითი და არა იერარქიული ურთიერთდამოკიდებულება იქნება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში აღმზრდელ-პადაგოგსა და აღმზრდელს შორის თანამშრომლობის ნაცვლად, არსებობს არაჯანსაღი კონკურენციის ცუდი პრაქტიკა, რაც სავალალოდ აისახება როგორც ამ ორ ადამიანს შორის კომუნიკაციაზე, ისე ბავშვების მიმართ მათ დამოკიდებულებასა და მთლიანად საგანმანათლებლო პროცესზე. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად აღმზრდელ-პედაგოგსა (კანონის ძალაში შესვლამდე - აღმზრდელი) და აღმზრდელს (კანონის ძალაში შესვლამდე - აღმზრდელის თანაშემწე) შორის უფლება-მოვალეობების ზღვარი ხისტად ევლება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნაცვლად თანამშრომლობისა, ხდება საქმიანობების დაყოფა, მაგალითად, აღმზრდელ-პედაგოგს მიაჩნია, რომ „მას არ ეხება“ ბავშვის საპირფარეშოში გაყვანა და დახმარება, თავის მხრივ, აღმზრდელი ფიქრობს, რომ მას „არ ევალება“ აქტივობებში ჩართვა და ა.შ. საგანმანათლებლო პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ საგანმანათლებლო პერსონალი თანაბრად გადაინაწილებს პასუხისმგებლობას და არ დაიწყებს საკუთარი საქმეების „ანგარიშს“.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის სწორი პოლიტიკა, თანამშრომელთა მხარდაჭერა სწორედ თანამშრომლობის საკითხში და არა ისეთი სისტემის შექმნა, რომელშიც ადამიანები, მხარდაჭერის ნაცვლად, ერთმანეთს ეჯიბრებიან.

როგორ მოვიქცეთ, რომ პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს?

- ერთად და ყოველდღიურად გადაინაწილეთ პასუხისმგებლობები, შეეცადეთ ცვალოთ საქმიანობები, მაგალითად, თუ ერთ დღეს აღმზრდელ-პედაგოგმა გათალა ფანქრები და მოაწესრიგა დაზიანებული წიგნები, მეორე დღეს აღმზრდელი დაახარისხებს მეცნიერების ცენტრის მასალებს, ან დრამატულ ცენტრში თოჯინებს დააკერებს;
- ზოგიერთ საქმიანობას ერთად გაუძეხით, ეს მოგცემთ ერთმანეთის უკეთ გაცნობის, და საკუთარი თანამშრომლობის უნარების გამოცდისა და გაუმჯობესების საშუალებას;
- თუ საქმე მოითხოვს, უკან ნუ დაიხევთ, თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთეთ;
- დაეხმარეთ ერთმანეთს პროფესიულ ზრდაში, გაუზიარეთ მოსაზრებები პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, ჯგუფში მომუშავე ადამიანებმა ხომ საუკეთესოდ იციან ერთმანეთის ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიყენეთ ერთმანეთი იმისთვის, რომ უკეთ იმუშაოთ, დაეხმარეთ სირთულეების დაძლევაში.

პროფესიული განვითარება

მრავალი კვლევა მოწმობს, რომ ადრეული განათლების ხარისხი პირდაპირ არის დაკავშირებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიონალიზმთან. მნიშვნელოვანია, რომ როგორც აღმზრდელ-პედაგოგი, ასევე აღმზრდელიც, მუდმივად ეცნობოდნენ სიახლეებს ადრეული განათლების სფეროში, ზრუნავდნენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, მონაწილეობდნენ ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში (ტრენინგები, კურსები, კონფერენციები და ა.შ.).

რას ნიშნავს პროფესიონალიზმი, როგორ განვსაზღვროთ, რა ცოდნა და უნარები გვჭირდება ჩვენი სამუშაოს წარმატებით შესასრულებლად? ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, სადაც ასახულია ის ცოდნა და უნარები, რომლებიც დაწესებულების ფარგლებში ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსს მოეთხოვება. მოცემული სტანდარტი კარგი რესურსია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუნდაც რა ტიპის გადამზადება გვჭირდება, რა თემატიკაზე უნდა იყოს ტრენინგი, რომელსაც გავივლით და ა.შ.

პროფესიული განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა კოლეგებთან, ან დარგის სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარებაა. შეგიძლიათ ორგანიზება გაუწიოთ ადრეული განათლების თემებთან დაკავშირებულ შეხვედრებს, რომლებიც გარკვეული სიხშირით ჩატარდება, თუნდაც თქვენი დაწესებულების ფარგლებში. მაგალითად, ავიღოთ თემა - ტრანზიცია სახლიდან ბაღში. შეგიძლიათ თავად მოამზადოთ პრეზენტაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ტრანზიცია თქვენს დაწესებულებაში, რა სიახლეები დანერგეთ, რა მიღწევები გაქვთ, რამ იმუშავა კარგად და ა.შ. ამ თემაზე სამსჯელოდ მოიწვიოთ სხვა ბაღებში მომუშავე პრაქტიკოსები, რომლებსაც საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებთ და მათაც მისცემთ საშუალებას, რომ თავადაც გაგაცნონ, მათ

დაწესებულებებში როგორ მიმდინარეობს ბავშვების სახლიდან ბაღში ტრანზიცია. ამავე თემაზე სასაუბროდ შეგიძლიათ მოიწვიოთ ადგილობრივი უნივერსიტეტის დარგის სპეციალისტები, პრაქტიკოსებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საუკეთესო პრაქტიკას.

საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალნაირად შეგიძლიათ, ერთ-ერთი გზა ინტერნეტრესურსის ეფექტიანი გამოყენებაა. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე მასალების ისეთი მრავალფეროვნება არაა, როგორც ინგლისურ ენაზე, თუმცა ქვემოთ მოცემულ საიტებზე შეგიძლიათ მოიძიოთ როგორც სტატიები ადრეული და სკოლამდელი განათლების, ადრეული ასაკის ბავშვთა თავისებურებების შესახებ, ასევე საგანმანათლებლო პროგრამები.

ინტერნეტრესურსი ქართულ ენაზე:

http://mastsavlebeli.ge/
http://unicef.ge/
http://elibrary.emis.ge/ge
http://tpdc.gov.ge/geo/
https://portage.ge/
http://inclusion.ge/
http://www.preskola.ge/wm.php

საერთაშორისო რესურსი:

http://www.naeyc.org/
https://www.naecte.org
https://acei.org
https://www.omep-usa.org
https://nieer.org
https://teachingstrategies.com/curriculum/research
https://teacher.scholastic.com/products/ect/curriculum.htm

თვითრეფლექსიის როლი ხარისხის უზრუნველყოფაში

თვითრეფლექსურობა მაღალი კომპეტენტურობის ადამიანის მახასიათებელია და აღმზრდელ-პედაგოგის მნიშვნელოვანი უნარია. ეს არის ფიქრი საკუთარ საქმიანობასა და საკუთარ პრაქტიკაზე; ეს არის საკუთარი შეგრძნებების გააზრება, გაანალიზება, განხორციელებული პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი. ეს ის უნარებია, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია აღმზრდელ-პედაგოგის წარმატებული პრაქტიკა.

თვითრეფლექსიის მნიშვნელოვანი კომპონენტებია:

- ბავშვების გაგება;
- დაკვირვება იმაზე, თუ რას სწავლობენ ბავშვები;
- მათთან თანამშრომლობა;
- მოქნილი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თვითრეფლექსია - *საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესია და გულისხმობს საკუთარი ქცევის და აზროვნების ანალიზს, გაცნობიერებას, შეფასებას, დაგეგმვასა და კონტროლს. თვითშემეცნებას, ანუ რეფლექსიას მოსწავლე იყენებს მაშინ, როდესაც ფიქრობს საკუთარ მოქმედებებზე, მაგალითად, როდესაც ფიქრობს იმაზე, რამ განაპირობა მისი წარმატება ან წარუმატებლობა (ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, 2016).*

<u>რატომ უნდა ვიყო თვითრეფლექსური?</u>

თვითრეფლექსურობა საშუალებას იძლევა:

- გაიაზროთ საკუთარი ემოციები და დამოკიდებულებები;
- მუდმივად შეაფასოთ საკუთარი საქმიანობა, საკუთარი პრაქტიკა;
- გაიაზროთ ურთიერთობები ბავშვებთან, მათ მშობლებსა და კოლეგებთან;
- დაინახოთ გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობა,
- შეინარჩუნოთ ის, რაც მოქმედებს და იფიქროთ იმის შეცვლაზე, რაც არ მოქმედებს;
- გაიაზროთ ის პოზიტიური წვლილი, რომელიც შეგაქვთ ბავშვების ცხოვრებაში.

<u>როგორ ვიყოთ თვითრეფლექსურები, რითი დავიწყოთ?</u>

თავდაპირველად ჩვევად აქციეთ მუდმივი ფიქრი საკუთარ საქმიანობაზე: პირველ ეტაპზე ყოველდღიურად გამოყავით დრო რეფლექსიისთვის; მეორე ეტაპზე შეეცადე, რომ შენი პრაქტიკის დროს მუდმივად იყო რეფლექსური.

- აწარმოეთ რეფლექსური დღიური. ყოველდღიურად შეავსეთ ჩანაწერებით, რომელშიც ასახავთ, რა გამოგივიდათ, რა გაგიჭირდათ. შეეცადეთ ამ ჩანაწერებს მუდმივი, ყოველდღიური ხასიათი ჰქონდეს. დღის განმავლობაში რამდენიმე სიტყვით ჩაიწერეთ თქვენი შეგრძნებები, რეაქციები. შეგიძლიათ

რა შეკითხვები დავუსვა ჩემს თავს რეფლექსიის დროს



დღიური სექციებად დაყოთ - საქმიანობები, რესურსი, ბავშვებზე დაკვირვება და ა.შ. და ჩანაწერები სწორედ ამ განყოფილებების შესაბამისად გააკეთოთ.

- გადაუღეთ ვიდეო საკუთარ აქტივობას. სთხოვეთ დახმარება გადაღებაში კოლეგას, რომელიც თქვენთან ერთად მუშაობს ჯგუფში. მნიშვნელოვანია, რომ ვიდეოში ჩანდეს, როგორ ურთიერთობთ ბავშვებთან, როგორი ხმით მიმართავთ მათ, ამყარებთ თუ არა თვალით კონტაქტს, რამდენად თანმიმდევრული ხართ, ვრცელდება თუ არა თქვენი ყურადღება თითოეულ ბავშვზე, აძლევთ თუ არა თითოეულს უკუკავშირს, სიამოვნებთ თუ არა ბავშვებს შემოთავაზებული საქმიანობები და ა.შ.სთხოვეთ თქვენთან ერთად მომუშავე კოლეგას, დააკვირდეს თქვენს საქმიანობას და გააკეთოს ობიექტური ჩანაწერები. შემდეგ მასთან ერთად განიხილეთ ეს ჩანაწერები. საინტერესოა, რა დაინახა გარეშე თვალმა,როგორია თქვენი პრაქტიკა?
- გამოიყენეთ თვითრეფლექსიისთვის ბავშვებზე დაკვირვება. დააკვირდით, როგორ გრძნობენ თავს სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა საქმიანობების დროს. ჰკითხეთ, როგორია მათი განწყობა, რა მოსწონთ, რა არ მოსწონთ, დაფიქრდით თქვენს პროფესიულ საქმიანობაზე ბავშვების უკუკავშირის შესაბამისად.

იყავით რეფლექსური თქვენი პრაქტიკის ყველა ეტაპზე, როგორც საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას, ასევე მისი განხორციელებისას. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახერხებთ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებას და ბავშვების საჭიროებებზე მორგებას.

პრაქტიკოსების რეფლექსიის ჩანაწერები:

"...დღეს ექსკურსიაზე ვიყავით დიღმის ტყეში. აქტივობის მიზანი ტყის დასუფთავება იყო. მთელი კვირა ვემზადებოდი ამ გასვლისთვის. გავაკეთე სია, რა დამჭირდებოდა: რეზინის ხელთათმანი თითოეული ბავშვისთვის, დიდი ცელოფნები ნაგვის შესაგროვებლად. წინასწარ შევუთანხმდი მშობლებს, მოვაგვარე ტრანსპორტირების ამბავი. ტყეში საუზმის შემდეგ გავედით, ერთი ავტობუსით, რომელშიც 25 ბავშვი თავისუფლად მოთავსდა. ჩვენთან - აღმზრდელ-პედაგოგთან და აღზმრდელთან - ერთად წამოვიდნენ სამი მშობელი და ბაღის ექთანი . ეს ტყე საგანგებოდ შევარჩიე სიახლოვის გამო, იმედი მქონდა, რომ იქ ნაგავი დაგვხვდებოდა - პლასტმასის ბოთლები, ცელოფნები და ა.შ. და დავასუფთავებდით. თუმცა იქ მისულებს ყველაფერი უკვე დასუფთავებული დაგვხვდა. არ ვიცი რა მოხდა, ბავშვებმა იხუმრეს კიდეც, ჩვენამდე სხვა ბაღის ბავშვები ხომ არ იყვნენო. ექსკურსია კი მაინც სახალისო იყო ბავშვებისთვის, ითამაშეს, მაგრამ ჩემთვის ეს შემთხვევა კარგი გაკვეთილი იქნება. აუცილებლად წინასწარ, ანუ წინა დღეს უნდა წავსულიყავი ტყეში და მენახა გარემო და მხოლოდ ამის შემდეგ დამეგეგმა ვიზიტი..."

„...მეორე კვირამ უფრო საინტერესოდ ჩაიარა, ბავშვები უფრო დამიმეგობრდნენ, უფრო მეტად იჩენენ ნდობას ჩემს მიმართ. თავიდან თითქოს ცოტა ფრთხილობდნენ, მაგრამ ამ კვირაში რამდენიმე სტრატეგია გამოვიყენე ჯგუფის ერთობის შესაქმნელად და ძალიან გაამართლა. ამ კვირაში თიხისგან გამოვძერწეთ სხვადასხვა ნივთები, ხუთშაბათს კერამიკოსი გვყავდა ჯგუფში და ბავშვებთან ერთად გამოწვა ნაკეთობები. კვირის ბოლოს გამოფენა გვქონდა..."

„...რადგან ამ კვირის თემა მზარეულის პროფესიაა, დრამატულ ცენტრში შევიტანე მზარეულის ქუდი, წინსაფარი, სათამაშო საკვები, ჭურჭელი, ხელოვნებაში - გუაშის საღებავი და მზარეულის ფუნჯი სახატავად, სამაგიდოში - ლოტო საჭმელზე, მეცნიერების ცენტრში -სხვადასხვანაირი ფქვილი, წყალი და ზეთი სხვადასხვა სახის ცომის მისაღებად, წიგნიერებაში -რეცეპტების წიგნები, კუბურების ცენტრში კი - ტრადიციულად, კუბურები.

ბავშვები ცენტრებში სურვილისამებრ გადანაწილდნენ, ბავშვების უმეტესობამ ხელოვნების, დრამატული და მეცნიერების ცენტრები აირჩია. წიგნიერების ცენტრს და სამაგიდოს ისევ არავინ გაეკარა. რამე უნდა მოვიფიქრო, ან რესურსით გავამდიდრო, ან სტრატეგია შევცვალო. ამ ცენტრებში ბავშვები არც წინა კვირაში შესულან. ამ კვირაში თითქოს მეტი თემატური რესურსი შევიტანე, მაგრამ მაინც იგივე გამეორდა..."

„მთელი კვირა ვაკვირდებოდი ბავშვების ინტერესს, მინდა, რომ ბავშვების ინტერესების შესაბამისად დავგეგმო კვლევები მცირე ჯგუფებში. აქამდე მხოლოდ მთლიანი ჯგუფი ვიკვლევდით ხოლმე, მაგრამ ახლა მინდა, რომ მცირე ჯგუფებმა, ან თუნდაც ბავშვებმა, ინდივიდუალურად იკვლიონ, ცოტა გამიჭირდა ინდივიდუალური ინტერესების დადგენა, შეიძლება ერთი კვირა არ არის ამისთვის საკმარისი..."

თავი 6. ოჯახისა და თემის მონაწილეობა

საკვანძო სიტყვები:
ოჯახი
თემი
საკონსულტაციო საბჭო

ამ თავში გაეცნობით, თუ რა გავლენას ახდენს ოჯახის ჩართულობა ბავშვის კეთილდღეობაზე. პრაქტიკოსები შეიტყობენ ოჯახის ჩართვის კონკრეტულ სტრატეგიებს და სახელმძღვანელოში განხილული რეალური მაგალითების საფუძველზე დაინახავენ სტრატეგიების ეფექტიანობას. ამავე თავში ვისაუბრებთ თემის რესურსის ეფექტიან გამოყენებაზე და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაციის როლზეც საგანგებოდ მივუთითებთ.

თავის ძირითადი საკითხები

ოჯახი – განსხვავებულობა, აღიარება, გათვალისწინება
რა არის თემი და როგორ გამოვიყენოთ თემის რესურსი

ოჯახი – განსხვავებულობა, აღიარება, გათვალისწინება

ბავშვის ოჯახი არის ადამიანების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს და იცავს ბავშვის ინტერესებს. ბავშვის ოჯახში მოიაზრებიან: მშობლები, ბებია-ბაბუა, და-ძმა და სხვა ადამიანები, რომლებიც ბავშვთან ერთად ცხოვრობენ. ისევე როგორც *ცალკეული ინდივიდები,* **ოჯახებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან**:

- **შემადგენლობით** - არსებობს დიდი ოჯახები, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს, ამავე დროს არის ოჯახები, სადაც მხოლოდ მშობლები და ბავშვები, ან თუნდაც ერთი რომელიმე მშობელი და ბავშვები ცხოვრობენ და ა.შ. ამ განსხვავებულობის ცოდნა გვეხმარება ინდივიდუალურად მივუდგეთ ოჯახებს და გავითვალისწინოთ მათი საჭიროებები.
- **ოჯახის წევრების პიროვნული თვისებებითა და ტემპერამენტით** - ზოგიერთი ბავშვის მშობელი ფიცხია, ემოციების გამოხატვისას მეტად კრიტიკული, ზოგიერთი კი - მორიდებული, ცდილობს ზედმეტი შეკითხვები არ დასვას, არ „შეაწუხოს“ აღმზრდელ-პედაგოგი ან აღმზრდელი.

- **ცხოვრებისეული გამოცდილებით** - ოჯახებს სხვადასხვაგვარი გამოცდილება აქვთ, ზოგიერთი მათგანი ხშირად იცვლის ბინას, ზოგიერთ ოჯახში რომელიმე წევრი ქრონიკული ავადმყოფობით არის დაავადებული, ზოგიერთი ოჯახის რომელიმე წევრი მუდმივად საზღვარგარეთაა, ზოგიერთ ოჯახში ყველა უფროსი ერთი პროფესიისაა და ა.შ. ოჯახების განსხვავებული გამოცდილების ცოდნა დაგვეხმარება ინდივიდუალურ მიდგომასა და ამ გამოცდილების სასწავლო პროცესისთვის გამოყენებაში.
- **კულტურული განსხვავებულობით** - ისეთ მულტიკულტურულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სხვადასხვა კულტურის ოჯახებთან გვიწევს ურთიერთობა. შესაბამისად პატივი უნდა ვცეთ კულტურულ მრავალფეროვნებას და ყველა ოჯახს ვაგრძნობინოთ, რომ აღიარებულები არიან.

ოჯახის გაცნობა

რას ნიშნავს ოჯახის გაცნობა? ოჯახის გაცნობა გულისხმობს ოჯახის კულტურის გაცნობას, რა უნარების, ნიჭის, ინტერესების, პროფესიული ცოდნის მატარებლები არიან ოჯახის წევრები, რას საქმიანობენ, როგორ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სასწავლო პროცესში (აქტივობებში მონაწილეობა, არტეფაქტების მოტანა, ექსკურსიებში მონაწილეობა).

როგორ გავიცნოთ ბავშვების ოჯახები? ზოგიერთი სახელმძღვანელოს მიხედვით, ბავშვისა და ოჯახის გაცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ბავშვის ოჯახში ვიზიტია სასწავლო წლის დაწყებამდე. პედაგოგები, რომლებიც ამ ხერხს მიმართავენ, აღნიშნავენ, რომ ერთმა ვიზიტმა შესაძლოა იმდენი რამ მოგვცეს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ, რის გაგებასაც სხვა დროს მთელი თვე უნდებიან. ალბათ იმიტომ, რომ ბავშვიცა და მისი ოჯახის წევრებიც უკეთესად გრძნობენ თავს შინ, მათთვის ჩვეულ გარემოში, უფრო გახსნილები არიან, უფრო ლაღად ურთიერთობენ. ოჯახში ვიზიტის დროს თქვენ „დაზვერვაზე“ ხართ, არ უნდა გამოგრჩეთ არცერთი დეტალი: რა ინტერესები აქვთ, რას უყურებენ ტელევიზორში, რას კითხულობენ, როგორ ესაუბრებიან ერთმანეთს და ა.შ. ეს ინფორმაცია შემდგომში ინდივიდუალურ მიდგომაში დაგეხმარებათ.

შენიშვნა:

აღმზრდელ-პედაგოგის ჩანაწერი: *„ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ოჯახში ვიზიტის მიმართ, ვფიქრობდი, რომ ეს დროის ფუჭი კარგვა და ფორმალობა იყო, თუმცა ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა მოსინჯო ის, რაც არც ისე მოგწონს, მერე არგუმენტი რომ გქონდეს. ამიტომ, გადავწყვიტე სასწავლო წლის დასაწყისში ახლადგადმოსული ბავშვის სახლში მივსულიყავი. გიორგის მშობლებს წინასწარ შევუთანხმდი ვიზიტზე.*

გიორგის სახლს ადვილად მივაგენი. ეზოში ორი ველოსიპედი დამხვდა, დიდი, სავარაუდოდ, უფროსისთვის განკუთვნილი და პატარა, სავარაუდოდ, გიორგისთვის. სახლში შესულს თვალში მომხვდა ის ფაქტი, რომ გიორგის სათამაშოების უმეტესობა დათუნიები იყო, სათამაშო კუთხეშიც დათვები იყო და ბავშვის საწოლზეც.

გიორგის მშობლები ძალიან თავაზიანი და თბილი ადამიანები აღმოჩნდნენ. მამა - მხატვარი. სასტუმრო ოთახის კედლებზე ყველგან მისი ნამუშევრები იყო გამოფენილი, აქვე იდგა პატარა მოლბერტი, გიორგიმ ამაყად მითხრა, რომ ამ მოლბერტზე ის ხატავდა. დედამ გიორგისთან ერთად გამომცხვარი ტკბილეული შემომთავაზა, გიორგიმ ჩამომითვალა ინგრედიენტები და მომზადების წესი და აღნიშნა, რომ ძალიან უყვარს საჭმელების კეთება დედასთან ერთად, როცა მას სცალია. დედა ხშირად არის ხოლმე სამსახურის გამო ქალაქგარეთ და ბავშვი მამასთან, ან ბებიასთან რჩება. ჩვენ გადავიღეთ ფოტოები, დავხატეთ ერთად და ასე დასრულდა ჩემი ვიზიტი.
ამ ერთდღიანი ვიზიტით მე იმდენი ინფორმაცია მოვაგროვე ბავშვზე, რის გაგებასაც ზოგჯერ თვეებს ვანდომებდი“.

დაუშვებელია ოჯახში ვიზიტისას ოჯახთან ფამილარული ურთიერთობა, გაშინაურება, „ჭორაობა“ სხვადასხვა თემებზე, ბავშვის თანდასწრებით მასზე მესამე პირში საუბარი და ა.შ. ეს მართალია, არაფორმალური, მაგრამ საქმიანი ვიზიტია, რომლის მიზანიც ბავშვისა და მისი ოჯახის უკეთ გაცნობაა და არა სხვა რამ. ასევე მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა.

ბავშვის ოჯახის გაცნობის კიდევ ერთი საშუალებაა არაფორმალური შეხვედრები, რომლებიც ბაღის სივრცეში შეგიძლიათ დაგეგმოთ. მოაწყვეთ „ჩაის საღამო“, ან „ყავის დღე“, გაუმასპინძლდით სასუსნავით, რომლის შეძენაზე, რა თქმა უნდა, დაწესებულებამ უნდა იზრუნოს, დაპატიჟეთ მშობლები და უბრალოდ ისაუბრეთ, დაათვალიერებინეთ აქტივობების ფოტოები, უამბეთ სასწავლო პროცესის შესახებ, დაუსვით შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი ჩართულობა, ყურადღებით მოუსმინეთ კერძო საუბრებს, შეისწავლეთ მათი

ინტერესები, უნარები, მისწრაფებები, გაიგეთ, რა მოლოდინები აქვთ ბაღის მიმართ - ეს ინფორმაცია შემდგომ მათთან საქმიან ურთიერთობაში დაგეხმარებათ. აქაც შეინარჩუნეთ ოქროს შუალედი კეთილგანწყობასა და ფამილარულ ურთიერთობას შორის. იზრუნეთ, რომ ამ შეხვედრებზე ყველა მშობელი თანაბრად ჩაერთოს - მამებიც და დედებიც, ბებიებიც და ბაბუებიც, ანუ დაიცავით გენდერული ბალანსი. ბავშვის ოჯახის გაცნობაში შესაძლოა „ოჯახის კითხვარი" დაგეხმაროთ, რომლის საკითხები თავად შეგიძლიათ განსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ რა სახის ინფორმაციის მიღება გსურთ ოჯახის წევრებისგან. საკითხები შესაძლოა ეხებოდეს მათ ინტერესებს, საქმიანობას, ან ბავშვობის დროინდელ გამოცდილებას და ა.შ. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს:

კითხვარი ოჯახისთვის

სახელი და გვარი _____

კომუნიკაციის რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას?

ელექტრონული ფოსტა
სოციალური ქსელი
ტელეფონი
სხვა (მიუთითეთ რომელი) _____

ჩართულობის რომელი ფორმებია თქვენთვის ყველაზე მოსახერხებელი? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე)

მოხალისეობა ჯგუფში
ხელნაკეთი მასალების მომზადება
სახლში მუშაობა ბავშვთან
საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა
მშობელთა შეკრებებზე სიარული
ინდივიდუალური შეხვედრა აღმზრდელ–პედაგოგთან/აღმზრდელთან
თემის რესურსის მოძიებაში დახმარება
ექსკურსიების დროს დახმარება
სხვა (მიუთითეთ როგორ) _____

რამდენად ხშირად შეძლებთ ჯგუფის მუშაობაში ჩართვას?

ყოველკვირა
ყოველთვე
წელიწადში რამდენიმეჯერ
ალბათ საერთოდ ვერ შევძლებ

მიუთითეთ თქვენთვის სასურველი დღეები და დღის მონაკვეთი

_____
_____

რას აკეთებთ ხოლმე შინ ბავშვთან ერთად?

_____
_____

რის გაკეთებას შეძლებთ ბაღში? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე)

შემიძლია წავუკითხო ბავშვებს
შემიძლია მათთან ერთად სპექტაკლი დავდგა
შემიძლია, უბრალოდ, დავეხმარო აღმზრდელ–პედაგოგს/აღმზრდელს
შემიძლია ვხატო ბავშვებთან ერთად
შემიძლია ზღაპრები ვუამბო
შემიძლია სხვადასხვა მასალები დავამზადო მათთან ერთად
შემიძლია კულინარიული აქტივობები ჩავატარებინო
შემიძლია გავასეირნო პატარა ჯგუფი ეზოში
შემიძლია ვიცეკვო, ან ვიმღერო ბავშვებთან ერთად
შემიძლია რომელიმე ინსტრუმენტზე დავუკრა.

კიდევ ერთი კითხვარის ნიმუში

*„სახელი და გვარი*_____
*მე ვარ*_____
*მე შემიძლია*_____
*მე მიყვარს*_____
*მე არ მიყვარს*_____
*მე შემიძლია ჩავერთო*_____
*არ მომინდება ჩართვა*_____
*ძალიან მიხარია, როცა*_____
*ბაღში ყველაზე მეტად მომწონდა*_____
*სკოლაში მიყვარდა*_____

ოჯახის ჩართულობის როლი ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაში

რას ნიშნავს მშობლის ჩართულობა? რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი მშობელთა ჩართულობა? მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ბავშვები, რომელთა მშობლებიც ჩართულები არიან ბაღის ცხოვრებაში, უკეთესად სწავლობენ, უკეთეს სოციალურ უნარებს ამჟღავნებებენ, ნაკლებად ავლენენ პრობლემურ ქცევას.
მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაინც არსებობს მიზეზები, რატომაც არ ან ვერ ერთვებიან მშობლები ბაღის ცხოვრებაში.

რა ფაქტორები აფერხებს მშობელთა ჩართულობას, რატომ „იკავებენ“ თავს მშობლები?

<u>მოუცლელობა -</u> მშობლები ბაღის ცხოვრებაში პირველ რიგში დროის უქონლობის გამო ვერ ერთვებიან: გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, ახლადშეძენილი უმცროსი შვილი ოჯახში, რომელიც ბევრ ყურადღებას საჭიროებს, ის მიზეზებია, რომლებიც მშობლისგან ბევრ დროს მოითხოვს. შედეგად კი, ეს დრო სწორედ „ბაღის ცხოვრებას“ აკლდება.

<u>რას ვაკეთებთ?</u> შეეცადეთ, ჯგუფური შეხვედრების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინოთ მშობელთა სამუშაო განრიგი, ხოლო ინდივიდუალური შეხვედრები უშუალოდ თითოეული მშობლის სამუშაო განრიგს მოარგოთ. შეადგინეთ კალენდარი და ხელი შეუწყვეთ ოჯახის წევრებს, რომ მათთვის სასურველი დღე და დრო აირჩიონ ბაღში მოსასვლელად და აქტივობებში ჩასართავად. გარდა ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციისა, იქონიეთ კომუნიკაცია ინტერნეტით, გამოიყენეთ ელექტრონული მისამართი, მისწერეთ შვილის წარმატების, ან დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.

<u>აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პასიურობა.</u> დაბალი ჩართულობის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, აღმზრდელის პასიურობა, მისი მხრიდან გამოჩენილი გულგრილობა, ან უგულებელყოფაც იყოს. ამგვარად, მშობლების ჩართულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თავად აღმზრდელ-პედაგოგებისა და აღმზრდელების მხრიდან ხელშეწყობა-წახალისებაზე, ბაღში კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე.

<u>რას ვაკეთებთ?</u> ჯგუფის შესასვლელში შესაძლებელია საგანგებო მისალმება გამოაკრათ ოჯახისთვის, მაგ.: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, ან „ჩვენ გელით“, ან კიდევ, „აქ თქვენ მოგეწონებათ“. ამით ოჯახის წევრებს აგრძნობინებთ, რომ თქვენი ჯგუფის კარი არა მხოლოდ მათი შვილებისთვის, არამედ მათთვისაც ყოველთვის ღიაა. ოჯახებს **აგრძნობინეთ თქვენი კეთილგანწყობა**, შეეცადეთ, ოჯახის **თითოეული წევრისთვის** გქონდეთ რაიმე სპეციფიკური **სათქმელი,** გაუზიარეთ იმ **ღონისძებების შესახებ**, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოხდა, ან რომელთაც გეგმავთ.

<u>მშობლის ნეგატიური გამოცდილება.</u> დაბალი ჩართულობის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს მშობლის უსიამოვნო გამოცდილება, „ცუდი მოგონებები“ ბაღთან დაკავშირებით, მაგალითად, ბაღის მასწავლებელი, რომელიც მუდმივად ტუქსავდა, ან ბაღის გარემო, სადაც წვნიანის უსიამოვნო სუნი იდგა, ფორტეპიანოზე შესრულებული მუსიკის ხმები, ან, უბრალოდ, ბევრი ბავშვის ჟრიამული. ეს ის მოგონებებია, რომლებიც შესაძლოა ღრმად დალექილიყო მშობლის მეხსიერებაში და ბარიერს ახლა, ამ ასაკში ქმნის.

<u>რას ვაკეთებთ?</u> შეეცადეთ, მშობლებს აგრძნობინოთ თქვენი კეთილგანწყობა და, რაც მთავარია, დაარწმუნოთ იმაში, რომ ბაღი სასიამოვნო ადგილია. შექმენით სივრცეში მყუდრო, სასიამოვნო ატმოსფერო, შეიტანეთ დეკორატიული მცენარეები, საოჯახო ნივთები (ბრა, პატარა სუფრა, ფარდები და ა.შ.). ბაღის შენობის ფოიე მყუდროდ მოაწყვეთ, დადგით ავეჯი (სავარძელი, დივანი, მცირე თაროები საგანმანათლებლო ჟურნალებით, ან წიგნებით) სპეციალურად მშობლებისთვის, რომ დასხდნენ და ისე დაელოდონ ბავშვს, დაათვალიერონ მათთვის საინტერესო ჟურნალები. ეს დეტალები ინტერიერსაც სიმყუდროვეს შესძენს და მშობელსაც „მოიზიდავს“. დაამზადეთ „ოჯახური ფოტოების დაფა“, სადაც ბავშვების, ოჯახის წევრებთან ერთად გადაღებულ ფოტოებს გააკრავთ. ეს ბავშვებსაც და მათი ოჯახის წევრებსაც დაეხმარება თავი შინაურ გარემოში იგრძნონ. დაგეგმეთ რიგითი კრებებისგან განსხვავებული შეხვედრები ბაღში, მაგალითად, „მაჭკატების დღე“, ან „მურაბიანი ბლითების დღე“, როცა მშობლები და ბავშვები ერთად დაამზადებენ და მიირთმევენ ნუგბარს.

ჩართულობის მნიშვნელობის არაღიარება/არცოდნა

დაბალი ჩართულობის მიზეზი შესაძლოა იყოს მშობელთა მხრიდან ჩართულობის მნიშვნელობის არაღიარება, ან იმის არცოდნა, თუ როგორ, რა გზებით შეუძლიათ ჩაერთონ ბაღის ცხოვრებაში.

რას ვაკეთებთ? რეგულარულად შეხვდით მშობლებს და ბაღის ცხოვრებაში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე ესაუბრეთ. შეგიძლიათ ის კვლევებიც გაიხსენოთ, რომლებშიც სწორედ ამაზეა საუბარი. მათი ჩართულობა ბაღს ბავშვებისთვისაც მნიშვნელოვან ადვილად აქცევს. შესთავაზეთ მონაწილეობის სხვადასხვა გზები, რათა მშობლებმა თავად მოძებნონ საკუთარი ადგილი, საკუთარი როლი, თავად იგრძნონ თავი კომფორტულად და დაინახონ ის პოზიტიური შედეგები, რომელიც მოჰყვა მათ ჩართულობას.

ბაღში მიმდინარე პროცესზე მწირი ინფორმაცია როცა მშობლებმა არ იციან, რა ხდება ბაღში, რა პროცესები მიმდინარეობს ამ სივრცეში, რას საქმიანობენ აღმზრდელ-პედაგოგები, აღმზრდელები და ბავშვები. ასეთ დროს მათთვის, რა თქმა უნდა, რთულია იმის წარმოდგენა, რაში შეიძლება ჩაერთონ თავად.

რას ვაკეთებთ? მშობლები ხშირად მოიწვიეთ ჯგუფში სტუმრად იმის საჩვენებლად, თუ რა ხდება ბაღში, რატომ არის სივრცე მოწყობილი იმგვარად, როგორც არის, რას გეგმავთ და აკეთებთ ბავშვებთან ერთად, რას ნიშნავს ბაღის ცხოვრება, რა საჭიროებები გაქვთ თქვენ, ბავშვებს, ჯგუფის ფიზიკურ გარემოს და ა.შ. ამის შემდეგ მშობლებს ბაღის ცხოვრებაში საკუთარი როლის განსაზღვრა გაუადვილდებათ.

ოჯახის ჩართვის სტრატეგიები

სამეცნიერო ლიტერატურაში მშობელთა ჩართულობის ორ ტიპს გამოყოფენ: ჩართულობა უშუალოდ ბაღის მუშაობაში და ჩართულობა შინ, სახლში.

პირველ შემთხვევაში მშობელი დაწესებულების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობს. ასეთი შეიძლება იყოს - მშობელთა კრება, ინდივიდუალური შეხვედრები ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალთან, სხვადასხვა ღონისძიებაზე დასწრება (ბავშვების ნამუშევრების გამოფენა, სპექტაკლი, პრეზენტაცია, წვეულება და ა.შ.), ბაღში მოხალისეობა (ჯგუფის სასწავლო პროცესში მონაწილეობა, აქტივობების ჩატარება, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ასისტირება და სხვ.).

მეორე შემთხვევაში მშობელი სახლში მუშაობს ბავშვთან ერთად: ესაუბრება შვილს ბაღში მიმდინარე მოვლენებზე, ეხმარება ბაღთან დაკავშირებული საქმიანობის შინ ორგანიზებაში, ბავშვთან ერთად ზრუნავს ბაღიდან მოტანილ ნივთზე, ბავშვთან ერთად მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქტივობებში (ვიზიტი ბიბლიოთეკაში, მუზეუმში).

ჩვენი პასუხისმგებლობა ორივე შემთხვევაში ძალზე დიდია, ერთი მხრივ, უნდა ვასწავლოთ და ხელი შევუწყოთ მშობელს, როგორ ჩაერთოს ბაღის ცხოვრებაში და, მეორე მხრივ, ვურჩიოთ, ბავშვთან სახლში როგორ „იმუშაოს“.

მშობლის ჩართვის ფორმები:

- ☺ ექსკურსიის დროს აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის დახმარება;
- ☺ ოჯახის კულტურის ჯგუფისთვის გაზიარება;

- ☺ ბავშვებთან ერთად ექსპერიმენტის ჩატარება;
- ☺ მეორადი მასალის შეგროვება;
- ☺ საგანგებო სტუმრის მოყვანა, მაგალითად ოჯახის ცხოველის;
- ☺ არტეფაქტის მოტანა;
- ☺ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა;
- ☺ საკუთარ სამსახურზე საუბარი;
- ☺ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზებაში დახმარება;
- ☺ შემოწირულობების მოძიება;
- ☺ საკონსულტაციო საბჭოში მონაწილეობა;
- ☺ ბაღის დასუფთავება;
- ☺ ჯგუფისთვის მასალების დამზადება;
- ☺ პროფესიიდან/სამსახურიდან გამომდინარე, ჯგუფის/დაწესებულების დახმარება სხვდასხვა ტიპის რესურსით (მაგ.: მოხატვა, ბაღის შეძენილი მასალით ხის სათამაშოების დამზადება, თოჯინების კერვა და ა.შ.)

" თინიკო 4-5 წლიანების ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგია, მის ჯგუფში რამდენიმე ბავშვს ძალიან აინტერესებდა თევზაობასთან დაკავშირებული საკითხები, ჯგუფში მუდმივად თამაშობდნენ „თევზაობანას", დაიჭერდნენ ჯოხებს და პლასტმასის ბოთლებს იატაკზე დაყრიდნენ და ასე „თევზაობდნენ". მუდმივად საუბრობდნენ მეთევზეებზე, ნეტა როგორ იჭერენ თევზებს, როგორია ნამდვილი ანკესი და ა.შ. თინიკომ მშობელთა კრებაზე წამოჭრა ეს საკითხი, რომელიმე მშობელს ხომ არ აქვს ანკესი და ხომ არ შეუძლია ბავშვებისთვის მისი ჩვენებაო. როგორც აღმოჩნდა, ლელას მამა თევზაობის მოყვარული ყოფილა. მან თინიკოს ბავშვების ტბაზე სათევზაოდ წაყვანა შესთავაზა. ბავშვებმა ითევზავეს, ანკესის გამოყენებაც ისწავლეს და თევზიც კი დაიჭირეს."

როგორ ჩავრთოთ მშობელი? რა ნაბიჯები გადავდგათ იმისთვის, ოჯახის ჩართულობა მაღალი და ნაყოფიერი, რომ იყოს?
ამისათვის მშობლებს მონაწილეობის სხვადასხვა გზა შესთავაზეთ.

- ☺ სთხოვეთ, იფიქრონ იმაზე, თუ როგორ ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში, წაახალისეთ მოხალისეობა! შეადგინეთ კალენდარი და დაე, თავად აირჩიონ მათთვის სასურველი დღე და დრო მოსასვლელად და აქტივობებში ჩასართავად. მიმართეთ კომუნიკაციის სხვადასხვა გზებს, როგორც სიტყვიერს, ისე წერილობითს, თუმცა უპირატესობა პირველს მიანიჭეთ, რადგან წერილობითი ენა შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს ოჯახისთვის.

ზოგჯერ მშობლისთვის ბავშვის რთული ქცევის შესახებ გვიწევს ინფორმაციის მიწოდება, ამ შემთხვევაში არ არის საკმარისი მშობელს ვუთხრათ, „ნინიკო დღეს ცუდად მოიქცა, არ მისმენდა კითხვის დროს..." აუცილებელია მშობელს ვუთხრათ, რაში გვჭირდება მისი დახმარება, კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს მან ბავშვისთვის, მაგალითად, „იქნებ საღამოობით სულ მცირე აბზაცი მაინც წაუკითხოთ ხოლმე სასიამოვნო და მყუდრო გარემოში, რომ კითხვის პროცესით ისიამოვნოს და შეუყვარდეს. ყოველ საღამოს აუცილებლად წაუკითხეთ ხოლმე". მხოლოდ მსგავსი რჩევით შეძლებთ ბავშვისა და მშობლის დახმარებას.

- ☺ რეგულარული კომუნიკაცია იქონიეთ ბავშვის ოჯახთან, მშობლებს გაუზიარეთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ, უთხარით, დღეს რა შეძლო მათმა შვილმა, რა უნარები გამოამჟღავნა. თუ მშობლებს მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციით, მასალების სათხოვნელად, ან არარეალისტური თხოვნებით მიმართავთ, ბუნებრივია თქვენთან ურთიერთობისგან თავს შეიკავებენ.
- ☺ შეგიძლიათ თითოეული ოჯახისთვის დაამზადოთ ინდივიდუალური „საფოსტო ყუთი“, სადაც მოათავსებთ უშუალოდ მათთვის განკუთვნილ წერილებს. ეს საფოსტო ყუთები დიდი ზომის ასანთის კოლოფებისგან შეგიძლიათ დაამზადოთ და ჯგუფის შესასვლთან ახლოს ჩამოკიდოთ.

ინდივიდუალური საფოსტო ყუთის წერილი, შესაძლოა, შემდეგი შინაარსის იყოს: „ძვირფასო ლელა და შოთა, ნიაკო დღეს ძალიან დამეხმარა ხელოვნების ცენტრის დალაგებაში, ქურთუკიც დამოუკიდებლად ჩაიცვა და ფეხსაცმლის თასმებიც თავისით შეიკრა...“, ან კიდევ, „ძვირფასო ნანა და კოკა, დღეს გეგიმ ბავშვებს მეგობრულად გაუნაწილა კუბურები, ეზოში კი აღმოაჩინა, რომ ახალდარგულმა ტირიფებმა მოიწყინეს და სხვა ბავშვებთან ერთად მორწყა ხეები...“

პროგრამის გაცნობა

მშობლებს, გარკვეული წარმოდგენა რომ შეექმნათ ბაღის შესახებ, აუცილებელია გავაცნოთ ბაღი. შეიძლება იკითხოთ: რა საჭიროა ეს? ვინ არ იცის, რა არის ბაღი? განა რომელიმე მშობელს არ უვლია ბაღში? ან იფიქროთ: ასეთი მშობელი თითო-ოროლაა და ისინიც „თანდათანობით გაიცნობენ, პროცესში...“ ბაღში სიარულის გამოცდილება მშობელთა უმრავლესობას შეიძლება მართლაც ჰქონდეს, მაგრამ ეს გამოცდილება, ხშირ შემთხვევაში, დადებით ემოციებთან არ არის დაკავშირებული. ჩვენ კი გვინდა, რომ მშობლები მშვიდად იყვნენ და გვენდობოდნენ, ამიტომ უმჯობესია ფართოდ გაუღოთ კარი, აჩვენოთ და აუხსნათ, ბაღში რა ხდება. იმ ოჯახებისთვის კი, რომლებსაც ბაღთან შეხება არ ჰქონიათ, განსაკუთრებით საინტერესო იქნება ასეთი გაზიარება.

ქვემოთ პროგრამის გაცნობის სხვადასხვა ხერხს შემოგთავაზებთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ რომელიმე ერთი, ან ყველა მათგანი, შენაცვლებით, მთავარია, მშობლებს წარმოდგენა შეექმნათ ბაღის შესახებ:

- ☺ დაამზადეთ საინფორმაციო ბუკლეტი, რომელშიც მარტივი და პოპულარული ენით აღწერთ იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც ახორციელებთ ჯგუფში. ბუკლეტის ტექსტს აღმზრდელ-პედაგოგი და აღმრდელი შეადგენენ, ხოლო ტექნიკურ დეტალებსა და დაბეჭდვის ხარჯებს დაწესებულება დაფარავს. გაითვალისწინეთ, რომ თუ ჯგუფში არაქართველი მშობელია, და ქართულად ვერ კითხულობს, ინფორმაცია მისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს.
- ☺ მშობლებთან შეხვედრები დაგეგმეთ წლის დასაწყისში და გააცანით მათ მომავალი პროგრამა, განრიგი, საქმიანობების ტიპები და სპეციფიკა. მოაწყვეთ მცირე **ექსკურსია ბაღის ტერიტორიაზე** და ჯგუფში, გააცანით მშობლებს სივრცის მოწყობის პრინციპები, რა უნარებს ივითარებენ ბავშვები ასეთ სივრცეში. შეხვედრაზე ასევე განიხილეთ ყველა ის საკითხი, რომელიც შესაძლოა მომავალში სადაო აღმოჩნდეს, მაგალითად, „ჭუჭყიანი აქტივობები“

და სუფთა ტანსაცმელი, რატომ უნდა გავიდნენ ბავშვები ეზოში აუცილებლად, რატომ არ შეიძლება ბავშვების დაშინება და იძულება ჭამის და ძილის დროს და ა.შ.

- საგანმანათლებლო პროცესის უკეთ გასაცნობად, მშობლები ჯგუფში მოიწვიეთ და ყველა დაგეგმილი აქტივობა მათთან ერთად ჩაატარეთ. შეეცადეთ, რომ მშობლებმა ბავშვებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა და მხოლოდ მაყურებლის როლით არ შემოიფარგლონ;
- ჯგუფის შესასვლელში გააკეთეთ საინფორმაციო დაფა, რომელზეც მოათავსებთ ინფორმაციას განხორციელებული, ან მიმდინარე აქტივობების შესახებ, გააცნობთ გეგმებს, გამოფენთ ბავშვების ნამუშევრებს და მუშაობის პროცესის ამსახველ ფოტოებს;
- დღეს ბევრი მშობელი მოიხმარს ინტერნეტს, ამიტომ პროგრამის გასაცნობად, შესაძლოა, თქვენც ამ ხერხს მიმართოთ. შექმენით საკუთარი ჯგუფის, ან ბაღის ბლოგი, სადაც გააზიარებთ ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ. აქვე შეგიძლიათ მიუთითოთ იმ საჭირო რესურსის შესახებ, რომელსაც ინტერნეტში გადააწყდებით და რომლის გაზიარებასაც მშობლებისთვის საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიიჩნევთ.

მშობლებთან ურთიერთობა, მათ ჩართულობაზე ზრუნვა ბაღის თანამშრომლებისგან, აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელისგან განსაკუთრებულ უნარებსა და მომზადებას მოითხოვს. საგანმანათლებლო პერსონალი საკმარისად კომპეტენტური უნდა იყოს იმისთვის, რათა ბავშვის ოჯახთან დამაჯერებელი, პოზიტიური და წამახალისებელი კომუნიკაცია დაამყაროს. ბაღის მენეჯმენტი პასუხისმგებელია, იზრუნოს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს პერსონალის პროფესიონალიზმის განვითარებას სწორედ ამ მიმართულებით. ეს შესაძლოა იყოს ტრენინგები, სემინარები, „ვორქშოპები“.

ოჯახთან კომუნიკაციის ფორმები

- ☺ სატელეფონო ზარი;
- ☺ სატელეფონო გზავნილი;
- ☺ ელექტრონული ფოსტა;
- ☺ ჯგუფის ვებგვერდი;
- ☺ მადლობის ბარათი;
- ☺ ჟურნალი-ხელნაკეთი საინფორმაციო წიგნი;
- ☺ მშობელთა დაფა;
- ☺ ვერბალური.

პროგრამის გაცნობა გულისხმობს მისი ყველა კომპონენტის გაცნობას. მშობლები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმის შესახებ, რომ ბავშვებს მოუწევთ ბაღის ტერიტორიის გარეთ გასვლა, ან ფოტოგადაღებაში მონაწილეობა. სასურველია, წლის დასაწყისშივე, ხელშეკრულებას დაურთოთ შეთანხმების ფურცელი, რომელსაც ხელს მოაწერს მშობელი.

ნიმუში:

ბაღის ნომერი_____

მშობლის სახელი, გვარი_____

ბავშვის სახელი, გვარი _____

გსურთ თუ არა, რომ თქვენმა შვილმა მონაწილეობა მიიღოს ექსკურსიებში?

კი არა

გსურთ თუ არა, რომ თქვენს შვილს გადაუღონ ფოტო/ვიდეო ამ ფოტოების/ ვიდეოების ბაღის საიტზე, ბლოგზე, ან სხვა ონლაინ თუ ბეჭდურ მედიაში, ან საგანმანათლებლო რესურსში, კვლევით ნაშრომში გამოქვეყნების მიზნით?

კი არა

ხელმოწერა_____

მშობლის უკუკავშირი

ძალიან მნიშვნელოვანია მშობლებისგან უკუკავშირის მიღება როგორც ბავშვზე, ისე, ზოგადად, პროგრამასთან დაკავშირებითაც. ამიტომაც ხელი უნდა შევუწყოთ, რომ მშობლებმა თამამად და აქტიურად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, წავახალისოთ, რომ გამოთქვან თავიანთი აზრი, გაგვიზიარონ საკუთარი გამოცდილება. ჯგუფის გარეთ, თვალსაჩინო ადგილას მოთავსებული „წინადადებების ყუთი“, ოჯახებისთვის საუკეთესო საშუალებაა საკუთარი მოსაზრებების თამამად გამოსახატად. რატომ ჯობია ასეთი ყუთის ჯგუფის გარეთ დადგმა და რატომ უნდა იყოს ბარათები ანონიმური? მშობელი უფრო გაბედულად ჩააგდებს ბარათს, არ დაიძაბება იმის გამო, რომ აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი „შეამჩნევს“ და ა.შ.

მშობლებისთვის შეგიძლიათ შეფასების ფორმის შედგენაც, რომელსაც, ვთქვათ, წელიწადში ერთხელ შეავსებენ. ეს ფორმაც ანონიმური უნდა იყოს, მშობლებმა თამამად რომ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება პროგრამის კომპონენტებთან დაკავშირებით.

ნიმუში:

1. **როგორ შეაფასებთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას?**
2. **გაქვთ თუ არა სისტემატური ინფორმაცია ჯგუფში მიმდინარე პროცესების შესახებ?**
3. **უხარია თუ არა ბავშვს ბაღში წამოსვლა?**
4. **რას ჰყვება ბავშვი ბაღის შესახებ?**

მშობელთა განათლებაზე ზრუნვა

იმისათვის, რათა მშობელთა ჩართულობა გაიზარდოს და მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, მნიშვნელოვანია, რომ ვიზრუნოთ მშობელთა განათლებაზე, რადგან, როგორც კვლევები მოწმობს, მშობელთა ცნობიერების დონე ადრეული განათლების საკითხებში, მათი ჩართულობის დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. შეაგროვეთ რესურსები მშობლებისთვის, ეს შესაძლოა იყოს წიგნები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საკითხებთან დკავშირებით, ან ამავე თემაზე ვიდეო და აუდიო მასალა, ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები და შესთავაზეთ ეს რესურსი მშობლებს. შეგიძლიათ, ერთობლივი ვიდეოჩვენებებიც მოაწყოთ და შემდეგ იმსჯელოთ. თუ ბაღის სივრცე ამის საშუალებას იძლევა, მშობლებისთვის მოაწყვეთ რესურსების ოთახი, და ეს მასალასაც იქ შეინახეთ.

მშობელთა განათლებაზე ზრუნვა შესაძლებელია მშობელთა კლუბებითაც - ბაღის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ტიპის „ვორქშოპებითა“ და სემინარებით, საინფორმაციო შეხვედრებით დარგის სპეციალისტებთან. ასეთ შეხვედრებზე მშობლებს გააცნობთ სკოლამდელი ასაკის ბავშვების სწავლის თავისებურებებს, ან ურჩევთ, როგორ გაატარონ დრო სახლში, რითი შეიძლება დაკავდნენ სკოლამდელი

ასაკის ბავშვებთან. შეგიძლიათ მოიწვიოთ ბავშვთა ფსიქოლოგი, რომელიც ასაკობრივ თავისებურებებზე ისაუბრებს, ან მხატვარი, რომელიც მშობლებს აუხსნის, როგორ განავითარონ შემოქმედებითი თავისუფლება, მუსიკოსი, რომელიც მშობლებთან ერთად სხვადასხვა ტიპის მუსიკალურ აქტივობას ჩაატარებს, ფიზიკოსი, რომელიც მარტივ ექსპერიმენტებს ასწავლის მშობლებს, რომელსაც ისინი მოგვიანებით ბავშვებთან ერთად გააკეთებენ და ა.შ.

სემინარებზე მშობლებს შესაძლოა გააცნოთ როგორ, რა ტიპის აქტივობებით განუვითარონ ბავშვებს შემოქმედებითი, მათემატიკური, წიგნიერების და ა.შ. უნარები, ესაუბრებით ჯანსაღი კვების შესახებ, სუფთა ჰაერზე ყოფნის აუცილებლობაზე, ასწავლით კონკრეტულ სტრატეგიებს, როგორ მართონ რთული ქცევა, როგორ განამტკიცონ ჩვევა და ა.შ.

მუდმივად ადევნეთ თვალყური თქვენს ქალაქში, ან უბანში მიმდინარე ღონისძიებებს (მუზეუმებში, ბიბლიოთეკაში, თეატრებში, საგამოფენო დარბაზებში) და დროდადრო შეატყობინეთ ხოლმე მშობლებს, რათა, თუ მოისურვებენ, შეძლონ მონაწილეობის მიღება.

მშობელთა კლუბები *(პოლონეთის მაგალითი)*

მშობელთა კლუბების ძალიან საინტერესო გამოცდილება აქვთ პოლონეთში, სადაც რეგიონებში შეიქმნა ე.წ. Grupy Zabawowe („გართობის ჯგუფები“). ასეთი ჯგუფების მიზანი მშობელთა ცნობიერების ამაღლებაა. მშობლები კვირაში ერთხელ იკრიბებიან და საგანგებოდ ამ ჯგუფებში სამუშაოდ გადამზადებულ ანიმატორებთან (ანიმატორი შესაძლოა იყოს ბაღის მასწავლებელი) და ბავშვებთან ერთად ერთვებიან სხვადასხვა ტიპის აქტივობაში. მშობლები ამ ჯგუფებში სწავლობენ, როგორ ეთამაშონ ადრეული ასაკის ბავშვებს, რა საქმიანობებით შეიძლება დაკავდნენ მათთან ერთად იმისათვის, რომ ბავშვების უნარები მრავალმხრივ განვითარდეს.

ასეთი ჯგუფების ორგანიზება, თუკი მოვინდომებთ, ნებისმიერი ბაღის სივრცეში შესაძლებელია.

საკონსულტაციო საბჭო და მისი მუშაობა

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ საჯარო დაწესებულებას საკონსულტაციო საბჭოს შექმნას ავალდებულებს. კანონის მე-18 მუხლი სწორედ ამ საბჭოს შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

საკონსულტაციო საბჭო საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება 7 წევრისგან, საიდანაც 5 - ბავშვის მშობელი, ან კანონიერი წარმომადგენელია და 2 - აღმზრდელ-პედაგოგი, თუმცა თავად წევრების გადაწყვეტილებით, ამავე საბჭოში სამუშაოდ საჭიროებისამებრ შესაძლოა მოიწვიონ სხვადასხვა ექსპერტები და სპეციალისტები. საკონსულტაციო საბჭოს წევრებს მშობელთა კრება ირჩევს ერთი წლით და ამ ხნის განმავლობაში საბჭოს წევრები საჭიროებისამებრ იკრიბებიან, თუმცა წელიწადში, სულ მცირე, 4 შეხვედრა მაინც უნდა გაიმართოს.

რა ფუნქციები აკისრია საკონსულტაციო საბჭოს? კანონის მე-18 მუხლში ვკითხულობთ, რომ საკონსულტაციო საბჭო:

„ა) განიხილავს მომსახურებას, სასწავლო გეგმის წლიურ განრიგს და სასწავლო მასალების ჩამონათვალს და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს;
ბ) განიხილავს საჯარო დაწესებულების ფინანსურ ხარჯებს და ქონების აქტივების მართვის საკითხებს და საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციას შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს;

გ) წესდების შესაბამისად განიხილავს ბავშვთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრებს და საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციას აძლევს რეკომენდაციებს პრობლემების აღმოსაფხვრელად“.
გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, საკონსულტაციო საბჭო ბაღს, ან მის დამფუძნებელს წარუდგენს რეკომენდაციებს ყოველკვარტალურად.

რატომ არის მნიშვნელოვანი საკონსულტაციო საბჭოების მუშაობისთვის ხელის შეწყობა? რატომ უნდა შევეცადოთ, რომ საბჭო არ იქცეს ფორმალურ ორგანოდ? საკონსულტაციო საბჭოს წევრი მშობლები, გარკვეულწილად, მონაწილეობენ მართვის პროცესში და ინაწილებენ პასუხისმგებლობას. რაც უფრო მეტად იქნება ჩართული საბჭო ბაღის მუშაობაში, რაც უფრო გამჭვირვალე და გახსნილი იქნება ბაღის „შიდა სამზარეულო“ საბჭოსთვის, მით მეტი იქნება ნდობა მშობელთა მხრიდან და მით უფრო გაიზრდება მათი ჩართულობის ხარისხი.

რა არის თემი და როგორ გამოვიყენოთ თემის რესურსი

თემის რესურსის სრულფასოვნად გამოყენება ბაღს ახალ შესაძლებლობებს უხსნის, ახალ გზებს აჩვენებს როგორც საკუთარი ორგანიზაციის განვითარების თვალსაზრისით, ისე თანამშრომელთა პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, და რაც ყველაზე მთავარია, ამ ყოველივეს ბავშვების სასიკეთოდ გამოყენების თვალსაზრისითაც.

თემი - *ერთ ტერიტორიაზე განსახლებულ იმგვარ ადამიანთა ერთობა, რომელთაც საერთო ინტერესები და იდენტიფიკაცია გააჩნიათ (ადგილობრივი დემოკრატიის გზამკვლევი საქართველოსთვის, 2004).*

თემის რესურსი რომ გამოვიყენოთ, ჯერ უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს იგი. რა არის თემის რესურსი? როგორ შეგვიძლია ჩვენ, ბაღში მომუშავე ადამიანებს, მისი გამოყენება?

თემის რესურსია ჩვენს გარშემო არსებული კონკრეტული ადამიანები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, სერვისები, რომლებსაც ეს დაწესებულებები გვთავაზობს. ეს შეიძლება იყოს მშობელთა სკოლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ადრეული განვითარების/ინტერვენციის პროგრამები, დიაგნოსტიკური ცენტრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ. ჩვენი პასუხისმგებლობაა, ვიცოდეთ ამ რესურსის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში თავად გამოვიყენოთ საგანმანათლებლო მიზნებისთვის და მივაწოდოთ ინფორმაცია მშობლებს მათი არსებობის შესახებ.

როგორ და როდის ვიყენებთ თემის რესურსს? ამ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა შეუძლებელია, რესურსს ვიყენებთ საჭიროებისამებრ, ანუ, როგორც კი ამის საჭიროებას დავინახავთ. მაგალითად, თუ ჯგუფში რომელიმე ბავშვს აინტერესებს, როგორ ცხვება პური თონეში, ბავშვებთან ერთად მივდივართ ახლომდებარე თონეში და ბავშვებს ვაჩვენებთ ცხობის პროცესს. თუ რომელიმე ბავშვს აინტერესებს, რა ხდება მუზეუმში, მივდივართ მუზეუმში და ვეცნობით იქაურ გარემოს. თუ გვსურს, რომ ბავშვებმა უფრო მეტი იცოდნენ პირადი ჰიგიენის შიესახებ, თხოვნით მივმართავთ უახლოეს პოლიკლინიკას, გამოგვიყონ პედიატრი, რომელიც ბაღში გვესტუმრება და ბავშვებს შეხვდება. თუ მშობლებს ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ დაუგროვდათ ბევრი შეკითხვა, უნივერსიტეტის თანამშრომელს ვთხოვთ, შეხვდეს მშობლებს და მცირე სემინარი ჩაუტაროს.

თემის რესურსის გამოყენება ასევე გულისხმობს მშობელთა ინფორმირებას და ხელშეწყობას, რათა ბავშვი და მისი ოჯახი, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთონ ამა თუ იმ ტიპის მომსახურებაში. მაგალითად, თუ ვხედავთ, რომ ბავშვის ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირს, შეგვიძლია ოჯახს ვუშუამდგომლოთ სოციალურ სამსახურთან.

საგანმანათლებლო თემი

საგანმანათლებლო თემი - *სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებათა (ბაღები, სკოლები, დღის ცენტრები, უნივერსიტეტები, სპეციალიზებული სკოლები) ერთობლიობაა.*

ბაღისთვის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, საგანმანათლებლო თემთან კომუნიკაცია, საგანმანათლებლო თემის რესურსის გამოყენება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასეთი ტიპის კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება, ხელს უწყობს განათლების სფეროში მომუშავე ადამიანების გაცნობიერებას ადრეული და სკოლამდელი განათლების საკითხებში, განათლების სხვადასხვა საფეხურზე მომუშავე ადამიანების თანამშრომლობას.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო თემის რესურსის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია უშუალოდ სასწავლო პროცესში. მაგალითად, ნივთიერებების თვისებებზე საუბრისას, შესაძლოა, დაიგეგმოს ბავშვების ვიზიტი ახლომდებარე სკოლის, ან უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, სადაც ბავშვები მარტივ ექსპერიმენტებს ჩაატარებენ. ასევე მნიშვნელოვანია მოხალისეობის ხელშეწყობა და დანერგვა სკოლის მოსწავლეების, ან სტუდენტებისთვის. წაახალისეთ ისინი, რომ მოვიდნენ ბაღში და ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, უფროსკლასელებმა წაუკითხონ ბავშვებს წიგნები, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა ხატონ ბავშვებთან ერთად, კონსერვატორიის სტუდენტებმა ხელნაკეთი ინსტრუმენტები დაამზადებინონ და შემდეგ მუსიკა შექმნან მათი გამოყენებით, ფიზიკოსებმა მაგნიტით ექსპერიმენტები ჩაატარონ, ბიოლოგებმა ცოცხალი ორგანიზმების შესახებ უამბონ და ა. შ. ასეთი თანამშრომლობა მნიშვნელოვანი და სასარგებლოა როგორც ბაღის ბავშვებისთვის, ისე თავად მოხალისეებისთვის.

თავი 7. ინკლუზიური განათლება

საკვანძო სიტყვები:
მრავალფეროვნება
დისკრიმინაცია
ანტიდისკრიმინაციული
გარემო
ინკლუზია
ჩართულობა

ამ თავში განმარტებულია ინკლუზიური განათლება და ის, როგორ უკავშირდება მას მრავალფეროვნება და თანასწორობა. პრაქტიკოსები შეიტყობენ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. რას ნიშნავს მრავალფეროვნების უზრუნველყოფა პრაქტიკაში და როგორ უნდა შეიქმნას ანტიდისკრიმინაციული გარემო.

თავის ძირითადი თემები

მრავალფეროვნების პატივისცემა და სამართლიანობა
→ მრავალფეროვნების აღწერა საქართველოში
→ მრავალფეროვნების უზრუნველყოფა
→ მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემა

ინკლუზიური განათლება
→ ინკლუზიური განათლების მახასიათებლები
→ როგორ მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდი
→ არადისკრიმინაციული გარემო
→ *გენდერული ნიშნით განსხვავება*
→ *ეთნიკური ნიშნით განსხვავება*
→ *რასობრივი ნიშნით განსხვავება*
→ *ეკონომიკური სტატუსის მიხედვით განსხვავება*
→ *ასაკობრივი განსხვავება*
→ *ფიზიკური მახასიათებლების ნიშნით განსხვავება*
→ *შესაძლებლობების მიხედვით განსხვავება*

რას ნიშნავს მრავალფეროვნება, მრავალფეროვნების პატივისცემა

მრავალფეროვნება *ნიშნავს ინდივიდების განსხვავებულობას სხვადასხვა ნიშნით, ასაკის, ეროვნების, წარმომავლობის, ფიზიკური მახასიათებლების, გენდერის, უნარებისა და შესაძლებლობების, ოჯახური შემადგენლობის, რელიგიის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა და სხვა ფაქტორების მიხედვით.*

მრავალფეროვნება ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა როგორც ის, რომ ცოცხალი ორგანიზმები იბადებიან, იზრდებიან და კვდებიან. თავად სამყაროა მრავალფეროვანი, შესაბამისად არც მასში შემავალი ინდივიდების მრავალფეროვებაა გასაკვირი. მიუხედავად ამ მოვლენის ბუნებრიობისა, ადამიანები ისტორიულად ებრძოდნენ და ემიჯნებოდნენ მათგან განსხვავებულს. ხშირად დღესაც ვხვდებით წინასწარგანწყობებს ჩვენგან განსხვაევებული ადამიანების მიმართ, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს საზოგადოებაში ტრადიციულად დამკვიდრებული განწყობებით/ხედვებით, ან ფსიქიკური მოვლენისგან, რომელიც ჯგუფთა შორის სტერეოტიპული ატიტუდების ჩამოყალიბებას იწვევს. ბევრი ადამიანისთვის მრავალფეროვნება პრობლემაა და არა გამოსავალი, შესაბამისად, განსხვავებულობა თავიდან უნდა იქნას აცილებული. ტრადიციული ხედვების, საკუთარი წინასწარგანწყობების გადახედვა კი რთული და, ხშირ შემთხვევაში, მტკივნეული პროცესია. მითუმეტეს, რომ წინასწარგანწყობები განაპირობებს ჩვენს ქცევას, რომელიც ხშირად ამავე წინასწარგანწყობის გამაძლიერებელი ხდება. მაგალითად, თუ მიმაჩნია, რომ ადრეული განათლების „ჩვეულებრივ“ ანუ არასპეციალიზებულ დაწესებულებებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები არ უნდა დადიოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ მივიჩნევ, რომ ვერ ვახერხებ მათთვის საჭირო სერვისის მიწოდებას, ჩემი ქცევაც შესაბამისი იქნება - ერთი მხრივ, არ ვხარჯავ ზედმეტ ძალისხმევას, მეორე მხრივ, ნებისმიერ წარუმატებლობას და პრობლემას, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთან არის დაკავშირებული, ჩემი აზრების დასტურად აღვიქვამ და არა გამოწვევად, რომელსაც გამოსავალი უნდა მოვუძებნო.

წინასწარგანწყობებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან, რომლებიც საფრთხეს უქმნის მრავალფეროვნებას, ბრძოლა ადამიანებმა დიდი ხნის წინ დაიწყეს, რადგან მრავალფეროვნების უზრუნველყოფა ადამიანთა უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობაა. მრავალფეროვნების უზრუნველყოფის შედეგად მიღებული პოზიტიური შედეგები საზოგადოებისა და ინდივიდის დონეზე კარგად არის აღწერილი სხვადასხვა კვლევაში. ადრეული განათლების სერვისებში მრავალფეროვნების უზრუნველყოფის შემთხვევაში თითოეულ ბავშვს, განურჩევლად მისი სოციალურ-კულტურული თუ სხვა მახასიათებლისა, ეძლევა შესაძლებლობა, სრულფასოვნად და თანაბრად ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროცესში, უყალიბდება მიკუთვნებულობისა და ერთობის შეგრძნება თემის, საზოგადოების და სამყაროს მიმართ. ეს კი, საზოგადოებაში სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფის წინაპირობა ხდება.

შენიშვნა: *ყველა ბავშვსა და უფროსს უფლება აქვს განვითარდეს ისეთ თანასწორ გარემოში, სადაც მრავალფეროვნებას პატივისცემით ეპყრობიან. ბავშვებს, უფროსებს და პედაგოგებს უფლება აქვთ, ადრეულ ასაკში განათლების დარგში ისეთი მაღალი ხარისხის მომსახურებით ისარგებლონ, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი სახის აშკარა და ფარული, ინდივიდუალური და სტრუქტურული დისკრიმინაციისგან რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნების, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, შეზღუდული უნარების, დაბადების და სხვა სტატუსის მიხედვით (მუხლი 2, გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989).*









ბაღის თანამშრომლების მოვალეობაა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა დაწესებულების სივრცეში. მათ უპირველესად თავად უნდა სცენ პატივი მრავალფეროვნებასა და განსხვავებულობას და შემდეგ ბავშვებს ასწავლონ ეს პატივისცემა.

მრავალფეროვნების აღწერა საქართველოში

მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ჩვენი რეალობა, ვისთვის და ვისთან ერთად ვმუშაობთ. საქართველოს დემოგრაფიული სურათი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორი მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყანა და, შესაბამისად, რამხელა მნიშვნელობა აქვს ადრეულ განათლებაში ამ საკითხებზე ფიქრსა და მუშაობას.



ბაგა-ბაღები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და სპეციალური პედაგოგი ან ფსიქოლოგი ჰყავდათ **2011/2012** სასწავლო წლის ბოლოსთვის



იმ ჯგუფების რაოდენობა, სადაც ქართული ძირითადი ენა არ ყოფილა **2011/2012** სასწავლო წლის ბოლოსათვის

სასწავლო ენა	თბილისი	აჭარა	კახეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	სულ
რუსული	15	1	1	3	2	22
სომხური	0	0	0	20	2	22
აზერბაიჯანული	0	0	0	0	7	9
სულ	15	1	1	23	11	53

წყარო: *საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები დაწყებით განათლებასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით. 2013.*

სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართული მაჩვენებლები ბავშვთა სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით



წყარო: საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. 2018.

მრავალფეროვნების უზრუნველყოფა

მრავალფეროვნების უზრუნველყოფა პირველ რიგში ინდივიდების დამოკიდებულებებსა და ქცევაში გამოიხატება, ასევე ვლინდება ფიზიკურ გარემოსა და ყოველდღიურ პროცესებში.

საგანმანათლებლო პროცესის დონეზე:

- ☺ საგანმანათლებლო პერსონალი ტოლერანტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მრავალფეროვნების მიმართ.
- ☺ ჯგუფის ფიზიკური გარემო, დეკორაცია, საგანმანათლებლო რესურსი ასახავს როგორც კონკრეტული ადამიანებისა და ოჯახების, ისე მთლიანად საზოგადოების მრავალფეროვნებას - ჯგუფში ბავშვებს შეუძლიათ მოირგონ სხვადასხვა ეროვნების ტანსაცმელი, არის სხვადასხვა ენაზე დაწერილი ბეჭდური მასალა (წიგნები, პლაკატები და ა.შ.), ვიზუალური მასალა (ფოტოები, ილუსტრირებული წიგნები და ა.შ.), რომლებიც ასახავს ჯგუფის წევრების კულტურულ, ასაკობრივ, გენდერულ, შესაძლებლობებისა და სხვა ფაქტორების მხრივ მრავალფეროვნებას;
- ☺ დაგეგმილი აქტივობები ასახავს სამყაროს მრავალფეროვნებას - ბავშვები ისმენენ სხვადასხვა კულტურის ხალხის მუსიკას, ზღაპრებს, ამზადებენ სხვადასხვა ეროვნების ხალხის კერძებს და ა.შ. ამ პროცესში მშობელთა ჩართვაც მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მრავალფეროვნების უზრუნველყოფა

ჯგუფის დონით არ შემოიფარგლება. აუცილებელია, რომ მასზე ზრუნავდეს აღნიშნულ დაწესებულებაში მომუშავე ყველა ადამიანი. ასევე მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ინდივიდის მრავალფეროვნებაში იგულისხმება როგორც ბავშვების, ისე თანამშრომლების და ბავშვის ოჯახის წევრების ინდივიდუალიზმიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მრავალფეროვნების უზრუნველყოფა ყველა შესაბამის დონეზე.

ადრეულ განათლებაში მომუშავე ნებისმიერი ადამიანი, ადმინისტრაციული თუ საგანმანათლებლო პერსონალი, იმისათვის, რათა შეძლოს მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, უნდა ფლობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ფუნდამენტურ კომპეტენციებს:

- ☺ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების აღიარების სურვილი და პატივისცემა განსხვავებულობის მიმართ;
- ☺ სხვა ადამიანების განუსჯელობა;
- ☺ მიუკერძოებლობა;
- ☺ სხვის ადგილზე თავის დაყენების უნარი და გაგება;
- ☺ მოქნილობა და ადაპტაცია;
- ☺ თანაგრძნობა (ბავშვებისა და მშობლების საჭიროებების გაგება) და რეაგირება (შესაბამისი მოქმედება);
- ☺ საზოგადოების ნაწილად თავის აღქმის გრძნობის ხელშეწყობა;
- ☺ ენთუზიაზმი: ჩართულობა და მოტივაცია;
- ☺ შემოქმედებითი მიდგომა ალტერნატიული გადაწყვეტის და მიდგომის მოსაძებნად;
- ☺ სითბოს და სიყვარულის გამოვლენა.

(Van Laere et al., 2011)

გთავაზობთ თვითშეფასების კითხვარს, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ შეამოწმოთ საკუთარი (პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის) მრავალფეროვნების ხარისხი.

მრავალფეროვნების უზრუნველყოფის ჩექლისტი (ადმინისტრაციისთვის)

მიდგომები და პროცედურები

- ☐ *გაქვთ თუ არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები პერსონალის ქცევასთან დაკავშირებით?*
- ☐ *ექცევით თუ არა ყველა თანამშრომელს ერთნაირად ?*
- ☐ *რომელიმე თანამშრომელს განსხვავებულად თუ ეპყრობით, განსხვავებული წესები თუ ეხება?*
- ☐ *გყავთ თუ არა თანამშრომლებს შორის სხვადასხვა რელიგიური მრწამსის, ეროვნების, რასის, სქესის წარმომადგენლები?*
- ☐ *ითვალისწინებთ თუ არა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას მრავალფეროვნების უზრუნველყოფას?*
- ☐ *ასახულია თუ არა დაწესებულების მისიაში მრავალფეროვნების უზრუნველყოფა?*

დაწესებულების გარემო

- ☐ *არის თუ არა დაწესებულების ფიზიკური გარემო ხელმისაწვდომი ყველა თანამშრომლისთვის, ბავშვისა და მშობლისთვის?*
- ☐ *შეიცავს თუ არა გარემოში არსებული დეტალები ანტისექსისტურ/რასისტულ ენას?*
- ☐ *ხელს უწყობთ თუ არა მრავალფეროვნების უზრუნველყოფას გარემოში მულტიკულტურულობის ელემენტების შეტანით?*

რესურსი

- ☐ *რესურსების შერჩევისას იკავებთ თუ არა თავს სტერეოტიპების ამსახველი მასალისგან?*
- ☐ *შეიცავს თუ არა თქვენი საგანმანათლებლო რესურსი მულტიკულტურულ თემატიკას?*
- ☐ *აქვს თუ არა ყველა თანამშრომელსა და ბავშვს (მშობელს) რესურსის გამოყენების თანაბარი შესაძლებლობა?*
- ☐ *ადაპტირებულია თუ არა თქვენი რესურსი სხვადასხვა საჭიროების მქონე ინდივიდებისთვის?*

მრავალფეროვნების უზრუნველყოფის ჩექლისტი (საგანმანათლებლო პერსონალისთვის)

საქმიანობების დაგეგმვა

- ☐ *ეხმიანება თუ არა თქვენი კვირის გეგმა ჯგუფში მყოფი ბავშვების მრავალფეროვნებას?*
- ☐ *არის თუ არა სასწავლო გარემო ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის (მშობლისთვის), მიუხედავად მათი განსხვავებულობისა?*
- ☐ *ითვალისწინებთ თუ არა სასწავლო პროცესში სწავლების სხვადასხვა სტილს?*
- ☐ *შეიცავს თუ არა სასწავლო მასალა ანტისექსისტურ/რასისტულ ენას?*

რესურსი

- ☐ *რესურსების შერჩევისას იკავებთ თუ არა თავს სტერეოტიპების ამსახველი მასალისგან?*
- ☐ *შეიცავს თუ არა თქვენი საგანმანათლებლო რესურსი მულტიკულტურულ თემატიკას?*
- ☐ *აქვს თუ არა ყველა ბავშვს (მშობელს) რესურსის გამოყენების თანაბარი შესაძლებლობა?*
- ☐ *ადაპტირებულია თუ არა თქვენი რესურსი სხვადასხვა საჭიროების მქონე ინდივიდებისთვის?*

აქტივობების ჩატარება

- ☐ *ქმნით თუ არა ინკლუზიურ გარემოს ბავშვებისა და თანამშრომლებისთვის?*
- ☐ *უწყობთ თუ არა ხელს მულტიკულტურულობას?*
- ☐ *იყენებთ თუ არა სწავლების სხვადასხვა მეთოდს?*
- ☐ *იყენებთ თუ არა შეფასების სხვადასხვა მეთოდს?*
- ☐ *სთავაზობთ თუ არა დაუყოვნებლივ მხარდაჭერას ბავშვებს, რომლებიც ამას საჭიროებენ?*

მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემა

გამოცდილებითი განათლების მოდელის ფუძემდებლის, ფერი ლივერსის (2005) მიხედვით, ადრეული განათლების ეფექტიანი და საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული კურიკულუმები ექვსი საერთო თვისებით ხასიათდება. მათგან პირველი კი, არის ბავშვის პატივისცემა. თუ კარგად გავიაზრებთ და დავაკვირდებით, რას ნიშნავს ბავშვის პატივისცემა, აღმოვაჩენთ, რომ ის მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემას ეფუძნება. ბავშვის პატივისცემა მხოლოდ მაშინ შემიძლია, როდესაც შემიძლია დავინახო და მივიღო ის ისეთი, როგორიც არის - განსხვავებული ინდივიდი, რომელსაც თავისი უნიკალური ისტორია, შესაძლებლობები, სურვილები და ინტერესები აქვს.

მაგრამ რას ნიშნავს საერთოდ პატივისცემა? ეს არის განცდა, რომელიც სხვის მიმართ მაქვს? განსხვავებულობას ვცემ პატივს თუ მიყვარს ან მომწონს ერთი ან რამდენიმე განსხვავებული ადამიანი? მაგალითად, მია, რომელსაც დაუნის სინდრომი აქვს, ჩემს ჯგუფში უკვე მეორე წელია დადის, ის ძალიან თბილი ბავშვია და უყვარს მუსიკა და ცეკვა. როცა ცეკვავს, მისი ცქერა ერთი სიამოვნებაა და თუ შეამჩნია, რომ ჩუმად ვუყურებ, ყოველ ჯერზე გამოიქცევა და მეხუტება. იქნებ ეს ქცევაა? თუ კარგად ვეპყრობი განსხვავებულს, ე.ი. პატივს ვცემ მას? ინას დედა ქართულად ძალიან ცუდად ლაპარაკობს, მაგრამ ამის გამო მასთან ჩემს ბრაზს არ გამოვხატავ, ყოველთვის ვუღიმი და ვესალმები.

პატივისცემა, თუ კარგად დაფიქრდებით, არც ვინმეს მიმართ პოზიტიური ემოციების განცდაა და არც კარგად მოქცევა. პატივისცემა არის დამოკიდებულება, რომელიც განცდილია და ქცევაში ვლინდება შემდეგში:

- „სხვის მოსმენა (ემპათია);
- გადაწყვეტილების მიღება სამართლიანობისა და თანასწორობის საფუძველზე (ჯგუფურ მუშაობაში);
- საკუთარ და სხვის რწმენებს, შეხედულებებს და იდეებს შორის განსხვავების აღიარება;
- აზრის გამოხატვა სხვის შეურაცხყოფის გარეშე. „

(ლექსიკონი - ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, 2016)

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ბავშვის თანაბარ ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა. სამწუხაროდ, დამკვიდრდა პრაქტიკა, როცა ინკლუზიურ განათლებაში მხოლოდ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვების ჩართულობა მოიაზრება, მაშინ, როცა ინკლუზიური განათლება ყველა ბავშვის ჩართვას გულისხმობს, როცა ყველა ბავშვს აქვს საშუალება გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა.

ინკლუზიური განათლება - *საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას დაწესებულებებში მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა (პაჭკორია, 2011, გვ. 15).*

ინკლუზიური განათლების მახასიათებლები

წყაროებში გამოყოფენ შემდეგ მაჩვენებლებს: ხელმისაწვდომობა, *მონაწილეობა, მხარდაჭერა.*

რას გულისხმობს ხელმისაწვდომობა?

ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სხვადასხვა ელემენტების შესრულება: **1)** გარემოს მოწყობა უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენებით (იხ. თავის, „ფიზიკური გარემო", ქვეთავი: რას ნიშნავს უნივერსალური დიზაინის პრინციპები), **2)** უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვა საგანმანათლებლო პროცესში.

რას ნიშნავს მონაწილეობა?

გარემო, შესაძლოა, უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენებით მოვაწყოთ, მაგრამ ბავშვების საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგჯერ შეიძლება დამატებითი ინდივიდუალიზება დაგვჭირდეს იმისათვის, რათა მათ თამამად შეძლონ ჯგუფში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში აქტიურად ჩართვა.

- ბავშვის პირადი გამოცდილებისა და კულტურის გამოყენება ყოველდღიურობაში, განსაკუთრებით, როდესაც ის უმცირესობის წარმომადგენელია.
- კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება ენობრივი ბარიერის გადასალახად - მაგალითად, ხათუნას ჯგუფში დადის მარიამი, რომელიც კომუნიკაციისთვის PECS-ს იყენებს (დასურათებულ წიგნს). ხათუნა და სოფო, რომელიც ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგია, მუდმივად იყენებენ მარიამის კომუნიკაციის წიგნს და ბავშვებსაც წაახალისებენ, რომ წიგნისა და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით დაამყარონ ურთიერთობა მარიამთან (მაგალითად.: მიმიკა, მოძრაობა, მუსიკა).
- ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა ფიზიკურ გარემოსა და ინსტრუქციებში - მაგალითად, მარიამისთვის, რომელსაც სმენის დაქვეითება აქვს, ჯგუფის უფროსები დილის წრისა და ინსტრუქციებისთვის ვიზუალურ მასალას ამზადებენ. დღეს სამაგიდო ცენტრში ახალი თამაში შემოიტანეს. მარიამისთვის თამაშის წესების ახსნისას, ჯგუფის უფროსი სიტყვიერ ინსტრუქციასთან ერთად მას აჩვენებს კიდეც, რა როგორ უნდა გაკეთდეს. გიორგის კი დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს და ამის გამო ბაღში ფიზიკური გარემო შეცვალეს - გიორგის ჯგუფის ოთახი ბაღის პირველ

უნივერსალური დიზაინი განათლებაში

1
პრინციპი

სასწავლო მასალის მრავალნაირად მიწოდების საშუალებები

2
პრინციპი

მოქმედებისა და გამოხატვის მრავალფეროვანი საშუალებები

3
პრინციპი

სასწავლო პროცესში ჩართვისა და მოტივირების მრავალგვარი საშუალებები

სართულზეა, ოთახში ცენტრებს შორის სავალი ნაწილები უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივ, ოთახში დიდი სივრცეა, სადაც გიორგის ხოხიალით თავისუფლად შეუძლია გადაადგილება. ბაღმა გიორგისთვის ეტლი მოიპოვა, ახლა ის უკვე ერთვება სამაგიდო აქტივობებში და ეზოშიც გადის, ეტლი ასევე აძლევს საშუალებას, რომ ბავშვებთან მათივე სიმაღლეზე იურთიერთოს.

- თითოეული ბავშვისთვის აზრიანი და განმავითარებელი აქტივოებების დაგეგმვა. ნინოს ჯგუფში საახალწლო დეკორაციას ბავშვები თვითონ ამზადებენ. წელს ხელნაკეთი ნაძვის ხე ექნებათ, ნინომ ფერადი ფურცლები და ძველი ჟურნალ-გაზეთები მოამზადა. თემოს ნატიფი მოტორიკა განვითარებული არ აქვს, ამიტომ ის ვერ გამოჭრის ფიგურებს მუყაოს ნაძვის ხეზე მისაწებებლად. ამიტომ თემომ ნინოს დახმარებით მნიშვნელოვანი როლი მოირგო - ის „დამწეპებელი“ იქნება ამ პროცესში. წებოვანი ჯოხის გამოყენებით ნატიფ მოტორიკასაც განივითარებს და თან არც წარუმატებლობის განცდა დარჩება მისთვის ზედმეტად რთული საქმიანობის შეუსრულებლობის გამო.

რას ნიშნავს მხარდაჭერა?

ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა სისტემურ მიდგომას საჭიროებს:

1) ბავშვებისა და მათი მშობლების მხარდაჭერა სხვადასხვა ტიპის სერვისებში ჩართვაში; 2) ინკლუზიური განათლების კუთხით თანამშრომელთა პროფესიონალიზმზე ზრუნვა; 3) ოჯახებთან მჭიდრო კომუნიკაცია მათი საჭიროებების დასადგენად; 4) სხვადასხვა ტიპის სერვისებთან კომუნიკაცია მათი რესურსის შესაბამისად გამოსაყენებლად.

თანაბარი ჩართულობა სწორედ ინკლუზიური განათლების განხორციელებას გულისხმობს, ანუ ყველა ბავშვის ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, მიუხედავად სხვადასხვა ნიშნით მათი განსხვავებულობისა: ასაკის, ეროვნების, წარმომავლობის, ფიზიკური მახასიათებლების, გენდერის, უნარებისა და შესაძლებლობების, ოჯახური შემადგენლობის, რელიგიის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. თანაბარი ჩართულობა ყველას ჩართულობას გულისხმობს, როგორც კონკრეტულ ბაღში მოსიარულე ბავშვის, ასევე ამ ბაღში მომუშავე ყველა თანამშრომლის.

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს თანასწორობის საკითხები.

„რა გვაქვს საერთო“ *- ბავშვები თავისუფლად გადაადგილდებიან და ცეკვავენ მუსიკის თანხლებით, მუსიკის შეწყვეტის შემდეგ ბავშვებს დაახლოებით ერთი წუთი აქვთ* იმისთვის, *რომ დააკვირდნენ გვერდზე მდგომს და აღმოაჩინონ ერთი რამ, რაც მათ საერთო აქვთ.*

„ნამდვილი და მონაგონი“. წინასწარ დაამზადეთ სხვადასხვა შინაარსის ბარათები შესაბამისი ნახატითა და წარწერით, მაგალითად, „ბიჭები გოგონებზე ძლიერები არიან“, „გოგონებს ვარდისფერი უყვართ“, „მდიდარი ადამიანები ქედმაღლები არიან“, „თბილისი საქართველოს დედაქალაქია“, „ხაჭო რძის ნაწარმია“ - ეს ბარათები სათითაოდ აჩვენეთ ბავშვებს და წაახალისეთ, რომ იმსჯელონ, რომელ ბარათზეა გამოსახული რეალური ფაქტები და რომელზე ადამიანების მოსაზრებები.

„ნუგბარი ყველას“. *დაურიგეთ ბავშვების ნაწილს რაიმე ნუგბარი, როდესაც დანარჩენები აღშფოთდებიან და იტყვიან, რომ ეს სამართლიანი არ არის, ჰკითხეთ, რატომ არ არის სამართლიანი და წაახალისეთ, მოიფიქრონ, როგორ გაყონ ნუგბარი ისე, რომ ყველას შეხვდეს. ნათლად აუხსენით, რომ ასეთივე უსამართლობაა განსხვავებული დამოკიდებულება გქონდეს განსხვავებული გარეგნობის, ჩაცმულობის, ფიზიკური შესაძლებლობის, კანის ფერის, ენის მქონე ადამიანების მიმართ.*

როგორ მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდი

მულტიდისციპლინური გუნდი *- სპეციალისტების გუნდი, რომლის მიზანია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის საჭიროებების შეფასება და ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მიზნით. გუნდის უცვლელი წევრები არიან ბავშვის მშობელი და ჯგუფის საგანმანათლებლო პრესონალი. დანარჩენი შემადგენლობა განისაზღვრება საჭიროებებიდან გამომდინარე - ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, მეთოდისტი, აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და სხვა. მულტიდისციპლინური გუნდი შესაძლოა შეიქმნას როგორც დაწესებულების ფარგლებში, ასევე მუნიციპალიტეტის დონეზე.*

მულტიდისციპლინური გუნდის საჭიროება მაშინ დგება, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი დამოუკიდებლად ვეღარ ახერხებენ ბავშვის განვითარების უზრუნველყოფას. არის სიტუაციები, როდესაც მულტიდისციპლინური გუნდის საჭიროება წინასწარაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთან, რომელსაც დიაგნოზი აქვს. ასეთ შემთხვევებში, წინასწარ ვიცით, რომ ამ ბავშვის განვითარებისთვის მრავალმხრივი და კონკრეტული კომპეტენციებია საჭირო, რომელიც საგანმანათლებლო პერსონალს ვერ ექნება და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ადრეული ასაკიდანვე მიზანმიმართული და ჰოლისტური ჩარევა. მეორე მხრივ, არის სიტუაციები, როდესაც მულტიდისციპლინური გუნდის საჭიროება მხოლოდ პრაქტიკაში ვლინდება. აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში დიაგნოზის დასმა ყოველთვის არ არის შესაძლებელი, გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია ტიპური განვითარების მქონე ბავშვებში განვითარების დროებითი შეფერხება, რომელსაც მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პერსონალი განსაზღვრავს მულტიდისციპლინური გუნდის საჭიროებას, როდესაც რწმუნდება, რომ ვერ უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების პროცესს და სხვა ექსპერტების დახმარება სჭირდება.

საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ასეთი გუნდის შექმნა. ბავშვის საჭიროებების მიხედვით, გუნდის უცვლელ წევრებთან ერთად მუშაობაში ერთვებიან შესაბამისი სპეციალისტები. იმ შემთხვევაში, თუ მუდმივ

შტატზე მომუშავე ასეთი სპეციალისტები ბაღს არ ჰყავს, ბაღის ადმინისტრაცია/ დამფუძნებელი პასუხისმგებელია, მოიძიოს სპეციალისტები. ადმინისტრაცია გუნდის მუშაობას ხელს უწყობს არა მხოლოდ ადამიანური რესურსის მოზიდვით, არამედ შეხვედრების ადგილის უზრუნველყოფითაც დაწესებულების სივრცეში. ჯგუფის წევრები ერთობლივად განიხილავენ ბავშვის საჭიროებებს, განსაზღვრავენ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს, ჩამოაყალიბებენ მიზნის მისაღწევ აქტივობებს. ჯგუფის წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ.

არადისკრიმინაციული გარემო

არადისკრიმინაციულია გარემო, სადაც ყველა ადამიანი დაფასებულად გრძნობს თავს. ასევე გრძნობს, რომ პატივისცემით ეპყრობიან. ბავშვები არ იბადებიან დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით, ისინი ასეთ დამოკიდებულებებს უფროსებისგან სწავლობენ. თუ ბავშვებს სტერეოტიპებში მოვაქცევთ და დისკრიმინაციულ გარემოში ვამყოფებთ, ბავშვები შეითვისებენ მას და ასეთივე დამოკიდებულება ჩამოუყალიბდებათ გარესამყაროს მიმართ. დაწესებულებისა და მის ფარგლებში განხორციელებული პროგრამის მიზანი სწორედ ანტიდისკრიმინაციული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაა, რა თქმა უნდა, მშობელთა აქტიური ჩართულობით.

როდის იჩენს თავს დისკრიმინაციული დამოკიდებულებები?

- როცა ინდივიდებს აქვთ არასწორი, ან არასაკმარისი ინფორმაცია მისგან განსხვავებულის შესახებ;
- როცა სტრესის პირობებში იმყოფებიან;
- როცა მხარდამჭერი სისტემა სუსტია;
- როცა არსებობს ენობრივი/კომუნიკაციური ბარიერი;

რაში გამოიხატება დისკრიმინაციული დამოკიდებულებები?

- თანამშრომლობაზე უარის თქმა;
- სხვათა ჩართულობისთვის ხელის შეშლა;
- ადამიანებთან წინასწარი განწყობითა და დამოკიდებულებებით ურთიერთობა

ანტიდისკრიმინაციული გარემოს შესაქმნელად საჭიროა არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ დაწესებულების თანამშრომლებთან მუშაობა და მშობლების მხარდაჭერა.
როგორ მოვიქცეთ არადისკრიმინაციული გარემოს შესაქმნელად?
თანამშრომლებთან:

- ხელი შევუწყოთ თანამშრომლების მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარებას;
- გვქონდეს მაღალი მოლოდინები თანამშრომლების მიმართ;

- წავახალისოთ, რომ იმოქმედონ დისკრიმინაციულობის საპასუხოდ;
- წავახალისოთ თანამშრომელთა შორის თავისუფლად და პატივისცემით ურთიერთობა;
- თავად ვიყოთ ასეთი ურთიერთობის მაგალითი;
- არ გამოვყოთ არცერთი თანამშრომელი რაიმე ნიშნით;
- ხელი შევუწყოთ და წავახალისოთ თანამშრომელთა შორის იდეებისა და გამოცდილების გაზიარება;

ბავშვებთან:

- განვავითაროთ ბავშვებში მიკუთვნებულობის გრძნობა და ადეკვატური თვითშეფასება;
- დავეხმაროთ ბავშვებს, რომ კომფორტულად იგრძნონ თავი განსხვავებულის გვერდით;
- ვასწავლოთ ბავშვებს, იმოქმედონ დისკრიმინაციულობის საპასუხოდ;
- ვასწავლოთ ერთმანეთთან თავისუფლად და პატივისცემით ურთიერთობა;
- ვასწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის ნდობა
- ვასწავლოთ გაზიარება.

ადამიანთა დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით შეიძლება მოხდეს, ქვემოთ სწორედ ამ განსხვავებულობებისა და დისკრიმინაციის დაძლევის სტრატეგიებს შემოგთავაზებთ.

გენდერული ნიშნით განსხვავება

ჩვენს წარმოდგენაში არსებული სტერეოტიპები ხშირად გვიბიძგებენ, დავყოთ საქმიანობები, ან სათამაშოები სქესის მიხედვით, ანუ „მანქანები ბიჭებს, თოჯინები გოგონებს“ და ა.შ. ხშირად ამას გააზრებულადაც ვაკეთებთ იმ მიზნით, რომ ბავშვებს „ვასწავლოთ“ მათი სქესი. თუმცა რეალობაში აღნიშნული ქცევით და ჩვენი სტერეოტიპული აზროვნებით ხელს ვუწყობთ ასეთივე სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ბავშვებში. არადა, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ბავშვები ჰოლისტურად განვითარდნენ და იქცნენ თავდაჯერებულ ინდივიდებად, რომლებიც როლებს არა სქესის მიხედვით, არამედ საჭიროებიდან გამომდინარე მოირგებენ.
გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შემდეგი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა:
ბაღის დონეზე:

- წაახალისეთ ორივე სქესის მშობლის თანაბარი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, ხელი შეუწყვეთ მამების, ბაბუების ჩართვას, სთხოვეთ მათ

სტერეოტიპი - *ადამიანების ან იდეების ძალზე გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია, ვინაიდან ერთხელ შექმნილი წარმოდგენა ადამიანთა ჯგუფის შესახებ, მის ყველა წევრზე ვრცელდება , მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა იგი კონკრეტულ პიროვნებას. შესაბამისად, სტერეოტიპული აზროვნება ნიშნავს სქემატურ აზროვნებას.*

სხვადასხვა ტიპის აქტივობების ორგანიზება ბავშვებისთვის.

- შეეცადეთ, რომ ბაღში ექსპერტის სტატუსით მოწვეული სტუმრები იყვნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. დაპატიჟეთ ჯგუფში ისეთი ადამიანები, რომლებიც სტერეოტიპებს ეწინააღმდეგებიან საკუთარი პროფესიით, მაგალითად, პატრული ქალი, მამაკაცი ბაღის აღმზრდელი და ა.შ.
- ხელი შეუწყვეთ სხვადასხვა შინაარსის შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზებას მშობლებისა და თანამშრომლებისთვის გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, ხელი შეუწყვეთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ჯგუფში მუშაობის დონეზე:

- განიხილეთ თქვენი იდეები კოლეგებთან ერთად, იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა თქვენი დაწესებულების სივრცეში;
- გადახედეთ საგანმანათლებლო რესურსს, დარწმუნდით, რომ ბავშვებთან გამოყენებული მასალა (წიგნები, სურათები, სათამაშოები) ასახავს არასტერეოტიპულ გამოსახულებებს;
- ბავშვებთან ერთად იმსჯელეთ სურათებზე, რომლებზეც ასახულია სხვადასხვა გენდერული როლი;
- წაახალისეთ ბავშვები, რომ ყველა ტიპის თამაშში ჩაერთონ, გოგონებმა კუბურების ცენტრში ითამაშონ, კონსტრუქტორი ააწყონ, ბიჭები კი დრამატულ ცენტრში გაერთონ; გამოიყენეთ თამაშები, ფიზიკური აქტივობები, იუმორი, მუსიკა, წარმოსახვა იმისთვის, რათა ამოიცნოთ და გააფართოვოთ გოგონებისა და ბიჭების ინტერესები;
- იმუშავეთ იმაზე, რომ ბიჭებს გამოუმუშაოთ თანამშრომლობის, პრობლემის ვერბალურად გადაჭრის უნარი, ხოლო გოგონები წაახალისეთ ფიზიკურ აქტივობებში ჩართვისკენ.
- ხელოვნურად ნუ დაყოფთ გოგონებსა და ბიჭებს, მაგალითად, არის პრაქტიკა, რომ ეზოში გასვლისას, ჯერ გოგონები გადიან გამოსაცვლელად, შემდეგ ბიჭები, ან სადილის წინ ჯერ გოგონები იბანენ ხელს, შემდეგ ბიჭები. ამის ნაცვლად, გამოიყენეთ ეს მომენტი განვითარების ხელშესაწყობად და ბავშვები დაყავით რაიმე სხვა ნიშნით, მაგალითად, ტანსაცმლის ფერის, საყვარელი კერძის, საყვარელი საქმიანობის, სახელის პირველი ასოს მიხედვით და სხვ.
- წაახალისეთ გოგონებისა და ბიჭების ერთობლივი თამაშები, ხელი შეუწყვეთ, რომ ერთად დაგეგმონ საქმიანობები, ერთად მოიპოვონ რესურსი, ერთად განახორციელონ ჩანაფიქრი;

- ყოველთვის უპასუხეთ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ ქცევას, ბიჭების, ან გოგონების მიერ საპირისპირო სქესის თამაშიდან გარიყვას, აბუჩად აგდებას, დამცირებას;

სტერეოტიპული გამონათქვამებია: „ბიჭები არ ტირიან, გოგო ხომ არ ხარ, რომ ტირი“, „წადი, თოჯინა აიღე და გოგოებთან ითამაშე, რა გინდა აქ, ბიჭი ხომ არ ხარ...“ ან პირიქით, „რა გინდა გოგოებში, მიდი, მანქანები აიღე და ითამაშე“... „ამ ბავშვს სულ ბიჭის ფერები აცვია...“ ან პირიქით, „ვარდისფერ ჟაკეტს ვერ გიყიდი, ბიჭური არაა“... „პეპლები და ყვავილები რომ დახატე, გოგო ხარ?“ „გოგონებო, წამოდით სახლობანა ითამაშეთ...“ და ა.შ.

ეთნიკური ნიშნით განსხვავება

იმისათვის, რათა არ მოხდეს ინდივიდების ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ და ამ მრავალფეროვნების პატივისცემაზე მუშაობა. რას ვაკეთებთ?

- დაწესებულების სივრცეში გამოფენილ ფოტოებში სხვადასხვა ეთნოსის ადამიანების ასახვა;
- დაწესებულების სამასწავლებლოში/ბიბლიოთეკაში/რესურს ოთახსა და ჯგუფებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ამსახველი წიგნების შეტანა;
- ბეჭდური მასალის არსებობა სხვადასხვა ენაზე, რათა, როგორც ბავშვებს, ისე უფროსებს წარმოდგენა შეექმნათ ენობრივ მრავალფეროვნებაზე.
- ნაცნობი ლექსებისთვის, ან სიმღერებისთვის ტექსტის შეცვლა ჯგუფის წევრი ბავშვის მშობლიურ ენაზე (ამაში შესაძლოა მშობლის დახმარება);
- ბავშვებისთვის ვიდეოების ჩვენება, სადაც ადამიანები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ;
- მისალმების, ან დამშვიდობების დასწავლა სხვადასხვა ენაზე;

იმისათვის, რათა ბავშვებს ვაჩვენოთ, განსხვავებული ეთნოსის ადამიანებს რამდენი საერთო გვაქვს, შესთავაზეთ შემდეგი თამაში: თამაშისთვის დაგჭირდებათ ბარათები, რომლებზეც ხატია სხვადასხვა ეთნოსის ადამიანები განსხვავებული საქმიანობის დროს. ბავშვებმა უნდა დაახარისხონ ეს საქმიანობები. თამაშის ბოლოს ისინი აღნოაჩენენ, რომ სხვადასხვა ეთნოსის, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები ერთნაირი საქმეებით არიან დაკავებულები, შესაბამისად, ძალიან ბევრი რამ გვაქვს საერთო - ატარებენ ველოსიპედს, მიირთმევენ საუზმეს, თამაშობენ ფეხბურთს, მეცადინეობენ, დადიან ბაღში და ა.შ.

ეკონომიკური სტატუსის (სიღარიბე) მიხედვით განსხვავება

ოჯახები განსხვავდებიან ეკონომიკური შესაძლებლობებით. ცნობილია, რომ სიღარიბე მნიშვნელოვანი რისკფაქტორია ბავშვის განვითარების პროცესში.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ოჯახსა და ადრეული განათლების სპეციალისტებს შეუძლიათ ზოგიერთი ფაქტორის კონტროლი და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების მომავლის გაუმჯობესება. შესაბამისად, აუცილებელია გარემო მორგებული იყოს იმ ბავშვებზე, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ.
რას ვაკეთებთ?

- წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთს გაუზიარონ არა მხოლოდ ძვირადღირებული სათამაშოები, არამედ ისეთი რაღაცები, რასაც ფული არ სჭირდება და დაანახვეთ მათი ღირებულება. მაგალითად, საყვარელი ზღაპარი, რომელსაც ბაბუა უყვება ხოლმე, სახლში მის მიერ მომზადებული ტკბილეული ან ნამუშევარი და სხვ.

- წაახალისეთ მშობლები, ბავშვებს სახლშიც უამბონ ზღაპრები და წაუკითხონ წიგნები. პერიოდულად, მაგალითად, შაბათ-კვირაობით, ათხოვეთ მათ სხვადასხვა საბავშვო წიგნი.

- წაახალისეთ მშობლები, მაქსიმალურად იყვნენ ჩართული ბავშვის განვითარებაში - ხელი შეუწყვეთ მათ ჩართულობას ჯგუფში, რომ საკუთარ შვილებთან ბაღის რესურსების გამოყენებით ითამაშონ და დრო გაატარონ; უზრუნველყავით მათი დასწრება მშობლებისთვის განკუთვნილ სემინარებზე.

ასაკობრივი განსხვავება

ადამიანები განსხვავდებიან ასაკის მიხედვითაც. არსებობს ასაკთან დაკავშირებული სტერეოტიპები, რომ ხანდაზმული და მოხუცი ადამიანები ქმედუუნაროები არიან, ახალგაზრდები კი - ყოვლისშემძლეები, ან ზრდასრული ადამიანები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ბავშვები და ა.შ.
რას ვაკეთებთ?

- შევეცდებით, ბავშვის ოჯახის ყველა ასაკის ადამიანი ჩაერთოს პროგრამაში, ხელს შევუწყობთ ბებიების, ბაბუების ჩართულობას, რათა ბავშვებმა დაინახონ მათი აქტიურობა;

- შევთავაზებთ ფოტოებს, ან ვიდეოებს, სადაც ხანდაზმული ადამიანები აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობენ, ფიზიკური აქტივობებით არიან დაკავებულები;

- წავახალისებთ, რომ ბავშვებმა დაინახონ და დააფასონ საკუთარი გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობები, აღმოაჩინონ, რომ იყო პატარა, არ ნიშნავს, იყო ნაკლებად ჭკვიანი, ან სუსტი.

ფიზიკური მახასიათებლების (გარეგნობა) ნიშნით განსხვავება

მიუხედავად საერთო რასისა, საერთო ეთნოსისა, ინდივიდები ერთმანეთისგან მაინც განსხვავდებიან გარეგნული ნიშნით და მათ სხვადასხვა ფიზიკური შესაძლებლობები აქვთ. განსხვავდებიან სახის ნაკვთებით, სიმაღლით, სხეულის ფორმებით, ფიზიკური უნარებით. ამ განსხვავებულობის აღიარება და დაფასება

არადისკრიმინაციული გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტია.

- რას ვაკეთებთ?შეიტანეთ წიგნები ან ილუსტრაციები, სადაც სხვადასხვა გარეგნობის ადამიანები დადებით კონტექსტში არიან წარმოდგენილნი, მოიძიეთ ისტორიები, სადაც სწორედ განსხვავებული გარეგნობაა პერსონაჟის უპირატესობა;

- წაახალისეთ, იმსჯელონ სხვადასხვაგვარ ფიზიკურ შესაძლებლობაზე, შეიტანეთ ჯგუფში ეტლი, ხელჯოხი, რათა ბავშვებმა შეძლონ მათი გამოყენება, მოაწყვეთ გარემო იმგვარად, რომ ეტლით მოსარგებლეს არ გაუჭირდეს გადაადგილება.

შესაძლებლობების მიხედვით განსხვავება

ბავშვები ადრეული ასაკიდან ამჩნევენ არა მხოლოდ განსხვავებულ ფიზიკურ მახასიათებლებს, არამედ ქცევასაც. განსხვავებული შესაძლებლობის ბავშვები ზოგჯერ ქცევასაც განსხვავებულს ავლენენ, და სხვა ბავშვების მიერ ის შესაძლოა საშიშად ან უცნაურად იყოს აღქმული. ამის გამო ხშირად რთულდება ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება და განსხვავებული ქცევის ბავშვი ზოგჯერ შეიძლება გარიყულიც კი აღმოჩნდეს.
რას ვაკეთებთ?

- შეიტანეთ ჯგუფში წიგნები, რომლებშიც პერსონაჟს აქვს შეზღუდული შესაძლებლობა (რომელსაც ჯგუფში მყოფი ბავშვი ავლენს).

- განაცალკევეთ ბავშვი და ქცევა ერთმანეთისგან - კუბურების მსროლელი ბავშვი კი არ არის საშიში, არამედ თავად კუბურების სროლა.

- გახსოვდეთ, რომ სწორი სტრატეგიის გამოყენებით ნებისმიერი ქცევის შეცვლა შეიძლება. გამოიყენეთ სხვა სპეციალისტების კომპეტენციები და დაგეგმეთ მიზანმიმართული ინტერვენცია საშიში და სოციალურად მიუღებელი ქცევის შესაცვლელად.

- შექმენით შესაძლებლობები, რომ ბავშვებმა ერთად ითამაშონ, ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

- გქონდეთ მაღალი მოლოდინები ბავშვების მიმართ, რომელთაც აქვთ რაიმე ტიპის განსაკუთრებული საჭიროება.

თავი 8. მართვა და შეფასება

საკვანძო სიტყვები:
მისია
მართვა
მიზნები და ამოცანები
ორგანიზაცია

„სკოლა ორპირი ხანჯალია; აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკუღმართობის გზაზედ არის დაყენებული“.
იაკობ გოგებაშვილი

ამ თავში მოცემულია მართვის საკითხები, რა დოკუმენტაცია უნდა ჰქონდეს ბაღს, როგორც ორგანიზაციას, რას ნიშნავს სწორი მენეჯმენტი, როგორ ჩამოვაყალიბოთ ბაღის მისია და მიზნები, როგორ შევიმუშავოთ სამოქმედო გეგმა. ამ თავში პრაქტიკოსები შეიტყობენ, რატომ არის მნიშვნელოვანი მონიტორინგი, რას ნიშნავს შიდა და გარე შეფასება, კონკრეტული რჩევები შიდა მონიტორინგთან დაკავშირებით.

თავის ძირითადი თემები

მმართველი ორგანო
→ რატომ უნდა იყოს დამოუკიდებელი
→ რას ნიშნავს მართვა

ბაღი, როგორც ორგანიზაცია
→ ფილოსოფია და ხედვა
→ დაწესებულების დოკუმენტაცია
→ პირადი საქმეები - საინფორმაციო პაკეტი
→ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
→ ჯანმრთელობის დაცვის პროცედურები

კეთილდღეობა და განვითარება
→ თანამშრომელთა კეთილდღეობა
→ თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

პროგრამის ხარისხის შეფასება
→ პროგრამის შიდა შეფასება



მმართველი ორგანო

მრავალი კვლევა მოწმობს, რომ აღმზრდელ-პედაგოგების კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და ღირებულებები) მნიშვნელოვნად განაპირობებს ხარისხიან ადრეულ განათლებას. თუმცა იმისათვის, რომ პრაქტიკოსმა შეძლოს ხარისხიანი პროცესის განხორციელება, მნიშვნელოვანია დაწესებულების მმართველი რგოლის ფაქტორი, ვინაიდან სწორედ დაწესებულების მმართველი რგოლის/გუნდის მოვალეობაა ისეთი პირობების შექმნა, სადაც აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, დაწესებულება კი, ხარისხიანი ადრეული განათლების მიწოდებას შეძლებს.

რას ნიშნავს მართვა

ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების მართვა ნიშნავს დაწესებულებაში არსებული ყველა მიმართულების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

მართვაში მოიაზრება როგორც ადამიანური რესურსის მართვა, მატერიალური რესურსის, ფინანსების, თითოეული ბავშვის საჭიროებაზე მორგებული

საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, თანამედროვე, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა დაწესებულების სივრცეში, ბავშვების ოჯახთან და თემთან ურთიერთობა, თვითშეფასების მექანიზმის შემუშავება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, როგორც თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე ზრუნვა,



ასევე ორგანიზაციის განვითარების უზრუნველყოფა. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მართვა საკმაოდ რთული პროცესია და დიდ პასუხისმგებლობასა და ძალისხმევას მოითხოვს იმ ინდივიდებისგან, ვინც სათავეში უდგას ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იმუშაოს თანამშრომლებისთვის, იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე და მათთან ერთად შექმნას ისეთი სივრცე, სადაც თითოეულ ბავშვს ექნება განვითარების საშუალება საკუთარი შესაძლებლობების, ინდივიდუალური თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

დაწესებულების მართვის სტილი მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი მუშაობის სპეციფიკას, თანამშრომელთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების ხარისხს. ამ საკითხში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიდერის ეფექტიანი საკომუნიკაციო უნარები. რა სტრატეგიები შეგიძლიათ გამოიყენოთ წარმატებული ლიდერობისთვის?

- გუნდის თითოეულ წევრს ნათლად ჩამოუყალიბეთ უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები;
- თანამშრომლებს მიეცით საშუალება, გამოთქვან საკუთარი შეხედულებები საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით და ყურადღებით მოუსმინეთ თითოეული წევრის მოსაზრებას;
- თითოეულ თანამშრომელს აგრძნობინეთ მათი მნიშვნელოვნება, მიუდექით თითოეულს თანაბრად, იყავით სამართლიანი;
- წაახალისეთ და მხარი დაუჭირეთ თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას;
- წაახალისეთ და მხარი დაუჭირეთ კოლეგებს შორის თანამშრომლობით ურთიერთობებს;
- მიეცით რეგულარული უკუკავშირი თანამშრომლებს;
- ჩართეთ ყველა დაინტერესებული მხარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საკითხში.

ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების მართვის საკითხის განხილვისას ძალზე მნიშვნელოვანია თავად მმართველი რგოლის, მენეჯმენტის მხარდაჭერა მართვის პროცესში. იმისათვის, რათა ბაღის დირექტორმა, ან მენეჯერმა შეძლოს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულება, თავად მასაც სჭირდება მხარდაჭერა როგორც დაწესებულების თანამშრომლების, ისე, მაგალითად, საჯარო ბაღების შემთხვევაში, დამფუძნებლის მხრიდან. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ბაღის მმართველისთვის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, რათა მან შეძლოს დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების საჭიროებები, მოიძიოს საჭიროებების დაკმაყოფილების გზები;
- ბაღის მმართველის მხარდაჭერა საკუთარი პროფესიული განვითარების გეგმის გააზრებასა და შემუშავებაში;
- ბაღის მმართველის მხარდაჭერა ლიდერობისთვის საჭირო უნარების განვითარებაში;
- ბაღის მმართველისთვის სისტემატური, მხარდამჭერი უკუკავშირისა და კონსტრუქციული შეფასების მიცემა საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან და მის მიერ განხორციელებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით;

დაწესებულების ფილოსოფია და ხედვა

ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმწოდებელი ნებისმიერი დაწესებულება, პირველ რიგში, არის ორგანიზაცია, შესაბამისად, ბაღს როგორც ორგანიზაციას, უნდა ჰქონდეს საკუთარი ფილოსოფია, მისია, მიზნები. დაწესებულების ფილოსოფია, ერთი მხრივ, უნდა ეყრდნობოდეს ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო სტანდარტებს, ადგილობრივ კულტურას, მეორე მხრივ კი, ასახავდეს დაწესებულების უნიკალურობასა და ინდივიდუალიზმს.

როგორ ჩამოვაყალიბოთ ბაღის ფილოსოფია, მისია, ხედვა?

დაწესებულების მისიის, ხედვის ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ იმაზე ფიქრი, თუ რა არის თქვენი ორგანიზაციის დანიშნულება, რისთვის არსებობს თქვენი ბაღი, რა ცვლილების შეტანა სურს თავისი არსებობით ბავშვების ცხოვრებასა და მათ გარშემო არსებულ გარემოში. უმჯობესია, თუ დაწესებულების თანამშრომლები ერთად შეიკრიბებით და ამ საკითხზე ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს გაუზიარებთ. ამის შემდეგ შეაჯერეთ მოსაზრებები და შეთანხმდით საბოლოო ფორმულირებაზე.

როგორ ჩამოვაყალიბოთ ბაღის მიზნები?

მიზნების ჩამოყალიბებისას, იფიქრეთ, რისი მიღწევა სურს თქვენს ორგანიზაციას. მისიასთან შედარებით მიზნები უფრო კონკრეტულია.

როგორ ჩამოვაყალიბოთ ამოცანები?

ამოცანებში კიდევ უფრო კონკრეტდება ის საკითხები, თუ როგორ ვაპირებთ ჩვენი მიზნის მიღწევას.

ქვემოთ მოცემულია ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების მისიისა და მიზნების ჩამოყალიბების ნიმუშები.

ბაღის მისია:

ჩვენი მისიაა შევქმნათ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვს გამოავლინოს და განავითაროს შემოქმედებითი უნარები, დასვას კითხვები და ეძიოს პასუხები, იყოს გახსნილი, კრიტიკულად მოაზროვნე, ჰქონდეს სამყაროს მრავალფეროვნების დანახვის საშუალება.

ბაღის მიზნები :

- ბავშვს სრულყოფილი განვითარებისათვის სრულად უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული ბაზისური საჭიროებები, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაცული უნდა იყოს.
- ბავშვი თავს უნდა აღიქვამდეს ჯგუფის ერთობის სრულყოფილ წევრად, მისი აზრი უნდა იყოს მოსმენილი და გაზიარებული.
- ბავშვს, უნარების განსავითარებლად და თვითრეალიზებისთვის, უნდა ჰქონდეს მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობის საშუალება.

ამოცანები:

- კომფორტული, თავისუფალი და უსაფრთხო გარემოს შექმნა.
- მრავალფეროვანი შემოქმედებითი აქტივობების დაგეგმვა.

- მრავალფეროვანი სტრატეგიების დანერგვა და საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება/ სპეციალიზაცია ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების ფილოსოფია, მისია და მიზნები არ იყოს ფორმალური დოკუმენტი, ან მხოლოდ ადმინისტრაციის, მმართველის მიერ შედგენილი ტექსტი, რომელსაც არათუ დაინტერესებული პირები, დაწესებულების თანამშრომლებიც კი არ იცნობენ. ბაღის ფილოსოფია უნდა გაუზიაროთ ყველა ჩართულ და დაინტერესებულ მხარეს, რისთვისაც ასევე საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ფილოსოფიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მონაწილეობა. საბოლოო მოსაზრებებზე შეჯერების შემდეგ, იზრუნეთ, რომ დაწესებულების ხედვა სხვებსაც გაუზიაროთ. ამ მიზნით, შესაძლოა, საგანგებო ბროშურა დაამზადოთ, სადაც აღწერილი იქნება თქვენი ბაღის ფილოსოფია, ჩამოყალიბებული იქნება თქვენი მისია, მიზნები. ბროშურები შეგიძლიათ ფოიეში დააწყოთ და დაინტერესებულ პირებს მისი გაცნობის საშუალება მისცეთ. ასევე შესაძლებელია ამავე შინაარსის, ოღონდ უფრო კომპაქტური ტექსტით პლაკატის დამზადება, რომელსაც ასევე შემოსასვლელში, საინფორმაციო დაფაზე გამოაკრავთ.

დაწესებულების ფილოსოფიის გაზიარების კიდევ ერთი საშუალებაა ბაღის ვებგვერდი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თქვენი ხედვა ასახული უნდა იყოს პროგრამის ყველა კომპონენტში. ამ ხედვის შესაბამისად უნდა მოაწყოთ გარემო, ფილოსოფიას უნდა ეფუძნებოდეს საგანმანათლებლო პროცესი, ურთიერთობები და შესრულებული საქმიანობები და ა.შ.

დაწესებულების სამოქმედო გეგმა

დაწესებულების სამოქმედო გეგმა არის დაწესებულების მიერ გაწერილი საფეხურებრივი გეგმა სამომავლოდ განსახორციელებელი საქმიანობებისა და ვადების შესახებ. სამოქმედო გეგმა მიზნების მიღწევაში გვეხმარება. მისი შედგენისას შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი პუნქტები:

- რა საქმიანობებია შესასრულებელი;
- ვინ არის პასუხისმგებელი გაწერილი საქმიანობების შესრულებაზე;
- რა ვადებში უნდა შესრულდეს სამუშაო;
- რა რესურსია საჭირო სამუშაოს შესასრულებლად (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსი).

დაწესებულების პერსონალი სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულების ფილოსოფიითა და ხედვით ხელმძღვანელობს, რადგან სწორედ ფილოსოფიაში გაცხადებული მისიისა და დასახული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებაა სამოქმედო გეგმის მიზანი.

დაწესებულების დოკუმენტაცია

ისევე როგორც ნებისმიერი ტიპის დაწესებულებას, ბაღსაც ესაჭიროება სხვადახვა ტიპის დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული იქნება, ერთი მხრივ, პოლიტიკა და პროცედურები, მეორე მხრივ კი - ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა პირადი საქმეები, შემოსული წერილები და ა.შ.

რას ნიშნავს დოკუმენტები პროგრამის პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ? რას შეიძლება ასახავდეს ეს დოკუმენტები? ეს შესაძლოა იყოს ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბავშვთა დაცვა ნებისმიერი სახის ძალადობისგან, დაწესებულებაში ჩარიცხვის წესი, მშობლების ნებართვა და ა.შ.

პირადი საქმეები - ბავშვისა და პერსონალის საინფორმაციო პაკეტი

პროგრამაში ჩართული ბავშვებისა და დაწესებულების თანამშრომელთა დოკუმენტაციის ორგანიზებულად საწარმოებლად, უმჯობესია შევქმნათ თითოეული ინდივიდის პირადი საქმე.

ბავშვის პირადი საქმე

- ბავშვის იდენტიფიცირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია - დაბადების მოწმობა (დედანი და/ან ასლი), მშობლების პირადობის მოწმობების ასლები, ბავშვის ფოტოსურათი (3X4);
- იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი სოციალურად დაუცველია, სოციალურად დაუცველის მოწმობა;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- მშობლის მიერ შევსებული ანკეტა/კითხვარი ბავშვის შესახებ;
- მშობლის ნებართვის ფორმა (მაგალითად, ნებართვა დაწესებულების გარეთ გასვლებზე, ფოტო და ვიდეოგადაღებაზე და სხვ.) –
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება და ა.შ.

თანამშრომლის პირადი საქმე

- თანამშრომლის იდენტიფიცირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია - პირადობის მოწმობის ასლი, ფოტოსურათი (3X4).
- CV - ავტობიოგრაფია;
- ჯამრთელობის ცნობა;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- დაკავებული კვალიფიკაციის შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ტრენინგებში მონაწილეობის სერტიფიკატების/დიპლომების ასლები;
- თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და ა.შ.

ადმინისტრაციული დოკუმენტაცია

დაწესებულების გამართულად ფუნქციონირებისთვის და ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშნელოვანია არსებობდეს შემდეგი ადმინისტრაციული ტიპის დოკუმენტები და პროცედურები:

- <u>ბავშვის ჩარიცხვის პროცედურა -</u> ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ, რა პრინციპით მიიღებიან ბაღში ბავშვები;
- <u>დაწესებულების შინაგანაწესი</u> - დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია დაწესებულების იურიდიული ფორმა, მუშაობის საათები, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება და დაწესებულების მუშაობასთან დაკავშირებული სხვა მიმართულებები;
- <u>თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა -</u> დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით აღიწერება, თუ რა უფლება-მოვალეობები აკისრია თითოეულ თანამშრომელს დაწესებულების ფარგლებში. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის შესახებ“ საქართველოს მასშტაბით თითოეულ მუნიციპალიტეტს ავალდებულებს შექმნას ნორმატიული აქტი, რომელიც აღწერს დაწესებულების პერსონალის პროფესიულ სტანდარტებს. პერსონალის სამუშაო აღწერილობაზე ფიქრისას სწორედ ამ დოკუმენტით შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ.
- <u>ეთიკის კოდექსი -</u> მართალია, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ სახელმწიფო კანონის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით თითოეული მუნიციპალიტეტი ქმნის ნორმატიულ აქტს დაწესებულების თანამშრომლების სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების შესახებ, თითოეული დაწესებულება უფლებამოსილია ამ დოკუმენტზე დაყრდნობით თავადაც შეიმუშაოს საკუთარი ეთიკის კოდექსი, უფრო პოპულარული ენით დაწერილი და ვიზუალურად გაფორმებულიც.

ბაგა-ბაღი „ლოკოკინა“ ეთიკის კოდექსი

როგორ ვიქცევი ბავშვებთან	როგორ ვიქცევით ოჯახთან	როგორ ვიქცევით ერთმანეთთან	როგორ ვიქცევი თემთან
პატივს ვცემთ თითოეულ ბავშვს; *ვზრუნავთ ბავშვთა კეთილდღეობაზე;* *ვქმნით არაძალადობრივ გარემოს;* *გვესმის ბავშვებისთვის თამაშის მნიშვნელობა;* *თითოეულ ბავშვს ვუქმნით თვითგამოხატვის საშუალებას;* *ვმოქმედებთ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად*	*პოზიტიურად ვურთიერთობთ ბავშვის ოჯახთან;* *მშობელს ვუზიარებთ ბავშვთან დაკავშირებულ ინფორმაციას;* *ვიცავთ კონფიდენციალურობას ოჯახთან დაკავშირებით;* *ვზრუნავთ ოჯახის ცნობიერების ამაღლებაზე ადრეული განათლების მიმართულებით;*	*პატივს ვცემთ კოლეგებს, ვეხმარებით მათ პროფესიულ განვითარებაში;* *ვაღიარებთ გუნდის თითოეული წევრის ინდივიდუალიზმს;* *პატივს ვცემთ კოლეგების განსხვავებულ მოსაზრებას;*	*ვთანამშრომლობთ თემის წარმომადგენლებთან;* *თემის რესურსს ვიყენებთ საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად;* *ვზრუნავთ თემსა და გარემოზე.*

ბავშვთა დაცვა ძალადობისგან

იმისათვის, რათა დაწესებულების ფარგლებში მომუშავე თანამშრომლებს შორის არსებობდეს გაზიარებული ცოდნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, თუ შეამჩნევენ, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლია და უზრუნველყონ ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, მნიშვნელოვანია არსებობდეს პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის - ამ დოკუმენტში აისახება, თუ როგორ მოქმედებენ დაწესებულების თანამშრომლები იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩინეს, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლია.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფიზიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი კომპონენტი ფიზიკური ჯანმრთელობაა. იქამდე, ვიდრე თავად შევქმნიდეთ გარემოს, სადაც ადამიანები დაცულად იგრძნობენ თავს და კეთილდღეობის განცდა ექნებათ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამისათვის დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვისა და მისი უსაფრთხოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია უნდა იწარმოებოდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებაში უნდა ინახებოდეს:

- თითოეული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები - ჯანმრთელობის ცნობა და ა.შ.
- თითოეული ზრდასრულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- გაწერილი პროცედურები ბავშვის/ზრდასრულის ცუდად/შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში მოქმედებისთვის;
- გაწერილი პროცედურები ბავშვისთვის მედიკამენტის მიღების საჭიროების შემთხვევაში;

იმისათვის, რათა უფრო დეტალური ინფორმაცია გქონდეთ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეძლოთ მშობელთან დაკავშირება, შეგიძლიათ საგანგებო კითხვარიც შეადგინოთ. მნიშვნელოვანია, რომ მშობელს განუმარტოთ, როგორ დაგეხმარებათ ამ ფორმის შევსებით და ასევე უთხრათ, რომ ბაღის ადმინისტრაცია და ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალი მკაცრად დაიცავს კონფიდენციალურობის ნორმებს კითხვარში მითითებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. აუხსენით მშობლებს, რომ ბავშვის შესახებ ინფორმაციას სხვა პირებს არ გადასცემთ.

ქვევით გთავაზობთ მშობლის კითხვარის სავარაუდო პუნქტებს.

კითხვარი 1

მშობლის კითხვარი:

შევსების თარიღი ———————————— ***სახელი და გვარი*** ————————————

ბავშვის სახელი ————————————————————————————————

მისამართი———————————————— დაბადების თარიღი ——————— სქესი——
ტელეფონის ნომერი ———————
ოჯახის ექიმი/ბავშვის ექიმი_____ ტელეფონი_____
რამდენი ბავშვია ოჯახში —— მიუთითეთ მათი ასაკი ————————
იღებს თუ არა ბავშვი სისტემატურად რაიმე სახის მედიკამენტს_____ დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ, რომელს_____
არის თუ არა მიდრეკილი ბავშვი ყურის ინფექციებისადმი_____ თუ კი, რამდენად ხშირად_____
შეუმოწმდა თუ არა ბავშვს მხედველობა_____ როდის_____
შეუმოწმდა თუ არა ბავშვს სმენა_____ როდის_____
არიან თუ არა ბავშვის ოჯახის წევრები ავად ქრონიკული დაავადებით_____
რომელ ასაკში დაიწყო ბავშვმა სიარული_____
ხომ არ აღენიშნება ბავშვს რომელიმე ქვევით მოცემულთაგანი?

- *ასთმა_____*
- *ყურის ქრონიკული ინფექცია_____*
- *ფრჩხილების კვნეტა_____*
- *ეპილეფსია_____*
- *ალერგია_____*
- *ცხვირიდან სისხლდენა_____*
- *თავის ტკივილი_____*
- *საჭმლის მოუნელებლობა_____*
- *შეკრულობა_____*
- *გულის პრობლემები_____*
- *დიაბეტი_____*
- *მოთენთილობა_____*
- *ენის ბორძიკი_____*
- *ენურეზი_____*
- *კუჭის აშლილობა_____*
- *ღამის შიშები _____*
- *შფოთვა _____*

აწუხებს თუ არა ბავშვს სხვა სახის ფიზიკური პრობლემები _____
საყვარელი საკვები——————— რა არ უყვარს_____
კიდევ რა უნდა ვიცოდეთ ბავშვის შესახებ_____

კითხვარი 2

ვისთან ერთად ცხოვრობს ბავშვი ოჯახში?_____
მამის სახელი გვარი ———მობილური——————— მისამართი (თუ განსხვავებულია) ———
განათლება ——————————სამუშაო ადგილი ——————— მისამართი——————— ტელეფონი

დედის სახელი გვარი ———მობილური——————— მისამართი (თუ განსხვავებულია) ———განათლება ——————— სამუშაო ადგილი ————სამსახურის მისამართი——————— ტელეფონი
ადამიანი, ვისაც შეიძლება დაუკავშირდეს ბაღის თანამშრომელი საჭიროების შემთხვევაში
სახელი გვარი ——————————— ვინაობა ——————————ტელეფონი
მოხდა თუ არა რაიმე, რამაც ძლიერად იმოქმედა ბავშვზე: მშობლების განქორწინება, მშობლის გარდაცვალება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ოჯახში ახალი ბავშვის დაბადება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და ა.შ.)

მშობლის კითხვარის გარდა, ბავშვის საინფორმაციო პაკეტში შესაძლებელია გქონდეთ ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტები:

1. ჯანმრთელობის ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ალერგიისა და არაჰოსპიტალიზებული ტრავმების შესახებ;
2. სამედიცინო ჩარევის ბარათი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ბავშვის ბაღში ყოფნის პერიოდში ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის შესახებ;
3. ცნობა აცრების შესახებ;

გაითვალისწინეთ, რომ ბავშვის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებიც მას ბავშვზე ზრუნვისთვის ან პროფესიული მოვალეობების შესრულებისთვის გამოიყენებენ.

ჯანმრთელობის დაცვის პროცედურები

„მათეს ბაღში რამდენიმე კვირა არ უვლია, ალერგიის ძლიერი შეტევის გამო ექიმმა მკურნალობის კურსი დაუნიშნა. ერთ კვირაში ბავშვი ბაღს დაუბრუნდა, თუმცა ზოგიერთი წამლის მიღებას განაგრძობდა. დილას ბაღში მისულ მათეს ასმათი მასწავლებელი შეეგება, დედამ ასმათს ალერგიის წამლები აჩვენა და სთხოვა, სადილის შემდეგ მიეცა. ასმათი დაიბნა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, თუ წამლებს დაიტოვებდა, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, რაც გარკვეულწილად აშფოთებდა, არადა უარის თქმაც უჭირდა...“

ზემოთ აღწერილი შემთხვევა ძალიან ხშირია საბავშვო ბაღებში. ხშირად არა მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგმა და აღმზრდელმა, ბაღის ადმინისტრაციამაც კი არ იცის, როგორ იმოქმედოს, როდესაც ბავშვს წამლის მიღება ესაჭიროება, ან როცა გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაა საჭირო და ა.შ. ამ სიტუაციიდან გამოსავალი დაწესებულების მიერ, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, გარკვეული პოლიტიკის შემუშავება და ამ პოლიტიკის ყველა თანამშრომლისა და მშობლისთვის, რომლის ბავშვიც ბაღში დადის, გაცნობაა. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს გაწერილი პროცედურები თითოეული ბავშვისა და დაწესებულების თანამშრომლების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. რას ნიშნავს ეს, რას გულისხმობს გაწერილი პროცედურები? დაწესებულებაში იციან, თუ როგორ იქცევიან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში (მაგალითად, თავად აღმოუჩენენ პირველად სამედიცინო დახმარებას და პარალელურად რეკავენ სასწრაფოში), მედიკამენტების საჭიროებისას (მაგალითად, დაწესებულებას გაწერილი აქვს, რომ წამლის მიღების საჭიროების შემთხვევაში: 1. წამალს ბავშვს მხოლოდ მშობელი ასმევს, ანუ ბაღის თანამშრომელი არ იტოვებს წამალს; ან 2. დაწესებულება იტოვებს წამალს, მაგრამ მხოლოდ ბაღის ექთანი, ან სხვა პირი, რომელსაც დაწესებულება დააკისრებს ამ პასუხისმგებლობას და სწორედ ეს პირი ასმევს; ან 3. წამალს იტოვებს ჯგუფში მომუშავე უფროსი, ხოლო ასმევს ექთანი და ა.შ. ასევე უნდა გაიწეროს წამლის შენახვის წესი, რა ტიპის წამლების დატოვებაზე იღებს პასუხისმგებლობას ბაღი და სხვ.) და ა.შ.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დაწესებულების ფარგლებში შემუშავდეს და გაიწეროს ჯანმრთელობის დაცვის პროცედურები:

- <u>ბავშვის/ზრდასრულის ცუდად/შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში მოქმედებისთვის</u> - ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული და აღწერილი იქნება ის ქმედებები, რომელთაც მიმართავთ დაწესებულების ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ცუდად გახდება (ბავშვის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს შემდეგი ნაბიჯები 1) სასწრაფოს გამოძახება; 2) მშობლისთვის შეტყობინება და ა.შ.)

- <u>ბავშვისთვის მედიკამენტის მიღების საჭიროების შემთხვევაში</u> - ამ ტიპის დოკუმენტში აღწერილია ქცევის წესები იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს დაწესებულების ფარგლებში მედიკამენტის მიღება ესაჭიროება. შესაძლოა გაიწეროს, რომ მშობელი მოდის და თავად ასმევს ბავშვს წამალს, ან, შესაძლოა, ეს პასუხისმგებლობა ბაღის ექიმს, ან ექთანს დაეკისროთ.

თანამშრომელთა კეთილდღეობა

თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა დაწესებულების მმართველი რგოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა. სწორედ პერსონალის მხრებზე დგას დაწესებულება, მათი საშუალებით ხდება ბაღი წარმატებული, ან ნაკლებად წარმატებული. თანამშრომელთა ხარისხიან საქმიანობაზეა დამოკიდებული მეტწილად საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიც, თანამშრომლების მისაღწევია ბავშვთა კეთილდღეობა, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ თავად პერსონალმა



იგრძნოს თავი კარგად საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ლიდერის, ან მმართველი რგოლის ქცევა, მათი დამოკიდებულებები თანამშრომლების მიმართ, გადამდებია. ამიტომაც პერსონალისთვის მისაღები ქცევის მოდელირება თავად მმართველი გუნდის პასუხისმგებლობაა.

იმისათვის, რათა თანამშრომლებს ჰქონდეთ კეთილდღეობის განცდა, მათ სჭირდებათ დასვენების პერიოდის სრულფასოვნად გამოყენება, სრულფასოვანი სადილი, დღის განმავლობაში წახემსება. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების პერსონალს ჰქონდეს ადგილი, სადაც შეძლებს შესვენების გატარებას, საკუთარი ნივთების შენახვას. საგანმანათლებლო პერსონალის შემთხვევაში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებობდეს სივრცე, ე.წ. სამასწავლებლო, რომელიც მყუდროდ იქნება მოწყობილი, სადაც თანამშრომლებს საშუალება ექნებათ დაისვენონ, ისაუბრონ, განიხილონ მიმდინარე სამუშაო დღე, ერთმანეთს რეკომენდაციები მისცენ, ან უბრალოდ განმარტოვდნენ ან პირიქით, დაგეგმოს საგანმანათლებლო პროცესი. სადაც აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს საშუალება ექნებათ ბავშვებთან არასაკონტაქტო დრო გაატარონ, გაეცნონ სიახლეებს, ინტერნეტით მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და ა.შ.

სამასწავლებლოს მოსაწყობად საჭირო იქნება მაგიდები და სკამები, რბილი ავეჯი, თაროები წიგნების თუ სხვა მასალის შესანახად, კომპიუტერი. ასევე შესაძლოა იყოს საგანმანათლებლო პერსონალის ინდივიდუალური სათავსოები პირადი ნივთებისა თუ ინდივიდუალური დოკუმენტაციის შესანახად. აქვე შესაძლოა მოეწყოს სივრცე, სადაც თანამშრომლები შეძლებენ წახემსებას, ცხელი სასმელის მირთმევას.

თანამშრომლების კეთილდღეობის შესახებ ასევე იხილეთ ამ სახელმძღვანელოში თავი „უსაფრთხოება და დაცულობა“ ქვეთავი - თანამშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელობა ბავშვთა კეთილდღეობისთვის, გვ. 34

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

როგორც ზემოთ ითქვა, დაწესებულების მმართველი რგოლი პასუხისმგებელია, პერსონალზე იზრუნოს ყველა მიმართულებით, იქნება ეს კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა თუ წახალისება და მოტივაციის ამაღლება და ა.შ. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ამ თავში უკვე აღინიშნა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ სახელმწიფო კანონის მიხედვით, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს ამტკიცებს მთავრობა, ხოლო დაწესებულების დანარჩენი პერსონალის პროფესიულ სტანდარტს ადგენენ მუნიციპალიტეტები. ამ სტანდარტებში მოცემულია ის კვალიფიკაცია, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ბაღში მომუშავე თანამშრომლები. თუმცა მიუხედავად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა, დაწესებულება მუდმივად უნდა ზრუნავდეს საკუთარი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით:

- თანამშრომლებისთვის პროფესიული ტრენინგების, „ვორქშოპების“ დაგეგმვა მათთვის საინტერესო ან საჭირო თემებზე;
- სპეციალისტებისა და ექსპერტების მოწვევა დაწესებულების სივრცეში, შეხვედრების, დისკუსიების, საჯარო ლექციების ორგანიზება;
- დაწესებულების ფარგლებში ბიბლიოთეკის მოწყობა, სადაც საბავშვო წიგნებთან ერთად იქნება სპეციალური განყოფილება უფროსებისთვის. ბიბლიოთეკა პერიოდულად შეივსება ბაზარზე გამოსული სამეცნიერო ლიტერატურით, ზოგადად განათლების, ფსიქოლოგიის, ადრეული განათლების, ადრეული ასაკის თავისებურებების შესახებ. დაინტერესებულ თანამშრომლებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის მომსახურებით;
- არსებული საგანმანათლებლო ჟურნალებისა და გაზეთების გამოწერა;
- გაცვლითი პროგრამების ორგანიზება დაწესებულებებს შორის - განსაკუთრებით საინტერესო იქნება ასეთი პროგრამები რეგიონებს შორის, როცა, მაგალითად, კახეთის რომელიმე მუნიციპალიტეტის ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ერთკვირიანი, ან ორკვირიანი ვიზიტით გაემგზავრებიან, მაგალითად, აჭარის, იმერეთის, ან თბილისის რომელიმე ბაღში და იქ საგანმანათლებლო პროცესში სრულად მიიღებენ მონაწილეობას. ასეთი გაცვლითი პროგრამები, ერთი მხრივ, პროფესიული ქსელის შექმნის საშუალებას იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, პრაქტიკოსებს საშუალებას აძლევს, პროფესიული ცოდნა სწორედ პრაქტიკაში გაუზიარონ ერთმანეთს.
- საჭირო ფონდების მოძიებისა და საერთაშორისო კონტაქტების დამყარების შემთხვევაში, შესაძლებელია ზემოთ მოყვანილი მაგალითი უფრო ფართო კონტექსტშიც განვიხილოთ და საერთაშორისო, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, მსგავსი სამუშაო ვიზიტები საზღვარგარეთ დაიგეგმოს.

პროგრამის ხარისხის შეფასება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო კანონის შესაბამისად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია შექმნას დაწესებულების გარე და შიდა მონიტორინგის სისტემა. შესაბამისად, პროგრამის შიდა შეფასებაზე დაფიქრებისას აუცილებლად დაგჭირდებათ იმ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტის გაცნობა, რომელშიც თქვენი დაწესებულება მდებარეობს. მონიტორინგის სისტემის გაცნობა დაგეხმარებათ იფიქროთ იმაზე, თუ როგორ შეაფასოთ თქვენი დაწესებულების მუშაობა.

პროგრამის შიდა შეფასება

იმისათვის, რათა განვსაზღვროთ, თუ როგორ ვმუშაობთ, რამდენად შეესაბამება ჩვენს დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა ქვეყანაში არსებულ სტანდარტებსა და რეგულაციებს, იმისათვის, რათა დავგეგმოთ სამომავლო განვითარების გზები, მნიშვნელოვანია გვქონდეს ეფექტიანი თვითშეფასების სისტემა. თვითშეფასების სისტემა შესაძლოა მოიცავდეს:
1) <u>თვითშეფასების გეგმას,</u> რომელშიც მოცემული იქნება შეფასების დრო, პირობები, ის, თუ ვინ ატარებს შეფასებას და ა.შ. 2) <u>თვითშეფასების ინსტრუმენტს,</u> რომელსაც დაწესებულების ფარგლებში ცალკეული დარგების სპეციალისტები შეიმუშავებენ, მაგალითად, სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტს ადგენს სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, ჰიგიენას - შესაბამისი სპეციალისტი და ა.შ. თუმცა შესაძლებელია უკვე არსებული შეფასების ინსტრუმენტების მოძიება და შერჩევაც.
თვითშეფასება გულისხმობს მთლიანად პროგრამის, მისი ყველა კომპონენტის შეფასებას: უფროსისა და ბავშვის ინტერაქცია, ბავშვებისა და უფროსის თანაფარდობა, აქტივობების შესაბამისობა ბავშვების განვითარებასთან, დაწესებულების შიდა და გარე სივრცის დაცულობა, ფიზიკური გარემოს კომპონენტები, თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ადმინისტრაციის როლი, ოჯახის ჩართულობის ხარისხი და ა.შ. თვითშეფასების ინსტრუმენტის მთავარი მიზანია, შეამოწმოს, თუ როგორ მოქმედებს პროგრამის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ერთობლივად, მიიღწევა თუ არა მათი ურთიერთქმედებით თითოეული ბავშვის ჰოლისტური განვითარება. შეფასების მიზანია ბაღის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, ასევე, მისი ახალი საჭიროებების დადგენა.
თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავებამდე უნდა ვიფიქროთ შემდეგ საკითხებზე:

1) რა სიხშირით უნდა ივსებოდეს კითხვარი, ანუ რა სიხშირით უნდა ვამოწმებდეთ ჩვენს მუშაობას;
2) ვინ აფასებს პროგრამის ხარისხს, ვინ ატარებს კვლევას, ვინ ავსებს თვითშეფასების კითხვარს;
3) რა ტიპის ინსტრუმენტი გამოიყენება თვითშეფასების მიზნით, როგორ, ვისგან გროვდება ინფორმაცია (მშობელი, პერსონალი, ბავშვები, გარემო, პროცესი, დაკვირვება, კითხვარი, ჩექლისტი, ინტერვიუ);
4) შეფასების მიზნით შესაძლებელია ისეთი ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიც

არის ანონიმური წერილები/ყუთები. ამ შემთხვევაში თანამშრომლები და მშობლები შეძლებენ შენიშვნების, თხოვნებისა და რეკომენდაციების ანონიმურად მოწერას;

5) შესაძლებელია დაიგეგმოს თვეში ერთხელ საგანგებო შეკრება პერსონალთან, სწორედ რეკომენდაციების შეგროვების მიზნით.

რა კომპონენტებისგან უნდა შედგებოდეს თვითშეფასების კითხვარი? კითხვარის შედგენისთვის უპირველესი წყარო ხარისხის სტანდარტია. ხარისხის სტანდარტის ერთ-ერთი გამოყენების გზა სწორედ შეფასების ინსტრუმენტების შედგენაა. ამიტომაც, თვითშეფასების კითხვარი აუცილებლად უნდა ასახავდეს ხარისხის სტანდარტის თემატიკას.

- კეთილდღეობა და უსაფრთხოება - უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას, ხორციელდება თუ არა პროგრამა უსაფრთხო, ჯანსაღ გარემოში;
- კურიკულუმი და საგანმანათლებლო პროგრამა - აღწევს თუ არა კურიკულუმი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მოიცავს თუ არა ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, არის თუ არა თამაში ძირითადი საგანმანათლებლო სტრატეგია;
- ფიზიკური გარემო - რამდენად პასუხობს დაწესებულების ფიზიკური გარემო საგანმანათლებლო სტანდარტისა და ინფრასტრუქტურის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მიმართულებებს;
- ინკლუზია - გათვალისწინებულია თუ არა დაწესებულების ფიზიკურ გარემოსა და საგანმანათლებლო პროცესში თითოეული ბავშვის საჭიროება და ინტერესები;
- თემთან თანამშრომლობა - განსაზღვრული აქვს თუ არა დაწესებულებას თემის ჩართვის სტრატეგიები, იყენებს თუ არა თემის რესურსს საჭიროებისამებრ;
- ხელმისაწვდომობა - უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულება ყველა მსურველი ბავშვის ჩართვას;
- მართვა - შეესაბამება თუ არა დაწესებულების მმართველი რგოლის კვალიფიკაცია დაკავებულ პოზიციას, შემუშავებული აქვს თუ არა მმართველ რგოლს საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების სტრატეგია და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, თანამშრომელთა პროფესიული ზრდის მექანიზმი;
- თანამშრომლები - რამდენად შეესაბამება დაწესებულების თანამშრომლების კვალიფიკაცია დაკავებულ პოზიციებს, რამდენად ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- მშობელთა ჩართულობა - შემუშავებული აქვს თუ არა დაწესებულებას მშობელთა ჩართვის სტრატეგიები, რამდენად არის შესაძლებელი მშობელთა სხვადასხვა ფორმით ჩართვა, რამდენად არის გათვალისწინებული მშობელთა მოსაზრებები გადაწყვეტილების მიღებისას, რამდენად ზრუნავს მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე.
- აღმზრდელ-პედაგოგის და აღმზრდელის კვალიფიკაცია - რამდენად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პერსონალი სტანდარტებითა და სხვადასხვა დადგენილებით გაწერილ მოთხოვნილ კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალელიშვილი ნ. ბაქრაძე თ. მუსხელიშვილი ო. ფერენცი მ. ჯიჯავაძე ნ. (2014) ბასკო - სასკოლო მზაობის პროგრამა 5-6 წლის ბავშვებისთვის. თბილისი.

გაეროს ასამბლეა (1989). ბავშვის უფლებათა კონვენცია. *United Nations, Treaty Series*, *1577*(3). http://unicef.ge/uploads/CRC_georgian_language_version.pdf;

გაეროს ბავშვთა ფონდი (2014) საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები დაწყებით განათლებასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით. UNICEF, თბილისი.

გრონლუნდი გ. (2012) დაგეგმვა თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისათვის: სკოლამდელ დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში. Redleaf Press.

დვალიშვილ, დარეჯან (2013). ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. UNICEF, თბილისი. http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

მაკლაქლანი კ, ფლიერი მ, ს. ედვარდსი (2013). ადრეული ბავშვობის კურიკულუმი: დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება (მეორე გამოცემა). კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა

მშვიდობაძე, ანასტასია (2016). მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა: მოკლე მიმიოხილვა. UNICEF, თბილისი. http://unicef.ge/uploads/Welfare_Monitoring_Survey_Georgia-GEO_WEB.pdf

პაჭკორია თ. (2011) ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი. თბილისი.

პაჭკორია თ. ჭინჭარაული თ. ლაღიძე ა. ბაგრატიონი მ. (2011) ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებელთათვის. 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლ გეგმის მიხედვით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

პიტერსი ი. ჰულპია ჰ. (2018) საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. UNICEF. თბილისი.

საიფერი ს. ბალანჩივაძე ი. ბაქრაძე თ. გაბისონია თ. ლაბარტყავა ნ. ფრუიძე ნ. ლორია თ. (2015) სასკოლო მზაობის პროგრამა - თამაში - სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. თბილისი.

საქართველოს მთავრობა (2016). დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0

საქართველოს მთავრობა (2017). **დადგენილება #478 აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ**. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404

საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #485 ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837694?publication=0

საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #487 ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838370?publication=0

*საქართველოს მთავრობა (*2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

საქართველოს პარლამენტი (2016). საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. https://matsne.gov.ge/document/view/3310237?publication=6

ჯეიმს ი. ჯონსონი, ჯეიმს ფ. ქრისტი, ფრენსის უორდლი (2005). თამაში, განვითარება და ადრეული განათლება. „პირსონ ედუქეიშენ“

"Character Education Resources for Teachers." *The Cornerstone For Teachers*, 8 Mar. 2018, http://thecornerstoneforteachers.com/character-ed/

"Loris Malaguzzi Biography." *Reggio Emilia Approach | Reggio Children*, www.reggiochildren.it/identita/loris-malaguzzi/?lang=en.

"The 7 Principles." *Centre for Excellence in Universal Design*, http://universaldesign.ie/What-is-Universal-Design/The-7-Principles/

Aistear Siolta (2018). *Using open-ended materials, Practice Guide. http://www.kkccc.ie/wp-content/uploads/2018/01/Open-ended-materials.pdf*

Aistear: the Early Childhood Curriculum Framework (n.d.). Learning and developing through play.

American Thoracic Society (2017). Healthy Sleep in Children. In Am J Respir Crit Care Med Vol. 195, P11-P12, 2017 ATS Patient Education Series © 2017 American Thoracic Society

Andersson, M. (1999). The Early Childhood Environment Rating Scale (ECERS) as a tool in evaluating and improving quality in preschools. *Studies in Educational Sciences, 19.*

Ata, S., Deniz, A., & Akman, B. (2012). The physical environment factors in preschools in terms of environmental psychology: a review. *Procedia-Social and Behavioral Sciences*, *46*, 2034-2039.

Carter, M. (2007). Making Your Environment" The Third Teacher". *EXCHANGE-EXCHANGE PRESS-*, *176*, 22-26.

CAST (2011). Universal Design for Learning Guidelines version 2.0. Wakefield, MA: Author.

Cate D. Diefendorf M. McCullough K. Peters M. Whaley K. (2010) Quality Indicators of Inclusive Early Childhood Programs/Practices A Compilation of Selected Resources

Chase, E; Statham, J; (2010) Childhood Wellbeing: A Brief Overview. (Childhood Wellbeing Research Centre 1 , pp. 1-18). Institute of Education, Loughborough University & University of Kent: London. http://www.cwrc.ac.uk/documents/CWRC_Briefing_paper.pdf

Crim, Lisa C. & Thompson, Verna (2013). Guide to Promoting Inclusion in Early Childhood Programs. Delaware MAPS: Meaningful Access Participation and Supports: A Guide to High Quality Inclusion of Children with Disabilities for Families and their Communities. http://dhss.delaware.gov/dhss/dms/birth3pubs.html

Cryer, D., Harms, T., & Riley, C. (2003). *All about the ECERS-R: A detailed guide in words and pictures to be used with the ECERS-R*. Pact House Pub..

Curtis D. & Carter M. (2015) *Designs for Living and Learning.* Redleaf Press.

Delaware Health and Social Services (2013) Guide to Promoting Inclusion in Ealry Childhood Programs.

Division for Early Childhood/National Association for the Education of Young Children. (2009). Early childhood inclusion: A joint position statement of the Division for Early Childhood (DEC) and the National Association for the Education of Young Children (NAEYC).

Dodge D.T., Colker J.L., Heroman C. (2007). The Creative Curriculum for Preschool. Teaching Strategies.

Dodge, D. T., Colker, L., & Heroman, C. (2002). The creative curriculum. *New York, NY: Teaching Strategies*.

Durrant, J. E. (2010). Positive discipline in everyday teaching: Guidelines for educators. *Save the Children. Retrieved September*, *10*, 2013.

Frede, E., & Ackerman, D. J. (2007). Curriculum decision-making: Dimensions to consider. National Institute for Early Education Research

G. Olsen, M.L. Fuller (2008) The Benefits of Parent Involvement: What Research Has to Say; In Home-School Relations: Working Successfully with Parents and Families, p. 129-130.

Gandini, L. (2003). Values and principles of the Reggio Emilia approach. *Insights and aspirations from Reggio Emilia: Stories of teachers and children*.

Goodall, J., & Vorhaus, J. (2011). Review of best practice in parental engagement.

Hendy, L. (2001). *Supporting drama and imaginative play in the early years*. McGraw-Hill Education (UK).

Jalongo, M. R., Fennimore, B. S., Pattnaik, J., Laverick, D. M., Brewster, J., & Mutuku, M. (2004). Blended perspectives: A global vision for high-quality early childhood education. *Early Childhood Education Journal*, *32*(3), 143-155.

Julianne P. (20015) *Working on the Reggio Way. A beginners `s Guide for American Teachers*. Redleaf Press.

Julie Bertling, Merrie Darrah, Diana Lyon, and Sarah Jackson (n.d.) Early Childhood Building Blocks: Universal Design for Learning in Early Childhood Inclusive Classrooms. Classrooms, E. C. I.

L. Mace, FAIA, (1998) Designing for the 21st Century: An International Conference on Universal Design. https://humancentereddesign.org/resources/perspective-universal-design

Laevers, F. (2005). The curriculum as means to raise the quality of early childhood education. Implications for policy. *European Early Childhood Education Research Journal*, *13*(1), 17-29.

Landscape and child development. (2013). A design guide for Early Years- Kindergarten Play Learning Environment. Toronto district school board.

Maine Center for Community Inclusion & Disability Studies (2011) Indicators for Quality Inclusive Practice: Field-Test Version 1.0. CCIDS Child Care Plus ME/RELATE Project © 2011-2012

Mary Gosche (2000) Building Strong Families Positive Discipline Participant Workbook.

MARYLAND STATE BOARD OF EDUCATION (2015). Supporting Every Young Learner: Maryland's Guide to Early Childhood Pedagogy Birth to Age 8. Maryland State Department of Education.

Miller, F., & Katz, J. (2002). *Inclusion Breakthrough: Unleashing the Real Power of Diversity*. Berrett-Koehler Publishers.

Nylander, D. (2009). Quality inclusive early childhood programs: 10 things to look for. *Measurement instrument*.

Ostrosky, M. M., & Jung, E. Y. (2008). Building positive teacher-child relationship. *Annual edifions. Early childhood educafion,*, 41-44.

Project '*RESCUR (2015)- Developing a Resilience Curriculum for Primary Schools in Europe'* www.rescur.eu, funded by the EU Commision Lifelong Learning Programme. No. 526813-LLP-1-MT-COMENIUS-CMP

Reinhardt, Martine A.. (2016). Parent Involvement in Kindergarten. Retrieved from Sophia, the St. Catherine University repository website: https://sophia.stkate.edu/maed/130

Santora, L., & Staff, A. D. L. (2004). How can you create a learning environment that respects diversity. *NYSAEYC Reporter*.

Shaeffer, S. (2006). Positive discipline in the inclusive, learning-friendly classroom: A guide for teachers and teacher educators. UNESCO Bangkok, vi+110 pp.

Smilansky, S. (1968). The effects of sociodramatic play on disadvantaged preschool children.

Van Laere, K., Trikic, Z., del Bario Saiz, A., Malleval, D., & Murray, C. (2011). Diversity and social inclusion exploring competences for professional practice in early childhood education and care.

Wills, D., Darragh-Ernst, J., Presley, D. (2012). Quality inclusive practices checklist. Normal: Heartland Community College, Heartland Equity and Inclusion Project

Wils, D., Darrgh-Emst,J., Presley, D. (2012). Quality inclusive practices checklist. Heartland Community College, Heartland Equity and Inclusion Project.

Wright, S. C., & Taylor, D. M. (2007). The social psychology of cultural diversity: Social stereotyping, prejudice and discrimination. *The SAGE handbook of social psychology: Concise student edition*, 361.

You, H., Osborne, L., & Franz, J. (2015). Reflecting on Reggio: An evaluation of design intent in an early childhood learning environment. In Creative Engagements: Thinking with Children, 14-16 March 2014, Prague, Czech Republic

Zaslow, M., Martinez-Beck, I., Tout, K., & Halle, T. (2011). Quality measurement in early childhood settings. *Baltimore, MD: Brookes*.